

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საქართველოს არქეოლოგიური კომისია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

თეიმურაზ მიქელაძე

კოლხეთის ადრეკინის ხანის სამაროვნები

(ურეკისა და ნიგეჯიანის სამაროვნები)

კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის
უ რ რ ე ე ბ ი. II



ბავოშტაგლობა „მეცნიერება“

თბილისი

1985

63.4 (2 Г)
902.6(47.922)
§ 745

ნაშრომი წარმოადგენს კოლხეთის ადრერკინის ხანის ურეკისა და ნიგეზიანის სამაროვნებზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის პუბლიკაციას. სამეცნიერო მშობქცევაში შემოდის ახალი მასალა, რომელიც შექს ქვენს კოლხეთის ისტორიის ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორც არის მეურნეობის წამყვანი დარგები, კოლხეთის მოსახლეობის სოციალური სტრატეფიკაცია, რელიგია, ხელოვნება და დემოგრაფიული ვითარება აღმოსაეღეთ შავიზღვისპირეთში.

რედაქტორი თ. ლორთქიფანიძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	3
ურბენის სამაროვანი	6
დაკრძალვის წესისათვის ურბენის სამაროვანზე	13
ურბენის სამაროვნის ნივთიერი მასალა	20
ნიგვზიანის სამაროვანი	70
ნიგვზიანის სამაროვნის ნივთიერი მასალა	73
ძვ. წ. VII—VI სს. კოლხეთის ლითონის ჯოგინიარტი ნივთის დამწვლმოგებური კვლევის შედეგები (ბ. ინანოშვილი)	94
კატალოგი	100
Колхидские могильники эпохи раннего железа (резюме)	128
ტაბულების აღწერილობა	132
Описание таблиц	133
Таблицы	134

წინასიტყვაობა

კოლხეთის სამაროვნების შესწავლა კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1974 წელს დაიწყო. ამ სამუშაოს წამოწყებას მრავალი გარემოება აპირობებდა, უპირველეს ყოვლისა კი სამაროვნების განადგურების საშიშროება. სოფ. ნიგვზიანში ის ადგილი, სადაც შემდგომ სამაროვანი ვაითხარა, ხანგრძლივად და ინტენსიურად მუშავდებოდა, რამაც გამოიწვია სამარხთა ქვაყრილების გადაადგილება და ზოგიერთი სამარხის განადგურებაც კი, რადგან, როგორც გამოიჩვენა, მოსახლეობაში ინახებოდა ცალკეული სამარხეული ნივთები.

ურევში სამაროვნის დიდი და ყველაზე საინტერესო ნაწილი განადგურდა იმის გამო, რომ ეს ადგილი ახლო მდებარე რაიონების სამშენებლო ორგანიზაციებმა, მათ შორის იმ დაწესებულებებმა (საქნათი, კოლხიძემშენი), რომლებიც არქეოლოგიური ექსპედიციის სამუშაოებს აფინანსებდნენ, სილის კარიერად აქციეს. ამასთან, უშუალოდ სამაროვნის და ქრონოლოგიურად მისი შესაბამისი დიუნური დასახლების მახლობლად ცხოვრობდნენ ნათობის მამიბელნი და გამართული იყო მათი ქაბურღილები. ასეთ ვითარებაში, ცხადია, ორივე სამაროვანი დაზიანდა და მიუხედავად იმისა, რომ, როგორც წინამდებარე გამოცემაში იქნება ნაჩვენები, მოპოვებულია მნიშვნელოვანი მასალა, რომელიც განუზომლად ზრდის ჩვენს ცოდნას კოლხეთის, და არამარტო კოლხეთის ძველი ისტორიის კარდინალური საკითხების შესახებ, სამაროვნებზე არსებული თავდაპირველი სურათის სრული რეკონსტრუქცია მაინც ვერ მოხერხდა. თუმც, ისიც უნდა ითქვას, რომ, როგორც შემდგომმა კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, კოლხეთის ადრეკინის ხანის სამაროვნებზე იმდენად რთული სურათი იჩენს თავს, ყოველ შემთხვევაში დაკრძალვის წესის მხრივ, რომ რიგი დეტალის აღდგენა ჭერჭერობით მაინც პირობითად უნდა ჩაითვალოს.

ამრიგად, აღნიშნული სამაროვნების შესწავლის დაწყება, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იყო მეცნიერებისათვის მათი დაკარგვის საშიშროებით, მაგრამ მათი მიყვლევა და თანმიმდევრულად შესწავლა გადაუდებელ სამეცნიერო ამოცანასაც შეადგენდა. საქმე ის არის, რომ ცენტრალურ კოლხეთში აშკარად იგრძნობოდა ძვ. წ. II და I ათასწლეულის I ნახევრის იმ ნაშოსახლარების (ნაოხვამუ, ანაკლია I, დაბლაგომი, ნორიოსირი, ანაკლია II, საელიავოს კურზია, კოდორი II, ყულევი, ნამკედური, სიმავრე) შესაბამისი სამაროვნების უქონლობა, რომლებიც ნაწილობრივ თუ სრულად არის შესწავლილი და დღესაც ისწავლება.

ეს იყო და ახლაც არის დიდი და დღემდე შეუქვებელი ხარვეზი კოლხეთის არქეოლოგიისა. მართალია, ამ ხარვეზს ერთგვარად ავსებდა ჩრდილოდასავლეთ კოლხეთში შესწავლილი (ეშერის, გუაღიხუს, ყულნურხვას, წითელი შუქურას, მერხეულის) სამაროვნები, მაგრამ ისინი ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის ბოლო საუკუნეებს განეკუთვნებიან და, რაც მთავარია, აქ

დამოწმებული არაერთგვაროვანი სურათი, მცირე რეგიონისათვის სრულიად მოულოდნელი, არ შეიძლება განზოგადებულიყო დანარჩენ კოლხეთზე. ეს ნათელი გახადა ცენტრალურ კოლხეთში შესწავლილმა სამაროვნებმა (მუხურჩა, პალური, გორაძირი), რომლებიც დროის იმავე მონაკვეთს განეკუთვნებიან და ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის სამაროვნებისაგან განსხვავებულ სურათს გვაძლევენ.

ამრიგად, ხსენებული ყველა სამაროვანი ეიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოქცეული და მხოლოდ შესაბამის ხანას ასახავს, ამასთან, როგორც სხვა სამაროვნებზე კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, საკმაოდ არასრულად: მაგრამ მოხდა ისე, რომ ის სამაროვნებიც, რომელსაც მიაკვლია კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ადრეკინის ხანას განეკუთვნებიან და, ისევე როგორც ზემო-ხსენებული სამაროვნები, კოლხეთის ისტორიის ხანმოკლე ეტაპს ასახავენ. ასე რომ, კოლხეთის არქეოლოგიის ზემოთ აღნიშნული ხარვეზი ნაწილობრივ კვლავ შეუქცებელი დარჩა; სამაგიეროდ მოპოვებულია მრავალფეროვანი და მანამდე უჩვეულო მასალა, დამოწმებულია ამ მასალის ისეთი ოდენობრივი თუ შინაარსობრივი შეხამება, რომელიც სრულიად ახალი კუთხით აშუქებს კოლხეთის ძველი ისტორიის ამ მოსაბრუნ ეტაპს.

კოლხეთის ადრეკინის ხანის სამაროვნების შესწავლას სათავე დაედო ჩვენი საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებში, როცა ე. სტრაჟურმა გამოისცა სოფ. პრიმირსკოეში (გუდაუთის რაიონი) შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრ-სამარხის ინვენტარი და სხვა ნივთები ასევე შემთხვევით აღმოჩენილი იმავე პრიმირსკოეში [136, გვ. 106—111, შდრ. 7 გვ. 139, ტაბ. 10]. ამას მოჰყვა ენერის სამარხეული მასალის პუბლიკაციები და გამოკვლევები და პირველი, თუმცა ბუნდოვანი ცნა ამ მასალის ეთნიკური ინტერპრეტაციისა [137, გვ. 103—108; 138, გვ. 58—64; 7, გვ. 133—192].

50-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო შესწავლა სამაროვნებისა სუხუმიისა და გუაღიხუს მთაზე, ხოლო 1956 წელს აღმოჩნდა წითელი შუქურას სამაროვანი სოხუმის დასავლეთ გარეუბანში. უფრო ადრე, 1948 წელს, დაიწყო გათხრები ყულანურხეის სამაროვნისა. ყველა აღნიშნული სამაროვანი დღეისათვის გამოქვეყნებულია [იხ. 62; 5: 4].

როგორც ვხედავთ, ადრეკინის ხანის სამაროვნები გარკვეულ დრომდე მართო ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში იყო აღმოჩენილი. ასე გაგრძელდა 60-იან წლებამდე. 1964 წელს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ენგურის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სოფ. პალურში (წალენჯიხის რაიონი) მიაკვლია საინტერესო სამაროვანს.

1967—1968 წლებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის ექსპედიცია სწავლობდა ადრეკინის ხანის გორაძირის სამაროვანს სოფ. კობოლთან (სახურის რ-ნი), ხოლო 1974—1976 წლებში იგივე მუზეუმის ნოსირი-მუხურჩის არქეოლოგიური ექსპედიცია — სამაროვანს სოფ. მუხურჩასთან (გეგეკორის რ-ნი). გორაძირის სამაროვანი გამოცემულია სრულად [იხ. 25], მუხურჩის სამაროვანზე ჩატარებული სამუშაოების შესახებ კი ვიგებთ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების მოკლე ანგარიშებიდან [იხ. 3 გვ. 60—64, გვ. 54—55]. ასევე არ არის სრულად გამოცემული პალურის სამაროვნის მასალაც: დაბეჭდილია ერთი მოკლე [139] და მეორე ვრცელი ილუსტრირებული ანგარიში [1, გვ. 96—123], რომელიც მხოლოდ ერთი, 1968 წლის მუშაობის შედეგებს ეხება.

აღნიშნული სამი სამაროვანიდან გორაძირის სამაროვანი, როგორც ჩანს, თავის მდებარეობის გამო, რამდენიმე განსხვავებულ სურათს იძლევა დაკრ-

ძალის წესის (ყორდანებისა და ორმოსამარხების თანაარსებობა) და ინენ-ტარის მხრივაც.

ამ თვალსაზრისით ერთ წრეში ექცევიან მუხურჩის, პალურის, ურეკისა და ნიგვზიანის სამაროვნები, აგრეთვე ის სამი სამაროვანი სოფ. ვრგეტაში, რომელთაც აშეამად იკვლევს კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, თუმცა რიგი სხვაობანი მათ შორისაც იგრძნობა.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ურეკისა და ნიგვზიანის სამაროვნების მასალის სრულ პუბლიკაციას. ის განსაზღვრულია როგორც პირველი წიგნი სერიისა, რომლის შემდგომი წიგნებიც ასევე კოლხეთის სამაროვნების მასალის პუბლიკაციას მიეძღვნება. ეს ნაშრომი ამავე დროს არის კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომების II წიგნი.

ნაშრომის გამოსაცემად მომზადებასთან დაკავშირებით ტექსტის დაზუსტების, კატალოგის მასალასთან შედარებასა და ილუსტრაციების მომზადება-შერჩევაში დიდი სამუშაო აქვთ ჩატარებული უმცროს მეცნიერ თანამშრომლებს ნ. მიგდისოვასა და მ. მუმლაძეს, მხატვარ-არქიტექტორს ე. სახვაძეს და ფოტოგრაფებს ე. ალიაბინსა და ს. ჯგერენიას. წინამდებარე ნაშრომს ერთ-ერთი ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის გ. ინანიშვილის ნაკვეთი — „ძვ. წ. VII—VI სს. კოლხეთის ლითონის ზოგიერთი ნივთის ტექნოლოგიური კვლევის შედეგები“.

ურეკის სამაროვანი

ურეკის სამაროვანი მდებარეობდა კურორტ ურეკის სამხრეთ განაპირას წვერმაღალას კოლმეურნეობის ფართობზე¹. იგი ზღვიდან 200-ოდ მეტრით იყო დაშორებული და ძველი დიუნის გადმოღმა არსებული სიღრარი ეკავა. ძველ დიუნაში, როგორც დაზვერებმა ცხადყო, დაღეჭილი იყო მძლავრ ფენად ე. წ. დიუნურ დასახლებებისათვის დამახასიათებელი მასალა, რომელსაც დღესაც რამდენიმე კილომეტრის მანძილზე გაედევნება თვალი.

სამაროვნისა და უკვე ხსენებული დიუნური დასახლების ერთი, სამაროვნის მომიჯნავე ნაწილის და სილოს გაზიდვის შედეგად წარმოქმნილი ღრმულის პროფილების შესწავლამ ნათელყო, რომ ამ ვეება (25000 მ²) ღრმულის ადგილას, ვიდრე სილის გატანა დაიწყებოდა, აღმართული იყო შემალეება, რომელიც ხსენებული დიუნური დასახლების შემადგენელი ნაწილი იყო. კარიერის როგორც დასაყუთ და აღმოსავლეთ, ისე განსაკუთრებით ჩრდილოეთ ფლატეებზე აშკარად ჩანს კვალი მძლავრი კულტურული ფენისა, რომელიც მასალის თავისებურების მიხედვით სანაპირო ზოლზე მრავალ კილომეტრზე გაჭიმული ზემოაღნიშნული დიუნური დასახლების დანალექს უნდა წარმოადგენდეს². ამ ზეინულებში კულტურული ფენის სიმძლავრე მიწის თანამედროვე ზედაპირის ზემოთ ალაგ-ალაგ 1 მ-ს აღემატება.

¹ მართალია, ის მიწები, სადაც სამაროვანი აღმოჩნდა, წვერმაღალას კოლმეურნეობას ეკუთვნის, მაგრამ სამაროვანს მაინც ურეკის სახელი მუყაუთენეთ, რადგან ის, როგორც არქეოლოგიური ძეგლი, ურეკში უკვე დიდი ხნის უნ ცნობილი არქეოლოგიური ძეგლების (იხ. 82. გვ. 25—79) ნაწილია. ყოველ შემთხვევაში მისი კავშირი ურეკის დიუნურ დასახლებასთან სრულიად აშკარაა. სამაროვნის ტერიტორიას ახლომახლო მდებარე საწარმოები უნებართოდ სილოს კარიერად იყენებდნენ. სილის გატანის დროს დაინგრა, სწორედ, სამაროვნის დიდი და, როგორც ჩანს, კოლექტიური სამარხი-ორმოების შემცველი ნაწილი.

სამარხების ნგრევის შესახებ პირველი ცნობა მოხვდა ქ. ქუთაისის სახელმწიფო. მუზეუმის მუზეუმის თანამშრომელმა ზ. შოთაშვილმა აცნობა ეს არქეოლოგი ე. ჭაფარიძეს, რომელმაც ზ. შოთაშვილთან ერთად 1976 წლის 12 სექტემბერს სილის გატანის დროს აღმოჩენილი ნივთები საჩვენებლად ჩამოგიტანა ანაკლიაში, სადაც იმავედ მუშაობდა კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია. ეს ნივთები შემდგომ კოლხეთის ექსპედიციას გადმოსცა ქუთაისის მუზეუმის დირექტორმა მ. ნიკოლაშვილმა. კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მორე დღესვე, 1976 წლის 13 სექტემბერს აღკვეთა სილის გატანა ურეკის კარიერიდან და შეუდგა საველე სამუშაოებს.

ურეკის სამაროვანზე საველე სამუშაოების დროს დროდადრო გვეხმარებოდნენ ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები — ა. კახიძე, ლ. ჩხაიძე, ხოლო მუდმივად ითანამშრომლეს ჩვენთან ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. ვაშაქიძემ და ა. ჭაფარიძემ, რომელსაც ეკუთვნის ყველა საველე ანაზომი. ურეკის სამაროვნის ვახტერებში მონაწილეობის იღებდა ტაბოგრაფი რ. ატოიანი, რომელმაც შეასრულა სამაროვნის ტაბოგრაფია.

² ანალოგიური დასახლებები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ცნობილია ტ. ქორთხის შესართავიდან ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთის სანაპირომდე (იხ. 103; 104; 105; 75; 82; 106].

ურეკის სამაროვანი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მოქცეული იყო ნათობის მაძიებელთა ქაბურღილებს შორის, ხოლო მათი დასახლება უშუალოდ ემიჯნებოდა მას. იგეგმებოდა აგრეთვე ამ ფართობის ახალი ქაბურღილებით დასერვა. ამის გამო გადაწყდა, ტოპოგრაფიულად აგვეგეგმა შედარებით დიდი ფართობი ისე, რომ გეგმის ფარგლებში მოქცეულიყო სამაროვნის სავარაუდო სივრცე და დიუნური ნამოსახლარის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ემიჯნებოდა სამაროვანს (იხ. ტაბ. I). აგეგმილი ფართობი ქვეყნის მხარეთა მიხედვით ოთხ სექტორად დაიყო. თითოეული სექტორი აღინიშნა რომაული ციფრით. I სექტორი გასათხრელი ფართობის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს მოიცავდა, II ჩრდილო-აღმოსავლეთს, III სამხრეთ-აღმოსავლეთს და IV სამხრეთ-დასავლეთს. თითოეული სექტორი დაიყო 100 კვადრატად. ყოველი კვადრატის ფართობი 40 X 40 მ ტოლი იყო, ეს დიდი კვადრატები განიხილებოდა როგორც ფონქრეტული გასათხრელი ფართობები და ამიტომ ისინი თავის მხრივ დაისერა 4 X 4 მ კვადრატების ბადით.

ამრიგად, სექტორები აღინიშნებოდა რომაული, ხოლო დიდი (40 X 40 მ კვადრატები) არაბული ციფრებით. ამ კვადრატების სათვალავი I და II სექტორებში ჩრდილოეთით იზრდებოდა, III და IV სექტორებში სამხრეთი მიმართულებით. რაც შეეხება მცირე (4 X 4 მ) კვადრატების ბადას, აქ ყოველი კვადრეტი აღინიშნებოდა არაბული ციფრითა და ლათინური ასოთი. არაბული ციფრების რიგი I და II სექტორებში ჩრდილოეთი მიმართულებით იზრდება 1-იდან მე-10-მდე, ხოლო ლათინური ასოები მიემართებიან დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ A-დან I-მდე. ასე რომ, როცა სავლედ დოკუმენტაციაში ან წინამდებარე ტექსტში შევხვდებით ასეთ აღნიშვნას II₁₃ E₈, ეს იმას ნიშნავს, რომ ლაბარაკია II სექტორის 13 დიდი კვადრატის E₈ კვადრატზე.

არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოირკვა, რომ ურეკის სამაროვანზე სამარხთა უდიდესი ნაწილი II სექტორის 13 კვადრატში აღმოჩნდა. სამარხები ორგვარი იყო—კოლექტიური სამარხი-ორმოები და ინდივიდუალური სამარხები.

კოლექტიური სამარხი-ორმოები, როგორც ჩანს, საოჯახო ან იქნებ სავარეულო სამარხებს წარმოადგენენ, სადაც დაკრძალვასთან დაკავშირებული რიტუალის შესრულების შემდეგ ასაფლავებდნენ მიცვალებულთა ძლიერ დაწვევრებული ძვლების ნაშთებსა და ნივთებს, უმეტეს შემთხვევაში იარაღ-სამკაულს, საკულტო საგნებს და შედარებით იშვიათად თიხის ქურქელს.

სამარხ-ორმოებში მიცვალებულთა ნაშთები და მათი კუთვნილი ნივთები ხშირ შემთხვევაში ნივთების ერთმანეთისაგან გამოცალკევებული ჭვუფების შთაბეჭდილებას ტოვებენ, ზოგ სამარხში გამოყოფილი გვაქვს ასეთი ჭვუფები და მათ სავლედ დოკუმენტაციაში ქვეკომპლექსებს ვუწოდებთ. მათი ერთობლიობა გვაძლევს სამარხი-ორმოს მთლიან კომპლექსს. ქვეკომპლექსში შემავალი ნივთები ხშირად თავმოყრილია ან სეგმენტისებურ იარაღზე, ან ფარის უმბონებზე და ასეთ შემთხვევაში ეს ნივთები ჭვუფის შემკვრელად გვევლინებიან. იყო შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის ჭვუფი ნივთებისა და ძვლოვანი ნაშთებისა ტყავში ან ქსოვილში იყო გახვეული (№ 1 სამარხი ორმოს I და III ქვეკომპლექსები)³. ასეთ შემთხვევაში ნივთებიცა და მიცვალებულის ძვლებიც, უფრო ხშირად კბილების ნაშთები, ან უმბონზეა თავმოყრილი ან სეგმენტზე, ანდა წყვილ უმბონსა და წყვილ სეგმენტისებრ იარაღზე.

³ მიცვალებულის ნაშთებისა და მისი ნივთების ქსოვილში გახვევა დამოწმებულია აქსახეთის ოსტარიუმებში (იხ. 7, გვ. 181).

როცა ნიეთების ჩგუფებს ეტუობათ, რომ ისინი ტყავში ან ქსოვილში იყენენ გახვეული, ასეთ შემთხვევაში მათი ქვეკომპლექსებად გამოყოფა თითქოს უფრო საფუძვლიანი ჩანს. ამ მხრივ ცალკეული ჩგუფების გამოყოფისათვის ამ ჩგუფების სხედასხვა დონეზე არსებობასაც აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ზოგჯერ იმდენად კომპაქტურადაა სამარხში ნიეთები განლაგებული, რომ ცალკეული ქვეკომპლექსის განსაზღვრა შეიძლება პირობითი იყოს. ამიტომ ისინი მხოლოდ საველე დოკუმენტებში გვაქვს გამოყოფილი. სამარხთა დათარიღებისათვის, ცხადია, მნიშვნელობა აქვს მთელ სამარხეულ კომპლექსს ერთობლივ.

ურეკის სამაროვანზე აღმოჩნდა სულ 72 სამარხი, აქედან სამი სამარხი-ორმო და 69 ინდივიდუალური სამარხი. სამარხ-ორმოებს, ეკავათ სილის კარიერის ცენტრალური ნაწილი და მათი უდიდესი უმრავლესობა სილის გატანის დროს განადგურდა. ის სამი სამარხი-ორმო, რომელთაც მიუსწრო კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, უშუალოდ კარიერის ფლატესთან მდებარეობდა (№ 1 და № 3 სამარხი-ორმოები) და ამიტომ ნაწილობრივ დაზიანებულიც აღმოჩნდა, (მდრ. ტაბ. 1), ან იქვე ფლატეს პირთან ახლოს № 2 სამარხი-ორმო. სწორედ იმის გამო, რომ ამ უქანასკნელს აღარ ემუქრებოდა განადგურება, პირველად გაითხარა უკვე დაზიანებული და ფლატეს პირზე მდებარე სამარხები (№ 1 და № 3), რომლებიც შეიძლება თავისთავადაც ჩაქუცულყენენ. ეს სამარხები კი ვიხსენით, მაგრამ № 2 სამარხი-ორმო ფარულად სილის გამტანებმა გაანადგურეს.

ასეთივე ბედი ეწია, სამწუხაროდ, ურეკის სამაროვნის კიდევ ერთ ძეგლს, რომელსაც პირობით საკულტო მოედანი ეუწოდეთ, რადგან ის ქვაყრილით მოფენილ მოედანს წარმოადგენდა, განფენილი იყო უშუალოდ კარდიანი შრის ქვეშ და თავის კონფიგურაციის მიხედვით, მდებარეობით, მოცულობით, მოედანზე დადასტურებული ნაშთებით მკვეთრად განსხვავდებოდა ურეკის სამაროვნის სამარხებისაგან. მართალია, მისი განადგურების გამო ამ მოედნის სრული შესწავლა ვერ მოხერხდა და ჩვენი შეხედულებები მასზე მხოლოდ ზედაპირული პრეპარაციით მოპოვებულ დაკვირვებებს ემყარება, მაგრამ ასეთი სამაროვნებისაგან მკვეთრად განსხვავებული ქვაყრილიანი მოედნების დადასტურებამ (ისეთივე მდებარეობით, ანალოგიური მასალით ან სხვა მსგავსი თავისებურებებით) კოლხეთის სხვა სამაროვნებზეც (მაგალითად, სოფ. ერგეტის № 1 სამაროვანზე) გაგვიმტკიცა აზრი მათი საკულტო დანიშნულების შესახებ. თუმცა ბოლომდე იქნებ არც იყოს გამოსარიცხი, რომ ასეთი ქვაყრილიანი მოედნების სახით საქმე გვაქვს დაკრძალვის კიდევ ერთ განსხვავებულ წესთან.

საკულტო მოედანი (ტაბ. I—V) აღმოჩნდა I₃, II₁₃ დიდ კვადრატებში-მას ეკავა I₃ K₂₋₃ კვადრატებს აღმოსავლეთი ნაწილი, II₁₃ A₂₋₃ კვადრატების ცენტრალური და B₂—B₃ კვადრატების დასავლეთი ნაწილი. მისი ფართობი 180 მ² აღემატებოდა. მთლილი მოედანი მოფენილი იყო რიყის ქვით, ხოლო სილა, როგორც ჩანს, ცეცხლის გამო გაშავებული და გამკვრივებული იყო. ქვაყრილის შორის, სილაში, არეული იყო ცეცხლისაგან წვრილად დანაწევრებული ძვლების მრავალრიცხოვანი ნაშთები, აგრეთვე თიხის კურკლის უამრავი ნატეხი და ცალკეული ნიეთები (იხ. კატალოგი). დამწვარი სილისა და მასში არსებული რიყის ქვისა და არქეოლოგიური მასალის შემცველი ფენის სიმძლავრე ალაგ-ალაგ 0,80 მ აღემატებოდა, რაც შესაძლოა იმაზე მიუთითებს, რომ ეს ადგილი სააღაპო რიტუალის შესასრულებლად გამოიყენებოდა ერთი გარკვეული დროის მანძილზე, არა ერთგზის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ალაგ-ალაგ მოედნის კრილში შეიმჩნეოდა ორ-მოვები, რომლებიც ერგეტის სამაროვნის ანალოგიის მიხედვით, შესაძლოა, საქვლე ორმოები ყოფილიყო. თუ ეს ასეა, ქვეყრილიანი მოედნის საკულტო დანიშნულება სრულიად აშკარაა. ცხადია, არ არის გამოსარიცხი არც ის, რომ ქვეყრილიანი მოედანი მიცვალებულთა ნაშთების დასაქრძალი ადგილიც იყო.

ს ა მ ა რ ხ ი ო რ მ ო № 1 (ტაბ. I; VI—VII) აღმოჩნდა I_3-II_2 კვადრატებში, სამხრეთი ნაწილი $III_2 J_{10}$ კვადრატში, ხოლო ჩრდილოეთი J_1 კვადრატში, მის შემორჩენილ ნაწილს წაგრძელებული ოვალის ფორმა აქვს. მისი დიდი, დასავლეთი ნაწილი განადგურდა სილის გაზიდვის დროს, მიუხედავად ამისა სამარხში მრავალი ნივთი აღმოჩნდა. ამ ნივთებს აშკარად ეტყობოდა ცეცხლის კვალი, ბევრი იყო ნახშირისა და აქა-იქ ჩანახშირებულ ძვლების ნაშთებიც. ამასთან ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ზოგ შემთხვევაში, თითქოს ნივთები ჭგუფ-ჭგუფად იყო ჩალაგებული. ნივთების ერთ ნაწილს (მაგ. № 857, 864, 891, 893) ეტყობოდა ქსოვილის ანაბეჭდები. როგორც ჩანს, გარკვეულ ჭგუფს ნივთებისას სხვა ნივთებისაგან გამოცალკეების მიზნით ახვედნენ ქსოვილში, რომელშიც თავდაპირველად შეიძლება მიცვალებული იყო განვეული, და ისე დებდნენ სამარხში. ამ თეალსაზრისით საინტერესოა ისიც, რომ ქსოვილის ანაბეჭდები ეტყობათ სეგმენტისებრ იარაღებს (№ 857, 864, 891), რომლებიც, როგორც აღნიშნული იყო, გვევლინებიან ხოლმე ნივთების ჭგუფის შემკვრელებად.

ს ა მ ა რ ხ ი ო რ მ ო № 2 (ტაბ. 1; VIII) აღმოჩნდა $I_3 J_{4-5}$ კვადრატებში. მიწის ზედაპირიდან 0,90 მ სიღრმეზე ორბოს ზედაპირის დიამეტრი აღნიშნულ დონეზე 2,16 მ-ის ტოლი იყო. მიუხედავად იმისა, რომ სამარხი დაანგრეის, მაინც მოხერხდა რამდენიმე ნივთის გადაჩენა (იხ. კატალოგი).

ს ა მ ა რ ხ ი ო რ მ ო № 3 (ტაბ. 1; IX—XVIII) აღმოჩნდა $I_3 H_3$ კვადრატებში, მისი დასავლეთი ნახევრის ზედა ნაწილი დაშვეებული იყო სილის გატარის დროს, ქვედა ნაწილი კი სრულად შემოინახა. ამ სამარხსაც, ისევე როგორც სხვა სამარხებს ზემოდან ეტყობოდა ყუთიანი ლაქა, რომელიც სამარხის ორბოს კონფიგურაციას საზღვრავდა და რომელმაც უკვე კორლოვანი შრის შემდეგ იჩინა თავი. ამ ლაქაზე ზედა შრეებიდანვე ნათლად ჩანდა ცეცხლის კვალი, რომელიც ორბოს ცენტრში 05—0,6 მ სიღრმემდე გაგრძელდა. ნაცეცხლარ ფენას მოსდევდა ისეთივე სისქის სილის ფენა, რომელშიც არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩნდა. შემდეგ კი უფრო მკვირივ ნატყეპნი სილა, რომელსაც ქვეშ ეფინა თიხისა და სილის ნარევის მონალესი. ასეთი მონალესი ურეკის სამაროვანზე საგანგებოდ უკეთდებოდა სამარხი-ორმოების ძირებს. მსგავსი მონალესის კვალს წვაწყდით № 1 სამარხი-ორბოს ძირშიც.

განსაკუთრებით ბევრი არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა № 3 სამარხი-ორბოს ნაცეცხლარი ფენის ქვეშ მკვირვ სილაში, აგრეთვე სამარხის ძირში მონალესის ზედაპირზე. ძლიერი ნაცეცხლარი ფენა, რომელიც ალაგ-ალაგ დანახშირებული იყო, ხოლო ალაგ-ალაგ დაწითლებული, მიგვითითებს იმაზე, რომ სამარხის თავზე შესრულდა რაღაც რიტუალი. იქნებ ამის მაჩვენებელია ამ ფენის სულ ზედაპირზე დადასტურებული თიხის კურკლის ნატყეპები ძე. კ. II პერიოდის ტოლჩებისათვის დამახასიათებელი ყურებით, რომელთაც ზემოდან ლილვისებრი დანაძერწები აქვთ.

გარდა არქეოლოგიური მასალისა აღწერილ სამარხში, ნივთების ცალკეულ ჭგუფებში აღმოჩნდა ნახევრად დამწვარი კბილები, ყბისა და კიდურების ძვლები (შდრ. ტაბ. IX₂). არქეოლოგიური მასალა ამ სამარხში მსგავსად № 1 სამარხ-

ორმოსი ჭგუფ-ჭგუფად იყო წარმოდგენილი (შდრ. ტაბ. IX). ცალკეულ შემთხვევაში ეს ჭგუფებიც ნივთებისა მსგავსად № 1 სამარხი-ორმოს ნივთების ზოგი ჭგუფისა, როგორც ჩანს, გახვეული იყო ქსოვილში. ქსოვილის ანაბეჭდები ეტყობა აქაც ერთ-ერთ სეგმენტს (№ 100). ამიტომ საველე დოკუმენტებში ამ სამარხის ნივთები გამოყოფილია ქვეკომპლექსებად, რომელთა შემადგენლობა ცალკეულ შემთხვევაში მაინც პირობითია.

აღწერილით ამოიწურება კოლექტიური სამარხი-ორმოები ურეკის სამარო-ვანზე. კოლექტიურ სამარხ-ორმოებს, როგორც ჩანს, ეკავათ სამაროვნის დასავლეთი ნაწილი (II₂ და II₃ კვადრატები), რომლებიც სილის გატანას შეეწირა. სამაროვნის აღმოსავლეთ ნაწილში კი მართოდენ ინდივიდუალური სამარხები აღმოჩნდა.

ინდივიდუალური სამარხები წარმოდგენენ ორმოებს და დაკრძალვის წესითაც, ინვენტარიტაც არსებითად სტერეოტიპულნი არიან. ორმოების კონტური, როგორც წესი, უკვე მეორე ბარისპირიდან იკვეთებოდა მოყვითალო ლაქის სახით, ორმოებში მიცვალებულის ნაშთები არ დადასტურებულა გარდა თითოორთა შემთხვევისა, როცა ვაწყდებოდით კბილებს, ანდა ძლიერ ფრავმენტირებულ ძვლებს. მართალია, ამ სამარხებში ფერფლი არ ყოფილა შემჩნეული, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ისინი კრემაციულ სამარხებს წარმოადგენდნენ. ორმოებს უპირატესად მრგვალი, ოვალური ანდა არასწორი ივალის ფორმა ჰქონდათ, ამიტომ ქვემოთ მოცემული იქნება მხოლოდ მათი აღმოჩენის კოორდინატები და ძირის მაქსიმალური დიამეტრი.

სამარხი № 1 (ტაბ. I. XIX) აღმოჩნდა IV₁₂ B₈ კვადრატში მიწის ზედაპირიდან 1, 47 მ სიღრმეზე. ორმოს D = 0,8 მ.

სამარხი № 2 (ტაბ. I. XIX) აღმოჩნდა II₁₃ B₇ კვადრატში 0,8 სიღრმეზე. ორმოს D = 0,4 მ.

სამარხი № 3 (ტაბ. I. XIX) აღმოჩნდა II₁₃ B₈ კვადრატის აღმოსავლეთ ნაწილში 1 მ. სიღრმეზე. ორმოს D = 0,7 მ.

სამარხი № 4 (ტაბ. I. XIX) აღმოჩნდა II₁₃ B₈ — C₈ კვადრატების საზღვარზე 0 №8 მ. სიღრმეზე, ორმოს D = 0,4 მ.

სამარხი № 5 (ტაბ. I. XIX) აღმოჩნდა II₁₃ C₈ კვადრატის ცენტრალურ ნაწილში, 0, 8 მ. სიღრმეზე. ორმოს D = 0,5 მ.

სამარხი № 6 (ტაბ. I. XIX) აღმოჩნდა II₁₃ D₈ და C₈ კვადრატების საზღვარზე 0,8 მ სიღრმეზე. ორმოს D = 0,30 მ.

სამარხი № 7 (ტაბ. I. XIX) აღმოჩნდა II₁₃ C₈ კვადრატის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში 1 მ სიღრმეზე. ორმოს D = 0,6 მ.

სამარხი № 8 (ტაბ. I. XIX) აღმოჩნდა II₁₃ B₈—C₈ კვადრატების საზღვარზე, 1,25 მ სიღრმეზე, მისი D = 0,52 მ.

სამარხი № 9 (ტაბ. I, XX) აღმოჩნდა II₁₃ B₇—C₇ კვადრატების საზღვარზე, 1,25 მ სიღრმეზე, ორმოს D = 0,9 მ.

სამარხი № 10 (ტაბ. I, XX) აღმოჩნდა II₁₃ A₇—B₇ კვადრატების საზღვარზე, 1 მ სიღრმეზე. ორმოს D = 0,85 მ.

სამარხი № 11 (ტაბ. I, XX) აღმოჩნდა II₁₃ D₈—7 კვადრატების მიჯნაზე, მიწის ზედაპირიდან 0,75 მ სიღრმეზე; ორმოს წაგრძელებული, არასწორი ოვალის ფორმა ჰქონდა და მისი D = 0,75 მ.

სამარხი № 12 (ტაბ. I, XX) აღმოჩნდა II₁₃ D₈—8 კვადრატების მიჯნაზე, მიწის ზედაპირიდან 0,75 მ სიღრმეზე; ორმოს მრგვალი ფორმა ჰქონდა და მისი D = 0,68 მ.

სამარხი № 13 (ტაბ. I.) აღმოჩნდა $II_{13} E_8$ კვარატის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში 8 კვარატის მიქნაზე, მიწის ზედაპირიდან 0.75 მ სიღრმეზე, ორმოს $D = 0.75$ მ.

სამარხი № 14 (ტაბ. I.XX) აღმოჩნდა $II_{13} E_{7-8}$ კვარატების მიქნაზე მიწის ზედაპირიდან 0,90 მ სიღრმეზე, ორმოს $D = 0,75$ მ.

სამარხი № 15 (ტაბ. I.XX) აღმოჩნდა $II_{13} E_7$ კვარატის ცენტრალურ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 1 მ სიღრმეზე, ორმოს $D = 0,84$ მ.

სამარხი № 16 (ტაბ. I.XXI) აღმოჩნდა $II_{13} F_7$ კვარატის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 1,6 მ სიღრმეზე; ორმოს $D = 0,64$ მ.

სამარხი № 17 (ტაბ. I.XXI) აღმოჩნდა $II_{13} D_7 - E_7$ კვარატების მიქნაზე, 1,20 მ სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან, ორმოს $D = 0,65$ მ.

სამარხი № 18 (ტაბ. I.XXI) აღმოჩნდა $II_{13} F_8$ კვარატის ცენტრალურ ნაწილში 1,25 მ სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან, ორმოს $D = 0,65$ მ.

სამარხი № 19 (ტაბ. I. XXI) აღმოჩნდა $II_{13} D_{7-8}$ კვარატების მიქნაზე მიწის ზედაპირიდან 0.85 მ სიღრმეზე. ორმოს $D = 0,6$ მ.

სამარხი № 20 (ტაბ. XXI) აღმოჩნდა $II_{13} E_8$ კვარატის ჩრდილო-ნახევარში, მიწის ზედაპირიდან 1,20 მ სიღრმეზე. ორმოს $D = 0,6$ მ.

სამარხი № 21 (ტაბ. I.XXII) აღმოჩნდა $I_2 J_7$ კვარატში, მიწის ზედაპირიდან 1,20 მ სიღრმეზე, ორმოს $D = 0,63$ მ.

სამარხი № 22 (ტაბ. I. XXII) აღმოჩნდა $II_{13} A_7$ კვარატში, მიწის ზედაპირიდან 1,20 მ სიღრმეზე. ორმოს $D = 0,55$ მ.

სამარხი № 23 (ტაბ. I.XXII) აღმოჩნდა $II_{13} A_8$ კვარატში, მიწის ზედაპირიდან 1,20 მ სიღრმეზე, ორმოს $D = 0,5$ მ.

სამარხი № 24 (ტაბ. I.XXII) აღმოჩნდა $I_2 J_8$ კვარატში, მიწის ზედაპირიდან 1,20 მ სიღრმეზე. ორმოს $D = 0,5$ მ.

სამარხი № 25 (ტაბ. I.XXII) აღმოჩნდა $II_{13} B_8$ კვარატში, მიწის ზედაპირიდან 1,20 მ სიღრმეზე. ორმოს $D = 0,35$ მ.

სამარხი № 26 (ტაბ. I.XXII) აღმოჩნდა $I_2 I_8$ კვარატში, მიწის ზედაპირიდან 1,20 მ სიღრმეზე, ორმოს $D = 0,45$ მ.

სამარხი № 27 (ტაბ. I.XXII) აღმოჩნდა $II_3 K_7$ კვარატში, მიწის ზედაპირიდან 1,30 მ სიღრმეზე, ორმოს $D = 0,70$ მ.

სამარხი № 28 (ტაბ. I.XXII) აღმოჩნდა $I_3 J_8$ კვარატში, მიწის ზედაპირიდან 1,30 მ სიღრმეზე. ორმოს $D = 0,5$ მ.

სამარხი № 29 (ტაბ. I.XXII) აღმოჩნდა $I_3 J_9, I_9$ კვარატების მიქნაზე, მიწის ზედაპირიდან 0,90 მ სიღრმეზე. ორმოს $D = 0,8$ მ.

სამარხი № 30 (ტაბ. I. XXXI) აღმოჩნდა $I_3 H_{10}$ კვარატში, მიწის ზედაპირიდან 0,95 მ სიღრმეზე. ორმოს ძირის $D = 0,70$ მ.

სამარხი № 31 (ტაბ. I.XXIII) აღმოჩნდა $I_{12} B_8$ კვარატში, მიწის ზედაპირიდან 0,93 მ სიღრმეზე, ორმოს ძირის $D = 0,75$ მ.

სამარხი № 32 (ტაბ. I.XXIII) აღმოჩნდა $I_3 H_{10}$ კვარატში, მიწის ზედაპირიდან 0,95 მ სიღრმეზე; ორმოს ძირის $D = 0,75$ მ.

სამარხი № 33 (ტაბ. I.XXIII) აღმოჩნდა $III_2 J_8$ კვარატში, მიწის ზედაპირიდან 1 მ სიღრმეზე, ორმოს ძირის $D = 0,75$ მ.

სამარხი № 34 (ტაბ. I.XXIII) აღმოჩნდა $IV_{12} B_7$ კვარატში, მიწის ზედაპირიდან 1,45 მ სიღრმეზე. ორმოს ძირის $D = 0,6$ მ.

სამარხი № 35 (ტაბ. I.XXIII) აღმოჩნდა $II_{13} E_8$ კვარატში, მიწის ზედაპირიდან 0,90 მ სიღრმეზე. ორმოს ძირის $D = 0,4$ მ.

სამარხი № 60 (ტაბ. I; XXV.) აღმოჩნდა IV₁₂ D10 კვადრატში, მაწას ხედაპირიდან 0,85 მ სიღრმეზე. ორმოს ძირის D = 0,85 მ.

სამარხი № 61 (ტაბ. XXV). აღმოჩნდა IV₁₂ D10 კვადრატში, მაწის ზედაპირიდან 1,5 მ სიმაღლეზე. ორმოს ძირის D = 0,5 მ.

სამარხი № 62 (ტაბ. I; XXV) აღმოჩნდა I₄ კვადრატში, თხრ. № 5 მიწის ზედაპირიდან 0,5 მ სიღრმეზე, ორმოს ძირის D = 0,45 მ.

სამარხი № 63 (ტაბ. I; XXV) აღმოჩნდა I₄ კვადრატში, თხრ. №5, მიწის ზედაპირიდან 0,5 მ სიღრმეზე, ორმოს ძირის D = 0,4 მ.

სამარხი № 64 (ტაბ. I. XXV) აღმოჩნდა I₄ კვადრატში, თხრ. № 5 მიწის ზედაპირიდან 0,5 მ. სიღრმეზე. ორმოს ძირის D = 0,5მ.

სამარხი № 65 (ტაბ. I. XXV) აღმოჩნდა I₄ კვადრატში, თხრ. № 5 მიწის ზედაპირიდან 0,5 მ სიღრმეზე, ორმოს ძირის D = 0,55 მ.

სამარხი № 66 (ტაბ. I. XXV) აღმოჩნდა I₄ კვადრატში, თხრ. № 5 მიწის ზედაპირიდან 0,5 მ სიღრმეზე. ორმოს ძირის D = 0,60 მ.

სამარხი № 67 (ტაბ. I. XXIV) აღმოჩნდა I₄ კვადრატში, თხრ. № 5 მიწის ზედაპირიდან 1,30 მ სიღრმეზე. ორმოს ძირის D = 0,55მ.

სამარხი № 68 (ტაბ. I. XXV) საველე დოკუმენტაციაში აღნიშნულია როგორც №41 სამარხი. აღმოჩნდა IV₁₂ B8 კვადრატში მიწის ზედაპირიდან 1,80 მ სიღრმეზე. ორმოს ძირის D = 2,25 მ.

სამარხი № 69 (ტაბ. I. XXV) საველე დოკუმენტაციაში აღნიშნულია როგორც სამარხი № 51) აღმოჩნდა IV₁₂ A8 კვადრატში. მიწის ზედაპირიდან 1,60 მ სიღრმეზე. ორმოს ძირის D = 1 მ.

დაკრძალვის წესისათვის ურავის სამარხიდან

როგორც ზემოთ მივუთითებდით, ურეკის სამარხის ტერიტორიის სივლით კარიერად გამოყენების გამო, სამარხების ნაწილი განადგურდა, ხოლო ისინი, რომლებსაც მივუსწარიტ და გადაეარჩინეთ ნაწილობრივ დაზიანებული აღმოჩნდა. ამიტომ დაკრძალვის წესის აღდგენის წარმოდგენილი ცდა, ცხადია, სრული ვერ იქნება. საქმის ართულებს ამ მხრივ ისიც, რომ ურეკის სამარხიდან დადასტურებულია დაკრძალვის რთული, საფეხურებრივი წესი, რომლის აღდგენა მარტოოდენ არქეოლოგიური მონაცემებით გაძნელებდა. თავდაპირველად შეეჩერდეთ დაკრძალვის წესის იმ თავისებურებაზე, რომლებიც არქეოლოგიურ ფაქტებში იჩენენ თავს.

როგორც დავინახეთ, ურეკის სამარხიდან ორი სახის სამარხები გვაქვს. კოლექტიური და ინდივიდუალური. ორივე შემთხვევაში ორმო-სამარხებია, რომლებიც ერთი მეორისაგან განსხვავდებიან ზომებით, ინვენტარის ოდენობითა და ასორტიმენტით. ინდივიდუალურ სამარხთა ორმოების დიამეტრი საშუალოდ თუ 0,50—0,60 მ უდრის, კოლექტიური სამარხის ორმოებისა ზოგჯერ ორ მეტრისაც აღემატება. ინდივიდუალურ სამარხში შეიძლება მხოლოდ 1 ქურჭელი იდოს, ან ქურჭლის ნატეხებიც კი, მაშინ როდესაც კოლექტიურ სამარხ-ორმოში რამდენიმე ასეული ნივთია.

წინასწარ უნდა ითქვას, რომ ინვენტარის ანალიზი არ იძლევა დიფერენცირებული დათარიღების საშუალებას და ამიტომ ორივე სახის სამარხი როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური, ზოგადად ერთი ხანით თარიღდება. ეს გარემოება აბათილებს შესაძლებლობას დაკრძალვის წესის აღნიშ-

ნული თავისებურება დროის სხვაობით აიხსნას. არ გამოდგება საამისოდ არც სქესობრივ-ასაკობრივი ფაქტორი, რადგან კოლექტიურ და ინდივიდუალურ სამარხშიც ინვენტარი შეიძლება ანსახიერებლეს როგორც მამაკაცს, ისე ქალს და ცალკეულ შემთხვევაში ბავშვებსაც. 69 ინდივიდუალური სამარხიდან ისეთი, რომელშიც აღმოჩნდა საომარი ან სამიწათმოქმედო იარაღი (ან ერთი-ცა და მეორეც) და რომელიც ამ ნიშნით აშკარად მამაკაცს უნდა ეკუთვნოდეს, 7 სამარხია (№ 1—3, 10, 18, 47, 68), აშკარად ქალს, რომელშიც მხოლოდ სამკაულია აღმოჩენილი, 24 სამარხი (№ 5—7, 11, 12, 15—17, 19, 20, 23—25, 28, 29, 31, 32, 34, 39, 40, 46, 50, 51, 61), ორი (№8 და № 22) სამარხი სამაჭურების მცირე ზომის გამო შეიძლება ბავშვებს ეკუთვნოდეს. დარჩენილ 36 სამარხში კი ძირითადად თიხის ჭურჭელი გვაქვს და ამიტომ ძნელია მათი გადაჭრით მიკუთვნება რომელიმე აღნიშნული კატეგორიისადმი გარდა ორი სამარხისა (№ 30, 57), სადაც თიხის ჭურჭელთან ერთად გიშრის მძივებიცაა აღმოჩენილი და ამიტომ იქნებ ეს სამარხები პირობით ქალებს ეკუთვნოდნენ და კიდევ ორი სამარხისა (№ 43, 45), რომელთაგან პირველში ბრინჯაოს ერთი ღუგმა აღმოჩნდა, ხოლო მეორეში ბრინჯაოს რგოლი და ამიტომ ეს სამარხები შეიძლება ქალისაც იყოს, მამაკაცისაც და ბავშვისაც.

მართალია, წარმოდგენილი სურათის მიხედვით ინდივიდუალურ სამარხებში ქალებისადმი მისაკუთვნებელი სამარხების ოდენობა ჭარბობს მამაკაცებისას, მაგრამ რაკი აშკარად მამაკაცების სამარხებიც არის, ოდენობითი უპირატესობა არ გამოდგება კატეგორიის კონკრეტულობის განსასაზღვრავად. სრულიად ცხადია, რომ ურეკის სამაროვანზე ინდივიდუალური სამარხები მამაკაცებისათვისაც იყო განკუთვნილი და ქალებისათვისაც.

მხედველობაში არ არის მისაღები არც სოციალური ფაქტორი, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ზოგ სამარხში ოქროს, ელექტრუმის და ვერცხლის ნივთები აღმოჩნდა, ურეკის სამაროვანი მაინც რიგითი მეთემეების სამაროვანია. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია, რომ ოქროს, ელექტრუმის, ვერცხლის ნივთები მაინცდამაინც კოლექტიურ სამარხ-ორმოებშია დამოწმებული.

გამოსარიცხია განმსაზღვრელად ეთნიკური ფაქტორის დაშვებაც, რადგან ორივე სახის სამარხში, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, გვაქვს სრულიად ერთგვაროვანი მასალა, რომელიც გარკვეულ ხანაში მთელი კოლხეთისთვისაა დამახასიათებელი. ამიტომ პირველი დასკვნა, რომელიც უნდა გაკეთდეს, ის არის, რომ ურეკის სამაროვნის დაკრძალვის წესის ერთ თავისებურებას შეადგენს კოლექტიური და ინდივიდუალური სამარხების თანაარსებობა, რომლის საფუძველი არ შეიძლება იყოს არც ეთნიკური, არც სოციალური, არც სქესობრივ-ასაკობრივი და, როგორც ჩანს, არც ქრონოლოგიური ფაქტორი.

საინტერესოა, როგორი ვითარებაა ამ მხრივ კოლხეთის სხვა თანადროულ ძეგლებზე. პალურის სამაროვანზე, მაგალითად, როგორც ირკვევა, თანაარსებობენ კოლექტიური და ინდივიდუალური სამარხები. ოღონდ აქ მხოლოდ ერთ, ნალისებრი ფორმის კოლექტიურ სამარხ-ორმოს არჩევენ და რამდენიმე ათეულ ინდივიდუალურ სამარხს [1, გვ. 98, შდრ. 2, გვ. 21]. შერხეულის სამაროვანზე ავტორს საერთოდ არ აქვს გამოყოფილი სამარხთა ტიპები. მუხურჩის სამაროვანზე გვაქვს მხოლოდ კოლექტიური სამარხი-ორმოები და დასაკრძალი მოედნები, რომლებსაც გამთხრელები კოლექტიური სამარხების სახეობად მიიჩნევენ [3, გვ. 61].

გუადინუს სამაროვანზე დადასტურებულია ინდივიდუალური სამარხების ორი ტიპი, რომელთაგან პირველი ტიპი იმეორებს ურეკის სამაროვნის ინდი-

ვიდუალური სამარხების კონფიგურაციას, ზომებს და სხვა თავისებურებებს [4, გვ. 45].

რაც შეეხება წითელი შუქურისა და კულანურხვას სამაროვნებს, აქ მხოლოდ ინდივიდუალური სამარხები გვაქვს, სადაც ხშირ შემთხვევაში ცალკეული მიცვალებულების ჩონჩხებიცაა დადასტურებული სხვადასხვა მდგომარეობაში; ამასთან წითელი შუქურას სამაროვანზე არის სამარხთა ჩგუფი, რომლის მორჩკვალებულ ორმოებში მეორეული დაკრძალვაა დადასტურებული [5 გვ. 98—113; 4 გვ. 149 შმდ.] და ეს ჩგუფი ტიპოლოგიურად ემსგავსება ურეკის ინდივიდუალურ სამარხებს.

ნიგეზიანისა და ერგეტის სამაროვნებში, რომლებსაც სწავლობდა და სწავლობს კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, სამარხთა გაბატონებული ტიპია კოლექტიური სამარხები. ეს უკანასკნელნი სრულად იმეორებენ ურეკის კოლექტიური სამარხების თავისებურებებს იმ მცირე განსხვავებით, რომ ნიგეზიანისა და ერგეტის სამაროვნებზე ქვაყრილიანი კოლექტიური სამარხებია. მართალია, ერგეტის № 1 სამაროვანზე ჩერჩერობით აღმოჩნდა ერთი ინდივიდუალური სამარხი [6 გვ. 46] და ამ მხრივ აქაც შეიძლება ვივარაუდოთ კოლექტიური და ინდივიდუალური სამარხების თანაარსებობა, მაგრამ ამ ეტაპზე მაინც სრულიად აშკარაა, რომ ერგეტის № 1 სამაროვნისათვის უფრო ტიპურია კოლექტიური სამარხები, ვიდრე ინდივიდუალური. ვარდა ამისა, ერგეტის № 1 სამაროვნის ინდივიდუალური სამარხი ინჰუმაციური სამარხია და იგი ტიპოლოგიურად განსხვავდება ურეკის სამაროვნის ინდივიდუალური სამარხებისაგან.

როგორც ვხედავთ, ურეკის სამაროვანი, ყოველ შემთხვევაში ცენტრალური კოლხეთის ზოგადად თანადროული სამაროვნებისაგან, მკვეთრ ტიპოლოგიურ სხვაობას არ იძლევა. თუ მუხურჩის სამაროვანზე მხოლოდ კოლექტიური სამარხები იყო დადასტურებული და ერგეტის სამაროვნებიც ჩერჩერობით არსებითად ასეთივე სურათს იძლევიან, პალურის სამაროვანზე, ურეკის მსგავსად, ინდივიდუალური სამარხები სქარბობენ კოლექტიურს. თუმც, უნდა ითქვას, რომ პალურის კოლექტიური სამარხი ერთგვარად განსხვავდება ურეკის კოლექტიური სამარხებისაგან.

წარმოდგენილი შედარება ერთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა, რომ ცენტრალური კოლხეთის სამაროვნების სამარხთა ტიპოლოგია, მართალია, გარკვეულ სხვაობებს გვიდასტურებს, მაგრამ მათ დაკრძალვის წესის ერთი თავისებურება აერთიანებს: ურეკის სამაროვანს, ისევე როგორც ცენტრალური კოლხეთის სადღეისოდ ცნობილ თანადროულ სამაროვნებს მიცვალებულთა ინჰუმაცია არ ახასიათებს. ურეკის სამაროვანზე, ისევე როგორც ნიგეზიანისაზე, არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს მიცვალებულთა ინჰუმაციისა. როგორც კოლექტიურ, ისე ინდივიდუალურ სამარხებში ხშირად ვხვდებით მიცვალებულთა ცალკეულ ძვლებს, უფრო ხშირად კბილებს, ყბის ძვალს კბილებითურთ, შედარებით იშვიათად ლულოვანი ძვლების ფრაგმენტებს, რომლებსაც ცეცხლის კვალი ეტყობოდათ. როცა ამგვარი ნაშთები ინდივიდუალურ სამარხებშია, გასაგებია, რომ ეს ნაშთები იმათია, ვისთვისაც სამარხი იყო განკუთვნილი.

კოლექტიურ სამარხ-ორმოებშიც ძვლოვან ნაშთებს მუდამ ვხვდებით ინვენტარის გარკვეულ ჩგუფთან, რომელიც თითქოს გამოყოფილია ინვენტარის სხვა ჩგუფებისაგან (შდრ. ტაბ. IX). ასე რომ, როცა კოლექტიურ სამარხ-ორმოებში ინვენტარის ცალკეულ ჩგუფებს გამოვყოფთ მათი განცალკევებული ნდებარეობის, ზოგჯერ ნივთების ცალკეული ჩგუფების ქსოვილში თუ ტყავში

შეფუთვის კვალის მიხედვით, ამას უნდა დაემატოს ნივთების ზოგაერთ ჩვეულებში არსებობა ძელოვანი ნაშთებისა, რომლებიც ამ ჩვეულებს შეიძლება კონკრეტულ შინაარსს ანიჭებდეს, რადგან არ შეიძლება კოლექტიურ სამარხში ადამიანის ძელების მცირე ნაშთები ზოგადად ყველა დაკრძალულს ანსახიერებდეს.

ამრიგად, კოლექტიური სამარხი-ორმოები საოჯახო ან საგვარეულო სამარხებს წარმოადგენდნენ, სადაც მცირე გამოწვევის გარდა, იკრძალებოდა მხოლოდ მიცვალებულთა ინვენტარი. რაც შეეხება მიცვალებულებს, როგორც ჩანს, ხდებოდა მათი ნაშთების მეორეული დამარხევა, რომლის დროსაც ცეცხლიც იღებდა მონაწილეობას. ცალკეულ შემთხვევებში ცეცხლს გადარჩენილ ძელოვან ნაშთებს მიცვალებულის ინვენტარს ადებდნენ. ასეთი შემთხვევები დადასტურებული გვაქვს № 1 და № 3 სამარხ-ორმოებში, სადაც ცეცხლის კვალის მთელი შრეებია დაფიქსირებული, საგულისხმოა, რომ № 3 სამარხ-ორმოს ზედა შრეებიდანვე ეტყობოდა ცეცხლის კვალი, რომელიც 50—60 სმ სიღრმეზე გრძელდებოდა. ეს ნაცეცხლარი სამარხის თავზე რაღაც რიტუალის შესრულების კვალი უნდა იყოს. ცეცხლის კვალი ეტყობოდა № 1 სამარხ-ორმოსაც.

ასეთივე ვითარებაა ინდივიდუალურ სამარხებშიც, სადაც იშვიათი გამოწვევის გარდა ძელოვანი მასალა არ დასტურდება, ხოლო როცა არის (მაგ., № 10 სამარხში) იგი წარმოდგენილია მცირე ფრაგმენტების სახით.

როგორც ჩანს, ინდივიდუალურ სამარხებში საქმე გვაქვს მიცვალებულთა კრემაციისა და სამარხებში მხოლოდ ნივთების ჩატანების წესთან. აქ უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: თუ ინდივიდუალურ სამარხებში, როგორც წესი, მხოლოდ ნივთების ჩატანება, ხოლო იშვიათ შემთხვევაში ცეცხლში მოხვედრილი ძელების (კბილების) მცირე ფრაგმენტებისა, შეილება მიუთითებდეს მიცვალებულთა კრემაციის წესის არსებობაზე, კოლექტიურ სამარხ-ორმოებში არსებული ვითარება სხვა გარემოებათა მიმართაც უნდა ამახვილებდეს ყურადღებას. საქმე ის არის, რომ კოლექტიურ სამარხში მრავალი მიცვალებულის, უფრო ზუსტად, მრავალი მიცვალებულის კუთვნილი ნივთების ერთდროული დაკრძალვის ფაქტი გვაგულელებინებს მეორეული დაკრძალვის წესის არსებობას. მართალია, არქეოლოგიურად აქ ისეთი აშკარა სურათი არ არის მეორეული დაკრძალვისა, როგორც ერგეტის სამარხიდან, სადაც კოლექტიურ სამარხ-ორმოებს, რომლებშიც დიდძალი ნივთებია ჩატანებული, ახლავთ ასევე მრავალი ინდივიდის ძელების ფრაგმენტების შემცველი საძვლე ორმოები, მაგრამ სამარხ-ორმოებში უამრავი ნივთის, ნივთების ჩვეულების, ზოგჯერ ძელოვანი ნაშთებითურთ ერთდროული ჩალაგება, ცხადია, ასახავს მიცვალებულთა დაკრძალვის რიტუალის საბოლოო ეტაპს, რომელსაც წინ სხვა ეტაპი უსწრებდა.

რაც დაკრძალვის რიტუალის პირველი ნაწილის არქეოლოგიურად დაფიქსირება არ ხერხდება, ცხადია, ამ რიტუალს მიწასთან არა აქვს კავშირი. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ რიტუალის ამ ნაწილს შეადგენდეს კოლხების უძველესი ჩვეულება, რომელიც წერილობით წყაროებშია დამოწმებული.

აპოლონიოს როდოსელი გადმოგვცემს, რომ კოლხებთან მის დროსაც კი მკრეხელობად ითვლებოდა გარდაცვლილ მამაკაცთა დაწვა ან მიწაში დამარხვა. მათ ახვედნენ დაუმუშავებელ ტყავებში და ჰკიდებდნენ ხეებზე ქალაქიდან შორს, ხოლო ქალებს მიწაში ასაფლავებდნენ [8, გვ. 204—209; შდრ., 77. გვ. 289].

როგორც ირკვევა, აღნიშნული ჩვეულება უფრო ადრეც ყოფილა გავრცელებული კოლხეთში. ეს ჩანს არა მარტო აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტების ცნობიდან, რომ აპოლონიოსის პომპის ის ადგილი, სადაც ხსენებული ჩვეულება აღწერილი, აღებულია ნიმფოდორე სირაკუზელის პერიპლუსიდან [9 გვ. 329. შდრ., 77, გვ. 289—292], ე. ი. უფრო ადრინდელი ავტორის ნაშრომიდან, არამედ თვით აპოლონიოსის ტექსტიდან, საიდანაც ვიგებთ, რომ როცა იაზონი და მისი თანმხლებნი კოლხეთის სანაპიროზე გადმოვიდნენ, მათ დიანახეს ხეებზე თოკებით ჩამოკიდებული გვამები [77, გვ. 283]. ძალიან მნიშვნელოვანი ცნობაა, რომლისთვისაც ქვემოთ მითითებული ასპექტით არ მიუძღევიათ ყურადღება. საქმე ის არის, რომ როგორც ამ ცნობიდან ირკვევა, მიცვალებულთა ხეზე ჩამოკიდების ჩვეულება კოლხეთში არგონავტების ლაშქრობის დროსაც ყოფილა გავრცელებული.

ჩვენ გვქონდა შემთხვევა შევხებოდით არგონავტების ლაშქრობისა და აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ ადრეული შრეების დათარიღების საკითხს [10 გვ. 126—136], მაგრამ მაშინ ამ თვალსაზრისით არ მიგვიქცევია ყურადღება აღნიშნული ცნობისათვის, რადგან არქეოლოგიურმა ფაქტებმა, რომლებიც შეიძლება დაგვეკავშირებინა აპოლონიოსთან შემონახული ცნობისათვის, შედარებით გვიან იჩინეს თავი. ამჟამად კი ძნელია კოლხეთის სხვადასხვა სამაროვანზე მეცნიერულად შესწავლილი კოლექტიური სამარხი-ორმოები უამრავი, ერთდროულად ჩატანებული ინვენტარით, ცალკეულ სამაროვნებზე კი (ერგეტის № 1 და № 3 სამაროვნები) ასეთ სამარხ-ორმოებთან არსებული საგანგებო საძღვე ორმოებით, რომლებშიც მრავალი მიცვალებულის ძვალი დასტურდება, არ დავუკავშიროთ აპოლონიოსთან შემონახულ ცნობას კოლხეთში მიცვალებულთა ხეებზე ჩამოკიდების ჩვეულების არსებობის შესახებ.

სრულიად ცხადია, რომ მოტანილი არქეოლოგიური ფაქტები და ეს ცნობა ავსებენ ერთმანეთს. რომ არ აღმოჩენილიყო კოლხეთში ხსენებული სამაროვნები, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა შემდგომი ეტაპი მიცვალებულთა ხეზე ჩამოკიდების ახივებული ჩვეულებისა და პირიქით, ასევე გაძნელებულა იმის დადგენაც რა უსწრებდა წინ კოლექტიურ სამარხ-ორმოებში ერთ შემთხვევაში მარტო ნიეთების, ძვლების მცირე ნაშთებითურთ ერთდროულ დაკრძალვას, ხოლო სხვა შემთხვევაში ისევე ნიეთებისა და მრავალი ინდივიდის ძვლების ასევე ერთდროულად დაფლას. ვასარკვევი რჩება საკითხი მოტანილი არქეოლოგიური ფაქტისა და აპოლონიოსთან დაკუთვნილი ცნობების ქრონოლოგიური შესაბამისობის შესახებ. თუ, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ხეებზე დაკიდებული მიცვალებულები არგონავტებსაც უნახავთ, მაშინ ეს ჩვეულება კოლხეთში იმ ხანაზე უფრო ადრე დამკვიდრებულა, რომელსაც ურეკის სამაროვანი ეკუთვნის, ე. ი. არგონავტების მითის გაჩენის ხანაში, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს ძ. წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეებისა, როდესაც მითი საბოლოოდ ჩანს ჩამოყალიბებული რიგ ავტორებთან, რომელთაც არათუ ემყარება აპოლონიოსი, არამედ ხშირ შემთხვევაში თავის „არგონავტიკაში“ სიტყვასიტყვით შეაქვს ნაწყვეტები მათი თხზულებებიდან [10, გვ. 128—130].

რაც შეეხება აპოლონიოსის ცნობას, თითქოს ეს ჩვეულება გაბატონებული იყო მის დროსაც, არქეოლოგიური მონაცემები მას არ ადასტურებენ. ძვ. წ. V—III სს-ში, ე. ი. აპოლონიოსის ცხოვრების ხანამდე და მის დროს კოლხეთის იმ რეგიონებში, სადაც მეტ-ნაკლებად შესწავლილია სამაროვნები, მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში ჩონჩხი დაკუთვნილი არ არის,

ძირითადად მიიწვ მიცვალებულთა ინჰუმაციაა დადასტურებული [12. გვ. 26; 13, გვ. 43; 14, გვ. 68—73; 15, გვ. 50—60; 16, გვ. 3, 8 შემდ.: 17; გვ. 158—180].

მართალია, არის ცნობები ამ ხანაში მეორადი დაკრძალვის შემთხვევების შესახებ, მაგალითად ორი შემთხვევა ვანში ძვ. წ. III ს. დათარიღებული ქალისა და მამაკაცის სამარხებში [18 გვ. 89—90], ერთი გაკვრით აღნიშნული ნოქალაქების ქვევრსამარხში, რომელიც ერთ შემთხვევაში გვიან ელინისტური ხანითაა დათარიღებული, ხოლო მეორეში, ზოგადად, ელინისტური [19, გვ. 30; შდრ. გვ. 108], მაგრამ თუ არა საყოველთაოდ გაბატონებული წეს-ჩვეულება ეს და სხვა შესაძლებელი შემთხვევები ვერ აისახებოდა უცხო ავტორის თხზულებაში.

საფიქრებელია, რომ აპოლონიოსის ცნობა მიცვალებულთა ხეზე ჩამოკიდების ჩვეულების მის დროსაც არსებობის შესახებ, „არგონავტიკაში“ უფრო ადრეული ვერსიებიდან მომდინარე ცნობათა რემინისცენციის შედეგია და ასახავს ავტორის ტენდენციას, მიაწოდოს მკითხველს სენსაციური ამბები. ასევე არ ემთხვევა არქეოლოგიურ სინამდვილეს მისი ცნობის ის ნაწილი, რომლის მიხედვით ხეებზე დაკიდებით კრძალავდნენ მხოლოდ მამაკაცებს, ხოლო ქალებს მიწაში მარხავდნენ. თუ გადავხედავთ ურეკის № 3 სამარხი-ბარძოს მასალას (ტაბ. X—XVI) დაინახავთ, რომ ამ სამარხში აშკარად მამაკაცის ინვენტართან ერთად უამრავი ნივთია ისეთი, რომელიც მხოლოდ ქალს უნდა ეკუთვნოდეს. მაგრამ, ამ შემთხვევაში მთავარი მაინც ის არის, რომ მაინცდამაინც აპოლონიოსის ცნობის ის ნაწილი ასახავს კოლხეთში დაკრძალვის წესის პირველ ეტაპს, მიცვალებულთა ჰაერში დაკრძალვას, რომელიც არგონავტების მითის ადრეული ვერსიებიდან მომდინარეობს და არგონავტების კოლხეთში მოსვლას აღწერს.

რაც შეეხება ანალოგიური ცნობების არსებობას უცხო გვიან წყაროებში, მათი ხასიათი ნათლად მეტყველებს, რომ ისინი სხვა არა არის რა თუ არ ვადა მდებარეობს აპოლონიოსის „არგონავტიკაში“ დაცული ცნობებისა. მაგალითად, ნიკოლოზ დამასკელის (ძვ. წ. I ს.) „ზნეჩვეულებათა კრებულში“ ვკითხულობთ: „კოლხები მიცვალებულებს კი არ მარხავენ, არამედ ხეებზე ჰკიდებენ“ [9 გვ. 437]. თვით სათაური ნიკოლოზ დამასკელის შრომისა ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ის სხვადასხვა წყაროებით სარგებლობს და ამ ნაშრომში თავმოყრილი ცნობები არ შეიძლება ერთი დროისა იყოს. ასეთ თხზულებებში ჩვეულებრივ თავს იყრიან ისეთი ცნობები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე მთარეული ხდებოდა და ბერძენი მკითხველს უჩვეულო ამბებს ასახავენ. ამის მაჩვენებელია ამავე კრებულში მოხსენიების მეფეთა შესახებ დაცული ცნობა [9, გვ. 437], რომელიც არსებითად იმეორებს ქსენოფონის, ამ შემთხვევაში თვითმხილველი ისტრაბოსის კონკრეტულ აღწერილობას [20 გვ. 103. (V, 4, 26] გარკვეული გამძაფრებებით. ამის თვალსაზრისით ელუსტრაციას წარმოადგენს აგრეთვე კლავდიუს ელიანუსის (ახ. წ. II—III სს.) ასეთივე ხასიათის ნაწარმოები „სხვადასხვა (ან ნაირნაირი) ამბები „Ποικιλύμοισι“ და იქ დაცული შემდეგი ცნობა: „... დერბიკები 70 წელს გადაცილებულებს ხოცავენ (მათგან) მამაკაცებს მსხვერპლად სწირავენ, ხოლო ქალებს ახრჩობენ. კოლხები გვაშებს ტყავეებში მარხავენ, გამოახვევენ მათში და ხეებზე ჰკიდებენ“ [21 გვ. 191].

როგორც ვხედავთ, კლავდიუს ელიანუსის ცნობა სიტყვასიტყვით იმეორებს ნიჭოლორე-აპოლონიოსის ცნობას, ხოლო მისი ჩართვა იმ კატეგორიის ცნობათა რიგში, რომლებიც დერბიკების ზნე-ჩვეულებებს ეხება, ნათელს ხდის

ელიანუსის შრომის მიზანდასახულობას, რაზეც მისი სათაურიც მკაფიოდ მეტყველებს.

ამრიგად, მიცვალებულთა ჰაერზე დაკრძალვის კოლხებთან არსებული წესის შესახებ გვჩვენებს მხოლოდ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ შემონახული ცნობები, რომლებიც, როგორც ჩანს, თვით ჩვეულების თანადროულია, სინამდვილეს შეეფერება და აპოლონიოსის პოემაში არგონავტების მითის ძველი ეერსიებიდანაა შესული.

სრულიად ნათელია, რომ მიცვალებულთა ხეებზე ჩამოკიდებით არ შეიძლება დამთავრებულიყო მიცვალებულთა დაკრძალვა. ისიც ცხადია, რომ კოლექტიურ სამარხ-ორმოებში ძვლების ნაშთებითურთ, ხშირ შემთხვევაში მრავალი მიცვალებულის ძვლები ნაშთებით, ინენტარის ჩადებას წინ უსწრებდა რაღაც რიტუალი, რომელიც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მიცვალებულის გვამის ძვლებად ქცევასთან, შემდეგ ამ ძვლების ფრაგმენტირებასთან და ა. შ. ასეთ ვითარებაში არ შეიძლება ცნობა კოლხებთან მიცვალებულთა ხეებზე ჩამოკიდების შესახებ არ დაუტყავშიროთ იმ ვითარებას, რომელიც დასტურდება კოლხეთის ადრეკინის ხანის სამაროვნებზე, მათ შორის ურეკსა და ნიგვზიანში და არ წარმოვიდგინოთ ორეტაპობრივი დაკრძალვის წესი ჯერ ჰაერზე დაკრძალვისა, მიცვალებულთა ხეებზე ჩამოკიდების შემდეგ, ხოლო შემდეგ მეორეული დაკრძალვა მათი ცალკეული ნაშთებისა და ნივთებისა⁴.

სხვა საკითხია, რა იდეოლოგიურ საფუძველზე შეიძლება აღმოცენებულიყო აღნიშნული დაკრძალვის წესი. ივ. ჭავჭავაძის აზრით, აპოლონიოს როდოსელის ცნობის მიხედვით კოლხები მახლდანიანობის აღმსარებლები იყვნენ, რადგან მიცვალებულთა ინჰუმაციასაც და კრემაციასაც მახლდანიანობა კრძალავდა [23, გვ. 285], მაგრამ ურეკისა და ნიგვზიანის სამაროვნები, აგრეთვე კოლხეთის სხვა ზოგადად ამავე ხანის სამაროვნებიც, რომლებშიც ეს წესი კიდევ უფრო მკვეთრად დასტურდება, იმ ხანას განეკუთვნებიან, როდესაც მახლდანიანობა ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული, ან საუკეთესო შემთხვევაში, როგორც მოძღვრება, ყალიბდებოდა მხოლოდ.

როგორც ჩანს, ზოგი წარმოდგენები, რომელიც შემდგომ საფუძველად დაედო მახლდანიანობას, სხვადასხვა ხალხებში გაცილებით უფრო ადრეულ ეპოქებში იყო გავრცელებული. ყოველ შემთხვევაში მიცვალებულის გვამის სრული გახრწნის შემდეგ მხოლოდ ძვლების დამარხვის წესი დადასტურებულია სუზა I სამაროვანზე, აგრეთვე შდ. იორდანის აუზში ხალკოლითურ პერიოდში [22, გვ. 212, 346]. რაც შეეხება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში [23 გვ. 285], აფხაზეთში) ეთნოგრაფიულად და გვიანი წერილობითი წყაროებით დამოწმებულ ანალოგიურ წესს, ის შეიძლება მართლაც მახლდანიანობის გამოძახილი იყოს, მახლდანიანობისა, რომელიც სასანიდების ეპოქაში დასრულებულ სახეს იღებს, ფართოდ ვრცელდება მთელ მახლდებელ აღმოსავლეთში და შემდგომ ხანაშიც კი, სახელდობრ, საქართველოში მეტოქეობას უწევს ქრისტიანობას [23 გვ. 285—288, შმდ.].

ახლა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი იყო მექანიზმი მეორადი დაკრძალვის წესისა. ზემოთ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ გვაქვს საისტორიო

⁴ მეორეული დაკრძალვა საერთოდ გავრცელებული წესი იყო საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე არა მარტო კავკასიაში (ამის შესახებ დაწერილებით [22, გვ. 312, 346, 7 გვ. 172, გვ. 57—81; 4 გვ. 155—161]; მაგრამ რა უსწრებდა წინ მას, იმის რეკონსტრუქცია ძნელია, ე. ი. იმ ეტაპისა, რომელიც ზემოთ მიმოხილული წყაროების ცნობათა საფუძველზე, კოლხეთის შემთხვევაში, საუბაროდ რეკონსტრუქციას ეზარჩილება.

წყაროს ცნობა, რომელიც გვიდასტურებს კოლხეთში ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში მიცვალებულთა ტყავში გახვეული გვაშების ხეებზე ჩამოკიდების ჩვეულების არსებობას. მეორე მხრივ, გვაქვს არქეოლოგიურად შესწავლილი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სამაროვნები, რომლებზეც დასტურდება კოლექტიური სამარხი-ორმოები, ერთ შემთხვევაში ნივთებისა და ძვლების მცირე ნაშთების ერთდროული დაკრძალვით (ურეკისა და ნიგვზიანის სამაროვნები), ხოლო სხვა შემთხვევებში მრავალი ნივთების შემცველ სამარხ-ორმოსთან ნაძველ ორმოს არსებობით, რომლებიც მრავალი ათეული მიცვალებულის ძვლებითაა სავსე (ერგეტის სამაროვნები).

გამოვთქვით მოსაზრება, რომ წყაროებში დამოწმებული ხსენებული ჩვეულება ძველი კოლხებისა და კოლხეთის ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სამაროვნებზე არსებული ვითარება მიცვალებულთა დაკრძალვის კოლხებთან გავრცელებული წესის ორ ეტაპს ასახავს. მაგრამ რა ვითარებაში ხდებოდა მიცვალებულთა ძვლებისა და ნივთების ერთდროული დაკრძალვა, ე. ი. ხსენებული ორი ეტაპის ერთი მეორესთან დაკავშირება უცნობი რჩება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ბ. კუფტინის მიერ მორდოულ სოფელში ჩაწერილ ცნობას. ბ. კუფტინი აღნიშნავს: „ასეთივე წესი თვით ჩემს მიერ იყო ჩაწერილი 1922 წ. მოხუცების საგან სარატოვის გუბერნიის მორდოველ სოფელში ორკინოში, სადაც ამგვარად ხეებზე დროებით ჩამოკიდებულ გვაშებს ჰქონდათ თავისი განსაკუთრებული სახელი „ურლა“. ამასთან აქ არსებობდა წესი ასეთნაირად დაკრძავილი მიცვალებულების ერთ გარკვეულ დღეს სათემო დასაფლავებისა, როდესაც თითოეული ოჯახი ასაფლავებდა თავის მიცვალებულებს საკუთარ საფლავში“ [7 გვ. 185].

ანალოგიურ წესს უნდა ასახავდეს ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კოლხეთის, მათ შორის ურეკისა და ნიგვზიანის სამაროვნებზე დაღასტურებული ვითარება.

ურეკის სამაროვნის ნივთიერი მასალა

ურეკის სამაროვანზე აღმოჩნდა მრავალფეროვანი ნივთიერი მასალა, რომელიც შუქს ჰდენს ადრერკინის ხანის კოლხეთის ისტორიის მრავალ ასპექტს. ნივთიერი მასალის ანალიზს კერამიკის განხილვით დავიწყებთ.

კერამიკა

ურეკის სამაროვანზე თიხის ქურქლის რამდენიმე ნაირსახეობა აღმოჩნდა, გვაქვს ტოლჩები, ვაზისებრი ქურქელი, დოქები, სასმისები, ქოთნები. კერამიკა უმეტეს შემთხვევაში შავია ან ლეგა, ხოლო ზოგჯერ მოყავისფრო. ყველა ეს ქურქელი რიგი განმსაზღვრელი ნიშნებით ერთიანდება ერთ ქრონოლოგიურ ჯგუფში, რომელსაც ეუწოდეთ ძველი კოლხური პერიოდის II ეტაპის (ძვ. წ. II) კერამიკას და რომლის ქრონოლოგიური ჩარჩობები ზოგადად ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრით იფარგლება (11 გვ. 149, 56 შმდ. ტაბ. XXIV); ურეკის კერამიკულ მასალაში ახალ ფორმებსაც ვხვდებით.

2 ივლისს შუბა მიცვალებულთა ხეებზე ჩამოკიდება (თ. შ.).

ტო ლ ჩ ე ბ ი

ტოლჩები ურეკში მოპოვებული კერამიკული მასალის ყველაზე დიდ და ნაირსახოვან ნაწილს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ტოლჩა ძირბრტყელია და გარეთ პირგადაწეული, ზოგი დეტალის მიხედვით ისინი ქმნიან ცალკეულ ჯგუფებს, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ამიტომ ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას საჭიროებენ.

I ტიპში უნდა გავითიანდეს სხვადასხვა ზომის ქრისტები ფორმის ტოლჩები, რომლებიც გამოირჩევიან სწორი, ქილისებურად ოდნავ მომრგვალებული კორპუსით (ტაბ. VIII₄₈₈, XIX₇₂₃₋₇₂₄, XX₇₅₉, XXII₈₀₄; XXIV₈₃₅, XXV₈₈₄₋₈₈₅, 889). ქილისებრი ტოლჩების უდიდესი ნაწილი სადაა და უმრავლესი მათგანი ინდივიდუალურ სამარხებში აღმოჩნდა. ამ ტიპის ტოლჩების ყურები სხვადასხვაგვარადაა დამუშავებული: ნაწილს ყურების ზედა ვერტიკალური ქიმიისებრი შევრელი აქვს, ნაწილს რქისებრი მცირე შევრილები, ზოგს — (ტაბ. VIII₄₈₈, XIX₇₂₃) ყურის ნაცვლად სახელური.

II ტიპის ტოლჩებს უნდა მიეკუთვნოთ ტოლჩები, რომელთა კორპუსი მკვეთრად ეწროვლება ძირისაკენ (ტაბ. XXI₇₈₂₋₈₃ XXII₇₉₀, 811). ამ ტოლჩების უმრავლესობა სადაა, მხოლოდ ერთი მათგანია ერთმანეთზე მიჭრილი ტალღური ხაზებით შემკული (ტაბ. XXI₇₈₂). ამ ტოლჩების საერთო თავისებურებაა ყურებიც, ერთ ეგზემპლიარს (ტაბ. XXI₇₈₂); ქიმიანი ყური აქვს, დანარჩენს — მრგვალგანივკვეთიანი, სადა, რამდენადმე გარეთ გაზიდული მრგვალნახვრეტის ყურები.

III ტიპის ტოლჩები კასრისებრი ფორმისაა (ტაბ. XIX₇₄₂, XXIII₈₂₂, 828, 831, XXVI₈₁₈). ამ ტოლჩების უმრავლესობაც თითოთოროლას გამოკლებით სადაა. მათი ყურების ზედა ნაწილი დამუშავებულია მცირე რქისებრი შევრილებით და ლილვისებრი დანაძერწით.

აღწერილი სამივე ტიპის ტოლჩები შემდგომ განვითარებას წარმოადგენენ პროტოკოლხური ტიპის ტოლჩებისას (11, ტაბ. XXIV₈₁).

IV ტიპი ტოლჩისა ერთი ეგზემპლიარითაა წარმოდგენილი № 68 სამარხში (ტაბ. XXV₈₇₉) და ზემოთ აღწერილი ტოლჩებისაგან არსებითად განსხვავდება იმით, რომ ფეხგამოყვანილია. ამ თავისებურების მიხედვით, ის გვევლინება წინამორბედად კოლხური სასმისებისა, რომლებიც ფართოდ ვრცელდებიან მთელ კოლხეთში ძვ. წ. VI საუკუნიდან.

V ტიპად ტოლჩებისა უნდა გამოიყოს კიდევ ერთი ტოლჩისმაგვარი ცალყურა ჭურჭელი, რომელიც თავისი ფორმით, ყურით, კასრისებრ ტოლჩებს იმეორებს, მაგრამ განსხვავდება მათგან და საერთოდ დანარჩენი ტოლჩებისაგან იმით, რომ აქვს საწრუბავი მილი (ტაბ. XXX₁₀₁₄).

ზემოაღწერილი ტოლჩები, თუ ყურების მიხედვით ვიმჩქლებთ, (მსგავსი ყურები შეიძლება სხვა ჭურჭელსაც ჰქონოდა) უნდა ყოფილიყო პალურის (I, ტაბ. VII, VIII) და გორაძირის სამაროვნებზე [25, ტაბ. XXII]. ჩრდილოდასავლეთ კოლხეთში ანალოგიური ტოლჩები წარმოდგენილია წითელი შუქურას სამაროვანზე: აქ დამოწმებულია I ტიპის ტოლჩები [4, ტაბ. XVIII₁₀, 18, 20], აგრეთვე II, III და IV ტიპის ტოლჩებიც [4, XVIII₁₀, 3, 7, 1]...

ანალოგიური ტოლჩების თითქმის ყველა ტიპს, (არც ისე ბევრს), ეხვდებით თლის სამაროვანზეც ისეთ კომპლექსებში, როლებიც თავისი ხასიათით ანალოგიურია ურეკისა და ნიგუზიანის კომპლექსებისა [26, ტაბ. 35, 38, 47, 96, 90, იხ. 27, ტაბ. 91], რაც ნიშანდობლივ გარემოებად მიგვაჩნია. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, შეიძლება ითქვას, რომ იქ არ არის ნასახლარი

ადრერკინის ხანისა რომ აღწერილა ტოლჩები არ იყოს დადასტურებული. მართალია, ნასახლარებზე ისინი უფრო ხშირად ფრამენტულად, ძირითადად ყურებით არიან წარმოდგენილი, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, სრულიად აშკარაა, რომ ეს ყურები ტოლჩებს ეკუთვნიან. ეს ტოლჩები ძვ. II კერამიკის წამყვანი ნაწილია, რომელიც უფრო ადრეული ტოლჩებიდან მომდინარეობს და რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულს პარეკლა საუკუნეებიდან საყოველთაოდ ვრცელდება მთელ დასავლეთ საქართველოში. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს V ტიპად გამოყოფილი მილანი ტოლჩა (ტაბ. XXX₁₀₁₁), რომლის ბადალი, ურეკს გარდა, კოლხეთის მასალაში არ ჩანს⁹.

ტოლჩები განსაკუთრებით მრავლად და მრავალფეროვნად წარმოდგენილია ნიგეზიანის სამაროვანზე, სადაც გვაქვს თითქმის ტოლჩების ყველა აღწერილი ტიპი, აგრეთვე სხვა, ურეკისათვის უცხო ტიპებიც, რომელთა ერთი ნაწილი უფრო გვიანი დასმისებისკენ მიიღვების და ნიგეზიანის სამაროვნის შედარებით გვიან ასაკზე მიუთითებს. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

ტოლჩები, როგორც ჩანს, აღრეკიან ხანის სამაროვნებისათვის დამახასიათებელი ჭერქელია. ტოლჩებსა რამდენამე ტიპი გვხვდება მაგალითად, სილაკის ნეკროპოლზე. მიუხედავად რიგი ელემენტების სიახლოვისა, ისინი მაინც განსხვავდებიან კოლხური ტოლჩებისაგან (იხ. 65, ტაბ. LXVII₇₀₈, LXX₈₉₉, LXX₈₈₈ d-e), მაგრამ ნეკროპოლების ინვენტარის ტიპობრივი შედგენილობის თვალსაზრისით ეს მსგავსებანი გარკვეულ შინაარსს იძენენ.

ვაზისებრი ჭურქელი

ვაზისებრი ჭურქელი ყველაზე დახვეწილი ჭურქელია არა მარტო ურეკის სამაროვანზე მოპოვებულ კერამიკულ ნაწარმს შორის, არამედ საერთოდ ადრერკინის ხანის კოლხური თხნის პროლექტიაში. ვაზისებრ ჭურქელში ორი ტიპი გამოიყოფა.

I ტიპს განეკუთვნება ყელიანი ჭურქელი ორი სიმეტრიული, მრგვალგანივკვეთიანი, მრგვალნახვრეტაანი სფერული ფორმის ყურებით. პირველი ტიპის ვაზისებრ ჭურქელში გამოიყოფა სამი ქვეტიპი: ფხვამოყვანილი ეგზემპლიარები ზოგი მეტად (ტაბ. XXIV₈₉₁), ზოგიც ნაკლებად (ტაბ. XXVI₈₁₈). ძირბრტყელი ეგზემპლიარები არადიფერენცირებული ძირით (ტაბ. XX₇₇₈₀ XXV₈₈₀, XXVI₈₁₇) და დაბალყელიანი ვაზისებრი ჭურქელი, (ტაბ. XXVI₈₁₃). ყველა აღწერილი ცალი შემკულია, ოღონდ არც ერთი მათგანი, თუ არ ჩავთვლით კანელურებსა და ცრუ კანელურებს, მეორის სამკაულს არ იმეორებს. ამ დროის კერამიკული მასალისათვის ყველაზე სპეციფიკური სამკაული—კანელურები აქვს სამივე ქვეტიპის ვაზისებრ ჭურქელს.

II ტიპი ვაზისებრი ჭურქელისა სულ ორი ეგზემპლარია და პირმოყრილი ცალყურა ჭურქელია; ორივე ცალი ორ ნაირსახეობას წარმოადგენს: პირველი ქვეტიპი (ტაბ. XX₇₃₀) დახვეწილი, ფხვამოყვანილი, კანელურებით შემკული ცალია, ყურზე ლილვისებრი დანაძერწით, ხოლო მეორე (ტაბ. XXX₁₀₁₈) სრულიად სადა სფერულყურიანი ეგზემპლარია.

⁹ მილანი ჭურქელი, ოღონდ ყურის პირდაპირ დასმული მილით და უფრო დიდი ზომისა დადასტურებულია ბემთაშენის ადრეაქვენდური ეპოქის სამაროვანზე [იხ. 28, გვ. 41—42, ტაბ. XV].

ზუსტად ასეთი ქურქელი როგორც პირველი, ისე მეორე ნაირსახეობა მოცემული ხანის კოლხურ მასალაში არ გვევლება, გარდა ქუთაისის მუზეუმის ეგზემპლარიისა, რომელიც სრულად იმეორებს კანელურებიან ცალს, ოღონდ უფრო მცირე ზომისაა.

ვაზისებრი ქურქელის მეორე ტიპის პირველი ქვეტიპი, ფეხგამოყვანილი კანელურებიანი ცალი, საერთო აღნაგობითა და შემკულობით გავს, ერთი მხრივ, იგივე ვაზისებრი ქურქელს პირველი ტიპის პირველ ქვეტიპს, ხოლო, მეორე მხრივ, ტოლჩების მეოთხე ტაპს. ეს თავაუბებურება მიუთითებს იმაზე, რომ ყველა აღწერილია ქურქელა კოლხური გარემოსა და გემოვნების სპეციფიკას ასახავს და მოცემული ხანის კოლხურ სამყაროშია ჩამოყალიბებული. ამ თვალსაზრისით საგულასხმაა, რომ მეორე ტიპის მეორე ქვეტიპის ვაზისებრი ქურქელი დამოწმებულია წითელი შუქურას № 36 სამარხში [4 ტაბ. XVII₁₀].

საერთო სტილისა და ფორმათა სიახლოვის თვალსაზრისით ვაზისებრი ქურქელი, განსაკუთრებით პირველი ტიპის მეორე ქვეტიპი, ბევრ საერთოს პოულობს კოლხურ ყურმილიან დოქებთან.

ყურმილიანი დოქები და სასმისი

ყურმილიანი დოქები ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ქურქელია კოლხური კერამიკისა. ისინი იმდენად სტანდარტულ ქურქელს შეადგენენ, რომ მათი ტიპოლოგიური კლასიფიკაცია არც ღირს, რადგან მხოლოდ ზომებითა და განსხვავებული პროპორციებით გამოწვეული თავისებურებებით შეიძლება მათი დაჯგუფება. ერთ დროს მიგვაჩნდა, რომ ყურმილიანი დოქები კოლხურ ქვეყრთან და სასმისებთან ერთად ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისიდან იწყებს არსებობას (11 გვ. 63). მაგრამ არ არის გამოსარიცხი შესაძლებლობა, რომ ყურმილიანი დოქი რამდენადმე ადრე, მაგალითად, ძვ. წ. VII ს. ბოლოს, გაჩენილიყო, რადგან ის გვხვდება ისეთ კერამიკულ მასალასთან, რომელიც წინ უსწრებს ძვ. წ. VI-IV საუკუნის კერამიკას: თუმცა არც ის არის გამოსარიცხი, რომ ძვ. წ. VI-IV სს. კერამიკის წინამორბედ თიხის ქურქელს ძვ. წ. VI-ს. დასაწყისშიც ვარსებდა.

ურეკის სამაროვანზე სამარხებსა და სამარხებთან კავშირში ოთხი ყურმილიანი დოქია ნაპოვნი. ერთი საშუალო ზომისა (ტაბ. XXVI₈₈₇), ორი დიდი და ერთი პატარა (ტაბ. XXX₁₀₁₃). საშუალო და პატარა დოქი დანგრეული სამარხების ნაყარდანაა აღებული, ხოლო დიდები №1 სამარხ-ორმოში აღმოჩნდა (ტაბ. VI₄₃₇₋₄₃₈). თვით ის ფაქტი, რომ ამოღენა კერამიკულ მასალაში მხოლოდ ოთხი ყურმილიანი დოქია დამოწმებული, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ურეკის სამაროვანი ზოგადად იმ ხანას განეკუთვნება, როდესაც ყურმილიანი დოქები ჯერ არ არის ფართოდ გავრცელებული.

სულ სხვა სურათია საკულტო მოედანზე, სადაც ყურმილიანი დოქების უამრავი ყური აღმოჩნდა (ტაბ. IV). როგორც ჩანს, ეს მოედანი უფრო გვიანაც ფუნქციონირებდა, რაზეც მიუთითებს ასეთივე სიმრავლე კოლხური სასმისების ძირებისა და იმ კერამიკის კვლეებისა (ტაბ. II-III), რომელთა ფართო გავრცელება ძვ. წ. VI ს-ში, ან იქნებ ამ საუკუნის შუა ხანებში იწყება.

ყურმილიანი დოქები შვ I პერიოდის კერამიკის ერთი ყველაზე სპეციფიკური და წამყვანი ქურქელია. ამიტომ სინტერესოსდ მეჩვენება, რომ ამ ტიპის ქურქელი თავს იჩენს სიალკის B ნეკროპოლზე [65, ტაბ. LXXIX₉₈₇], რომელ-

საც ახალი გადათარილების შედგად აკუთვნებენ VIII ს. მეორე ნახევარს და VII ს. დასაწყისს [იხ. 168].

ურეკის კერამიკულ მასალაში ყურადღებას იქცევს ცილინდრული ფორმის ძაბრისებრპირიანი სასმისი (ტაბ. XXX₁₀₁₂). ეს სასმისიც დანგრეული სამარხის ნაყარიდანაა აღებული, ამიტომ როგორი კომპლექსის ნაწილს შეადგენდა, სამწუხაროდ, უცნობი დარჩა. ეს სასმისი თავისი ფორმით წინამდებელი ჩანს ფართოდ გავრცელებული კოლხური სასმისებისა [29, ტაბ XXXI-XXXII], რომლებიც ესოდენ დამახასიათებელ და განმსაზღვრელ ნაწილს წარმოადგენენ ძვ. წ. VI—IV სს. კოლხური კერამიკისა. ეს გარემოება იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აღნიშნული სასმისი ურეკის სამარხის შედარებით გვიან კომპლექსს ეკუთვნოდა. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ ზოგადად ანალოგიური სასმისი, ოღონდ უფრო დიდი და უფრო ძაბრისებრი, აღმოჩნდა ნიგეზიანის სამარხებზე (ტაბ. XXXII₁₀₈₁).

კ ე რ ი ს ტ ა ვ ე ბ ი

კერამიკასთან ერთად უნდა მოვიხსენიოთ თიხის კვირისტავეები, ყველა მათგანი კონუსური ფორმისაა, ერთმანეთისაგან სიმაღლით და სიდიდით განსხვავდება. უმეტეს შემთხვევაში სადა ცალეებია, მხოლოდ ერთს (ტაბ. VI₄₄₈) ზემოდან ბორჯღალის გამოსახულება აქვს.

ურეკის სამარხებზე სულ შეიღი კვირისტავეი აღმოჩნდა, ოთხი №1, სამარხ-ორმოში (ტაბ. VI_{441, 443, 488}), მათ შორის ერთი ბრინჯაოსია (ტაბ. VI₄₈₈), ორი №3 სამარხ-ორმოში (ტაბ. X₅₁₀₋₅₁₁) და ერთიც დანგრეული სამარხების ნაყარში. საგულისხმოა, რომ კვირისტავეები სრულიად აშკარად ქალის ეკუთვნილი ნივთებია და ეს კიდევ ერთი დამამატკიცებელი გარემოებაა იმისა, რომ სამარხ-ორმოებში მანკაცემთან ერთად ქალის ნაშთებსაც კრძალავდნენ.

სამეურნეო იარაღი

ურეკის სამარხებზე აღმოჩნდა როგორც ბრინჯაოს, ისე რკინის სამეურნეო და საბრძოლო იარაღი. საუბარს სამეურნეო იარაღის განხილვით დავიწყებთ.

თოხები

თოხები ურეკის სამარხებზე აღმოჩნდა ბრინჯაოსი 2 ცალი, ერთი №3 სამარხ-ორმოში და მეორე სამარხის გარეთ. რკინისა 5 ცალი, ერთი №1 სამარხში, ერთი საკულტო მოედანზე და დანარჩენი დანგრეული სამარხების ნაყარში. ბრინჯაოს ორივე თოხი შედარებით მაღალი მხრებგაშლილი ცალეებია, რომლებიც ეკუთვნიან კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ თონებში ყველაზე გავრცელებულ ტიპს [31 გვ. 160]. №3 სამარხი-ორმოს თონის მხრები საგანგებოდ დაუღუნიათ და შიგნითკენ ჩაუყეცათ (ტაბ. X. 531).

ბრინჯაოს თოხების უდიდესი უმრავლესობა, როგორც ცნობილია, განძების შემადგენლობაშია აღმოჩენილი. ამიტომ ამ იარაღის ამა თუ იმ ტიპოლოგიური სახესხვაობის ცალკეული ეპოქებისადმი მიკუთვნება და საერთოდ მათი გამოყენების ქრონოლოგიური საზღვრების დადგენა დამყარებულია განძების დათარიღებაზე, რაც ხშირ შემთხვევაში მიინც და მიინც მყარი არ უნდა იყოს.

ამ თვალსაზრისით ზემოხსენებული ერთ-ერთი თოხის სამარხეულ კომპლექსში აღმოჩენა მნიშვნელოვანი გარემოებაა, რადგან გვიზუსტებს ბრინჯაოს თოხების გამოყენების ზედა ქრონოლოგიურ საზღვარს. თავის მხრივ ბრინჯაოს თოხი №3 სამარხ-ორმოსათვის შეიძლება მრავალთაგან ერთ-ერთი დამათარილებელ კომპონენტად გამოდგეს. ასეთივე მნიშვნელობისაა ბრინჯაოს თოხის დადასტურებაც მუხურჩის სამარხის ერთ-ერთი სამარხის ქვედა ჰორიზონტში [3 გვ. 62 შმდ. ტაბ. VI₁₄].

რაც შეეხება რკინის თოხებს ურეკის სამაროვანზე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 5 ცალია დამოწმებული, აქედან სამი დანგრეული სამარხების ნაყარიდანაა აღებული, ერთი საკულტო მოედანზე აღმოჩნდა და მხოლოდ ერთი № 1 სამარხში. ამასთან № 1 სამარხის კომპლექსს (ტაბ. XIX) მან როგორც გარკვეული შინაარსი შესძინა. საქმე ის არის, რომ ამ სამარხის ინვენტარს შეადგენდა მხოლოდ ორი ნივთი, რკინის აკანაყი და თოხი, რომელიც ნათლად მიუთითებს ვის ეკუთვნოდა სამარხი და სოციალურად ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო იქ დაკრძალული პირი.

ურეკის რკინის თოხები, ისევე როგორც კოლხეთის რკინის თოხების უმრავლესობა, დაბალი, მხრებგანიერი, პირ-პირმკვებელი ეგზემპლარებია. მათი ერთი ნაწილი მკვეთრად გამოკვეთილი და ცალკე გამოყოფილი სატარე ხერელითა და ხშირ შემთხვევაში სატარე ხერელის ყუთთ გამოირჩევა როგორც ეს № 1 სამარხის ძ. ბ. ხ. ახსნა-ცემბს (ტაბ. XIX₂₂₁). ამ ტიპის თოხები თავისი საერთო ჰაბიტუსით უახლოვდებიან ბრინჯაოს სეგმენტებს. რკინის თოხების მეორე უფრო განვითარებული სახესხვაობაა მხრებდაქანებული ეგზემპლარები, რომელთა სატარე ხერელი ცალკე არ არის გამოყოფილი კორპუსისაგან (ტაბ. XXVII₃₄₇, XXIX₈₈₈).

როგორც უკანასკნელი წლების აღმოჩენებმა გვიჩვენებს, რკინის თოხები კოლხეთის ადრერკინის ხანის სამარხების ინვენტარის ყველაზე დიდსა და გავრცელებულ ნაწილს შეადგენს. ისინი განსაკუთრებით დამახასიათებელია ცენტრალური კოლხეთის ზღვისპირა ზოლში შესწავლილი (ურეკი, ნიგვზიანი) თუ შესწავლის პროცესში მყოფი (ერგეტის № 1 და № 3) სამაროვნებისათვის, სადაც მათი ოდენობა გასაოცარ რიცხვს აღწევს.

რკინის თოხები განსაკუთრებით მათი მცირე სახესხვაობა არადიფერენცირებულ ან ნაკლებდიფერენცირებულ სატარე ხერელით დადასტურებულია პალურის სამაროვანზეც [1, გვ. 109, ტაბ. XV_{124, 125}. ანალოგიური თოხები ცნობილია სიმავრიდან [29, ტაბ. XXXVII (05-75-881)]. ორბელიდან [33 გვ. 367, ტაბ. VI₂ და, როგორც ჩანს, დამახასიათებელია ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ბ. ლოს მთელი კოლხეთისათვის.

ს ე გ მ ე ნ ტ ი ს ე ბ რ ი ი ა რ ა ლ ი

სეგმენტისებრი იარაღი ურეკის სამაროვნის კომპლექსების აუცილებელ ატრიბუტად გვევლინება. სამაროვანზე სულ აღმოჩნდა 37 ბრინჯაოს სეგმენტი. აქედან 21 ცალი სამარხეულ კომპლექსებში დადასტურდა, 15—№ 3 სამარხ-ორმოში, 5—№ 1 სამარხ-ორმოში, ერთი—№ 18 სამარხში, 2—სამარხებს გარეთ და 14 ცალი დანგრეული სამარხების ნაყარში. № 1 და № 2 სამარხ-ორმოებში სეგმენტისებრი იარაღებზე ხშირად ეწყობოდა ცალკეული ჯგუფები ნივთებისა, რომლებიც თითქოს გამოყოფილი იყო ნივთების სხვა ჯგუფისაგან.

ურეკის სამაროვანზე აღმოჩენილი სეგმენტისებრი იარაღები არსებითად ერთი ტიპისაა და მარტოოდენ ზომებით თუ განსხვავდებიან ერთი მეორისაგან. სეგმენტისებრი იარაღის დიდი უმრავლესობა სადაზღვედაპირიანია; მხოლოდ რამდენიმე მათგანია შემკული: № 3 სამარხი-ორმოს ორ სეგმენტზე სესატიკაა გამოსახული (ტაბ. XI₃₂₀₋₃₂₁), ერთის სატარეზე ოთხი წერტილი (ტაბ. XI₆₂₂). წერტილებითაა შემკული (ორ რიგად სამ-სამი წერტილი) დანგრეული სამარხების ნაყარზე აღმოჩენილი ერთ-ერთი სეგმენტისებრი იარაღის სატარეც (ტაბ. XXIX_{7,8}). № 3 სამარხი-ორმოს ერთ-ერთ სეგმენტისებრი იარაღზე სხვა ნივთებთან ერთად იღო ხის სავარცხელი, რომელიც ადების დროს დაიშალა, იარაღზე კი დარჩა სავარცხლის ანაბეჭდი (იხ. ტაბ. IX₃, XI₆₁₃).

დანგრეული სამარხების ნაყარიდან აღებული ერთი სეგმენტისებრი იარაღის მთელი ზედაპირი სოლისებრი ქვებითაა შემკული (ტაბ. XXX 1029). ეს სამკაული გვხვდება კოლხეთის სხვადასხვა ადგილებში აღმოჩენილ ბრინჯაოს სეგმენტებზეც [34, ტაბ. XII].

სეგმენტისებრი იარაღი, როგორც ცნობილია, წმინდა კოლხური იარაღია, მხოლოდ კოლხეთისათვის დამახასიათებელი. ამიტომ გაკვირვებას იწვევს ზოგი ავტორი რომ ამ იარაღს ყობანურს უწოდებდა [35], როგორც ცნობილია, ყობანურ ძეგლებზე სეგმენტისებრი იარაღი არ უნდა იყოს დადასტურებული.

სეგმენტისებრი იარაღი კოლხეთის ბრინჯაოს ნივთების განძების უმრავლესობის განუყოფელი ნაწილია. იგი გვხვდება სუხუმიდან დაწყებული თითქმის მთელ კოლხეთში მთისწინეთის ჩათვლით. განსაკუთრებით ბევრია ცენტრალურ და სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში, იგი აუცილებელი ატრიბუტია აგრეთვე ადრეკინის ჰანის კოლხური სამაროვნების სამარხეული კომპლექსებისა.

გარდა ურეკისა, ბრინჯაოს სეგმენტისებრი იარაღი აღმოჩენილია მუხურჩის (3, გვ. 62, ტაბ. VI_{11-13 18-17}) და ნიგუზიანის სამაროვნებზე, განსაკუთრებით ბევრი ეგრეტის სამივე სამაროვანზე, ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთის სამაროვნებიდან კი ორად ორი ცალია დადასტურებული გუადიხუს № 5 (8) სამარხში და საინტერესოა, რომ მხოლოდ ეს ორი სეგმენტი შეადგენს აღნიშნული სამარხის ნივთების კომპლექსს [4 გვ. 24, 54, სურათი 20]?

სეგმენტისებრი იარაღის დანიშნულების შესახებ მრავალი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი არსებობს [37, გვ. 190; 38, გვ. 14; 39, გვ. 318—319; 35 გვ. 49, 53; 40 გვ. 177—179; 7, გვ. 221—223; 41, გვ. 118; 42, გვ. 175; 31, გვ. 165—167, 43 გვ. 66—70].

ამ ბოლო დროს კვლავ გაცოცხლდა მოსაზრება გამოთქმული თავდაპირველად ე. პახომოვის მიერ ჭერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში [39, გვ. 318], ხოლო შემდეგ მ. ივაშჩენკოსი [44, გვ. 50] იმის შესახებ, რომ სეგმენტისებრი იარაღი ფულის ფუნქციის მატარებელი იყო [34, გვ. 111, 112 შმდ.]. ეს მოსაზრება არ არის ხელაღებით უკუსაგდები. სეგმენტისებრი იარაღი მართლაც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო გაცვლის ერთეულად, მაგრამ ეს იქნებოდა მისი ერთ-ერთი ფუნქცია, როგორც ბრინჯაოსაგან დამზადებული ნივთისა. ასეთი ფუნქცია არ არის გამორიცხული ბრინჯაოს სხვა ნივთებსაც ჰქონოდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი ასახსნელი იქნებოდა ის

⁷ ერთი ცალი სეგმენტისებრი იარაღის შეღარებით ნაკლებგაფრთხილებული სახეობა დადასტურებულია თლის სამაროვანზეც [36, გვ. 114, სურ. 91₁].

საყოველთაოდ დამკვიდრებული ტენდენცია ბრინჯაოს ნივთების განძებად შენახვისა ესოდენ დამახასიათებელი გვიანბრინჯაოს ხანის კოლხეთისათვის [11, გვ. 155. შმდ].

მაშასადამე, სეგმენტისებრ იარაღს შეეძლო ფულის ფუნქციის შესრულება როგორც ბრინჯაოსაგან დამზადებულ საგანს და არა საამისოდ საგანგებოდ დამზადებულ ნივთს. განა ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივი არ არის, რომ სეგმენტისებრი იარაღის ვერც გაზომვის და ვერც აწონის ცდებმა ვერავითარი კანონზომიერება ვერ დაადგინეს [34, გვ. 112]. განა ნათელი არ არის, რომ საცვლელ ექვივალენტად დამზადებულ სეგმენტებს სატარებზე მხრებს არავინ გაუკეთებდა ან მოზრდილი ბარის ფორმას არ მისცემდა, როგორც ეს ქართლისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სეგმენტისებრ იარაღებს ახასიათებთ.

ამიტომ, ვფიქრობ, მართალნი არიან ისინი, ვინც სეგმენტისებრ იარაღს სასოფლო-სამეურნეო იარაღად თვლიან. ამის სასარგებლოდ მეტყველებს მისი გავრცელება მიანიცადამაინც კოლხეთის იმ ნაწილში, სადაც წამყვანი დარგი მიწათმოქმედება იყო, მისი გავრცელების თანხვედრა ძირითადი სამიწათმოქმედო იარაღის თოხების გავრცელების არეალთან, განძებში (ციხისძირ-სამების, ბობოყვათის, ზენითის, ვაკიჯვრის და სხვა) და, რაც მთავარია, სამარხებულ კომპლექსებში (ნიგვზიანი, ერგეტა) თოხებთან და სახნისებთან მათი თანაარსებობა. უკანასკნელ გარემოებას გადაწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, რადგან სამარხებულ კომპლექსებს, სადაც სამიწათმოქმედო იარაღი წარმოდგენილი, ზოგჯერ მრავალი ათეული ეგზემპლარის სახით გარკვეული შინაარსი ეძლევათ. უდავოა, რომ ასეთი სამარხები მიწათმოქმედთ ეკუთვნით. და ბოლოს ამის მაჩვენებელია სეგმენტისებრი იარაღის, ისევე როგორც კოლხური ცულის, თოხის, განმეორება რკინაში. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერგეტის № 3 სამარხის № 1 სამარხის ინვენტარი, რომლის წამყვანი ნაწილი (მრავალი ათეული) რკინის სამიწათმოქმედო იარაღია: სახნისები, თოხები, ნამგლები, სასხლავი დანები და მათ შორის რკინის სეგმენტისებრი იარაღების მოზრდილი ბარისებრი ეგზემპლარები.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ სეგმენტისებრი იარაღი, უპირველეს ყოვლისა, კოლხი მიწათმოქმედის იარაღი იყო. შესაძლოა ამაზევე მიუთითებდეს ურეკის № 3 სამარხ-ორმოს სეგმენტებზე მზის სიმბოლოს სვასტიკების გამოსახულებაც.

ეს არ გამორიცხავს, ცხადია, სეგმენტისებურ იარაღის ნაირ დანიშნულებას. ამაზე ნათლად მეტყველებს სხვადასხვა ზომაე სეგმენტებისა⁸.

ბ რ ტ ყ ე ლ ი ც უ ლ ი

ბრტყელი ცული, მხრებიანი, ურეკის სამარხიდანზე ორად ორი ცალი აღმოჩნდა: ერთი რკინისა და მეორე, მისი ანალოგიური და ზომებითაც თითქმის შესაბამისი, ბრინჯაოსი: რკინის ცული დადასტურებულია № 3 სამარხ-ორმო-

⁸ ამის გამო, რომ სეგმენტისებრ იარაღს ძვ. წ. VI ს. შემდეგ არ ვხვდებით, არ უნდა აიხსნას მოჭრილი მონეტის გაჩენის გამო სეგმენტის საცვლელი ფუნქციის დაკარგვით [იხ. 34, გვ. 112—113]. საქმე ის არის, რომ ამ დროიდან ბევრი წინა ეტაპიდან ნაანდერძევი ნივთი ქრება: მაგალითად, რკინის კოლხური ცული, რკინის მხრებიანი ბრტყელი ცული, მათ შორის რკინის სეგმენტი; ცელილებას განიცდის და უფრო უნიფიცირებულ ფორმას იღებს რკინის თოხი, შემოდის რკინის სახნისი. ცხადია, ყოველივე ეს უფრო ბუნებრივია მეურნეობრივი ცვლილებების საფუძველზე აიხსნას.

ში (ტაბ. X₈₀₀), ხოლო ბრინჯაოს ცული დანგრეული სამარხების ნაყარადანაა აღებული (ტაბ. XXXI₁₀₁₈). მხრებიანი ბრტყელი ცული გამოქვეყნებული მასალების მიხედვით კოლხეთის სამაროვნებზე დადასტურებული არ არის, მაგრამ მათ წმირად ვხვდებით კოლხური ბრინჯაოს ნივთების განძებში.

კოლხური კულტურის იმპულსების სფეროდან ბრტყელი მხრებიანი ცულის ჩვენი ეგზემპლარებისაგან განსხვავებული სახეობა ცნობილია თლის სამაროვნიდან; აქაც ორი ცულია დადასტურებული — ერთი ბრინჯაოსი, რომელიც, გამთხრელის ცნობით, სამარხულ კომპლექსს არ უნდა ეკუთვნოდეს და მეორე რკინისა, როგორც ჩვენს შემთხვევაში, ზუსტად პირველის ანალოგიური აღმოჩნდა ძვ. წ. VI ს. სამარხში [36, გვ. 115 სურ. 91].

ბრტყელი ცულების ტიპოლოგიური კლასიფიკაციის რამდენიმე ცდა არის ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში [45, გვ. 30. შმდ.; 46, გვ. 295]. ერთი უკანასკნელთაგანი დ. ქორიძეს ეკუთვნის [47, გვ. 5—27].

ურეკის ცულები დ. ქორიძის კლასიფიკაციის მიხედვით I სახეობას განეკუთვნებიან [47, გვ. 6—7, ტაბ. 1]. ამგვარ ცულებს აღმოჩენათა ადგილების (სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი, სამეგრელო, ქვემო იმერეთი) მიხედვით კოლხეთის მხოლოდ სამხრეთი ნაწილისათვის დამახასიათებელ იარაღად მიიჩნევენ [46, გვ. 296; 47 გვ. 7] და ათარიღებენ ძვ. წ. XII-XI სს-ით [47 გვ. 13].

ურეკის ცულების აღმოჩენამ გარდა იმისა, რომ კიდევ ერთხელ დაადასტურა სწორედ ზემოთ მითითებული რეგიონისათვის ამ სახეობის იარაღის სპეციფიკურობა, აუცილებელი გახდა მათი დათარიღების დაზუსტება. ურეკის პირველი სახეობის მხრებიანი ბრტყელი ცული ისეთ კომპლექსში (№ 3 სამარხი-ორამო) აღმოჩნდა, რომელიც, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ძვ. წ. VII ს. ფარგლებში ექცევა. მართალია, № 3 სამარხი-ორამოს მხრებიანი ბრტყელი ცული რკინისაა, მაგრამ ეს ვითარებას არ ცვლის, რადგან დროის ამავე საზღვრებში თავსდება ბრინჯაოს მხრებიანი ბრტყელი ცულიც, სრული ანალოგიური რკინის ბრტყელი ცულისა.

მართალია ისიც, რომ ბრინჯაოს ბრტყელი ცული კომპლექსში არ იყო დამოწმებული, მაგრამ ის გარემოება, რომ ურეკის გადარჩენილი როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური სამარხების ასაკი, ძვ. წ. VII ს. იქვე სიღრმეში არ უნდა მიიწვედეს, დანგრეული სამარხების ქვედა თარიღიც, როგორც ჩანს, ამ ზღვარზე უნდა ვივარაუდოთ. ამას მოწმობს ისიც, რომ დანგრეული სამარხების ნაყარიდან აკრეფილ მასალაში (იხ. ტაბ. XXIX-XXX) არ არის ისეთი ნივთი, რომელიც მოცემული თარიღისათვის შეუფერებელი იყოს.

ურეკის რკინის მხრებიანი ბრტყელი ცული იმის აგამო, რომ ზუსტი ანალოგია (ფორმით, ზომით) ბრინჯაოს ეგზემპლარისა, ეკრთევე იმიტომაც, რომ შეიძლება ითქვას, ის ბრინჯაოს პროტოტიპთან ერთად გვხვდება, რკინის აღნიშნული იარაღის უძველესი ნიმუშია. იგი ნათლად მოწმობს, რომ უკვე ძვ. წ. VII საუკუნეში ხდება წინარე ეტაპებზე დამკვიდრებული ბრინჯაოს იარაღების ფორმათა გამეორება რკინაში.

რაც შეეხება ბრტყელი ცულის დანიშნულებას, ცალკეულ ავტორებს ამის შესახებ განსხვავებული შეხედულებები აქვთ წამოყენებული. ზოგი მათგანი (გ. ნიორაძე) ბრტყელ ცულს ტყავის დასამუშავებელ იარაღად მიიჩნევდა [38, გვ. 12, 13 შმდ.], ზოგიც [45, გვ. 30—33; 49 გვ. 19; 50 გვ. 197; 47 გვ. 27] ხის დამუშავებისათვის განკუთვნილ იარაღად. სრულიად განცალკევებით დგას ა. ტალგერენის მოსაზრება, რომლის მიხედვით მხრებიანი ბრტყე-

ლი ცული სამთო საქმეში გამოიყენებოდა [51, გვ. 25—26]. უკანასკნელი მსაჯურება სამართლიანად უარყოფილია [45, გვ. 148; 50 გვ. 197] და მისი გაზიარების არაეითარი საფუძველი არ არსებობს. საგრძნობი მცირერიცხეიანობა მხრებიანი ბრტყელი ცულებისა როგორც ბრინჯაოსი, ისე მით უმეტეს რკინისა, კოლხეთის კომპლექსებში სხვა იარაღთან (თხეხებთან, სეგმენტებთან, ცულებთან) შედარებით მიუთითებს იმაზე, რომ მათ კონკრეტული, სპეციფიკური დანიშნულება ჰქონდათ და რომ ისინი მსგავსად თხეხებისა, სეგმენტებისა, ცულებისა მასობრივ იარაღს არ წარმოადგენდნენ.

აქ არა გვაქვს შესაძლებლობა შევეხოთ მხრებიანი ბრტყელი ცულის გენეზისის საკითხს. მაგრამ ფორმის თვალსაზრისით მისი სრულიად აშკარა დამოკიდებულება კოლხური ცულის პირველ ტიპზე ნათესი ხდის კოლხური ბრინჯაოს წიაღში მის ჩამოყალიბებას, ხოლო რკინაში მისი სრული განმეორება (ისევე როგორც ცულებისა, სეგმენტებისა, თხეხებისა) მიუთითებს კოლხური ბრინჯაოსა და რკინის ხანების კულტურათა უწყვეტ მემკვიდრეობითობაზე.

რკინის დანები

დანები ურეკის სამაროვანზე მხოლოდ რკინისა აღმოჩნდა. რკინის დანების უმრავლესობა თითო-ოროლას გამოკლებით სამარხეული ინვენტარის ნაწილს შეადგენს. ისინი დამოწმებულია როგორც კოლექტიურ სამარხ-ორმოვებში, ისე ინდივიდუალურ სამარხებში: № 1 სამარხ-ორმოში 6 ცალი (ტაბ. VI₄₃₀₋₄₃₅), № 3 სამარხ-ორმოში—12 (ტაბ. XII₅₈₄₋₅₀₄), № 18 სამარხ-ორმოში 1 (ტაბ. XXI₇₈₄), სამარხებს გარეთ კი 2 ცალი (ტაბ. XXVII₈₃₁₋₈₃₃). 1 ცალი დანა საკულტო მიუდანხე აღმოჩნდა (ტაბ. V₄₀₇).

ურეკის სამაროვნის რკინის დანები არსებითად ორ ტიპოლოგიურ ჯგუფს შეადგენენ: მკვეთრად მოხრილი ზურგამოზნევილი დანები (ტაბ. V₄₀₇, ტაბ. VI₄₈₅, ტაბ. XXVII_{831, 833}) და სწორი დანები, რომელთა ცალკეულ ეგზემპლარებს ქვედა ნაწილში ოდნავი მოხრილობა ახასიათებთ (ტაბ. VI_{460, 482-488}, ტაბ. XII₅₈₄₋₅₀₄, ტაბ. XXI₇₈₄).

პირველი ტიპის დანების ნაწილს შემორჩენილი აქვთ საკმაოდ მასიური, ბრტყელი თავში გაგანიერებული სატარე (ტაბ. V₄₀₇, XXVII_{831, 833}).

მეორე ტიპის დანების უმრავლესობა ყუნწიანია, მაგრამ არის მასიურ ტარიანებიც (მაგალითად, ტაბ. VI₄₈₅). განსხვავებული ზომები ურეკის სამაროვნის დანებისა მათ სხვადასხვა დანიშნულებაზე უნდა მეტყველებდეს. როგორც პირველი, ისე მეორე ტიპის დანების მასიურ ეგზემპლარებს შესაძლოა საბრძოლო დანიშნულებაც ჰქონოდათ. ამასთან დაკავშირებით უნებლიეთ გვახსენდება პეროდოტესა და ქსენოფონის ცნობები იმის შესახებ, რომ კოლხებისა და ხალიბების შეიარაღებას სხვასთან ერთად დანებიც (μάχαιρα) შეადგენენ [52, გვ. 113; 20 გვ. 81—82].

რკინის დანები, ანალოგიური ურეკის სამაროვნის დანებისა, აღმოჩნდა ნიგეზიანის სამაროვანზეც. აქ წარმოდგენილია აღნიშნული იარაღის ორივე ტიპი თუმცე პირველი ტიპის მასიური ეგზემპლიარები უფრო მეტია (ტაბ. XXXIII, X L VIII).

რკინის დანების პირველი ტიპი დამოწმებულია პალურის სამაროვანზეც [1, გვ. 109—110, ტაბ. XIII], ოღონდ პალურის ეგზემპლიარები შედარებით მცირე მოხრილობით გამოირჩევიან.

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის სამაროვნების კომპლექსებისთვისაც არ არის უცხო რკინის დანები. კლანუჩხვას სამაროვნზე, მაგალითად, გამოხ-რელი არჩევედა სამ ტიპს რკინის დანებისას (5 გვ. 128 — 129), მაგრამ აქ, როგორც ჩანს, მხოლოდ ორ სახესხვაობასთან უნდა გვექონდეს საქმე: სწორტარიან დანებთან ჩვენს შორეულ ტიპს რომ შეესაბამება [5, ტაბ. V_{2-ა}, VI 9, 11] და ტარმორკალულ ეგზემპლიართან, რომელიც ჩვენი პირველი ტიპის სახესხვაობას უნდა წარმოადგენდეს, [5, ტაბ. VI_{1ა}]. ასეთივე რკინის დანები როგორც ტანმორკალული, ისევე სწორტარიანი, აღმოჩნდა გუადიხუსა და წითელი შუქურას ადრეულ სამარხებში [4, გვ. 55—56, 168 — 169]. ურეკის ეგზემპლიარები განსაკუთრებულ სიახლოვეს იჩენენ წითელი შუქურას სამაროვნის დანებთან (4, ტაბ. X_{4-ბ}, 13, 11, 12, 14).

ანალოგიური რკინის დანები ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოსა და სომხეთის სამარხეული კომპლექსებიდან. ამათგან უძველესი სწორტარიანი დანები დამოწმებულია სამთავროს სამაროვნზე იმ სამარხებში (№ 51, 211), რომლებსაც ძვ. წ. XI—X სს-ით ათარილებენ [53, გვ. 136, ტაბ. 149—151], მაგრამ ის გარემოება, რომ იგივე აღმოსავლეთ საქართველოს რიგ სამაროვნებზე (რკინის კალოს, ღვანის, ბეშთაშენის, კახეთის) და აგრეთვე სომხეთში ანალოგიური რკინის დანები ძვ. წ. VIII—VII და უფრო მომდევნო საუკუნეებით დათარიღებულ კომპლექსებში გვხვდება [54, გვ. X, ტაბ. XI, XXI, XIV, III; 55 გვ. 29, 40, 41 შმდ.; 28, გვ. 41—48 შმდ.; 56, ტაბ. X VIII; 45, ტაბ. VIII 6-8; 57, გვ. 21 ტაბ. III₁₋₂]; იმაზე მეტყველებს, რომ ორივე ნაირსახეობის რკინის დანები უფრო ძვ. წ. VII—VI სს.-თვის ჩანს დამახასიათებელი. ძვ. წ. VI ს. შუა ხანებიდან კოლხეთში სხვა ტიპის რკინის დანები ჩნდება 29, ტაბ. XXXVII₂₈₂₋₂₈₃ XXXVIII₁₅₄₈].

აღნიშნულთაგან ურეკის სამაროვნის რკინის მოხრილი დანები განსაკუთრებულ სიახლოვეს იჩენენ რკინის დანებთან თრიალეთის სამაროვნების სამარხეული კომპლექსებიდან, რომელთაც ბ. კუფტინი ადრეაქემენიდურ და მიდიურ ეპოქებს ძვ. წ. VI ს. მიაკუთვნებს [28, გვ. 41—50, სურ 43, 46,; ტაბ. XVI], და კარმირბლურის დანებთან, რომლებიც ძვ. წ. VII ს. დასასრულიდან ფართოდ ვრცელდება ამიერკავკასიაში [58, გვ. 37]. შედარებით იშვიათია დანები ყოზანში [59, გვ. 30, ტაბ. XXI, 5].

საბრძოლო იარაღი

ამ კატეგორიის იარაღიდან, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას შევაჩერებთ ცულეებზე, თუმც უნდა აღინიშნოს, რომ მათი მიკუთვნება მარტო-ოდენ საბრძოლო იარაღებისადმი პირობითია. ცულეები, განსაკუთრებით კი რკინის ცულეები ფართოდ გამოიყენებოდა მეურნეობაშიც.

ურეკის სამაროვნზე აღმოჩნდა როგორც ბრინჯაოს, ისე რკინის ცულეები.

ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ც უ ლ ე ბ ი

ბრინჯაოს ცულეები რიცხვით საგრძნობლად ჭარბობენ რკინისას, რაც იმდენად არ აძველებს იმ კომპლექსებს, რომლებშიც ბრინჯაოს ცულეებია დამოწმებული, რამდენადაც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ამ შესანიშნავი კოლხური იარაღის სიცოცხლის ხანგრძლივობას. მიუხედავად იმისა, რომ თანდათან შემოდის და ბატონდება რკინის იარაღი, ბრინჯაოს კოლხური ცული, ყო-

ველ შემთხვევაში, ძვ. წ. VII ს. დასასრულამდე არათუ გამოდის ხმარებიდან, არამედ საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული.

ურეკის სამაროვანზე სულ 14 ბრინჯაოს ცული აღმოჩნდა. აქედან, რვა №3 სამარხ-ორმოში (ტაბ. X.), ორი სამარხებს გარეთ (ტაბ. XXVII_{გვ. 823}), ხოლო ოთხი ეგზემპლარი დანგრეული სამარხების ნაყარიდანაა აღებული (ტაბ. XXX_{1031-1037, 1038}).

ურეკის სამაროვანზე ორნაირი კოლხური ცულია აღმოჩენილი: სოლისებრყუანი და ყუაყვერიანი ცულები⁹. სოლისებრყუანი ცულები ჭარბობენ ყუაყვერიან ცულებს, რომლებიც სულ სამი ცალია. ამასთან, ერთი ეგზემპლარი ნაყარშია ნაპოვნი, ხოლო ორი № 3 სამარხ-ორმოში. მაშასადამე, ერთ სამარხულ კომპლექსში კოლხური ცულის ორივე სახესხვაობა გვაქვს, მაგრამ სოლისებრყუანი ცულები სამჭერ მეტია. ორივე ტიპის ცულების თანაარსებობა დამახასიათებელია კოლხეთის სხვა თანადროულ სამარხეული კომპლექსებისათვისაც¹⁰.

როგორც სამარხში, ისე სამარხებს გარეთ აღმოჩენილი კოლხური ბრინჯაოს ცულები, მიუხედავად კარგი დამუშავებისა, თუ ყუის ნაწილის რელიეფური ღარ-ქედებით შეეკობას არ მივიღებთ მხედველობაში, უმრავლეს შემთხვევაში სადაა. მხოლოდ № 3 სამარხ-ორმოს ერთი სოლისებრყუანი ცულის ქვედა ნაწილია შემკული მეანდრისებრი ორნამენტით. ასეთ სამკაულს ვხვდებით კოლხურ ბრინჯაოს ნივთებზე და მათ შორის კოლხურ ცულებზეც.

ბრინჯაოს კოლხური ცულები საერთოდ, სახელდობრ კი აღწერილი ტიპები, როგორც ცნობილია, ფართოდ არის გავრცელებული მთელ კოლხეთში და კოლხური კულტურის რადიაციის საკმაოდ ფართო სფეროში. საკუთრივ კოლხეთში ისინი უმრავლეს შემთხვევაში განქმბშია წარმოდგენილი. ამიტომ ამ იარაღის მოქმედების ქრონოლოგიურ ჩარჩოებს განსაზღვრავდნენ აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი იმ კომპლექსების მიხედვით, რომლებშიც კოლხური ცულები გვხვდებოდა [60, გვ. 80—25; 33 გვ. 315, შნშ. 36; 53, გვ. 188]. კოლხეთის სამაროვნები ამ მხრივაც გვაწვდიან საგულისხმო მასალას, რომლის მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება ძნელია, ყოველ შემთხვევაში, კოლხური ბრინჯაოს კულტურის განმსაზღვრელი ელემენტების მოქმედების ზედა ქრონოლოგიური მიჯნების დაზუსტების დროს.

კოლხეთის სამარხულ კომპლექსებში აღწერილი ცულების ანალოგიები გვხვდება ეშერის ოსუარიუმებში სულ ორი ცალი, ორივე სოლისებრყუანი [61, გვ. 59; 7 გვ. 192 შმდ. ტაბ. XX_გ].

ასეთივე სამი ცული დამოწმებული სოფ. მუხუძირხევაში (გუდაუთის რაიონი) შემთხვევით აღმოჩენილ ორმო-სამარხში [7, გვ. 147. შმდ.; 5 გვ. 121] იმავე გუდაუთის რაიონის სოფ. პრიმორსკოეში დანგრეულ ქვევრსამარხში აღმოჩნდა ორივე ტიპის ოთხი ცული, ორი ნაკლული და ორი მთელი [7 გვ. 140]. ყუაყვერიანი 3 ცული აღმოჩნდა სოხუმის მთაზე მ. ტრაპშის მიერ გათხრილ ორმო-სამარხში [5, გვ. 121 შდრ. 62 გვ. 24 — 27 ტაბ. IV 1-3]. წითელ შუქურას სამაროვანზე, თუ არ ჩავთვლით შემთხვევით მონაპოვარს, სამარხულ კომპლექსებში დადასტურებულია ოთხი ორივე სახეობის ცული თითო-თითო № 43, 63, 90 და 94 სამარხებში. [4, გვ. 116, 130, 141, 144, 170 შმდ. ტაბ. X, XIII₁, XIX₄, XV₂].

⁹ კოლხური ცულების ტიპოლოგიის შესახებ იხ. 59; 60; 46; 32.

¹⁰ შდრ. მაგალითად, ელანურხეას სამაროვნის № 1 სამარხის კომპლექსი [5, გვ. 114, შდრ. ტაბ. 1].

პალურის სამაროვანზე რამდენიმე კოლხური ცულაა აღმოჩენილია. გამოქვეყნებულია მხოლოდ ერთი სოლისებრყუიანი ცული [1, გვ. 109 ტაბ. XIV 783]. მუხურჩის სამაროვანზე ქვედა დასაქრძალავ მოედანზე აღმოჩნდა 5 კოლხური ცული, ხუთივე სოლისებრყუიანი [3, გვ. 62 ტაბ. VI 1-3, 8-7]. ბრინჯაოს კოლხური ცულები ორივე სახეობისა აღმოჩნდა აგრეთვე ერგეტის №1 და №3 სამაროვანზე.

კოლხეთის გარეთ, აღმოსავლეთ საქართველოს სამარხეულ კომპლექსებში დადასტურებული ანალოგიური ცულებიდან დათარიღების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ ცულებს უნდა მიენიჭოს [53, ტაბ. 1]. ანალოგიური ცულები აღმოსავლეთ საქართველოში სხვაგანაც ბევრია აღმოჩენილი, მაგრამ აღენიშნაეთ მხოლოდ თლის სამაროვანზე დამოწმებულ ცულებს. აქ ჩვენთვის საინტერესო ცულების 25 ანალოგიური ცალი აღმოჩნდა: 4 პირველი ტიპისაა და 21 მეორე ტიპისა [36, გვ. 81—97].

აღწერილი ცულები გაბატონებულია მთელ დასავლეთ საქართველოში ამასთან, პირველი ტიპის სოლისებრყუიანი ცული უპირატესად მხოლოდ საქართველოშია დამოწმებული, უმეტეს შემთხვევაში დასავლეთ საქართველოში კოლხური კულტურის ისტორიულ ფარგლებში და ამ კულტურის რადიაციის სფეროში (თლი). ამ ტიპის ცულებს უმნიშვნელო რაოდენობით ვხვდებით ყობანშიც [წმრ. 59, გვ. 16. ტაბ 7. IV, 4; VI, 1,], სადაც განსაკუთრებით ფართოდ ყუაყვერიანი ცულებია გავრცელებული.

აღსანიშნავია, რომ სოლისებრყუიანი ცულები უჩნდებიან ძალიან ჭადრე, კოლხური ცულების ჩამოყალიბების ხანაში და იმდენად სრულყოფილ იარაღად ყალიბდებიან, რომ ისინი მრავალი საუკუნეების მანძილზე გამოიყენებიან და შემდგომ რკინის ცულებში შეორიდებიან. აღნიშნული ტიპის ცულებს დ. ქორიძე ათავსებს III და IV სახეობაში და ზოგადად ათარიღებს ძვ. წ. XI—VIII სს-ით (32 გვ. 61, 66—68).

ბ. კუფტინი ეშერის ოსუარბუმის, პრიმორსკოეს, მუხეძირკვას კომპლექსებს, რომლებშიც უპირატესად I ტიპის ცულებს ვხვდებით, ჰუმეც პრიმორსკოეში წარმოდგენილია ორივე ტიპი, ზოგადად ყობანის კულტურის თანადროულად მიიჩნეეს [7, გვ. 113; წმმდ. 212]. მ. ტრაფში, ქვიშარის განძში (რომელშიც ორივე ტიპის ცულებია დამოწმებული) არსებული ბრინჯაოს ქურტლას ყურის ჩრდილო-კავკასიური ანალოგიების მიხედვით წითელა შექქერას, ყულანურხვას და სოხუმის მთის ცულებს ათარიღებს ძვ. წ. VIII—VII სს-ით. [5, გვ. 124—125; 4 გვ. 173]. ა. კალანდაძე იმავე სოხუმის მთის №1 სამარხს, სადაც ყუაყვერიანი ცულებია დამოწმებული, ძვ. წ. IX—VII სს. ათარიღებს [62, გვ. 26—27]. მუხურჩის სამაროვნის ქვედა დონის კომპლექსებს, ურომლებშიც პირველი ტიპის ცულები აღმოჩნდა, ძვ. წ. VIII ან IX სს. დასასრულით ათარიღებენ [3, გვ. 64]. პალურის ცულს ბრილის ანალოგიის მიხედვით ძვ. წ. VI ს. მიაკუთვნებენ [1, გვ. 109].

როგორც ვხედავთ, აღწერილი ცულები, დათარიღების ზემოთ წარმოდგენილი ნუსხის მიხედვით, მთ უმეტეს თუ მათ თავდაპირველ ნაირსახეობებსაც გავითვალისწინებთ, მცირე სახეცვლალებით ჰოთაქმის 700 წლის განმავლობაში გამოიყენებოდა. მართლაც, მათი გამოყენების საწყისი თარიღი პროტოტიპებთან უშუალოდ მიმართების გამო დავს არ უნდა იწვევდეს.

გაქმელება ბრინჯაოს კოლხური ცულების დამზადების VI ს-ში გადმოტანა, ამ დროს შეიძლება მართაოდენ მათ შემოაჩენნაზე ვილაპარაკოთ, რად-

გან ძვ. წ. VI ს-იდან ბატონდებიან რკინის ცულები, რომელთა ადრეული ბრინჯაოს ცულების მიბაძვით დაშაადებული ვარიანტების გაჩენა ძვ. წ. VII ს. დასასრულსაა სავარაუდო, ხოლო რკინის ცულის გაჩენის შემდეგ ბრინჯაოს ცულის წარმოება გამორიცხულია.

თითოორკოლა შემთხვევა ბრინჯაოს კოლხური ცულების აღმოჩენისა გვიან მასალასთან ერთად უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ბრინჯაოს კოლხური ცული შემორჩენილია, როგორც რელიქვია და არა როგორც მოქმედი იარაღი. იქნებ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ, ძალზე იშვიათი გამონაკლისის გარდა, სამარხეულ კომპლექსებში ბრინჯაოსა და რკინის ცულები ერთად არ გვხვდება. არ თანაარსებობენ აგრეთვე ბრინჯაოსა და რკინის თოხი, ბრინჯაოსა და რკინის სეგმენტისებრი იარაღები¹¹, მაშინ როდესაც ერთსა და იგივე კომპლექსებში ვხვდებით ბრინჯაოს ცულებს, რკინის სატევრებსა და შუბებს, ბრინჯაოსა და რკინის სატევრებს, ბრინჯაოს სატევრებსა და რკინის შუბებს, ბრინჯაოს სატევრებსა და რკინის ცულებს, ბრინჯაოს სატევრებსა და რკინის ცულებს, ეს იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ რკინის საბრძოლო იარაღი უფრო ადრე ჩნდება ეიღრე სამეურნეო (სახნისი, ნამგალი, თოხი, სეგმენტი, ცული), რომლის დამკვიდრება რკინის საბოლოო და საყოველთაო გამარჯვებას ნიშნავს.

ამის შესანიშნავ ილუსტრაციას წარმოადგენს ერგეტის №3 სამაროვნის №1 სამარხის კომპლექსი, რომელიც ძვ. წ. VI ს. დასაწყისით უნდა დათარიღდეს და რომელშიც გარდა დიდი ძვრების აღმნიშვნელი მასალისა (რკინის სახნისები), მთლიანობაშია წარმოდგენილი რკინისაგან დამზადებული კოლხური იარაღის სრული ასორტიმენტი (ცულები, თოხები, ნამგლები, სეგმენტები).

რ კ ი ნ ი ს ც უ ლ ე ბ ი

რ კ ი ნ ი ს ც უ ლ ე ბ ი ურეკის სამაროვანზე კომპლექსებში არ იყო დაფიქსირებული. ისინი ექსპედიციის თანაშრომელთა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სხვადასხვა დროს აიკრიფა დანგრეული სამარხების ნაყარიდან. სულ აღმოჩნდა სამი ცული (ტაბ. XXIX₁₀₄₁; XXX₁₀₄₀; 1041), სამივე ცული ყუაყვერია-ნია და ბრინჯაოს აღწერილი ცულების მეორე ტიპს უახლოვდება, თუმც ყუისკვერი ისე მკვეთრად არა აქვთ გამოკვეთილი, როგორც ბრინჯაოს ცულებს ერთი მათგანი (ტაბ. XXX₁₀₄₀) აშკარად მიიღტვის ბრინჯაოს ორმხრივმოხრილ ყუაყვერიათა ცულებსაგან. ის ფაქტი, რომ რკინის ცულები ურეკის სამაროვნის ბრინჯაოს ცულების საერთო ოდენობის ძალიან მცირე ნაწილს შეადგენს და ისიც, რომ ისინი იმეორებენ ბრინჯაოს ცულების ფორმებს, ნათელს ხდის შემდეგს: ურეკის რკინის ცულები რკინის ცულების ადრეული ცალებია და ისინი, როგორც ჩანს, იმ კომპლექსებს ეკუთვნოდნენ, რომლებიც ძვ. წ. VI ს. დასაწყისზე გვიანი არ უნდა ყოფილიყო.

რკინის კოლხური ცულები კოლხეთის მრავალი სამარხეული კომპლექსიდანაა ცნობილი. ისინი დამოწმებულია გუადიხუს და წითელი შუქურას სამაროვანზე [4, გვ. 56 შმდ. ტაბ. 11₁₀; 11; გვ. 183 შმდ. ტაბ. XIX₁₀₋₁₁], სო-

¹¹ ჩვენთვის ცნობილი მასალიდან ამ მხრივ ერთდერო გამონაკლისს შეადგენს 1982 წ. გათხრილი ერგეტის № 1 სამაროვნის № 6 სამარხ-ორმო, რომელშიც დადასტურდა ბრინჯაოს სოლისებრყურიანი კოლხური ცული, ბრინჯაოს თოხი და სეგმენტები რკინის ანალოგიური იარაღთან ერთად.

ხუმის მთაზე X და XII სამარხეულ კომპლექსებში [62 გვ. 34, 51, ტაბ. IX, X₁], ბრილის კრემაციულ სამარხებში [95, ტაბ. XLV, XLVII], ნიგვზიანში (ტაბ. 34, 44), ერგეტის № 3 სამაროვნის №1 სამარხ-ორმოში და №1 სამაროვნის № 6 სამარხ-ორმოში.

რკინის კოლხურ ტულს, სწორედ კოლხურს, ჩვენი ტულების მსგავსს, ვხვდებით თრიალეთშიც, ბეშთაშენის სამაროვანზე [28, გვ. 45, სურ № 43 ტაბ. XVI]. ყველა ეს ტული უზაყვერიანი ტულების კატეგორიას განეკუთვნება და ტიპოლოგიურად ბრინჯაოს უზაყვერიან კოლხურ ტულებს იმეორებს მეტნაკლები სიზუსტით. უკვე ეს გარემოება თვალნათლივ მიუთითებს იმაზე, რომ რკინის აღწერილი ტულები აღწერილი ბრინჯაოს, კოლხური წარმოშობისაა. ეს უდავოდ მიაჩნიათ იმათაც კი, ვინც ცდილობს დაამტკიცოს ძვ. წ. VI ს-ში კოლხეთში სკვითური მოსახლეობის არსებობა, მოსახლეობისა, რომელსაც მიაწერს აღწერილი ტულების გავრცელებას ყუბანისპირელ სკვითებთან [64, გვ. 185—187].

რაც შეეხება საკითხს რკინის კოლხური ტულების გავრცელების შესახებ, მათი ფორმა მიუთითებს იმაზე, რომ ისინი უნდა გაჩენილიყვნენ ბრინჯაოს კოლხური ტულების არსებობის ხანაში¹², ე. ი. ძვ. წ. VII ს. ბოლოს მაინც. ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. VI ს. დასაწყისიდან ისინი საყოველთაოდ გაბატონებული ჩანან. საგულისხმოა, რომ კოლხეთის ყველა სამაროვანზე (გუადიხუს № 1, 2, 7, 8 №13, 31, 32 სამარხებში; წითელი შუქურას №4, 11, 32 სამარხებში; სოხუმის მთის №10 და 12 სამარხებში, ერგეტის № 3, სამაროვნის №1 სამარხ-ში) რკინის კოლხური ტული მხოლოდ რკინის იარაღებთან ერთად გვხვდება. ამასთან, ეს ნივთები ძვ. წ. VI საუკუნისთვისაა დამახასიათებელი.

იგივე უნდა ითქვას ნიგვზიანის საკულტო მოედნის და 12 სამარხი-ორმოს რკინის კომპლექსებზე (ტაბ. XXXIV, XLIX), სადაც ერთეულების სახით, მართალია, ვხვდებით ბრინჯაოს იარაღს (პირველ შემთხვევაში ერთ სატევარს და ერთს სეგმენტისებრ იარაღს, ხოლო მეორეში ერთს სატევარს და ერთ სკვითურ ისრისპირს), მაგრამ ეს იარაღი ისევე როგორც სხვა ნივთები უფრო ძვ. წ. VI საუკუნისაკენ მიიღრმავება. ამ მხრივ ისიც არის ნიშანდობლივი, რომ ნიგვზიანის სამაროვანზე საერთოდ არ ვხვდებით ბრინჯაოს კოლხურ ტულებს თუ მხედველობაში არ მივიღებთ № 7 სამარხში კოლხური სოლისებრყუიანი ტულის ყალიბის აღმოჩენას (ტაბ. XLV, 1699).

ს ა ტ ე ვ რ ე ბ ი

სატევრები მასალის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: ბრინჯაოს სატევრები და რკინის სატევრები. თავის მხრივ რკინის სატევრები ფორმალურ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით ასევე ორ ჯგუფს შეადგენს: სატევარი-აქინაკები, რომლებიც სკვითური სამყაროსათვის დამახასიათებელ იარაღადაა მიჩნეული, და სატევრები, რომლებიც კოლხეთში ფართოდ ჩანან გავრცელებული.

ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ს ა ტ ე ვ რ ე ბ ი

ბრინჯაოს სატევრები ჯრეკის სამაროვანზე სულ 7 ეგზემპლარი აღმოჩნდა 5 ინდივიდუალურ (№ 2, 10, 47, 66, 68) სამარხებში, ერთი № 3 სამარხ-ორმოში და ერთიც დანგრეული სამარხების ნაყარში. ეს სატევრები ფორმალურ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით ორ მკვეთრად განსხვავებულ ჯგუფს შეადგენენ:

¹² იმაზე მიუთითებს ერგეტის № 1 სამაროვნის № 6 სამარხ-ორმოს ინვენტარი, რომელშიც გვაქვს ბრინჯაოს სოლისებრყუიანი ტული და რკინის კოლხური ტული.

წავრძელებული ფოთლისებრი ფორმის ორფერდა სატევრები, რომლებიც ნ ეგზემპლართაა წარმოდგენილი და ერთადერთი მთლიანადსხმული ფიგურულ-ლტარიანი სატევარი.

უწინა სატევრებში სატევრების დამუშავების მიხედვით თავის მხრივ ორი ქვეტიპი უნდა გამოიყოს — შედარებით გლუვუბდაპირიანი, ლინზისებრი ფორმის განივკვეთიანი სატევრები (ტაბ. XIX₇₂₂; XX₇₆₁; XXX₁₀₃₁) და ერთ-და ორმწკრივი ლარქედებით შემკული სატევრები, რომელთაც მკვეთრად რომბისებრი, ან ასევე მკვეთრად შემალელებული ოლონდ მომრგვალებული განივ-კვეთი აქვთ (ტაბ. XXI₇₈₆; XXIV₈₄₂). ეს უკანასკნელი ქვეტიპი საფუძვლად დაედო რკინის სატევრებს, რომლებიც საერთო პაბიტუსიდაც და სატევრის პირის დამუშავების მიხედვითაც თითქმის ზუსტად იმეორებენ ბრინჯაოს ცალებს (შლრ. ტაბ. V₄₁₀; XII₈₅₁₋₈₈₂).

აღნიშნულის გამო შეიძლება გეფიქრა, რომ მეორე ქვეტიპის ბრინჯაოს უწინა სატევრები უფრო გვიანია და ამიტომაც მეორედა რკინის სატევრებში, მაგრამ ცალკეული ეგზემპლარები ურეკის რკინის ლინზისებრი განივკვეთიანი სატევრებისა (ტაბ. XII₈₈₄₋₈₈) მიუთითებს ამ სახეობის ბრინჯაოსა და რკინის სატევრების თანადროულობაზე და ამ შემთხვევაშიც რკინის ეგზემპლარების ბრინჯაოს ცალებიდან მომდინარეობაზე. ამას მოწმობს ამ ნაირსახეობის ბრინჯაოსა და რკინის სატევრების თანაარსებობა ერთსა და იმავე კომპლექსში, მაგალითად, ურეკის № 2 სამარხში (ტაბ. XIX). აგრეთვე ბრინჯაოს ორივე ქვეტიპის თანაარსებობა იგივე ნიგეზიანის № 1 და № 2 სამარხ-ორმოებში (ტაბ. XLI; XLIX).

მართალია, ურეკის № 10 სამარხის კომპლექსი (იხ. ტაბ. XX), სადაც პირველი ქვეტიპის ერთ-ერთი სატევარია დამოწმებული, შეიძლება სხვა კომპლექსებზე ძველი იყოს, მაგრამ იგივე ურეკის № 2 სამარხში (ტაბ. XIX) ამ სახეობის ბრინჯაოს სატევრის ანალოგიური ფორმის რკინის სატევართან ერთად აღმოჩენა, ასეთივე ვითარება ნიგეზიანის № 1 სამარხში (ტაბ. XLI), სადაც გვაქვს კერამიკა, რომელიც ძვ. წ. VII ს. დასასრულზე ადრეული არ უნდა იყოს, აგრეთვე ნიგეზიანის სამარხის საკულტო მოედანზე იგივე ბრინჯაოს სატევრების რკინის აკინაკებთან, რკინის სახნისებთან და სხვა შედარებით „ახალგაზრდა“ ინვენტართან ერთად არსებობა უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ამ ნაირსახეობის სატევრები რკინის ანალოგიურ იარაღთან ერთად ძვ. წ. VI ს. დასაწყისშიც იყო გამოყენებული.

ანალოგიურ სატევრის პირებს ვხვდებით პალურის საძვლვზე, სადაც ისინი ძვ. წ. VII—VI სს-თა დათარიღებული [1, გვ. 105], მაგრამ ის კომპლექსი (1, ტაბ. XI), რომელშიც ორი გლუვპირიანი სატევარია შეიძლება ძვ. წ. VII ს. არ გადმოსცდეს. ასეთივე ერთადერთი სატევარია დამოწმებული წითელი შუქურას № 102 სამარხში ისეთ გარემოცვაში (4, გვ. 148, ტაბ. XX₆), რომლის დამთარიღებლადაც თვით ეს სატევარი უნდა მივიჩნიოთ საყრდენად. ამიტომ ეს სამარხი შეიძლება მოთავსდეს იმ ზოგადი თარიღის (ძვ. წ. IX — VI სს.) ფარგლებში, რომელსაც იძლევა გამთხრელი წითელი შუქურას სამარხის უძველესი სამარხებისათვის (4 გვ. 268).

კოლხეთის სამაროვნებიდან ანალოგიური ბრინჯაოს სატევარი მეორე ქვეტიპის ბრინჯაოს სატევართან და სხვა ბრინჯაოს ნივთებთან (სოლისებრყუიანი კოლხური ცულები, სეგმენტები, თოხი, რკინის სატევარი) ერთად აღმოჩნდა აგრეთვე მუხურჩის სამაროვანზე ქვედა დასაკრძალ მოედანზე, რომელსაც ავტორები ძვ. წ. VIII ს. დასაწყისით ან IX ს. დასასრულით ათარიღებენ [3, გვ. 64, ტაბ. VI_{4,10}].

ანალოგიური სატევარი დადასტურებულია გორაძირის № 4 ორმო-სამარხში მკვეთრქელიან სატევრის პირებთან და ისეთ კრამიკასთან ერთად, რომელიც ძვ. წ. VII ს. არ უნდა გადმოსცდეს [25, ტაბ. XI—XV]. გამთხრელები ამ სამარხს ძვ. წ. VIII ს. დასასრულით ათარილებენ [25 გვ. 21].

მეჩვენება, რომ ჭერჭერობით ძნელია კოლხური მასალის ასე დიფერენცირებულად დათარილება, მით უმეტეს რკინის ნივთის შემცველი მასალისა. ძნელია კოლხურ მასალაში მოიძებნოს ისეთი რკინის ნივთი, რომელიც შეიძლება დაბეჭითებით ძვ. წ. IX ს. მივაკუნთოთ, მით უფრო მის დასაწყისს ან დასასრულს. მაგრამ, სავსებით დასაშვებია, რომ ბრინჯაოს სატევრის განხილული ნაირსახეობა უფრო ადრეულ საუკუნეებშიც ყოფილიყო გავრცელებული. თავისი შედარებით პრიმიტიული მცირედ დიფერენცირებული ფორმით და საერთო ჰაბიტუსით ისინი შეიძლება უკავშირდებოდნენ კოლხურ ფოთლისებერ სატევრების ადრეულ ნიმუშებს.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური სახეობის ბრინჯაოს სამი სატევარი დამოწმებულია თეფე სილაკში B სამაროვანზე [65 ტაბ. XXI₈₉₂]. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კოლხეთის ადრერკინის ხანის თითქმის ყველა სამაროვანზეა ბრინჯაოს სატევრის განხილული ნაირსახეობა დადასტურებული, განსაკუთრებით მრავლად კი ნიგვზიანის, ერგეტისა და ურეკის სამაროვნებზე, აგრეთვე იმას, რომ ეს ფორმა თავის გამეორებას პოულობს კოლხეთის რკინის სატევრებშიც, ბრინჯაოს სატევრების აღნიშნული ნაირსახეობა სპეციფიკურ კოლხურ იარაღად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო სპეციფიკურია მეორე, ურეკის ბრინჯაოს სატევრების მეორე ქვეტიპი ერთი და ორმწკრივი ლარქედებით შემკული, მკვეთრად რომბისებური, ან ასევე შემადლებული ოღონდ მომარგვალბულგანნიკვეთიანი სატევრები (ტაბ. XXI₇₈₈, XXIV₈₄₂). ამ ტიპის ზოგი სატევრის პირი (მაგალითად, ეშერის ოსუარიუმისა, გორაძირის სამარხებისა, მუხურჩის ქვედა დასაყრძალი მოედნისა) წერილი და წვეტიანი სატარე ყუნწითა და შედარებით ზერელე ლარქედებით გამოირჩევა [7, ტაბ. XV₄; 25 ტაბ. XV, XXIV; 3; ტაბ. VI₉].

ურეკისა და ნიგვზიანის ეგზემპლიარები, ისევე როგორც პალურის საძვლეს გამოქვეყნებული ცალი [1, ტაბ. X₇₈₈] და ეშერის მეორე სატევარი [7, გვ. 156 შმდ. ტაბ. XV₃]. ბრტყელყუნწიანია, ყუნწზე ან ერთი ნახვრეტით (შდრ. ტაბ. XXI₇₈₈) ან ყუნწის ძირას ორი ნახვრეტით, როგორც ურეკის ცალზე (შდრ. ტაბ. XXIV₈₄₂) და პალურის სატევარზეა.

აღწერილი ფორმა სატევრის პირებისა შედარებით ნაკლებად გავრცელებული ჩანს სხვაგან [იშვითაია ისინი ყობანშიც (იხ. 59, გვ. 27, ტაბ. XIII₃)] და როგორც პირველი ქვეტიპის სატევრები, ესეც ადგილობრივი, კოლხური იარაღის სახესხვაობა უნდა იყოს¹³. ამ სახეობის სატევრის პირების ფორმა, ზედაპირის დამუშავება ოპტიმალური აღმოჩნდა და ფართო გავრცელება ჰპოვა რკინის სატევრებში, რომლებიც განსაკუთრებით მრავლად ურეკის სამაროვანზეა დადასტურებული.

საინტერესოა, რომ ბ. კუფტინი, რომელსაც არ ჰქონდა ხელთ ანალოგიური რკინის სატევრები, აღნიშნავდა გასაოცარ მსგავსებას ბრინჯაოს აღწერილი

¹³ მართალია, ზოგი ნიშნით ეს სატევრები ემსგავსებიან თლის სამაროვნის V და VI ტიპის სატევრებს (36; გვ. 100, სურ. 85, გვ. 102, სურ. 86, 26, ტაბ. 38₁, 47₁, 48₁, დაბ. შ.), მაგრამ სრული თანხედრად მონაც არა გააქვს. უფრო ახლოა ეს ქვეტიპი ყუნწიან სატევრებთან გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის № 4 სამარხიდან ბეშთაშენის მახლობლად (28, გვ. 72, სურ. 77₄).

ქვეტიპის სატევრებსა და რკინის სატევრებს შორის, რომლებიც ახალ დრო-შიც იხმარებოდა საქართველოში [7, გვ. 158, 159].

სრულებით განცალკევებით დგას ბრინჯაოს მთლიანადსხმული სატევარი (ტაბ. XII₅₄₀), რომელიც № 3 სამარხ-ორმოში აღმოჩნდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ერთადერთი ბრინჯაოს სატევარია ამ სამარხეულ კომპლექსში, რომელიც რკინის სატევრების განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა. ამ სატევრის ანალოგია თლის სამაროვანზე აღმოჩენილი სატევარი, რომელიც გამომცემლის მიერ გაერთიანებულია სატევრების IX ტიპის VII ვარიანტში [36, გვ. 107, სურ. 89, 1].

თლის სატევარს გამომცემელი ათარილებს ძვ. წ. XII—X სს მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ იგი მაღალი ხარისხის ბრინჯაოსგანაა დამზადებული [36, გვ. 107]. თუ აღნიშნული სატევრის დასათარიღებლად სხვა დასაყრდენი არ არსებობს, ურეკის აღმოჩენის შემდეგ ეს თარიღი ვალდასაინჯი იქნება. ამის საკებობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა მას შემდეგ, რაც 1982 წ. ამ ტიპის სატევარი აღმოჩნდა ერგეტის №1 სამაროვნის № 6 სამარხ-ორმოში რამდენიმე ასეულ ნივთთან ერთად, რომელთა მიხედვით აღნიშნული სამარხის თარიღი, წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ძვ. წ. VII ს. დასასრულზე ადრეული არ შეიძლება იყოს. საგულისხმოა, რომ აღწერილ სატევრებთან ახლოს დგას ხაშურის მუზეუმში დაცული მთლიანადსხმული ბრინჯაოს სატევარი (20 30/177).

ამრიგად, ზემოაღწერილი სახეობის მთლიანადსხმული ფიგურულტარია-ნი ბრინჯაოს სატევარი ჭერჭერობით 4 ცალი გეაქვს. აქედან ორი კოლხეთშია დადასტურებული ურეკსა და ერგეტაში, ხოლო ორი იმ რეგიონებიდან მომდინარეობს, სადაც განსაკუთრებით ძლიერია კოლხური კულტურის გავლენა. ეს კი თავისთავად ნიშანდობლივი გარემოებაა.

რ კ ი ნ ი ს ს ა ტ ე ვ რ ე ბ ი

რკინის სატევრები, როგორც აღვნიშნეთ, ორ ჩვეუდად უნდა გაიყოს. სატევრები, რომლებიც კოლხურ სამყაროს ეკუთვნიან და გენეტიურად ბრინჯაოს ვანხილულ სატევრებს უკავშირდებიან და სატევრები, რომლებიც სკივთური სამყაროსათვისაა დამახასიათებელი.

ურეკის რკინის სატევრებში რამდენიმე ნაირსახეობაა გასარჩევი. პირველ ტიპს შეადგენენ რკინის კოლხური სატევრები, რომლებიც ბრინჯაოს პროტოტიპებიდან მომდინარეობენ და, რომლებიც ბრინჯაოს პროტოტიპების მსგავსად ორი ქვეტიპით არიან წარმოდგენილი: ლინზურგანივეკეთიანი უუნწიანი სატევრები (ტაბ. XII₄₈₄₋₄₈₅) და სატევრები შუაში გრძივი ერთი ან ორმწკრივი ლარქედებით, მკვეთრად რომბისებრი ან მომრგვალებული განივეკეთით (ტაბ. V₄₁₀, XII_{547, 550, 551, 552, 553, 554, 555, 557}).

მეორე ტიპია სწორპირიანი ვიწრო და გრძელი სატევრები შუაში მაღალი მომრგვალებული ქედით და სწორკუთხა სატარეთი, რომელსაც ერთი ან ორი სამანკველე აქვს (ტაბ. XII_{549, 551, 552, 554, 555, 557}). ერთ-ერთ ეგზემპლარს შედარებით მოკლე პირი აქვს და არაპროპორციულად გრძელი პირისაკენ შეფერხებული სატარე (ტაბ. XII₅₅₈).

მესამე ტიპია ბრინჯაოსტარიანი რკინის სატევარი, რომელსაც მხოლოდ ბრინჯაოს ფიგურული ტარი და რკინის პირის ნაშთი შემორჩა (ტაბ. XXX₁₀₃₂).

მეოთხე ტიპი რკინის სატევრისა (ტაბ. XXVII₉₈) ბრინჯაოსტარიანი რკინის სატევრების ჩვეულებრივ მსგავსებას და მისგანაც მხოლოდ ტარის თავია შემორჩენილი.

კოლხეთის ადრეკინის ხანის სამაროვნებიდან I ტიპის რკინის ყუნწიანი სატევრები აღმოჩნდა პალურის სამაროვანზე [1, ტაბ. XII₂₂₁, 241, 251, 253], მეორე ქვეტიპი, მაღალი მომრგვალებული ქედით, წითელი შუქურას სამაროვნის ადრეულ სამარხებში [4, ტაბ. XX₉₋₆]. ეგზემპლიარები, რომლებიც უფრო პირველი ქვეტიპისაავენ იხრებიან წითელი შუქურას № 43 და 63 სამარხებში [4, ტაბ. X₈, XII₁₂]. წითელი შუქურას ზოგი რკინის სატევარი (სამ. 43, 63) იარაღის ისეთივე ინტელაქშია (ბრინჯაოს კოლხური ცულები, რკინის მასრადგახსნილი შუბისპირეტი, რკინის დანები) მოქცეული, როგორც ურეის № 3 სამარხ-ორმოში გვაქვს. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ წითელი შუქურას № 43 და 63 სამარხეული კომპლექსები, ისევე როგორც რიგი მონაცემებით ურეის № 3 სამარხ-ორმო ძე. წ. VII საუკუნეზე უფრო გვიან ხანას არ შეიძლება ეკუთვნოდეს და რომ რკინის სატევრები ხმარებაში შემოდის კოლხეთში ძე. წ. VII ს-ში მაინც.

რკინის სატევარი, როგორც ჩანს, პირველი ქვეტიპის შესაბამისი, აღმოჩნდა გორაძირის სამაროვანზე № 4 ორმო-სამარხში, რომლის დათარიღების დროს ავტორები ძე. წ. VIII ს. დასასრულისაავენ იხრებიან (25, გვ. 15, 21, 55 ტაბ., XXIV₂₂₇). რკინის სატევარი, გამოქვეყნებული სურათის მიხედვით გაურკვეველი სახეობისა დადასტურე ბულია აგრეთვე მუხურჩის სამაროვნის ქვედა დასაქრძალ მოედანზე, რომელსაც ავტორები, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ ძე. წ. VIII და IX სს. დასასრულთაც დათარიღებენ [3, გვ. 64, ტაბ 7 VI₉]. რამდენად დასაშვებია აქედანდ აგრეთვე დეტალიზაცია დათარიღებაში ძნელი სათქმელია, მაგრამ საერთო სურათის მიხედვით აშკარაა, რომ რკინის ფოთლისებრი ყუნწიანი სატევრები კოლხეთში უკვე VII ს იჩენენ თავს. ამას ნათლად გვიდასტურებს, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ურეის №3 სამარხ-ორ მოს კომპლექსი. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ რკინის ყუნწიანი სატევრები აღმოსავლეთ საქართველოს სამაროვნებზე ძე. წ. VIII—VII სს. და VII—VI სს. დათარიღებულ კომპლექსებში გვხვდება [53, ტაბ. 83—88; 54, გვ. 10. 16, ტაბ. XIV₄₀, 50]. ჩვენს სატევრებს საერთო ჰაბიტუსით უახლოვდება სიალკის B ნეკროპოლის № 52, 62 74, 15 სამარხების რკინის სატევრები [65, ტაბ. XVIII₇₁₆; XXI₈₉₂; XXV₉₁₈].

გარკვეულ სიახლოვეს პოულობენ ჩვენი სატევრის პირები კარმირბლურის რკინის სატევრებთანაც [58, სურ. 18].

შედარებით იშვიათია მეორე ტიპის სატევრები, მათ კოლხეთის გამოქვეყნებულ მასალაში პირდაპირი ანალოგია არ მოეპოვებათ. არ არის მსგავსი სატევრები არც ნიგვიზიანის სამაროვანზე.

რაც შეეხება რკინის სატევრების მესამე ტიპს, ის ბრინჯაოს ფიგურულტარიანი ეგზემპლარია (ტაბ. XXX₁₀₃₂), რომელსაც რკინის პირის მცირე ნაშთი შეეძრჩა. მას აღმოაჩნდა ზუსტი და ამავე დროს სრულად დაცული ანალოგია პალურის სამაროვანზე [1, ტაბ. XII₃₇₈].

მეოთხე ტიპი რკინის სატევრისა ასევე ბრინჯაოსტარიანი ეგზემპლარია. სატევრადან შენორჩენილია მხოლოდ ბრინჯაოს ზარისებრი ტარისთავი (ტაბ. XXVII₂₈₈). ამ ტარის თავის მიხედვით მისი სატევრის პირი განეკუთვნება ყუნწიანი რკინის სატევრების ე. წ. სევენისპირულ ტიპს, რომელიც ურარტული ხანის სომხეთის მრავალ ძეგლზეა (ანი-პეშა, ტოლორსი, მაკარაშენი და სხვ.) დადასტურებული [80, გვ. 206, სურ. 80, ტაბ. XIV₉; 81, გვ. 22—23 სურ. 5]. ჩვენი ცალიქსრულად იმეორებს მაკარაშენის № 3 სამარხის სატევრის ტარის თავს [80, გვ. 206, სურ. 80]. ანალოგიური სატევრები დამოწმებულია თრიალეთშიც, ურარტული ხანით დათარიღებულ ბეშთაშენისა და წინაწყაროს სა-

შარონებზე. ბ. კუფტინი მათ მიიჩნევდა სევანის ზეგანისათვის დამახასიათებელ ბრინჯაოს სატევრების დერივატებად [28, გვ. 56—58, სურ. 54—55.]

საგულისხმოა, რომ ამ ტიპის სატევრების გავრცელების უკიდურესი ჩრდილოეთ საზღვრად თრიალეთი ითვლებოდა [80, გვ. 206]. ურეკის აღმოჩენამ ეს საზღვარი უფრო შორს გადასწია ჩრდილო-დასავლეთით და სხვასთან ერთად გაზარდა საფუძველი ვარაუდისათვის, ყოველ შემთხვევაში, ადრეკინის ხანაში, არმენია-კოლხეთის უშუალო ურთიერთობის შესაძლებლობის შესახებ.

ბრინჯაოსტარიანი რკინის სატევრები და მახელები აღმოსავლეთ საქართველოში (სამთავრო, თრიალეთი) ცნობილია ძვ. წ. IX—VIII სს. კომპლექსებიდან [28, გვ. 56—57, სურ. 54—55]. ამ ტიპის იარაღი დამოწმებულია ჩრდილო-კავკასიაშიც [50, ტაბ. VII₁, VIII₄, XXV₄₋₅; 107 გვ.] და ყველა რეგიონში ასახავს ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის თანაარსებობისა და პირველის მეორეი შეცვლის პერიოდს [50, გვ. 201]. სამწუხაროდ, უცნობია ჩვენი სატევრები რომელი კომპლექსების შემადგენელი ნაწილი იყო,

ა კ ი ნ ა კ ე ბ ი

ცალკე უნდა შევეხოთ ურეკის სამაროვნის ორ აკინაკს. ერთი მათგანი მოლიანადაა დაკული და № 1 სამარხში აღმოჩნდა (ტაბ. XIX₁₂₀), ხოლო მეორე დანგრეული სამარხების ნაყარდანაა აღებული და ნაკლულია; შემორჩენილია ტარი და პირის ზედა მცირე ნაწილი (ტაბ. XXX₁₀₄₄).

საქართველოში აღმოჩენილ იმ იარაღზე, რომელსაც ჩვეულებრივ სკვითურ სამყაროს აკუთნებენ, ამ ბოლო ხანებში რამდენიმე სპეციალური ნაშრომი დაიწერა [67, 27, 68, 69]. კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის თანაშრომელმა რ. პაპუაშვილმა, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა აღნიშნული ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი სკვითური აკინაკები და ისრისპირები, ურეკისა და ნიგეზიანის აკინაკები ე. მელიუკოვას კლასიფიკაციის პირველი განყოფილების პირველ ორ ტიპს [შდრ. 70 გვ. 47—51, ტაბ. XV—XVI] მიაკუთვნა: თირმლისებრვადიან, ტარგამოყვანილ, ტარზე ძელაკიუმბრთაიან აკინაკებს (ტაბ. XXX₁₀₄₄) და პეპლისებრვადიან მასიურ ტარიან აკინაკებს, რომელთაც ტარზე ასევე ძელაკისებრ თავი აქვთ (ტაბ. XIX₁₂₀). მაგრამ როგორც ურეკის, ისე ნიგეზიანის აკინაკები იმდენად დეფორმირებულია, რომ ვადიან ფორმის გარჩევა ძალიან ჭირს. ამიტომ მათი ამგვარი კლასიფიკაცია რამდენადმე პირობითია. თუმცა აშკარაა, რომ ისინი პირველი განყოფილების ან პირველ ან მეორე ტიპს ეკუთვნიან.

კოლხეთის სამაროვნებიდან აკინაკები დამოწმებულია ნიგეზიანის სამაროვნზე (7 ცალი), აქედან ვადა სამს აქვს შემორჩენილი და ისინი უფრო პეპლისებრვადიანებს გვანან (ტაბ. XLVIII_{1275, 1282; 1280}), ერგეტის № 3 სამაროვნის № 1 სამარხში სამი ცალი, სამივე მეორე ტიპისაა, პალურის სამაროვნიდან გამოჭედილია სამი ცალი (თითო-თითო № 46, 48 და 64 სამარხებში) [2, გვ. 37. 39 ტაბ. VI] სამივე მეორე ტიპისაა, გუადიხუს სამაროვნზე ერთი ცალი (სამ. №8) [4, გვ. 28, ტაბ. II₁₂]. ერთი აკინაკი ასევე მეორე ტიპისა აღმოჩნდა სოფ. კოლხიდაში (გაგრის რაიონი) [5, გვ. 193 შკლ. სურ. 20]. ასეთივე სატევარი შემთხვევით აღმოჩნდა სოხუმის მთაზეც [5, გვ. 196].

განსაკუთრებით მრავლად აკინაკები დამოწმებულია ბრილის სამაროვნზე ბრილის მარტო ერთ კოლექტიურ სამარხში აღმოჩნდა 12 აკინაკი [95, გვ. 99], ე. ი. თითქმის იმდენი რაც დანარჩენი კოლხეთის სამაროვნებზე ერთად. ეს გარემოება უნდა აიხსნას ზემო რაქია მდებარეობის თავისებურებებით და უნდა უთი-

თებდეს იმ გზებზე, საიდანაც ვრცელდებოდა აღნიშნული იარაღი კოლხეთში. ამიტომ, ნაკლებ სარწმუნო ჩანს აზრი ამ იარაღის კოლხეთის გზით წინააზიიდან სკვითურ სამყაროში გავრცელების შესახებ.

ამაზე უნდა მიუთითებდეს ქრონოლოგიური მონაცემებიც. კოლხეთის კომპლექსები, რომლებშიც აკინაკებია დამოწმებული, არ ჩანან აკინაკების სკვითურ სამყაროში გაჩენის ხანაზე უფრო ადრეული.

როგორც ცნობილია, პირველი განყოფილების აკინაკების პირველი და მეორე ტიპებს, ე. ი. იმ აკინაკებს, რომელთა ჭკუფს ურეკის, ნიგვზიანისა და საერთოდ კოლხეთში მოპოვებული აკინაკები განეკუთვნებიან, ჩრდილოეთ-კავკასიაში შავიზღვისპირეთში, დნეპრისა და დონის მხარეში, ტრანსილვანიაში, უზგრეთში, ერთი სიტყვით ყველგან, სადაც განსაკუთრებით ბევრია მოპოვებული სკვითური სიძველეები, აგრეთვე დარიოსის სამარხისა და პერსეპოლისის რელიეფების მიხედვით ძირითადად ძვ. წ. VI—V სს. მიკუთვნებენ [იხ. 70, გვ. 47—51; 71 გვ. 46, 50, 53, ტაბ. XXIV₃₀, XXI₁, XXI₂₁; 72 გვ. 27 სურ. 16] იმ მცირე გამონაკლისის გარდა, როგორცაა კარმირ-ბლურის მახვილი, რომელსაც ძვ. წ. VII ს. დასასრულითა და VI ს. დასაწყისით ათარილებენ და რომელიც განსხვავდება გაბატონებული ტიპებისაგან [იხ. 70, გვ. 47; 73, გვ. 177]¹⁴

აღსანიშნავია, რომ პალურის № 46 სამარხში აკინაკი დამოწმებულია რკინის კირკალთან, რკინის მშვილდსაკინძთან ერთად, რის გამოც ამ კომპლექსს მართებულად ძვ. წ. VI ს. ათარილებენ [2, გვ. 37]. საქმე ის არის, რომ ძვ. წ. VI ს. პირველი ნახევრის კომპლექსებში ჭერ კიდევ გაბატონებულია ბრინჯაოს სამკაული (კირკალები, მშვილდსაკინძები), ასე რომ, რკინის ანალოგიური ნივთები არ შეიძლება წინ უსწრებდნენ ბრინჯაოს პროტოტიპებს. ეს გარემოება კარგად დასტურდება იმავე პალურის სამაროვნის № 43 სამარხის კომპლექსითაც, სადაც აკინაკთან ერთად რკინისა და ბრინჯაოს ხატის უღლები თანაარსებობენ [2, გვ. 38]. ამ თვალსაზრისით სანიტერესოა გუაღიხუს სამაროვნის № 8 სამარხის კომპლექსიც. იქ რკინის აკინაკთან ერთად დამოწმებულია რკინის კოლხური ცული, ხელადა, გიშრისა და თვალადი მძივები, ბრინჯაოს ბეჭედი და სამაჭური, რკინის შუბისპირები, ბრინჯაოს ბალთები-სკულპტურები, ე. ი. ნივთები, რომლებიც განსაკუთრებით დამახასიათებელია ძვ. წ. VI ს. დასაწყისის კომპლექსებისათვის. იგივე ითქმის ნიგვზიანის № 12 სამარხ-ორმოზე, სადაც აკინაკებთან ერთად დადასტურებულია ბრინჯაოს ნივთები, მაგრამ რკინის ისეთი იარაღებიც (მახვილი, სატევარი, სახნისები, ცული, ნამგლები, დანები, თოხები) და ისეთი კერამიკა (ყურმილიანი ხელადა, კოლხური სასმისი), რომლებიც გაბატონებული ჩანან ძვ. წ. VI ს. დასაწყისიდან, ხოლო ხსენებული ბრინჯაოს ნივთები (სატევარი, სკვითური სამფთარიანი ღეზიანი ისრისპირი, სეგმენტი, ტანსაცმლის ატრიბუტები და სამკაული) ასევე სპეციფიკურია ძვ. წ. VI ს. კომპლექსებისათვის. რაც შეეხება ერგეტის № 3 სამაროვნის № 1 ორმო-სამარხს, სადაც მხოლოდ რკინის ნივთებს ვხვდებით, მათ შორის სამკაულსაც, ის აშკარად გამოხატული ძვ. წ. VI ს. კომპლექსია. საგულისხმოა ისიც, რომ ურეკის № 1 სამარხის აკინაკი რკინის თოხთან ერთად ერთ კომპლექსს შეადგენს.

¹⁴ მიჩნეულია რომ აკინაკები ჩნდებიან წინასკვითურ პერიოდში ძვ. წ. VIII ს-ში შინც და ასეთი ადრეული აკინაკების რაცხეს მიეკუთვნებიან ბრინჯაოსტარანი აკინაკები [იხ. 27, გვ. 57—58, ტაბ. 47], ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ რიგი ავტორების მიხედვით ადრესკვითურ პერიოდს, ე. ი. ძვ. წ. VII—VI სს. წინ უსწრებს სკვითური კულტურის უფრო ადრეული პერიოდი [იხ. 66, გვ. 56].

ურეკის სამაროვანზე დაკრძალულთა შეიარაღების ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია ისრისპირები, რომლებიც მასალთაგან განსხვავდებიან ერთი მეორისაგან და ტიპოლოგიურადაც გვაქვს რკინის და ბრინჯაოს ისრისპირები. ბრინჯაოს ისრისპირები ორ ტიპოლოგიურ ჯგუფს შეადგენენ: ყუნწიანი, ვრძელფრთიანი, ფრთებგამოყვანილი ისრისპირები და ეწ. სკვითური ისრისპირები.

ს კ ვ ი თ უ რ ი ი ს რ ი ს პ ი რ ე ბ ი სულ 3 ცალია ურეკის სამაროვანზე; ერთი საკულტო მოედანზე აღმოჩნდა, ერთი № 3 სამარხ-ორბოში, ხოლო ერთიც სამარხებს გარეთ. ტიპოლოგიურად ისინი ა. მელოტოვასთან წარმოდგენილი კლასიფიკაციის მიხედვით ორ ჯგუფს შეადგენენ: № 3 სამარხ-ორბოს და სამარხების გარეთ აღმოჩენილი ისრისპირები, ოვალური ორფრთიანი ისრისპირებია (ტაბ. XII₅₇₃, XXVII₉₂) და შესაბამისად ეკუთვნიან I განყოფილების II ტიპის I უღებო და II ღებოან ვარიანტებს [70 გვ. 18 შდრ. სურ. 1]. № 3 სამარხი-ორბოს ისრისპირი განსაკუთრებულ სიახლოვეს ამქვანებს თეიმბაინში აღმოჩენილ ორფრთიან ისრისპირებთან [58, გვ. 86, სურ. 55]. საკულტო მოედანზე აღმოჩენილი ისრისპირი (ტაბ. V₄₁₅), მართალია, დაზიანებულია, მაგრამ, როგორც ჩანს, შესაბამება იმავე განყოფილების V ტიპის ისრისპირებს 70, გვ. 28 სურ. 1].

ორივე ტიპის ისრისპირები პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფის ისრისპირებია რომლებსაც ძვ. წ. VII ს. დასასრულითა და VI ს. დასაწყისით ათარიღებენ [70 გვ. 16 — 18]. სკვითური ისრისპირები პირველი განყოფილების მეორე ტიპის მეორე ვარიანტისა, დადასტურებულია ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვანებზე: 20 ცალი (15 ბრინჯაოსი და 5 რკინისა) კულანჯახას სამაროვანზე, 1 ცალი წითელი შუქურას სამაროვანზე [5, გვ. 132-134 ტაბ. V; 4 გვ. 181]. აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კულანჯახას სამაროვანის 20 ისრისპირიდან 19 აღმოჩნდა № 5 სამარხში და ერთი № 10 სამარხში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ ერგეტაშიც (1 განყოფილების II ტიპის მეორე ვარიანტი) და ნიგეზინშიც (სამფრთიანი) მხოლოდ თითო ისრისპირია დამოწმებული. ეს სრულიად აშკარად უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ სკვითური ისრისპირები არ ეკუთვნის კოლხეთის სამაროვანების ინვენტარის სპეციფიკურ, ალტიმბელ ნაწილს და სამარხეულ ინვენტარში მათ უფრო შემთხვევითი ხასიათი აქვთ.

ასეთივე ვითარებაა თლის სამაროვანზედაც, სადაც მხოლოდ 1 სკვითური ისრისპირია დამოწმებულია [27, გვ. 52 სურ. 237]. ამ ვითარების ახსნა იმით, რომ მთის მოსახლეობა მშვილდისაარს არ ხმარობდა [27, გვ. 51] ბათილდება კოლხეთის ბარის მონაცემებით. იგივე უნდა ითქვას, აქინაკებზეც. კოლხეთის სამაროვანებზე მოპოვებული მასალის მიხედვით ისინი კოლხების შეიარაღების უმნიშვნელო ნაწილს შეადგენენ. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ ბრილის ზემოხსენებული მავალითის მოტანა არ გამოდგება, რადგან ბრილში უნიკალური შემთხვევა გვაქვს ერთ სამარხში რაოდენობის მხრივ აქინაკების ჩატანებისა. საქმე ის არის, რომ ადრესკვითურ ხანაში აქინათებს თვით სკვითურ სამყაროშიც კი მხოლოდ სამეფო და მდიდარი მეომრების ყორღანებში ვხვდებით და ისიც თითო ცალს [70, გვ. 46].

ამრიგად, რაკი ე. წ. სკვითურ ინვენტარს კოლხეთის არქეოლოგიურ მასალაში არარეგულარული ხასიათი აქვს, არა გვეგონია გამართლებული იყოს ამ

ენენტარზე დაყრდნობით კოლხეთში სკვითური ელემენტის არსებობაზე მსჯელობდა. ის სურათი, რაც ჩვენ სომხეთის ურარტულ ძეგლებზე გვაქვს [74, გვ. 240—241] კოლხეთში დამოწმებული არ არის. უპირველეს ყოვლისა, კოლხეთში არ არის წარმოდგენილი სკვითური კულტურა არც მთლიანობაში, ე. ი. ის, რასაც სკვითურ ტრიადას უწოდებენ (შეიარაღება, ცხენის აღკაზმულობა, სკვითური ცხოველსახოვანი სტილის ნივთები და არც ყველა ელემენტი ცალ-ცალკე. დამოწმებულია მხოლოდ იარაღი, ე. ი. ნივთიერი კულტურის ყველაზე გავრცელებული ნაწილი, ისიც შედარებით მცირე ოდენობით და აბარეგულარულად და, რაც მთავარია, ისეთ კონტექსტში, რომელიც სავსებით გამორიცხავს სკვითური ელემენტის არსებობას. მაგალითად, ურეკის სამაროვანზე აკინაკი წარმოდგენილი იყო კომპლექსში (№ 1 სამარხი) მხოლოდ რკინის თოხთან ერთად, ე. ი. წმინდა კოლხურ სამიწაოქმედო იარაღთან, რომელიც უცნობი და უცხოა სკვითური კულტურისათვის.

ნიგეზიანის სამაროვანზე შეიდივე აკინაკი აღმოჩნდა № 12 სამარხში, წმინდა კოლხური ნივთების (რკინის თოხები, რკინის სახნისები, რკინის კოლხური ცულები, რკინის ნამგალი, რკინის დანები, ბრინჯაოს სეგმენტისებრი იარაღი, ყურმილიანი ხელადა, კოლხური სასმისი და სხვ.) გარემოცვაში (იხ. ტაბ. XLVII—XLIX), რომელიც არ შეიძლება უცხო ეთნიკურ ელემენტს ასახავდეს და ბოლოს, თვით დაკრძალვის წესი, დიამეტრიულად განსხვავებულია სკვითური ეთნოსისათვის დამახასიათებელი დაკრძალვის წესისაგან.

ყ უ ნ წ ი ა ნ ი ის რ ი ს პ ი რ ე ბ ი

ყუნწიანი სამკუთხა ისრისპირები ურეკის სამაროვანზე გვაქვს როგორც ბრინჯაოსი, ისე რკინისა.

ბრინჯაოს ყუნწიანი სამკუთხა ისრისპირები ურეკეში სულ ორი ცალი აღმოჩნდა: № 3 სამარხ-ორმოში მთლიანად დატული (ტაბ. XII₅₇₂), სამარხების ნაყარში—ყუნწუწატიხილი (ტაბ. XX₁₈₃₄), მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ისრისპირები მართებულად არის მიჩნეული აღმოსავლეთ საქართველოსა და საერთოდ, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ფართოდ გავრცელებული ბრინჯაოს, ყუნწიანი ისრისპირების [28, გვ. 56 სურ. 52—85] დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელ ვარიანტად [28, გვ. 56; 75 გვ. 120], კოლხეთში ისინი ჭერჭერობით არც ისე ბევრია აღმოჩენილი. გარდა აღნიშნულისა, გამოქვეყნებული მასალის მიხედვით 1 ცალი ასეთი ისრისპირი დამოწმებულია პალურში [1 გვ. 108, ტაბ. XIV₂₇], ქერთიც ბანოჯაში ძვ.კ II კერამიკასთან ერთად [29, გვ. 53], გორაძირის სამაროვანზე შედარებით მოკლეყუნწიანი და მოკლე ფრთებიანი ცალია (25, გვ. 16, ტაბ. III, XXIV) და დაბლაგომის ცნობილი ისრისპირი, რომლის სრულ ანალოგიას წარმოადგენს ურეკის ისრისპირები და რომელიც გახდა საფუძველი ამ ტიპის ისრისპირების კოლხური ვარიანტის გამოყოფისა [28, გვ. 56 სურ. 85; 75, გვ. 17, 114, 118, სურ. 5 ტაბ. XI₆].

კოლხური ვარიანტი ყუნწიანი სამკუთხა ისრისპირებისა აღმოსავლეთ-ამიერკავკასიურისაგან განსხვავდება ფორმის სიმარტივეთა და ნაკლებ დიფერენცირებული ხასიათით, მათ არა აქვთ შუაში თავიდან ბოლომდე გამჭოლი ქედი, რომლის გამო ხშირად ისრისპირებს მკვეთრად რომბული განიკვეთი აქვთ და არც ყუნწის ზედა გაფართოებული ნაწილი რკალური წიბოთი [28, გვ. 56. სურ. 52, 53, 85].

ბრინჯაოს ყუნწიანი სამკუთხა ისრისპირები ფართოდაა გავრცელებული არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მცირე აზიასა და ეგეოსურ სამყაროში და მათ ქრონოლოგიურ დიაპაზონს დიდ საზღვრებში აქცევენ ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ძვ. წ. VIII ს-მდე. [76, გვ. 146—147]. საგულისხმოა, რომ ანატოლიაში ანალო გიური ისრისპირები ვაცილებით ადრე გვხვდება, ალაქაუ-იუკის ერთ-ერთ რელიეფზე, რომელიც ძვ. წ. XIV-XIII სს-ით თარიღდება, ურეკის ისრისპირის მსგავსი ისრისპირია გამოსახული [127, გვ. 105. სურ. 37]. ბოლასკოში ასეთივე ისრისპირებს ზოგადად შუაბრინჯაოს ხანით ათარიღებენ [127, გვ. 106—107, ტაბ. XX-IX₈₈₁].

აღმოსავლეთ საქართველოში ამ ტიპის ისრისპირები გვხვდება როგორც ძვ. წ. XIII—XII ს. ს. კომპლექსებში, ისე მომდევნო ხანისაში, ძვ. წ. VIII—VII სს. კომპლექსების ჩათვლით (53, ტაბ. 1), მაგრამ ამ ისრისპირების გრძელყუნწიანი, სიმეტრიული ფრთებგამოყვანილი ვარიანტები, რომელთაც განსაკუთრებით უახლოვდება ურეკის ცალები, დამოწმებულია სამთავროს № 121 ორმო-სამარხში, ე. ი. ძვ. წ. VIII ს. და VII ს. პირველი ნახევრით დათარიღებულ კომპლექსში [33, გვ. 368—369. ტაბ. XIV₆].

საგულისხმოა, რომ სამთავროს № 121 სამარხის კომპლექსი რიგი ნივთებით (ყუნწიანი ისრისპირები, კოლხური ცული, რკინის ყუნწიანი ისრისპირი, რკინის დუგმა, სარდიონის სფერული და ცრემლისებრი მძივები) [33, ტაბ. XIV], ემთხვევა ურეკის № 3 სამარხ-ორმოს წამყვან ნივთებს.

ჩვენი ისრისპირები საქართველოს გარეთ გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებენ სომხეთში არტიკის სამარხის ისრისპირებთან [78, გვ. 58 სურ. 7]. ამ ტიპის ისრისპირებს ამსგავსებენ აგრეთვე ისრისპირებს იტალიის ტერამურებთან [75, გვ. 118], მაგრამ ტერამურების ისრისპირები რამდენიმე განსხვავდებიან ურეკის ისრისპირებისაგან და მათ ლეგბოსის ისრისპირების ანალოგიით, თერმის უკანასკნელ ფაზას (ძვ. წ. 1200 წ.) აკუთვნებენ (იხ. 108, გვ. 161, ტაბ. 55₆, 7).

ყუნწიან ისრისპირებს ოთხ ქვეტიპად ჰყოფენ და მიიჩნევენ ეგვიპტიდან ან ანატოლიიდან მომდინარედ, თუმცა არ გამორიცხავენ ეგვიპტისა და ანატოლიის ისრისპირების ერთი მეორისაგან დამოუკიდებელ წარმოშობას [76, გვ. 141]. საგულისხმოა, რომ ბ. კუფტინი ყუნწიან კოლხურ ისრისპირებს, სუბმიკენური რკალისებრი ფიბულის მსგავსად, მიიჩნევდა ხმელთაშუაზღვისპირეთისათვის დამახასიათებელი პროტოქტიის კოლხურ ასიმილირებულ ფორმად, რომელიც მისი აზრით, უშუალოდ წინ უსწრებდა სკვითურ ისრისპირებს [75, გვ. 118, 120]. მაგრამ კოლხური ვარიანტები ამ ყუნწიანი ისრისპირებისა, როგორც ურეკის მასალიდან ირკვევა, რამდენიმე გვიანაც გვხვდება. ისინი ურეკის № 3 სამარხ-ორმოში სხვა მასალაზე რომ არაფერი ეთქვამ (შდრ. ტაბ. X-XVIII), ერთადაა დამოწმებული, ერთ კომპლექსში სკვითურ ოვალურ ფრთებიან ისრისპირებთან და რკინის ყუნწიან ისრისპირებთან (იხ. კატალოგი, ტაბ. XII), რომელთაგან ეს უკანასკნელი ტაპალოგიურად აშკარად ბრინჯაოს ყუნწიან ისრისპირებზე არიან დამოკიდებულნი.

რკინის ყუნწიანი ისრისპირები ურეკის სამაროვანზე სულ 5 ცალი აღმოჩნდა, ხუთივე № 3 სამარხ-ორმოში (ტაბ. XII_{578-579; 578-881}). სამ ისრისპირს ფორმა სრულად აქვს შენარჩუნებული, ორი დეფორმირებულია, მაგრამ ფორმის გარჩევა ძნელი არ არის; ხუთივე ყუნწიანი, სამკუთხა, ფრთებგამოყვანილი ისრისპირია და, როგორც აღვნიშნეთ, სრულად იმეორებენ ბრინჯაოს ყუნწიან ისრისპირებს.

რკინისყუნწიანი ისრისპირები, ადრერკინის ხანის გამოქვეყნებული მალის მიხედვით, კოლხეთში ფართოდ არ იყო გავრცელებული. ისინი არ აღმოჩნდა არც პალურის, არც ნიგვზიანის, არც სოხუმის მთის და არც ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთის (გუაღიხუს, წითელი შუქურას, კულანურხვას) სხვა სამაროვნებზე. არ ჩანს ისინი მუხურჩისა და გორაძირის სამაროვნებზეც. ამას შეიძლება არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს მოცემული ხანის კოლხეთის მხედრიონის ხასიათის გასარკვევად. აშკარაა, რომ შვილდისარს კოლხეთში არ უნდა ჰქონოდა ისეთი ფართო გამოყენება, როგორც ცულს, სატევარს, შუბს.

ანალოგიური რკინის ისრისპირები დამოწმებულია სამთავროს სამაროვანზე ადრეული რკინის ხანიდან რკინის ფართო ათვისების ხანაზე გარდამავალი ეტაპის სამარხეულ კომპლექსებში (№211 ორმო-სამარხი), ე. ი. მათი გაჩენა სავარაუდოა ძვ. წ. X ს. დასაწყისისათვის მაინც [33, გვ. 350, 363, ტაბ. V₂]. ისინი ბუნებრივია, ავრძელებენ თავის არსებობას უფრო გვიანაც და გვხვდებიან ძვ. წ. VIII ს. და VII-ს პირველი ნახევრით დათარიღებულ კომპლექსებში [№ 121, 174 ორმო-სამარხები, იხ. 33, გვ. 368, შტრ. ტაბ. XIV და XIII₁; 53, ტაბ. I₈₃, II₁₅]. ურეკის რკინისყუნწიანი ისრისპირები მსგავსად სამთავროს № 174 და № 121 სამარხეული კომპლექსებისა [33, ტაბ. XIII₁ და XIV₁] თანაარსებობენ თავის ბრინჯაოს პროტოტიპებთან ერთად.

რკინის შუბისპირები

რკინის შუბისპირები ურეკის სამაროვანზე რამდენიმე სამარხში აღმოჩნდა (ტაბ. VI₁₄₉; VIII₁₀₀; XII₈₀₀₋₈₇₁; XXVII₉₄₀₋₉₄₂ XXIX₀₈₂₋₉₀₀). ყველა შუბისპირი ძლიერ დეფორმირებულია და მათი დეტალური ტიპოლოგიური კლასიფიკაცია ჭირს. საერთო ტიპოლოგიური თავისებურება, რომლის გარჩევაც შესაძლებელია, ის არის, რომ ყველა შუბისპირი მასრაგახსნილია, გრძელმასრიანია, ქედიანი და ვანიკვეთში მომრგვალებულ ან მეტ-ნაკლებად მკვეთრობულ შემადგენელს იძლევა. ზოგადად ანალოგიური შუბისპირები კოლხეთში შედარებით ფართოდ ჩანს გავრცელებული. მოცემულ ხანაში ჩვენ მათ ვხვდებით ნიგვზიანის, პალურის, მერხელის, კულანურხვას, გუაღიხუს, წითელი შუქურას, სოხუმის მთის სამაროვნებზე [1, გვ. 107, ტაბ. XIII₁₀₆; 2, გვ. 48; 5, გვ. 131, 132, ტაბ. VI₁₂₋₁₃; 4 გვ. 62—65, 184—185, ტაბ. 11₁₋₃; 7, 10. სტრ. III₂₋₄; 62, ტაბ. IX₇₋₉; 17-18].

რკინის შუბისპირები ფართოდ არის გავრცელებული აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში (28, ტაბ. XVI, XXXV; 27, გვ. 59—61; 57, გვ. 20, ტაბ. 1; 80, გვ. 270; 81, გვ. 224 შმდ. სტრ. 149; 58, გვ. 39, სტრ. 21] და ჩრდილო კავკასიაში [50, გვ. 282. ტაბ. XII_{9,8-7}]. იმის გამო, რომ ისინი უფრო ხშირად სკვითური კულტურისათვის დამახასიათებელ ნივთებთან ერთად გვხვდება, მათ სკვითური პერიოდით ათარიღებენ (50, გვ. 283).

აღსანიშნავია, რომ ურეკის № 3 სამარხ-ორმოში, რკინის მასრაგახსნილ შუბისპირებთან ერთად სკვითური ოვალურ ფრთებიანი ისრისპირია დამოწმებული. აღმოსავლეთ საქართველოში რკინის მასრაგახსნილი შუბისპირები თავს იჩენენ კომპლექსებში (სამთავროს №51 ორმო-სამარხი), რომელსაც ძვ. წ. XI—X სს. ათარიღებენ [53, I₁₇₁; 33, გვ. 350], თუმც ისინი გვაქვს ძვ. წ. VIII—VII და უშუალოდ მომდევნო ხანით დათარიღების კომპლექსებშიც [33, ტაბ. XIII₁; 28 გვ. 48, სტრ. 48].

სომხეთშიც მასრაგახსნილ შუბისპირებს რკინის ხანის მეორე პერიოდს (ძვ. წ. VII-VI სს.) აკუთვნებენ [80, გვ. 270—271], თუმცა როგვანაირად (არტიკიდან, რედკინოს ბანაიდან, ნორატუსიდან და სხვ) დათარიღებულა ძვ. წ. X — IX სს. [81, გვ. 234—235]. თუ გამოვალთ კოლხეთის იმ კომპლექსების თავისებურებებიდან, რომლებშიც მასრაგახსნილი შუბისპირები აღმოჩნდა, ამ კომპლექსების დათარიღება ძვ. წ. VII ს. წინაჲე ხანით გაკირდება. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ რკინის მასრაგახსნილი შუბისპირები თლის სამაროვანზე დამოწმებულია ძვ. წ. VII—VI სს. კომპლექსებში ისეთი ნივთების (კოლხური ცული, რკალისებრი ფიბულები, აკინაკები, პეპლისებრი ბალთები, რკინის ცულები, ბრინჯაოს პინეტები და ხატისულლები) გარემოცვაში [27, სურ. 2, 5, 10, 14, 19], როგორც მაგალითად, ურეკის № 3 სამარხი-ორმოსათვის არის დამახასიათებელი.

პ ა რ პ უ ნ ე ბ ი

პარპუნები (ბარჩები) ურეკის სამაროვნის ინვენტარში თავისი თავისებურებით მკვეთრად გამოირჩევა. ურეკში ადრეც იყო დამოწმებული ბრინჯაოს პარპუნი, რომელსაც მოიხსენიებენ როგორც მცირე ისარს [82, გვ. 48 ტაბ. XXXIV]. ურეკის სამაროვანზე 4 წყვილ ფრთიანი ბრინჯაოს პარპუნი აღმოჩნდა, ოთხივე №3 სამარხ-ორმოში. ოთხივე პარპუნი ერთი ტიპისაა და განსხვავდება ერთმანეთისაგან მხოლოდ ფრთების ზედა წყვილის გამოყვანილობით (ტაბ. XII⁵²⁷⁻⁵³⁰). აღნიშნული პარპუნები მიუთითებენ ურეკის მოსახლეობის შინამრეწველობის კიდევ ერთ თავისებურებაზე.

უ მ ბ ო ნ ე ბ ი

ურეკის სამაროვანზე დამოწმებული უმბონები კოლხების შეიარაღების განუყოფელი ნაწილია. უმბონები დამზადებულია ბრინჯაოს ფურცლებისაგან. მათ ნახევარსფერული ფორმა აქვთ და სწორად გაშლილი მინდვრები, რომლებიც ზოგ ეგზემპლარზე წერტილოვანი ორნამენტით არის შემკული. ურეკის სამაროვანზე სულ 10 უმბონი აღმოჩნდა; ექვსი № 3 სამარხ-ორმოში (ტაბ. XII⁵³³⁻⁵³⁷), ორი—ძლიერ ფრაგმენტირებული დანგრეული სამარხების ნაყარში (ტაბ. XXX¹⁰³³), და ორიც — ასევე ძლიერ ფრაგმენტირებული— № 1 სამარხ-ორმოში.

უმბონებიანი ფარები გავრცელებული იყო ძველ სამყაროში. ურეკის უმბონების ზოგადად თანადროულ უმბონებს ვხვდებით ურარტულ ძეგლებზე. ბრინჯაოს ფურცლებისაგან დამზადებული უმბონები წნული ფარებისა აღმოჩნდა კარმირ-ბლურის № 28 სათავსოში. ეს უმბონები, დამზადების პრინციპების მიხედვით ისეთივეა როგორც ურეკისა, მაგრამ განსხვავდება ფორმით — ისინი მკვეთრად კონუსური ფორმისანი არიან და შუაში აზიდულ კონუსს არა აქვს მინდვრები. ზოგადი ქრონოლოგიური თანხედრის თვალსაზრისით საინტერესოა, რომ თეიშეზაინის ხუთ უმბონზე არის წარწერები არაგიშტი მენუას ძისა (ძვ. წ. 786—764 წწ.) და სარდური არგიშტის ძის (ძვ. წ. 764—735 წწ.) სახელებისა [84, გვ. 39].

საგულისხმოა, რომ ორ, უშუალოდ მომიჯნავე ქვეყანაში, ერთსა და იმავე ხანაში ხმარებაში იყო კონსტრუქციულად იდენტური, მაგრამ ფორმალურად მკვეთრად განსხვავებული ფარები, რომლებიც თითოეული ამ ქვეყნის მატერიალური კულტურის თავისებურებებს ასახავდნენ.

ლაგმის საყბეური

საყბეური ბრინჯაოს ურმის ბორბლის მაგვარი, ოთხი სამკუთხედით სიმეტრიულად დაფანჯრული¹⁵. (ტაბ. XI_{ფა}). ამგვარი საყბეურები კოლხეთის მასალაში არ ჩანს. იგი გარკვეულ მსგავსებას ამეღავენებს ქვემო სასირეთის ლაგმის საყბეურებთან, რომელსაც ძვ. წ. XIII—XII სს. ათარიღებენ. [53, ტაბ. 1₁₁₇]. ტიპობრივად მსგავსი ლაგმის საყბეურები დამოწმებულია ლქაშენის და არტიკის ძვ. წ. XIII—XII სს. კომპლექსებში [78, გვ. 134, ტაბ. XXX₃], თუმც მათი შუაგული სხვაგვარადაა დამუშავებული. გარკვეულ მსგავსებას ამეღავენებს ურეკის საყბეური უფრო გვიან, ალავერდისა და სეფანის რაიონებიდან მომდინარე ბორბლისებრ საყბეურებთან [80, გვ. 228, სურ. 88₁₂₂]. მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ ურეკის საყბეური ვაცილებით ახლოს დგას უფრო ადრეულ, უკვე ხსენებულ ქვემო სასირეთისა და ტელე-ელ-ამარნას ლაგმის საყბეურებთან [შდრ. 80, გვ. 225, 228, სურ. 88₁₁₈]. როგორც ჩანს, ამ ტიპის ლაგმის საყბეური კოლხეთში უფრო გვიან ხანამდელა შემორჩენილი.

სალესი ქვები

სალესი ქვები უკანასკნელი ელემენტია ურეკის სამაროვანზე დაკრძალულ მამაკაცთა კუთვნილი ინვენტარისა. ძვ. წ. VII ს-დან ისინი მიჩნეულია მამაკაცთა სამარხების, განსაკუთრებით აკნაკიანი სამარხების, აუცილებელ ატრიბუტებად ჩრილიო-კაგკასიაში [50, გვ. 204]. კოლხეთის სამაროვანებზე სალესი ქვები გვხვდება ნიგვზიანში, ერგეტის სამივე სამაროვანზე, მუხურჩაში ქვედა დასაკრძალ მოედანზე, გულიბუსა და წითელი შუქურას, მერხეულის სამაროვანებზე [3, ტაბ. VI₃, VIII₉₋₁₁. 4 გვ. 55, 168].

როგორც ფიქრობენ სალესი ქვები გაჩნდა გვიანბრინჯაოს ხანაში, ხოლო განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა ადრერკინის ხანაში. აღსანიშნავია, რომ თლის სამაროვანზეც სალესი ქვები ძვ. წ. VII—VI სს. კომპლექსებშია დამოწმებული [27, გვ. 63].

ურეკის სალესი ქვები სხვადასხვა ფორმისაა და სხვადასხვა ჩიშის ქვისაგანაა დამზადებული. ყველა მათგანი ვახვრეტელია ზედა ნაწილში, ქამარზე ჩამოსაიკიდებლად (შდრ. ტაბ. V₄₃₄₋₄₃₆; VIII₄₀₂; X₆₉₈₋₆₉₉; XX₇₆₇; XXVI₈₂₀). ერთ-ერთს შემორჩენილი აქვს რკინის ღერო, რომლითაც სალეს ქვას იკიდებდნენ ქამარზე (ტაბ. VIII₄₀₂). ოვალურგანიცვეთიანი კიდევებომრგვალებული სალესები ნაცრისფერი (რიყის) ქვისაგანაა დამზადებული, ბრტყელი წროკუთხა სალესები კი უფრო ხშირად შავი ფერის ქვისგან. იმის გამო, რომ სალესებს იშვიათად ეტყობათ ლესვის კვალი, ფიქრობენ, რომ ისინი სალესებად კი არ იხმარებოდნენ არამედ საკულტო ნივთებად [85, გვ. 142].

¹⁵ ფიქრობენ, რომ დაფანჯრული სამკუთხედებით შედგენილი ინდაზი-დამახასიათებელია ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და პირველი ათასწლეულის დასაწყისის ამიერკავკასიური მასალისათვის [83, გვ. 142]. ეს შართებული დაკვირვება და მისი ილუსტრირება შეიძლება განსაკუთრებით აღმ. საქართველოს ბრინჯაოს ნივთებით (სატყვევები, მახვილები; ბალთები), მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ამ ტიპის ინდაზი დამახასიათებელია წინააზიური მასალისათვის და, მაინცდამაინც ლაგმის საყბეურებისათვის. აქვე აღსანიშნავია, რომ რუთხის № 2 ქვაყუთის № 3. სამარხში აღმოჩნდა ბალთა ასევე დამუშავებული კრილი სამკუთხედებით, რომელსაც სარდური მეორის წარწერაზე ურარტულ ბალთებს ამგავსებენ [91, გვ. 17, სურ. 35. შდრ. 97, ტაბ. 56].

ტანსაცმელთან და ტუალეტთან დაკავშირებული ნივთები

ტუალეტის ატრიბუტები არსებითად ჩქიფებითაა წარმოდგენილი. რაც შეეხება ტანსაცმელთან დაკავშირებულ საგნებს, ისინი ვაცილებით მრავალფეროვანია. საერთო თავისებურება ამ რიგის საგნებისა ის არის, რომ ისინი, განსხვავებით საბრძოლო იარაღისაგან, ხოლო კიდევ უფრო მეტად საწარმოო იარაღისა და კერამიკისაგან, სცილდებიან მარტოოდენ კოლხური კულტურის ფარგლებს და ამჟღავნებენ ბევრ საერთოს ასეთივე საგნებთან, რომლებიც ვაცილებით დიდ არეალებზე არიან გავრცელებული. ეს მიუთითებს არა იმ გარეშე გავლენებზე, რომლისგანაც არც ერთი ლოკალური კულტურა არ არის დაზღვეული, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმაზე, რომ მოცემულ ხანაში კოლხეთი ინტენსიურადაა ჩაბმული იმდროინდელი კულტურული სამყაროს მიმოქცევისა და გემოვნების სფეროში. მიუხედავად ამისა, განსახილველი ნივთების გარკვეულ ნაწილს მაინც ეტყობა კოლხური შემოქმედების კვალი და ეს, უპირველესად ყოვლისა, ტანსაცმლის ატრიბუტებს შეეხება.

მ შ ვ ი ლ დ ს ა კ ი ნ ძ ე ბ ი

ურეკის სამაროვანზე მშვილდსაკინძები არის როგორც ბრინჯაოსი, ისე რკინისა. ამასთან №3 სამარხ-ორმოში ბრინჯაოს ფიბულებთან ერთად თანაარსებობს რკინის მშვილდსაკინძები: სამი ეგზემპლარი ბრინჯაოსია და ამდენივე რკინისა. ურეკის მშვილდსაკინძები შემდეგი თავისებურებების მიხედვით შეიძლება დაჯგუფდეს: მარტივი, რკალური მშვილდსაკინძები, რომელთაც მიმღები ან ჭერ არა აქვთ გაფართოებული, ან კიდევ გაფართოებული აქვთ (ტაბ. XXVII₂₄₈₋₂₄₉) დაწახნაგებული ღეროსაგან დამზადებული მარტივი რკალური მშვილდსაკინძი (ტაბ. XIII₈₇₈) და წურბელის ფორმის, ზამბარასთან და მიმღებთან წრიულად შესქელებული მშვილდსაკინძი (ტაბ. XIII₈₇₈), რომლის ნაირსახეობა არის შედარებით დიდი ზომის ბრინჯაოს ფირფიტისაგან დამზადებული მშვილსაკინძი (ტაბ. XIII₈₇₇).

ყველა ეს ფიბულა მორფოლოგიურად და ორნამენტაციით (ნაძვისებრი ან-დაზი) მიიღობს სუბნიკენურ ფიბულებისაკენ და, ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, დროთა ვითარებაში არ განიცდის ცვლილებებს, როგორც ეს მოსდით ძვ. წ. VIII ს. შემდგომ სუბნიკენური ტიპის მშვილდსაკინძებს [39, გვ. 310—317].

პირველი ტიპის მრგვალღეროიანი მშვილდსაკინძი, თავისი სიმარტივის გამო, ალბათ ყველაზე ადრეული ფორმაა ამ ნივთისა. ასეთი მშვილდსაკინძი დამოწმებულია ნიგეზიანის სამაროვანზე, რომლის ცალები შემაკულია სპეციფიკური წიწვოვანი ორნამენტით (ტაბ. XLI), მუხურჩის სამაროვნის ქვედა მოედანსა და გორაძირის სამაროვანზე, კულანურხვას № 3 სამარხში, სადაც ისევე, როგორც ჩვენს შემთხვევაში, ბრინჯაოს ორი მრგვალღეროიანი ფიბულა თანაარსებობს რკინის მსგავს მშვილდსაკინძებთან, წითელი შუქურას სამაროვანზე, თლის სამაროვანზე, რომლის მშვილდსაკინძით ფორმითა და ორნამენტით განსაკუთრებით უახლოვდება ნიგეზიანის მშვილდსაკინძებს, სოფ. ბანისხევში, თრიალეთში, მარალინ-ღერესის სამაროვანზე, სამთავროში № 591 ბაიერნისეულ სამარხში, ეს უკანასკნელიც, მსგავსად ნიგეზიანისა და თლის ანალოგიური ცალებისა, შემაკულია წიწვოვანი ორნამენტით, ყაზბეგის განძში და ა. შ. [3, ტაბ. VIII₉; 25, ტაბ. XXVI₂₄₈; 5, გვ. 150 ტაბ. IV₃₋₄; 4, ტაბ.

XXV; 36, გვ. 142, სურ. 103₁₋₈; 39, გვ. 318 სურ. 14₁; 2მ, ტკ. 52, სურ. 50₂; 53, ტაბ. 1₁₀₀; 87, ტაბ. XVI₃).

ამ ტიპის მშვილდსაქინძის დაწახნაგებული ვარიანტი შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული. ანალოგიური ფიბულა აღმოჩნდა წითელი შუქურას № 4 სამარხში [4, ტაბ. VI₄]. ამ ტიპის ფიბულას თავის დროზე ა. უვაროვა აერთიანებდა უბრალო რკალისებრი ფიბულების ჯგუფში [59, გვ. 54].

მშვილდსაქინძების შემდეგ ჯგუფში პ. უვაროვა ათავსებდა ფიბულებს, რომელთაც ჰქონდათ რკალის შუაგული მკვეთრად შესქელებული, ხოლო ზამბარასთან და მიმღებთან წრიულად შესქელებული სარტყელები [59, გვ. 54, ტაბ. XXXII₆₋₇], ე. ი. ისეთ მშვილდსაქინძებს, როგორც ჩენი III ტიპია (ტაბ. XIII 676) და მისი ნაირსახეობა (ტაბ. XIII 677). ამ ტიპის ფიბულები დამოწმებულია წითელი შუქურას №62 სამარხში, აგრეთვე ეშერაში [4, ტაბ. XII; 39, გვ. 316, სურ. 14]. ამ ფიბულის ზოგ ელემენტს (მშვილდის შესქელებულ სარტყელს ზამბარასთან და მიმღებთან, მიმღების გაფართოებას) ითვსებენ ლეროდაწახნაგებული მშვილდსაქინძებიც [36, გვ. 26; სურ. 5₈; გვ. 35, სურ. 14₁₀].

როგორც დავინახეთ, აღწერილი მშვილდსაქინძები მიჩნეულია ძვ. წ. XII — X სს. ე. წ. სუბმიკენური ფიბულებიდან მომდინარედ¹⁶. საგულისხმოა, რომ პოსტხეტურ სამყაროში არ ჩანან ამ ტიპის მშვილდსაქინძები, მიუხედავად იმისა, რომ აქ ძვ. წ. VIII ს. მეორე ნახევრიდან საყოველთაოდ გავრცელებული ფრიგიული ფიბულების წარმოშობას ეგეოსურ ფიბულებს უკავშირებენ [127, გვ. 46—47].

საქართველოში ამ ტიპის ფიბულები გვხვდება, ყოველ შემთხვევაში, უკვე ძვ. წ. XI — X სს. კომპლექსებში [53, ტაბ. 1, 160: 36, გვ. 142 — 147], გვაქვს IX—VII სს. დათარიღებულ კარგულ [2მ, გვ. 52], განსაკუთრებით მრავალ კი და, ამასთან, კილხურ და კულტურულად მასთან კავშირში მყოფ სფეროში ძვ. წ. VII — VI სს. კომპლექსებში [ურეკი, ნიგვზიანი, კულანურხე, გუადიხუ, წითელი შუქურა, თლი, იხ. 5 გვ. 150—152; 4 ტაბ. XXV₁₋₈; 27 გვ. 69—82—85].

ძვ. წ. VII—VI სს. კომპლექსებში იჩენს თავს რკალისებრი ფიბულა ბრინჯაოს კოლხურ აბზინდებთან ერთად სომხეთის ძეგლებზეც ლალვარში, ბეინში, ახტალაში, სადაც ისინი ჩრდილოკავკასიურ იმპულსების გამოვლენადაა მიჩნეული [80 გვ. 276], მაშინ როდესაც იქნებ არ იყოს გამოსარიცხი მათი კოლხეთიდან წარმომავლობა.

ურეკის სამაროვანზე გარდა ბრინჯაოს მშვილდსაქინძებისა დამოწმებულია რკინის ფიბულებიც. ყველაზე კარგად დატულოია №3 სამარხ-ორმოში ბრინჯაოს რკალისებრი ფიბულებთან ერთად არსებული რკინის მშვილდსაქინძები (ტაბ. XIII₈₇₈₋₈₈₁). ისინი რკინის მრგვალგანიჯვეთიანი ლეროსაგანაა დამზადებული და მორფოლოგიურად უკავშირდება ბრინჯაოს ზემოაღწერილ მარტივ, მრგვალღეროვან, რკალურ მშვილდსაქინძებს.

მოკემული ხანიდან რკინის მშვილდსაქინძები თანდათან ჩნდებიან კოლხეთის სამაროვნებზე. ისინი გაცილებით ნაკლებია ბრინჯაოს მშვილდსაქინძებ-

¹⁶ ზოგიერთი ავტორი უარყოფს ამ ფიბულების წარმომავლობას სუბმიკენურისაგან და ადგილობრივ შემუშავებულ წითელ მოჩრევეს [36, გვ. 146—147]. მაგრამ მოსაზრება, რომ აღნიშნული მშვილდსაქინძების ჩამოყალიბება ადგილობრივ მოხდა, სამტკიეებელია. ზოგ ავტორს ეს ფიბულები მიაჩნია XIII—XII სს. იტალიური თალური ფიბულების შინაბაძებად [173, გვ. 59].

თან შედარებით. რკინის მშვილდსაყინძი ჩვენი ფიბულის ანალოგიური, აღმოჩნდა კულანურხვას და წითელი შუქურას სამაროვნებზე, თლის № 106, 130, 246 კომპლექსებში [5, გვ. 150, ტაბ. IV, 2—3, V, 4; 4, გვ. 184, ტაბ. VIII 5—9; 27, სურ. 7₁₅, 10₁₂, 18₁]. ყველა დასახელებული რკინის მშვილდსაყინძიანი კომპლექსი ძვ. წ. VII — VI სს. უადრესი არ არის. სამთავროს სამაროვნზე რკინის მშვილდსაყინძი გვხვდება № 174 ორმო-სამარხში, რომელიც ძვ. წ. VIII ს. დასასრულთა და VII ს. დასაწყისითაა დათარიღებული [33, გვ. 368—369, ტაბ. VIII₁].

რაც შეეხება № 31 სამარხის რკინის მშვილდსაყინძს (ტაბ. XXIII, 813) ის ამოვარდნილია საერთო ანსამბლიდან და მკვეთრად განსხვავდება ზემოაღწერილ ფიბულებსაგან. თუ ეს აღნიშნული ფიბულის ძლიერი დეფორმაციის შედეგი არ არის, მაშინ იგი უფრო გვიანი ფიბულებისააქნებ მიიღტვის.

ქ ი ნ ძ ი ს თ ა ვ ე ბ ი

ბრინჯაოს ქინძისთავეები ურეკის სამაროვნზე სულ 2 ცალი აღმოჩნდა, ორივე № 3 სამარხ-ორმოში და ორივე ერთი მეორისაგან მკვეთრად განსხვავებული ტიპისა.

ერთი მათგანი (ტაბ. XIII₀₈₈) მრგვალგანივევითან ღეროს წარმოადგენს. რომელსაც ნახევარსფერული თავი აქვს და თავქვეშ ღეროს რელიეფური სარტყელები შემოუყვება; თავი ზემოდან დაკენჭნილია. ახლო ანალოგია კოლხეთის სამაროვნების ინვენტარში მას არ მოუპოვება. შედარებით მეტი საერთო (თავის მოყვანილობა, თავქვეშ რელიეფური სარტყელები). უჩანს მას გორაკში აღმოჩენილ ქინძისთავეთან [25, ტაბ. XVI₂₈]. გენეტურად შესაძლოა ერთგვარი კავშირი არსებობდეს აღმოსავლეთ საქართველოს სფერულთავეთან, ცალკეულ შემთხვევებში, თავქვეშ რელიეფური სარტყელების მქონე საყინძებთან, რომლებიც ზოგადად გვიანბრინჯაოს ხანას და მის აღრეულ ეტაპებს განეკუთვნებიან [28, გვ. 73, სურ. 80, გვ. 89, 90, ტაბ. 1₃].

მეორე ქინძისთავეი (ტაბ. XX₇₈₂) მრგვალგანივევითან წვეტისაქნებ მკვეთრად დაწვრილებულ ღეროს წარმოადგენს, რომელიც ზედა ნაწილში გახვრეტილია და აქვს წაგრძელებული, კონუსის მოყვანილობის თავი. ამ ქინძისთავესაც კოლხურ მასალაში უშუალო ანალოგია არ მოუპოვება.

ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ს ა რ ტ ყ ე ლ ი

ბრინჯაოს ფურცლისაგან დამზადებული სარტყელი ურეკის სამაროვნზე ერთადერთი ეგზემპლარითაა წარმოდგენილი, ის აღმოჩნდა №10 სამარხში (ტაბ. XX, 752). სარტყელი წერტილებისაგან შედგენილი ხაზების სამი რიგითაა შემკული. ასეთი სადა შემკულობის სარტყელები გვხვდება კომპლექსებში, რომელთაც ძვ. წ. XII—XI სს. ათარიღებენ [36, გვ. 127, სურ. 97₅]. მაგრამ გვაქვს ძვ. წ. VII—VI სს. კომპლექსებშიც [27, 68, ტაბ. 84₁₈] და, როგორც ვხედავთ არა მარტო კოლხეთში, ბრინჯაოს ფურცლოვანი სარტყელები დღემდე დასაველეთ საქართველოს სამაროვნებიდან მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში იყო დამოწმებული და ისიც არა ყველა სამაროვნზე: კულანურხვას №1 სამარხში [5, ტაბ. 1₄] და წითელი შუქურას № 31, 41, 58, 62, 64, 65, 68, 91 და 104 სამარხებში (4 გვ. 198).

1982 წელს ერგეტის № 1 სამაროვნის № 5 სამარხ-ორმოში აღმოჩნდა ფურ-
ცლოვანი ბრინჯაოს მდიდრულად გრავირებული სარტყელი, რომლის მხო-
ლოდ მცირე ნაწილების შენარჩუნება მოხერხდა. ჩრდილო-დასავლეთი კოლხე-
თის სარტყლები (მათ შორის ეშერის სარტყელიც) განსხვავებით ურეკის სარტ-
ყლისაგან, აღქურვილია აბზინდებით, რომელთაც ცხოველსახოვანი (ცხვრის)
სკულპტურები აშშვენებს [7, გვ. 168, ტაბ. XVI, 4 გვ. 198, ტაბ. XXVI], ჩვენ
სარტყელსაც თლის სამაროვნის სარტყლების მსგავსად [27, სურ. 95—98],
როგორც ჩანს, ჰქონდა კოლხური, აბზინდა, რომელიც მასთან ერთად აღმოჩნდა
№ 10 სამარხში (იხ. ტაბ. XX, 754) და რომელიც ზომებით თანხვედება სარტყელს.

ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ა ბ ზ ი ნ დ ე ბ ი

ფურცლოვანი სარტყლების განუყოფელი ნაწილია ბრინჯაოს აბზინდე-
ბი. ამ ტიპის აბზინდებს ზოგი ავტორი მიიჩნევს ყობანის კულტურის მკვეთ-
რად გამოხატულ ატრიბუტებად, ან ტიპურ ყობანურ ნივთებად [50, გვ. 103;
91, 73, 17.]. ასეთი განსაზღვრა სამართლიანად შეგვეძლო მიგვეჩინა, ვიდრე
ცნობილი იყო მარტოოდენ ყობანის აბზინდები და თითოთოროლა ამიერკავკა-
სიური ცალი, მაგრამ კოლხეთში, აღნიშნული აბზინდების აღმოჩენებმა, ამ
აბზინდების მრავალფეროვნებამ და სიმრავლემ, ყოველწლიურად მათი რი-
ცხეის ზრდამ, შესაძლოა სხვა კუთხით დააყენოს მათი წარმომავლობის სა-
კითხი.

მართალია, კოლხეთში ეს აბზინდები ჯერ ჯერობით, არსებითად მხოლოდ
ძვ. წ. VII—VI სს. კომპლექსებში გვხვდება, ხოლო ცენტრალური კავკასიუ-
რი აბზინდები კი დღეისათვის მიღებული დათარიღებით უფრო ადრეულში, მაგ-
რამ რაკი რკინის ნივთების უქონლობის გარდა არ არსებობს სხვა უფრო მყარი
საფუძველი აბზინდიანი კომპლექსების ძვ. წ. X—IX საუკუნეებისადმი მიკუთ-
ვნებისათვის, იქნებ არ იყოს გამოსარიცხი შესაძლებლობა ამგვარი დათარიღე-
ბის ვაცასინჯვისა. აღსანიშნავია, რომ საცხებიტ მართებულად მიუთითებდა
კრუპნოვი, რომ სამარხებში რკინის ნივთების უქონლობა, სრულებითაც არ არის
ამ სამარხების ადრეული თარიღის მაჩვენებელი [50, გვ. 115].

ზორფოლოგიური თავისებურებების მიხედვით ურეკის აბზინდებში შეიძლე-
ბა სამი ჭკუფი გამოიყოს: პირველ ჭკუფში უნდა გაერთიანდნენ სწორკუთხა აბ-
ზინდები. (ტაბ. VI 458—459; XIII, 647, 650—652, 656, XXVII, 959), მეორე-
ში — წელშეზნეკილი, წინიდან ორმხრივ ჩაღრმავებული აბზინდები (ტაბ. XIII,
653 — 655; XX, 754, XXI, 786; შდრ. 27, გვ. 68 — 69), მესამეში მკვეთრად
წელშეზნეკილი აბზინდები, რომლებიც ფრთავაშლილ ფრინველს მოგვაგონებენ
(ტაბ. XIII, 649); ასეთი მხოლოდ ერთი აბზინდა გვაქვს.

აღნიშნული აბზინდებიდან გრავირებულია მხოლოდ 4. სამი — რომელიც
ორნამენტით და ერთი ზიგზაგებით. არათუ ურეკის მთელ სამაროვანზე, არა-
მედ მხოლოდ № 3 სამარხ-ორმოში თანაარსებობენ სხვადასხვა ზომის აბზინ-
დები: 4 სმ-დან 11 სმ-მდე. ამიტომ დაკვირვება, რომ მცირე ზომის აბზინდე-
ბი უფრო ადრეულია [შდრ. 36, გვ. 140], კოლხეთის მასალაზე არ შეიძლება
გავრცელდეს.

კოლხეთში (და საერთოდ) განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული
პირველი ორი ტიპის აბზინდები. ურეკში, გარდა ჩვენი სამაროვნისა, დადასტუ-
რებულია განძის შემადგენლობაშიც, აგრეთვე ნიგეზიანის (ტაბ. XI), ერგეტის,
მუხურჩის, პალურის, წითელი შუქტრას სამაროვნებზე [82, გვ. 46, სურ. 9ა;

3, ტაბ. VIII₃; 2, ტაბ. VI₁₅; 1, გვ. III, ტაბ. XVII₆₀₇₋₆₅₇; 4, გვ. 198—200]. სამივე ტიპის აბზინდა დამოწმებულია ყობანში, თუმცა ივრძნობა სწორკუთხა აბზინდების სიპარზე [59, გვ. 39—50, ტაბ. XIV—XXI]. მეორე ტიპის აბზინდები აღმოჩნდა სომხეთშიც ძვ. წ. VII—VI სს. ძეგლებზე. ფიქრობდნენ, რომ ეს შედგგია სომხეთსა და ჩრდილო კავკასიის უშუალო ურთიერთობისა [იხ. 80, გვ. 276 შმდ. სურ. 109, ტაბ. XXXVI—I₉₋₁₆], მაგრამ არ უნდა იყოს გამოსარიცხი ვარაუდი, რომ ამ აბზინდებმა უშუალოდ კოლხეთიდან შეადწინეს სომხეთში: ამაზევე უნდა მიუთითებდეს აგრეთვე კოლხური ცულის აღმოჩენის ფაქტი ლენინაკანის ნამოსახლარზე [81, გვ. 21—22], ხოლო ურეკის სამაროვანზე ზემოთ განხილული ე. წ. სევანისპირული სატევარისა.

პირველი ტიპის აბზინდები დამოწმებულია სამოსის ჰერაიონში [111, ტაბ. 82, 403, 155], რაც თავისთავად საგულისხმო ფაქტია, მაგრამ, როგორც კვემთ იქნება ნაჩვენები, მას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ფაქტების წყების შემადგენელ ნაწილს.

ცალკე განსახილველი საკითხია ბრინჯაოს აბზინდების გამოსახულებათა შესრულების მანერა, თემატიკა და სემანტიკა, მაგრამ რაკი ურეკისა და ნიგეზიანის აბზინდებზე, მხოლოდ გეომეტრიული ორნამენტი გვაქვს და ჩვენს მიერ მიკვლეულ მასალაში ასეთი გამოსახულებანი ერგეტის სამაროვანთა ბალთებზეა დამოწმებული ამ საკითხს მათი განხილვის დროს შევეხებით.

დ უ გ მ ე ბ ი

თავისი დანიშნულებით დუგმები აბზინდებს უახლოედებიან. მათი ერთი ნაირსახეობათაგანია № 43 სამარხის, ერთადერთი ნივთი — ცხოველსახეობანი მამალი დუგმა, რომელიც ბრინჯაოს ღეროსაგან გაკეთებულ ოვალურ, ერთი ბოლოსკენ შეეიწროებულ რგოლს წარმოადგენს. შეეიწროებული ბოლო მთავრდება ცხოველის თავისა და კისრის სკულპტურული გამოსახულებით, რომელსაც შიგნიდან კავი აქვს, ცხოველის წინა ფეხების იმიტაციას რომ ქმნის. დუგმა ზემოდან გრავირებულია ირიბი კლდეებით, რომელიც ცხოველის ბეწვის შთაბეჭდილებას გვიქმნის (ტაბ. XXIV₆₃₇).

ზუსტად ასეთი დუგმა კოლხეთის მასალაში არ გვახსენდება. ის ტიპობრივ მსგავსებას პოულობს ზემოაღწერილ ტიპის აბზინდების სკულპტურულ კაეებთან კულანურხვასა და წითელი შუქურას სამაროვნებიდან [5, გვ. 159, ტაბ. 1₃, III₂; 4 ტაბ. XXVI₉₋₉]. ბეშთაშენის მახლობლად აღმოჩენილ ძვ. წ. VI-V სს. სამაჯურების თავებთან [28, გვ. 42, სურ. 39₂] და კუმბულთის ზემო რუთხის სამაროვნის აბზინდასთან, რომელიც კომპლექსებს გარეთაა აღმოჩენილი [50, 234, X VII₆].

მეორე დუგმა ასევე დედალი (ტაბ. XIII₆₅₉) ბრინჯაოს მარყუჟია, რომლის ბოლოები ცხენის (?) თავების სკულპტურულ გამოსახულებებს წარმოადგენენ. ტიპოლოგიურად, როგორც ჩანს, ბრინჯაოს ამგვარ დუგმებზეა დამოკიდებული რკინის დუგმები, რომლებიც ბრინჯაოს აღწერილი დუგმის ფორმას იმეორებენ. მსგავსი რკინის დუგმები დამოწმებულია სამთავროს სამაროვნის ძვ. წ. VIII და VII სს. დასაწყისით დათარიღებულ კომპლექსებში [33, ტაბ. XIII₂₉].

ცალკე უნდა აღინიშნოს ორი დედალი დუგმა, რომლებიც მიწაზე გართბულ მტაცებელთა სკულპტურებს წარმოადგენენ (ტაბ. XIII₆₅₇₋₆₅₈). ორივე ნივთი № 3 სამაროვანში აღმოჩნდა. შიდა ზედაპირი სკულპტურებისა ბრტყელია, გარე კი მრგვლოვანი. ზუსტად ანალოგიური დუგმა აღმოჩნდა 1982 წ. ერ-

გეტის № 1 სამაროვნის № 6 სამარხ-ორმოში. ჩვენი დუგემები საერთო ჰაბიტუსით მოგვაგონებენ ყულანურხვას სამაროვნის № 2 სა მარხის საიკლს [5, გვ. 141, ტაბ. III₁]. ასეთივე დუგმა უნდა იყოს აღმოჩენილი პალერის სამაროვნის № 24 სამარხში (2. ტაბ. VII).

აქ აღარ შეეჩერდებით მრავალრიცხოვან ღილებზე და სამაგრებზე, რომლებიც ბრინჯაოსგანაა დაშვადებული (ტაბ. XIII_{588-597, 696}; XIX_{729, 738}; XX_{769, 769*}; XXII₈₀₁₋₈₃₃; XXIII₈₂₄₋₈₂₅); საგულახზოა, რომ ერთ-ერთ სამაგრზე შემორჩენილია სელის კანაფი (ტაბ. XXII₈₀₁), რომელიც შესაძლოა, ტანსაცმლის ზონარის ნაწილი იყო.

პ ი ნ ც ე ტ ე ბ ი

ტულატთან დაკავშირებული ნივთები ურეკის სამაროვანზე ბრინჯაოს პინცეტებითაა წარმოდგენილი. სულ სამი პინცეტი აღმოჩნდა სამივე № 3 სამარხ-ორმოში (ტაბ. XIII 682—684). ურეკის პინცეტები წარმოადგენს დაღუნულ ბრინჯაოს ფირფიტას, რომელიც ბოლოებისაკენ ფართოვდება, თავი კი მორკალული აქვს და ზამბარის მივლეობას ასრულებს. ასეთი პინცეტები დამახასიათებელია ურეკის სამაროვნის თანადროულ, კოლხეთის თითქმის ყველა სამაროვნისათვის, აგრეთვე კავკასიის და წინა აზიის ამავე ხანის ძეგლებისათვის. ბოლსაქო-ში, მაგალითად, ანალოგიური პინცეტები ძალიან ადრე ბიუიკალე IV ფენაში ჩნდება და განავრცობს არსებობას ბიუიკალე I ფენის ჩათვლით (127 გვ. 118, ტაბ. XXX_{1000-1000, 1010}).

პინცეტები, მძივ-სამკაული და საერაოლ სამკაული არის სწორედ ის ელემენტები, რომლებიც ნათლად ასახავენ იმას, რომ კოლხეთი მჭიდროდაა ჩართული იმდროინდელი მსოფლიოს გემოვნების, მოღისა და ურთიერთობის სფეროში.

ბრინჯაოს პინცეტებს ხშირად გრავირებული ზედაპირი აქვთ. უფრო ხშირად ისინი გეომეტრიული ანდაზით არიან შემკული. მაგალითად, ნიგეზიანის საკულტო მოედანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს პინცეტები. ბრინჯაოს პინცეტები ისევე როგორც სხვა ნივთები სრულად შეორდებიან რკინაში. რკინის პინცეტები ურეკის სამაროვანზე დამოწმებული არ არის, ნიგეზიანის სამაროვანზე კი გვაქვს.

ს ა მ კ ა უ ლ ი

სამკაული უმრავლეს შემთხვევაში, ისევე როგორც სატულეტო დანიშნულების საგნები, მატერიალური კულტურის იმ ნაწილს შეადგენს, რომელიც, მართალია, სცილდება კონკრეტული არქეოლოგიური კულტურის ფარგლებს, მაგრამ ასახავს ისტორიული მოვლენების ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორცაა მოცემული კულტურის გარე სამყაროსთან ურთიერთობის სფერო და მასშტაბები, მისი მატარებელი საზოგადოების განვითარებისა და გემოვნების დონე, შემოქმედებითი უნარი, შემეცნებითი თავისებურებები, რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთ მნიშვნელოვან შესაძლებლობაზე, როგორც ცალკეულ კულტურათა სინქრონიზაციის შესაძლებლობაა.

ურეკის სამაროვანზე დამოწმებული სამკაული ორ ჯგუფად უნდა გაიყოს: ლითონის სამკაული და მძივსამკაული.

ლითონის სამკაული არც ისე მრავალფეროვანია, მაგრამ საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ის წარმოდგენილია ხატისულლებით, სამაჯურებით, სხვადასხვა დანიშნულების რგოლებით, საკიდებით, ძეწეკებით.

ხ ა ტ ი ს უ ლ ლ ე ბ ი

ურეკში აღმოჩენილი ყველა ლატინური ბრინჯაოსია. ისინი ფაქტიურად შეადგენენ ერთ ტიპს—ბოლოებდახვეულ ხატისულლებს. განსხვავდებიან მხოლოდ ღეროს განიგვეთით: ზოგი მრგვალგანიგვეთიანია, ზოგიც ბრტყელგანიგვეთიანია, უკანასკნელი უმცირესობას შეადგენენ (იხ. ტაბ. XIV⁸⁰¹⁻⁸⁰³; XXVII⁸⁵¹⁻⁸⁵³; XIX^{725, 739}; XX^{753, 761}; XXI¹⁰⁰³).

ზუსტად ურეკის ხატისულლების მსგავსი მრგვალგანიგვეთიანი ხატისულლები დადასტურებულია პალურის სამაროვანზე და ფრაგმენტულად, მერხეულშიც [2, ტაბ. VI^{1, 18, 21}; VII, გვ. 52; 1, 112]. მათ უახლოვდება აგრეთვე ბრილის ძვ. წ. VI—IV სს. დათარიღებული სამარხის ხატისულელი [95, ტაბ. XVII].

გუადიხუს სამაროვნის ხატისულლები [4, გვ. 68, ტაბ. III₆], ისევე როგორც წითელი შუქურის სამაროვნისა [4, გვ. 187 — 189, ტაბ. VII₂₅], რიგ საერთო ნიშნებთან (მრგვალგანიგვეთიანი ღერო, ბოლოები დახვევა) ერთად რამდენაღმე განსხვავდებიან ურეკის ხატისულლებისაგან (ზედაპირის ბოლო ნაწილის გრავირებით, ბოლოსთან ზედაპირის რომბულად დაბრტყელებით და გრავირებით). მაგრამ ეს თავისებურებანი მარტო ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთის ხატისულლებს არ ახასიათებთ. ასეთივეა და ასევე შემჯული ნიგვზიანის № 12 სამარხ-ორმოში აღმოჩენილი ბოლოებდაბრტყელებული ხატისულლები, რომელთა დაბრტყელებული ზედაპირი ერთ შემთხვევაში ცხოველსახოვანი (თევზის) გამოსახულებითაა შემკული, ხოლო მეორეში ბადჯარი ანდაზით (იხ. ტაბ. XLVIII¹⁷⁴⁵⁻¹⁷⁴⁶).

კოლხეთის ძეგლებზე სხვაგვარი ხატისულლებიცაა დამოწმებული. მაგალითად, ჩვენს ხატისულლებთან კავშირში მყოფი ბოლოებდახვეული, ოღონდ ვაცილებით მასიური ხატისულლები პრიმორსკოეს ქვევრსამარხებიდან [7, გვ. 140 ტაბ. X₂], პალურიდან [1, გვ. 113, ტაბ. XIX⁷⁸³], აგრეთვე ბოლოებდახვეული მაგრამ გრეხილღეროიანი ხატისულლები იგივე პალურიდან [1, ტაბ. XIX], გუადიხუდან [4, ტაბ. III 2—3], მერხეულიდან [2, გვ. 53, ტაბ. V^{1, 30}], ბრილიდან, რომელთაგან ზოგიერთს (გუადიხუსას, ბრილისას) უჩნდება რომბისებრი გრავირებული სიბრტყეები, რითაც ისინი გარკვეულ კავშირს იბამენ, ერთი მხრივ, ძვ. წ. VI—IV სს. ნესტროვისკაიას სამაროვნის, რომბულსიბრტყიან ხატისულლებთან [50, გვ. 289, 290, სურ. 48, 33. გვ. 296], ხოლო, მეორე მხრივ ცნობილ დიადემებთან, რომლებიც კოლხეთის გვიან სამარხულ: კომპლექსებში (ვანის № 1 და № 6, ითხვისის სამარხები) გვხვდება და რომლის შემკული კომპლექსები ძვ. წ. V—IV სს. თარიღდება [93, გვ. 9, 48, 49].

ეს მსგავსება და სრული სტილისტური ოდენტობა იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ბრინჯაოს გრეხილღეროიან ხატისულლებსა და აღნიშნულ დიადემებს შორის დიდი ქრონოლოგიური წყვეტილი არ უნდა იყოს. გრეხილი ღერო ყობანშიც გვიან გაჩნდა [შდრ. 50, გვ. 206]. ამიტომ, ვფიქრობთ, სწორად მოიქცა ბ. ტეხოვი, როდესაც თლის № 72 და 95 სამარხები და ამ სამარხებში დამოწმებული გრეხილღეროიანი ხატისულლები, რომელთაც იგი აღრე ძვ. წ. X ს. თარიღებდა მხოლოდ იმის გამო, რომ აღნიშნულ კომპლექსებში რკინა არ არის

[შდრ. 36, გვ. 150, სურ. 107₁₇₋₁₈], ბოლო გამოცემაში გადაათარილა და ძვ. წ. VIII—VII სს. კომპლექსების რიგში მოათავსა [შდრ. 141, გვ. 31-32, 34, ტაბ. 99 და 102]. ეს საესეებით გამართლებულია იგივე თლის სამაროვნის სკეითური ინვენტარის შემცველი სამარხეული კომპლექსების გრეხილღეროიანი ხატისულლების და ასევე ყობანური კულტურის მეორე ეტაპის ძვ. წ. VII—IV სს. ანალოგიური ხატისულლების ფონზე [27 გვ. 70, ტაბ 4₇₈, 14₁₂; 20₅; 94, ტაბ. XXV. 50, გვ. 187—188, ტაბ. XXXIII, გვ. 208—209], ხატისულლებისა, რომლებიც არაფრით არ განსხვავდებიან თლის № 72 და 95 სამარხების ხატისულლებისაგან.

ურეკის ხატისულლები თავისი მარტივი და სადა ფორმის გამო, როგორც ჩანს, წინ უსწრებდნენ გრეხილღეროიან ხატისულლებს. შეიძლება გვეფიქრა რომ, სადა, მარტივი, ბოლოებდახვეული ხატისულელი შუალედი რგოლი იყო გრეხილღეროიანი, ბოლოებდახვეული ხატისულლებისა და სადა ბოლოებდახვეული მასიურღეროიანი არქაულ ხატისულლებს შორის, რომელიც თავს იჩენს ყობანის კულტურის ყველაზე არქაულ რუთხის № 2 ქვაყუთის № 1 სამარხეულ კომპლექსში, ყუამილან ცელთან, ყუნწიან სატეგრებთან და სხვა არქაულ ნივთებთან ერთად, რის გამოც ამ სამარხეულ კომპლექსს ძვ. წ. XIII ს. ან XII ს. პირველი ნახევრით ათარილებენ [91, გვ. 14—17, სურ. №1].

მაგრამ ყობანის კულტურის სფეროში, მაგალითად, ბერეზოვკას სამარხეულ კომპლექსში, მასიური, ბოლოებდახვეული ხატისულლები აგრძელებენ თავის არსებობას ძვ. წ. VIII—VI სს.-შიც. [50, გვ. 205—206, ტაბ. XXXIII, 208—210], ხოლო სადა, მარტივი ბოლოებდახვეული ხატისულლები, ურეკის ცალების მსგავსი, დადასტურებულია ზემო რუთხის № 18 სამარხეულ კომპლექსში, რომელსაც ყობანის კულტურის აღრეულ ეტაპით ძვ. წ. IX—VIII სს. დასასრულით ათარილებენ [50, გვ. 228, ტაბ. X IV₇₋₈, გვ. 237].

უნდა აღინშნოს, რომ ურეკის ზოგიერთ ცალს (მაგალითად, ტაბ. XIV₈₀₂; XIX₇₃₃) დახვეული ბოლოები დაბრტყელებული აქვს, რაც მიჩნეულია შედარებით გვიანდელი ხატისულლების დამახასიათებელ ნიშნად [50, გვ. 237].

ფიქრობენ (ე. შანტრი, ბ. კუფტინი, ბ. ტეხოვი), რომ ხატისულელი მამაკაცის ტიპური სამკაულია და მხოლოდ მამაკაცის სამარხებში გვხვდება [7, გვ. 140, 156, ტაბ. X₈, 36, გვ. 150—151]. დაქრძალვის წესის სპეციფიურობის გამო, ურეკის, ნიგვიზიანის და საერთოდ ცენტრალური კოლხეთის სამაროვანთა (ერგეტის, მუხურჩის, პალერის სამარხების) მონაცემები ამ მოსაზრების უარსაყოფად ან მისაღებად მაინცდამაინც დიდ დამატებით მასალას ვერ იძლევიან, რადგან აღნიშნული სამაროვნების უდიდესი ნაწილი კოლექტიური სამარხებია და იქ ქალის კუთვნილი ნივთებიცაა ჩატანებული და მამაკაცისაც. ამ მხრივ დიდ მასალას ვერც ურეკის ინდივიდუალური სამარხები იძლევიან.

ურეკის № 5 სამარხში ხატისულელი გვაქვს მძივსამკაულთან, ვერცხლის რგოლთან, ტანსაცმლის ბრინჯაოს სამაგრთან ერთად, № 6 სამარხში რამდენიმე მძივთან ერთად (ტაბ. XIX), № 11 სამარხში კონუსისთავიან ქინძისთავთან, მძივთან, ცალყურა ტოლჩასა და ვაზისებრ ქურკულთან ერთად (ტაბ. XX).

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ კომპლექსების ინვენტარის მიხედვით ისინი შეიძლება მამაკაცისაც ეკუთვნოდეს და ქალსაც. მაგრამ ურეკში აღმოჩნდა აგრეთვე ერთი ხატისულლიანი სამარხი (№ 10), რომელიც აშკარად მამაკაცის კუთვნილი უნდა იყოს. ამ სამარხში გარდა ხატისულლისა დამოწმებულია ბრინჯაოს ფურცლოვანი სარტყელი გრავირებული აბზინდითურთ, ბრინჯაოს ყუნწიანი სატეგარი, ტანსაცმლის ბრინჯაოს სამაგრი და სალესი ქვა (იხ. კატალოგი, ტაბ. XX). რაზე შეიძლება მიუთითებდეს ეს სამარხი, მხო-

ლოდ იმაზე, რომ ხატისუღელი მამაკაცის სამარხეული ინვენტარის შემადგენელი ნაწილიც ყოფილა.

ს ა მ ა ქ უ რ ე ბ ი დ ა რ გ ო ლ ე ბ ი

ურეკის სამაროვანზე აღმოჩნდა როგორც ბრინჯაოს, ისე რკინის სამაქურები. ისინი არ გამოირჩევიან მრავალფეროვნებით, მაგრამ მაინც შეადგენენ რამდენიმე ტიპოლოგიურ ჯგუფს.

ბრინჯაოს სამაქურებში მორფოლოგიურად ორი ჯგუფი გამოიყოფა: ბოლოებგახსნილი სამაქურები და ერთმანეთზე ბოლოებგადასული სამაქურები. ბოლოებგახსნილი სამაქურები ორ ქვეტიპს იძლევიან: 1 ქვეტიპია ბრინჯაოს ღეროსაგან ან მავთულისაგან დამზადებული მრგვალ განივკვეთიანი სამაქურები (ესენი სამაქურთა კოლექციაში უმრავლესობას შეადგენენ. იხ. ტაბ. VI, 465, 470, XIV⁶⁰⁴⁻⁶⁰⁸; 610-623; XIX⁷²⁸; 740-741; და ა. შ.) და II ქვეტიპი — ხატისუღეების მსგავსად ბოლოებდახვეული, ან ბოლოებგადაკეცილი სამაქურები, რომლებიც ძირითადად ბრტელგანივკვეთიანია (ტაბ. VI⁴⁸⁸; XIV⁶⁹⁰; XIX⁷³⁸; XXIII⁸²⁰). პირველ ქვეტიპს იმეორებენ რკინის სამაქურები, რომლებიც ურეკის ცალკეულ კომპლექსებში № 1 და № 2 სამარხ-ბრძოლებში თანაარსებობენ ბრინჯაოს პროტიპებთან ერთად (ტაბ. VI⁴⁷¹⁻⁷⁴; XIV⁶²¹⁻²⁸). სამაქურების ორივე ქვეტიპი სადაა, ზოგიერთს აქვს მხოლოდ ქღეული ხაზები.

მეორე ტიპი სამაქურებისა ერთმანეთზე ბოლოებგადასული სამაქურები შედარებით ცოტაა (ტაბ. XIX⁷³⁷; XXII⁷⁹²; XXIII⁸¹⁰; XXIX⁹⁰⁶⁻⁹⁰⁷; 1000). ისინიც ძირითადად სადაა, მხოლოდ ერთი ვგზემპლიარია გრებილღეროიანი (ტაბ. XXIX¹⁰⁰⁰).

ზემოაღწერილის ანალოგიური სამაქურები დამოწმებულია კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნებზე. მაგალითად, ბრინჯაოს ბოლოებგახსნილ სამაქურებს ვხვდებით ერგეტის და ნიგეზიანის სამაროვნებზე, გორაძირის № 2 ორ-სამარხში [25, გვ. 50, ტაბ. XXIV¹⁷⁰], პალურის [1, ტაბ. XVIII, 2 ტაბ. VI₉], მერხურის [2, გვ. 49] სამაროვნებზე, ყულანურხვის № 3 სამარხში [5, ტაბ. IV₈], გუაღიხუს სამაროვანზე, ოლონდ ეს უკანასკნელი გრავირებულია [4, ტაბ. III₉]. თლისა [36, სურ. 107₂, 4] და ქედს გადღმა — კუმბულთის ზემო რუთხის და ნესტეროვსკაიას სამაროვნებზე [50, ტაბ. XVIII; გვ. 291, სურ. 51₁].

მეორე ქვეტიპის სამაქურების ანალოგებს ვხვდებით პალურის და ზემო რუთხის სამაროვნებზე [1, ტაბ. XVII⁴⁸³, 50, ტაბ. X, XIII₂]. ერთმანეთზე ბოლოებგადასულ სამაქურებისას კი ერგეტაში და თლის სამაროვნებზე. თლის სამაროვნის ცალეები გრავირებულია (36, სურ. 107).

რკინის სამაქურები, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იმეორებენ ბოლოებგახსნილ ბრინჯაოს სამაქურების 1 ქვეტიპს, ისინი გვეხვებიან ერგეტის და პალურის სამაროვნებზე. ანალოგიური რკინის სამაქურები სამთავროს სამაროვანზე ჩნდება ძვ. წ. VIII—VII სს. სამარხებში [53, გვ. 132, ტაბ. 1₈].

ურეკის სამაროვნის სამკეულის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს რგოლები, რომლებიც სხვადასხვა მასალისგანაა (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო, რკინა) დამზადებული და, რომლებსაც, როგორც ჩანს, დანიშნულებაც სხვადასხვა ჰქონდათ (სასაფეთქლე რგოლები, საყურეები, საკიდები და ა. შ.). ისინი ჯგუფებიან ისევე როგორც მაქურები, რომელთა ფორმებსაც იმეორებენ თითქმის საყვებით.

ბოლოებგახსნილი რგოლების უმრავლესობა ვერცხლისაა, რამდენიმე ცალია ბრინჯაოსი და ერთიც რკინისა (ტაბ. V₂₁₁; VI⁴⁷⁸⁻⁷⁹; XIV⁶³³; 635-638; XXV⁸⁶⁷,

XXIX₁₀₀₆₋₁₀₀₈; XXX₁₀₅₀; XIX₇₂₀). ყველა მათგანი დამზადებულია ჩაღნიშნულ მასალათა მრგვალგანივკვეთიანი ლეროებისაგან და ყველა, როგორც წესი, საღა ზედაპირიანია.

სხვადასხვა მასალის ბოლოგახსნილი რგოლები განსაკუთრებით ბევრია ნიგეზიანის სამაროვნის მასალაში (სამარხ-ორმო № 12, საკულტო მოედანი), გვაქვს ერგეტაში, მათ შორის ოქროსიც, ახლად აღმოჩენილ № 6 სამარხში № 1 სამაროვნზე და პალურში (1, ტაბ. XVI 405, 539, 2, ტაბ. VI₉, 20).

ანალოგიური ვერცხლის რგოლები ცნობილია კუმბულთის ზემო რუთხის სამაროვნიდან [50, გვ. 225, სურ. 3—5]. ამ ტიპის რგოლები გვხვდება კოლხეთის სამაროვნების სამარხეულ კომპლექსებში ვერცხლის, კულანურხვასა და გუაღიხუს სამაროვნებზე [5, გვ. 154, ტაბ. IV₁, 4, გვ. 74, ტაბ. V₂]. აგრეთვე ნესტეროვსკიას სამაროვნზე, რომელსაც ძვ. წ. VI—IV სს. ათარიღებენ [50, ტაბ. XIV₁₂₋₁₃].

ბოლოებგადასული, ან ბოლოებშეერთებული რგოლების დიდი ნაწილიც ვერცხლისაა, ნაწილი კი ბრინჯაოსი, ხოლო ერთი წყვილი ოქროსი, (ტაბ. XIV₈₄₁₋₈₄₃₋₈₄₅; 830-31⁷¹³⁻⁷¹⁴).

განცალკევებით დგას ოქროს ორი სასაფეთქლე რგოლი. ორივე რგოლი სრულიად იდენტურია (ტ. X₁ XIV₇₁₃₋₇₁₄) და, როგორც ჩანს, წყვილ სამკაულს შეადგენს. ეს რგოლები გარშემო უხვდაა შემკული გრებილითა და ცეარათი. რგოლების ბოლოები რამდენადმე გადადის ერთი მეორეზე და ბოლოვდება მტაცებელთა დაღრენილი პირსახის სკულპტურული გამოსახულებებით. ერთ რგოლს ერთი ბოლო მოტეხილი აქვს. მტაცებელთა პირსახის ცალკეული ნაწილები აქცენტირებულია გავარსით. აღსანიშნავია, რომ ეს სასაფეთქლე რგოლები ჭერჭერობით კოლხური ოქროს უძველესი ნივთებია. ისინი აღმოჩნდა № 3 სამარხ-ორმოში და მაშასადამე ძვ. წ. VII ს. ფარგლებს არ სცდება. ეს იმას ნიშნავს, რომ კოლხეთში გავარსის ტექნიკის სათავეები სიღრმეშია გადასაწევი. დასაზუსტებელია აგრეთვე ბ. კუფტინის მოსაზრება, თით ქოს კოლხეთში ოქროს ნივთები ჩნდება მაშინ, როცა სრულიად გამქრალია კოლხური ბრინჯაოს ცული და საერთოდ ბრინჯაოს იარაღი [გვ. 7. 236, 256].

მართალია, ბ. კუფტინი კოლხეთში ოქროსა და რკინის გაჩენას შავი ზღვის აღმ. სანაპიროს, მისი ტერიმინოლოგიით, ელინურ-იონური ექსპანსიის წინააღმდეგ ხანას აკუთვნებს და ეს ხანა იმდენად ზოგადია, რომ შეიძლება ურეკის № 3 სამარხ-ორმოს თარიღსაც შეესაბამებოდეს, მაგრამ ახალმა აღმოჩენებმა დაადასტურეს, რომ ოქრო და მით უმეტეს რკინა კოლხეთში ბრინჯაოს იარაღთან (ცულები, სატევრები, სეგმენტები, თოხები, წაღლები) თანაარსებობენ. ეს კარგად ჩანს ურეკის № 3 და ერგეტის № 1 სამაროვნის № 6 სამარხ-ორმოების მასალის მიხედვით.

ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ზ ა რ ა კ ე ბ ი

ურეკის სამაროვნზე ბრინჯაოს ზარაკები აღმოჩნდა საკულტო მოედანზე ერთი ცალი (ტაბ. V₄₁₈), № 1 სამარხ-ორმოში 1 ცალი, (ტაბ., VI₄₆₀) და ორიც დანგრეული სამარხების ნაყარში (ტაბ. XXIX₈₉₁₋₈₉₂). ყველა აღნიშნულ ზარაკს-სამკაულს ვაკუთვნებთ მათი მცირე ზომის (ყველაზე დიდი 2,5 სმ-ია) გამო და აგრეთვე იმიტომ, რომ ანალოგიური ზარები გუაღიხუს სამაროვნზე სამკერდე სამკაულის ნაწილს შეადგენს [4, გვ. 73—74 ტაბ. IV₆]. ასეთივე დაწინააღმდეგა უნდა პქონოდა ძეწვიან ზარაკს სოხუმის მთის დაშლილი კრემაციული სამარხი-

დან [62, გვ. 53, ტაბ. VII,]. ფიქრობენ, რომ მცირე ზომის ზარაკებს იყენებდნენ არა მარტო სამკაულებად, არამედ თილისმადაც [87, გვ. 32].

სხვადასხვა ზომის ბრინჯაოს ზარაკები დამოწმებულია კოლხურ აბზინდებთან ერთად სამოსის პერაიონში, ხოლო ერთი ცალი სამოსის ძველი ქალაქის დასავლეთ ნეკროპოლში (96, გვ. 156, ტაბ. 66). ეს არის ერთადერთი შემთხვევა სამოსის ორივე საქალაქო ნეკროპოლში აღმოსავლური ნიეთის აღმოჩენისა [111, გვ. 83]. ამ ზარაკების კავკასიური წარმომავლობა ზოგს (პ. მობიუსი) აუცილებლად მიაჩნია, ზოგს დასაშვებად [111, გვ. 82 შმდ.]. მაგრამ, მათი აღმოჩენა სამოსის პერაიონში კოლხურ აბზინდებთან და სხვა ნიეთებთან ერთად, ნიეთებთან, რომლებიც, როგორც ნაჩვენები იქნება, კოლხური სამყაროდან უნდა მომდინარეობდნენ, მათი კოლხური წარმომავლობის სასარგებლოდ მეტყველებს.

ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ძ ე წ ე კ ე ბ ი

როგორც დაეინახეთ, ბრინჯაოს ძეწკეები ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთის მასალის მიხედვით ზარაკების დასაკიდად გამოიყენებოდა. ისინი ფიბულების შემადგენელ ნაწილებადაც გვევლინებიან [5, ტაბ. IV₂₋₄]. რუთხის სამაროვნის მასალის ვ. დობზევევისიული ჩანახატი თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ისინი ქამრებადაც ყოფილიყო გამოყენებული და კავიან აბზინდებთან ჰქონოდათ კავშირი. [9], გვ. 12, სურ. 3₈]. ძეწკეები, რომლის შენარჩუნება მოხერხდა, ურეკის სამაროვანზე აღმოჩნდა № 1 სამარხ-ორმოში (ტაბ. VI, 461—462) და სამარხებს გარეთ (ტაბ. XXVII₈₈₁).

მ ძ ი ე ს ა მ კ ა უ ლ ი

ურეკის სამაროვანზე მძიესამკაული საოცარი სიმრავლითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. სამკაულის ეს ჯგუფი იმდენად მრავალსახოვანია და ამავე დროს მის დასაშვადებლად იმდენად მრავალგვარი მასალა გამოყენებული, რომ ის სხვადასხვა ასპექტით იქცევა ყურადღებას და საგანგებო შესწავლას მოითხოვს, ამიტომ აქ მძიესამკაულის მხოლოდ ზოგადი დახასიათება იქნება წარმოდგენილი.

ყველაზე რიცხვმრავალია სერდოლიკისა (დიდი ზომის, მოვარდისფრო) და მუქი ყავისფერი სარდიონის მძიეები. ეს ჯგუფი წარმოდგენილია სხვადასხვა ფორმის შესანიშნავად დამუშავებული და პოლირებული მუქი და ღია ყავისფერი მძიეებით, რომელთა შორის ჭარბობს სხვადასხვა ფორმის სფერული ცალეები. სარდიონისა და სერდოლიკის სფერული მძიეები ყველა ზომისა აღმოჩნდა. № 3 სამარხ-ორმოში (ტაბ. XV), ერთი, დიდი ზომისა-საკულტო მოედანზე (ტაბ V)_{1,28} საშუალო და წვრილი სხვადასხვა სამარხებში (ტაბ. VII, XIX, XX₆₆; XXI₇₇₈ XXI₇₈₈; 806; 788; XXIII₈₂₇; XXIV₈₄₁ 845₈₁₈; XXV₈₈₈).

სარდიონისა და სერდოლიკის სფერული მძიეები სხვადასხვა ზომისაა და დამოწმებულია კოლხეთის ადრეკინის ხანის თითქმის ყველა სამაროვანზე: პალერის საძვლეზე, მერხულის, მუხურჩის, ზედა დასაქრძალ მოედანზე, ყულანურჩვას, წითელი შექურას, ეშერის [1, გვ. 117; 2, გვ. 60; 3, ტაბ. IX₁₃; 5, გვ. 155—156; 4, გვ. 189—190; 7, გვ. 168—171] სამაროვნებზე. გასაოცრად ბევრი და მრავალსახოვანია სარდიონისა და სერდოლიკის მძიეები ერგეტის სამივე სამაროვანზე.

აღწერილ სფერულ მძივებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დიდი ზომის შესანიშნავად დამუშავებული მუქი ყაეისფერი, თითქმის გაუმკვირვალე სარდიონის მძივები, რომელთაგან უდიდესი № 3 სამარხ-ორმოში აღმოჩნდა (ტაბ. XV). ურეკის სამაროვნის დიდი ზომის სარდიონის მძივები სფერულიცაა და ოვალურიც. ამ ტიპის მძივებს ბ. კუფტინი ათარილებს არა უგვიანეს აქემენიდური პერიოდით. უფრო კი აქემენიდურის უშუალოდ წინა ხანით, რასაც იგი ასაბუთებს ყაზბეგის განძში ანალოგიური დიდი ზომის გაუმკვირვალე სარდიონის მძივების არსებობით [7, გვ. 169, 171—172]. იგივე თარიღზე მიუთითებს ანალოგიური მძივების აღმოჩენის ფაქტი კარმინბლურზე [58, გვ. 80, სურ. 51; 97. სურ. 123 შდრ. 98, გვ. 28; 99 გვ. 166] და ჩენი № 3 სამარხი-ორმოს ნივთების მთელი ანტურაჟი.

სარდიონისა და სერდოლიკის მძივების უმრავლესობა სადაა, მაგრამ ცალკეული ცალები (მაგალითად, № 16 სამარხის მძივები იხ. ტაბ. XXI₁₇₈) შემკულია წიწვისებრი ანდაზით. რაც შეეხება ფორმას, გარდა სფეროსებრი მძივებისა, გვაქვს ცილინდრული ფორმის, კვირისტავისებრი, დაბრტყელებული სფეროსებრი, მსხლისებრი (ან კრემლისებრი) (№ 3 სამარხი-ორმო) და სხვა ფორმის მძივები. ერთი მსხლისებრი მძივი (05 76—1032) თეთრი მინერალისაგან არის დამზადებული (ტაბ. VII₁ XV).

აღსანიშნავია, რომ ზუსტად ანალოგიური მსხლისებრი მძივები სერდოლიკისა დამოწმებულია აღრეაქემენიდური ეპოქით დათარილებულ სამაროვანზე ბეშთაშენთან [28, გვ. 43, სურ. 40₇₋₈]. ასეთივე ფორმის მსხლისებრი მძივები ოლონდ დამზადებული თეთრი პასტის, თეთრი ქვისა და ზღვის ლოკოკინის აბჯრისაგან დამოწმებულია სიალკის ნეკროპოლზეც (65, ტაბ. I₈₈₈, XV₁₃₀ 28).

მძივსამკაულის მომდევნო ყველაზე რიცხვმრავალ ჯგუფს შეადგენენ გიშრის მძივები. გიშრის მძივების უმრავლესობა სფერული ფორმისაა და სხვადასხვა ზომისაა. არის აგრეთვე ბრტყელი რომბისებრი, ბალიშის ფორმის (ტაბ. XVI₁) და კასრისებრი ბოლოებდაბრტყელებული მძივებიც. გიშრის მძივები შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში, ისინი მხოლოდ წითელი შუქურას სამაროვანზე ჩანან [4, გვ. 191]. გიშრის მძივებს განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ვხვდებით ერგეტის სამაროვნებზე.

ზემოაღნიშნულის გარდა ურეკის სამაროვანზე აღმოჩნდა იასპის უმეტესად შავი ფერის, სფერული და ცილინდრული კარგად დამუშავებული საშუალო და წვრილი მძივები (ტაბ. XV₂), ქალცედონის სფერული (ტაბ. VII₂ XVIII) ფირუზისფერი მინის სფერული, ცილინდრული, ბორბლისებრი უმეტესად წვრილი მძივები (ტაბ. XVIII₁ 37). განსაკუთრებით ბევრია თეთრი და ცისფერი პასტის (ხელოვნური ფაიფურების) სხვადასხვა ზომისა და ფორმის (ცილინდრული, ბრტყელი, ოთხკუთხა, ბიკონუსური, ცილინდრული) მძივები, რომელთა ზედაპირი დამუშავებულია წერტილებით, კლდეებით, რელიეფური სარტყელებით, მეკეკებით (ტაბ. VII₆; ტაბ. XVII₁₋₄).

პასტის მძივების აღნიშნული კოლექცია სრულ ანალოგიას პოულობს წინწყაროსა და თაქ-ქილისას აღრეკინის ხანის სამაროვნების პასტის მძივების კოლექციასთან [28, ტაბ. XXXIII]. გვაქვს აგრეთვე შედარებით ცოტა ოპალის სფერული მძივები № 3 სამარხ-ორმოში (ტაბ. XVIII₆), თითო ოროლა ქარვის-58

ნაირ ბატონო — დიდი ზომისა და ცილინდრული მძივები და კერამიკული სფერული მძივები. ასეთი მძივები აღმოჩნდა წითელი შუქურას სამაროვნის 102-სამარხში [4, გვ. 148].

ურეკის სამაროვნის მძივების კოლექციის საერთო თავისებურება ის არის, რომ აქ ვერ ვხვდებით მინისა და პასტის მრავალფერა თვალად მძივებს, რომელთა გავრცელება კავკასიაში ძვ. წ. VI ს. იწყება და მიუთითებს კოლხეთში სირიული და ეგვიპტური იმპორტის ინტენსიურ შემოტანაზე. როგორც ჩანს, უშუალო ვაჭრობის მეშვეობით, ყოველ შემთხვევაში, ბერძნული შუამავლობის გარეშე [75, გვ. 146, 50; გვ. 293, 352] და რომლებიც სწორედ ამ დროის ძეგლებზე გვაქვს დადასტურებული [95, ტაბ. XVII; 29 ტაბ. X].

მართალია, ურეკის მძივების კოლექციაში გვხვდება პასტის მექეკიანი მძივები, რომლებიც ძვ. წ. V ს. ძეგლებზეცაა დამოწმებული [29, ტაბ. X₁₃₈] მაგრამ ასეთი მექეკიანი მძივები აღრეკინის ხანის სამარხებშიც გვაქვს იგივე წინწყაროსა და თაქქილისას სამაროვნებზე [28, ტაბ. XXXIII].

ბ რ ი ნ ქ ა ო ს პ ლ ა ს ტ ი კ ა

ბრინჯაოს პლასტიკა ურეკის სამაროვანზე უხვად არ არის წარმოდგენილი, მაგრამ რაც არის თემატურადაც იქცეეს ყურადღებას და შესრულების თავისებურებებითაც. ბრინჯაოს ფიგურების დიდი ნაწილი № 3 სამარხ-ორმოში აღმოჩნდა. დანიშნულების მიხედვით ეს ფიგურები ორ ჯგუფად უნდა გაიყოს: 1. ფიგურები, რომლებიც ტანსაცმლის ატრიბუტებს, ან სამკაულს წარმოადგენენ და 2. კულტთან დაკავშირებული ფიგურები. კულტთან კავშირი არც პირველ ჯგუფის ფიგურებისათვისაა გამოსარიცხი.

პირველი ჯგუფის ბრინჯაოს ფიგურები წარმოდგენილია ორი საკიდით, ერთი დედალი დუგმით და ორი აბზინდით.

ერთი საკიდი (ტაბ. XXVII₇₇₁) ჩიტის გამოსახულებას მოგვაგონებს, ხოლო მეორე (ტაბ. XXVII₇₇₀) გრძელნისკარტა ფრინველის სტილიზებული გამოსახულებაა, ფრთები გრძელნისკარტა ფრინველისა განივი ჰრილებითაა გადმოცემული.

ფრინველების მკირე ქანდაკებები ცნობილია კოლხეთის სხვა ძეგლებიდანაც: გვაქვს წითელი შუქურას სამაროვნის სამარხებში [4, გვ. 204 ტაბ. XVII], თლის კომპლექსებშიც [36, გვ. 168, სურ. 112], მაგრამ ურეკის სამაროვნის ფრინველთა გამოსახულებანი, სახელობრ გრძელნისკარტა ფრინველის გამოსახულება მეტ საერთოს პოულობს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის (კახეთი, სომხეთი) ძეგლებზე აღმოჩენილ გამოსახულებებთან [იხ. 56, ტაბ. XIV, XI, XVI; 78 გვ. 75—78, ტაბ. V₁₋₃].

მკირე ქანდაკებათა ამავე ჯგუფს ეკუთვნის ზემოთ უკვე აღწერილი დედალი დუგმა, რომლის ბოლოები ცხოველის თავების გამოსახულებებს წარმოადგენენ და ორი აბზინდა, რომლებიც მტაცებელთა (ალბათ ვეფხვის) გამოსახულებებია. უკანასკნელი გამოსახულებანი გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ კულანურხვას სამაროვნის № 2 სამარხში აღმოჩენილ სკულპტურულ საკიდთან [5, გვ. 106. ტაბ. III₁].

მეორე ჯგუფის ბრინჯაოს ქანდაკებანი თავის მხრივ ორ ჯგუფად იყოფა: ანთროპომორფული და ზოომორფული გამოსახულებანი.

ცხოველთა ქანდაკებებს შორის, თავისი პლასტიკურობით გამოირჩევა შელის (?) ქანდაკება (ტაბ. XIII₇₇₀), რომლის სპირდაპირი ანალოგია, ყოველ შემთხვევაში, კოლხურ მასალაში არა ჩანს.

სულ სხვა ვითარებაა ხარის სკულპტურასთან (ტაბ. XII₈₈₈) დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ხარის მრგვალი სკულპტურები კოლხეთის არქეოლოგიურ მასალაში მოგვეპოვება (გვაქვს მაგალითად, ერგეტაში, ხარის შესანიშნავი სკულპტურა ინახება ქუთაისის მუზეუმში და ა. შ.). ურეკის ხარი განცალკევებით დგას მათგან. მისი შუბლისაკენ დახვეული რქები თვალნათლივ მიუთითებს ქანდაკების ავტორის მიზანზე, ეჩვენებინა ამ ხარის არაჩვეულებრიობა, ღვთაებრიობა. სრულიად აშკარაა, რომ ხარღვთაების ქანდაკებასთან გვაქვს საქმე გუთნური მიწათმოქმედების მამოძრავებელ, გაღმერთებულ გამწევე ძალასთან.

ამ შემეცნებითი მოტივის ანარეკლია „არგონავტიკის“ სკულპტურული სპილენძის ჩლიქიანი ხარები“, რომლებიც რკინის გუთანში იყენენ შემულნი. აღსანიშნავია, რომ ამ გუთნეულით ხნულის გაელება კოლხ მიწათმოქმედთა შორის მხოლოდ მეფე აიეტს შეეძლო. ამ ხარების დამო რჩილება იაზონმა შეძლო მხოლოდ ქალღმერთი ჰეკატეს დახმარებით [8, III, 407 — II, 417—18].

საგულისხმოა, რომ ქართულ თქმულებაში „საიქიოს ზღაპარი“ იგივე პირობა აქვს წაყენებული გმირს, რაც იაზონს ჰქონდა: ერთ დღეში დახნას ვეება მინდორი ხარებით, რომლებიც კუდის ერთი დარტყმით მზეს აჩერებენ და ამ პირობას ისიც მზეთუნახავის resp. ქალღმერთის დახმარებით ასრულებს [100, გვ. 135; 7, გვ. 255]. აქ ბერძნული მითისა და ქართული ზღაპრის ისეთ სიუჟეტურ დამთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც სრულიად აშკარა ხდება, რომ ბერძნულ მითშიც და ქართულ ზღაპარშიც ერთი და იგივე ხალხის გუთნური მიწათმოქმედების ამსახველი შემეცნებაა არეკლილი.

ხარის გაღმერთების ამსახველია ავრეთვე შუბლზე თეთრი, ღვთაებრივი ნიშნის მქონე ხარების ნი შ ა ს ა და ნ ი კ ო რ ა ს ქართველთა შემეცნებაში დალექილი სახელები, რომელთაგან ნ ი კ ო რ ა ზოგადად ნ ი შ ა სახელის შესატყვის ტერმინადაა მიჩნეული. [7, გვ. 83] და „ცას“, „ციურ“ თუ „ღვთის ნიშანს“ ნიშნავს [88, გვ. 490—49, შწშ., 3].

ხარის კულტი გუთნური მიწათმოქმედების დაწყების შემდეგ გავრცელებულია არა მარტო კოლხეთში, არამედ აღმოსავლეთ საქართველოშიც. ცნობილია მისი არა მხოლოდ სკულპტურული, არამედ გრაფიკული გამოსახულებანი. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა სამთავროს რიგი ბრინჯაოს სარტყლები, რომელთაგან ერთზე, სამთავროს № 121 ორმო-სამარხის სარტყელზე ხარების გამოსახულება ნ. ურუშაძის მახვილგონივრული ახსნით მთელ სამიწათმოქმედლო ციკლს (ხვნას, თესვას, მკას) გამოსახავდა [101, გვ. 77-78].

აღსანიშნავია, რომ სამთავროს № 121 სამარხი ზოგადად ურეკის № 3 სამარხ-ორმის თანადროულია. მას ძვ. წ. VIII ს., ან VII ს. I ნახევრით ათარიღებენ [33, გვ. 368—369]. ასე რომ, ურეკის ხარის სკულპტურაც და სამთავროს სარტყლის ხარების გამოსახულებანი, ერთი ეპოქის შემეცნებით დონეს ასახავენ.

ხარის კულტის ფართო გავრცელება საქართველოში ასახული უნდა იყოს არა მარტო მრავალრიცხოვან სკულპტურულ თუ გრაფიკულ გამოსახულებებში, არამედ კოლხური კერამიკის სიმბოლურ შემკობაშიც. მხედველობაში მავს ადრეკინის ხანის კოლხური კერამიკის რქისებრი შეერილები, რომლებიც ამ ყურების წინხედს ხარის პირსახის იერს ანიჭებენ.

ხარის, მუშა ხარის კულტის ცხოველმყოფელობა ქართველი ხალხის შემცენებაში ასახულია რიგ წეს-ჩვეულებებში [117, გვ. 392]. ხარის კულტი აირეკლა ქართველთა გრაფიკულ სიმბოლიკაშიც, და ეს სიმბოლოები, როგორც ფიქრობენ, სათავეს უდებენ ასომთავრულ ანბანში „ხ“ ბგერის აღნიშვნულ გრაფემას, რომელსაც „ხარი“ ეწოდება¹⁷.

ხარის კულტის ამსახველია დღეობა ბოსლობა და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი, რომლებიც შემონახულია ენგურის, ცხენისწყლისა და რიონის ხეობებში. ბოსელი იყო შინაური ცხოველების განაყოფიერების მფარველი ღვთაება, ამიტომ ამ დღეობის მთავარ ნაწილს შეადგენდა მოკოტრების რიტუალი, რომელიც სქესობრივ ურთიერთობას გამოხატავდა [109, გვ. 92, 99]. ფიქრობენ, რომ ბოსლობაში ასახული ღვთაებას თავდაპირველად ანსახიერებდა ხარი, რომელიც შემდგომ ითიფალურ მამაკაც-ღვთაებად გვევლინება, ხოლო ქრისტიანულ პანთეონში წმინდა ბასილად პერსონიფიცირდება [109 გვ. 107].

ამ მხრივ საეულისხმოა, რომ ჩატალ ჰეიუკის სამლოცველოთა რელიეფებზე ანთროპომორფულად გამოსახედნენ მხოლოდ ქალ-ღვთაებებს, მაშინ როდესაც მამაკაც ღვთაებებს გადმოსცემდნენ ხარის ან ცხვრის თავის სახით [169, გვ. 91]. ხარი ვანსახიერებელი ღვთაება ბოსელი, რომელიც არსებობდა გამანაყოფიერებელი, მწარმოებელი ღვთაება იყო, როგორც ჩანს, ხარის კულტის უფრო ადრეულ ეტაპს ასახავს, ვიდრე სამთავროს № 121 სამარხის სარტყლის გამოსახულებანი და ურეკის ხარის ქანდაკება, რომლებიც გუთნური მიწათმოქმედების ხანის ღვთაებებია.

ხარის კულტი, და არა გადმონაშთები, კოლხეთში ძლიერი იყო ელინისტურ და რომაულ ხანაშიც. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ავერული კოლხური ბალთები ფანტასტიკური ხარების გამოსახულებებით, რომლებიც გვევლინებიან როგორც კომპოზიციის ცენტრალური ფიგურები, ან როგორც კომპოზიციის შემადგენელი ნაწილები [7, გვ. 82. სურ. 19a-b; 156, ტაბ. VIII₁₀₉, IX₁₁₀₋₁₂₀, X₁₂₄, XI₁₃₄, XII₁₄₇₋₁₄₈].

როგორც ჩანს, არ არის შემთხვევითი, რომ ერთი ასეთი ბალთა სწორედ ნიკორწმინდაში აღმოჩნდა [7, გვ. 81 სურ. 20]. მაგრამ ამ კულტის სიციოცხლის უწყვეტობისა და, რაც მთავარია, სხვა კიდევ უფრო ნიშანდობლივი თავისებურების გამო, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ხარის გამოსახულებას ეხედებით ძვ. წ. IV ს. კოლხურ მონეტებზე, ე. წ. კოლხურ თეთრებზე, ე. ი. ქრონოლოგიურად შუაელდ ძეგლებზე.

კოლხური თეთრების რევერსზე ხარის გამოსახულება, თუ, ერთი მხრივ, მიუთითებს მიწათმოქმედი ხალხის, კოლხების შემცენებაში საქალაქო ცხოვრების გაჩენის შემდეგაც ხარის კულტის ცხოველმყოფელობაზე, თუ ის ამ შემთხვევაში გვევლინება როგორც სიმბოლო, ემბლემა ხალხის უმთავრესი საქმიანობისა, მეორე მხრივ, ის აშკარად ატრიბუტია ქალღმერთისა, რომელიც ამავე მონეტის ავერსზეა ამოტიფრული და მონეტის მთავარ გამოსახულებას წარმოადგენს. კოლხურ თეთრებზე ქალღმერთისა და ხარის გამოსახულებათა შეხამება აშკარას ხდის ქალღმერთის შინაარსს. ცხადია, რომ

¹⁷ შტრ. ფინიკური ანბანის სახელწოდებებს ალფ — „ხარი“, ბეტ — „სახლი“ და ა. შ. რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს სიმბოლოები ფონეტიკური დამწერლობის წარმოშობაზე იმ ცნებებს გამოხატავენ, რომლებიც მათ სახელწოდებებშია შემონახული, ხოლო ფონეტიკური ანბანის წარმოშობის შემდეგ ამ ცნებათა აღნიშვნელი სიტყვების პირველ ასოებს [იხ. 102, გვ. 317—318].

საქმე გვაქვს კოლხეთის მთავარ ღვთაებრივ მითს, ნაყოფიერების ღვთაებასთან, რომელიც მიწათმოქმედებისა და პირუტყვთა მფარველად გვეხილება [შდრ. 7, გვ. 254].

კოლხურ თეორიულ ღვთაებრივ მითსა და ხარღვთაების გამოსახულებათა შეხამების თვალსაზრისით იქნება შემთხვევითი არ იყოს იმავე № 3 სამარხ-ორმოში ხარღვთაების სკულპტურასთან ერთად ღვთაებრივ მითსა და ხარღვთაების აღმოჩენა.

ღვთაებრივ მითსა და ხარღვთაების გამოსახულებათა შეხამების თვალსაზრისით იქნება შემთხვევითი არ იყოს იმავე № 3 სამარხ-ორმოში ხარღვთაების სკულპტურასთან ერთად ღვთაებრივ მითსა და ხარღვთაების აღმოჩენა.

ღვთაებრივ მითსა და ხარღვთაების გამოსახულებათა შეხამების თვალსაზრისით იქნება შემთხვევითი არ იყოს იმავე № 3 სამარხ-ორმოში ხარღვთაების სკულპტურასთან ერთად ღვთაებრივ მითსა და ხარღვთაების აღმოჩენა.

ღვთაებრივ მითსა და ხარღვთაების გამოსახულებათა შეხამების თვალსაზრისით იქნება შემთხვევითი არ იყოს იმავე № 3 სამარხ-ორმოში ხარღვთაების სკულპტურასთან ერთად ღვთაებრივ მითსა და ხარღვთაების აღმოჩენა.

ღვთაებრივ მითსა და ხარღვთაების გამოსახულებათა შეხამების თვალსაზრისით იქნება შემთხვევითი არ იყოს იმავე № 3 სამარხ-ორმოში ხარღვთაების სკულპტურასთან ერთად ღვთაებრივ მითსა და ხარღვთაების აღმოჩენა.

ღვთაებრივ მითსა და ხარღვთაების გამოსახულებათა შეხამების თვალსაზრისით იქნება შემთხვევითი არ იყოს იმავე № 3 სამარხ-ორმოში ხარღვთაების სკულპტურასთან ერთად ღვთაებრივ მითსა და ხარღვთაების აღმოჩენა.

ება ზის ზურგიან სკამზე, რომელიც ცხენზეა დამაგრებული და ფეხები ცხენის მარჯვენა მხარესა აქვს ჩამოშვებული [111, გვ. 80 ტაბ. 81—452], ე. ი. პოზა ზუსტად ისეთი აქვს, როგორც ურეკის დედალეთებას. მაშასადამე, თუ არა ცხენი და ცხენზე ზურგიანი სავარძელი, სამოსისა და ურეკის დედალეთებათა ქანდაკებებს შორის სხვა არავითარი განსხვავება არ არის. ამასთან ურეკის ქანდაკება ისე ინარჩუნებს მჭდომარე პოზის მდგრადობას, რომ არც ის არის გამორიცხული, სამარხში მოხვედრამდე ის სავარძელშიც მჭდარიყო.

სამოსის ქანდაკება გამომცემლის მიერ, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის უცნობია უახლესი კავკასიური მასალა [111, გვ. 82—83], ბრინჯაოს ზარაკებთან, აშკარად კოლხურ აბზინდებთან და ცხოველების ფიგურებთან ერთად მიჩნეულია ზოგადად კავკასიურ ნივთად, როგორც ავტორი მიუთითებს, მათი თავისებური სტილის გამო, რომელიც არ ამჟღავნებს სიახლოვეს ერთმანეთთან დაკავშირებულ სხვა აღმოსავლურ სტილისტურ წრებთან [111, გვ. 39].

ბავშვიან დედალეთებათა გამოსახულებანი ნეოლითიდან ელინისტური ხანის ჩათვლით ცნობილია, როგორც აღმოსავლეთში და არა მარტო მახლობელ აღმოსავლეთში, ისე ეგვიპტურ სამყაროსა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ანტიკურ ქალაქებში, ავრეთვე ტრიპოლიესა და ღუნაისპირეთში [22, გვ. 189; 112, გვ. 30. 169, გვ. 91, სურ. 34; 155, გვ. 76; 7 გვ. 247—256; 116, გვ. 31-32, 58 ტაბ. XI-M91-M—92, XVII—M141]. მაგრამ საკმარისია მათ შევეუდაროთ ურეკის ბავშვიანი დედალეთების ქანდაკება თუ მხედველობაში არ მივიღებთ თემატიკურ-იდეურ და ამიტომ ზოგად იკონოგრაფიულ იდენტობას, რომ ნათელი გახდეს ურეკის ქანდაკების სრულიად განსხვავებული ხასიათი, მისი შესრულების სრულიად სხვაგვარი მანერა.

მეორეს მხრივ, ასევე საკმარისია შევეუდაროთ ურეკის ქანდაკება სამოსის პერაიონში აღმოჩენილ დედალეთების ქანდაკებას, რომ დაერწმუნდეთ დედალეთების ქანდაკების ორივე ეს ვარიანტი ურეკისა და სამოსურიც არა მარტო თემატურად და იკონოგრაფიულად, არამედ შესრულების ერთგვარი მიაბიტიური მანერით, რომელსაც „ბავშვური“ უწოდეს [111, გვ. 84], და რიგი სხვა დეტალებით, პლასტიკური აზროვნების ერთ წრეს ეკუთვნის. ამავე ნიშნებით ამავე წრეს უნდა ეკუთვნოდეს ერმიტაჟის ქანდაკებაც, რომელსაც ყოზანურად მიიჩნევდნენ [59, გვ. 64, სურ. 59].

იმის გამო, რომ ზუსტად ამგვარი ქანდაკებები კოლხეთს გარდა სხვაგან არსად არ არის დამოწმებული, ამავე დროს ერთი მათგანი ურეკისა, დოკუმენტურად დაფიქსირებულია სამარხეულ კომპლექსში (სამარხში დედალეთების ქანდაკება ჩატანებული იყო დამზობილი, რაც, როგორც ჩანს, დაკრძალვის კოლხური წესის დეტალია, რადგან იგი გამოკრებულია ერგეტის № 1 სამაროვნის № 6 სამარხში ქალღეთების ბრინჯაოს ქანდაკების ჩატანებისას და ეს ტრადიცია უფრო გვიანაც იჩენს თავს, კერძოდ ვანში) ცხადია, რომ სამოსური ქანდაკება დედალეთებისა ზოგადად კავკასიური კი არ არის, არამედ კოლხურია.

რაც შეეხება საკითხს თემატურად და ზოგად-იკონოგრაფიულ თვალსაზრისით ანალოგიური ქანდაკებების ფართო გავრცელებაზე და ქრონოლოგიურად ხანგრძლივ ცხოველმყოფელობაზე, ცხადია, რომ ისინი ანსახიერებენ ზოგადი ღვთების კულტს, რომელიც ერთნაირად გავრცელებული იყო მთელ ძველ სამყაროში. ეს არის ნაყოფიერების უზენაესი დედალეთებები, რომელნიც სხვადასხვა ხალხში სხვადასხვა სახელით იყენენ ცნობილი: შუბერული

ინანა, ბაბილონური იშთარი, ეგვიპტური ისიდა, ფინიკიური აშტარტა (რომლის სახელი იშთარის სახელს უკავშირდება), ძველი ირანული ანახიტა და ბოლოს ადრე-რკინის ხანაში ფართოდ გავრცელებული, მათ შორის ქართველ ტომთა შორისაც, მცირეაზიურ-ფრიგიული კიბელა და მისი ბერძნული შესატყვისი რეა. ამ ღვთაებათა კოლხურ სახესხვაობას ასახავენ, როგორც ჩანს, ურეკის, ბომბორისა და სამოსის განხილული ქანდაკებანი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ დიდი დედაღვთაება ასტარტას ხშირად გამოხატავდნენ შიშველს ან ჩაცმულს ტახტზე მდგომს ან მჭდომარეს, როგორც კიბელა-რეას ხელში წინწილით, მაგრამ წინწილის ნაცვლად ხელში ბავშვითაც, მსგავსად ეგვიპტური ისიდასი [113, გვ. 9. 15], ან ბავშვიანი შიშველი თამამომილი იშთარისა [შდრ. 155, გვ. 76 სურ.], რომლის მართო სახელი კი არა აქვს შემონახული აშტარტას, არამედ იკონოგრაფიული იდეაც, კოლხურ ქანდაკებებშიც რომ არის გამოვლენილი.

ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილია, რომ ბერლინის არქეოლოგიურ მუზეუმში დატულია ქანდაკება ლომებზე ამხედრებული შიშველი ქალღვთაებისა თავზე კოშკისებრი ტიარით, ხელზე და ყელზე სამჭურითა და ყელსაბამით და ხელში ბავშვით, რომელიც ძუძუს წოვს [90, გვ. 78—79, 7, გვ. 250]. ამ ქანდაკების სინკრეტიზმი აშკარად იმის მანჩენებელია, რომ ბავშვიან ქალღვთაებათა ქანდაკებებიც კიბელა-რეას შესატყვისი დიდ დედაღვთაებას ასახავენ და რომ დედაღვთაებათა იკონოგრაფიისათვის ერთნაირად დამახასიათებელია სიშიშველე და მკერდთან მიკრული ძუძუს მწოველი ბავშვი და ადრე-რკინის ხანაში გავრცელებული ატრიბუტები კიბელა-რეასი: კოშკისებრი ტიარა, ხელში წინწილა, ფეხთით ლომები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ არ ვიცით რაზე იჯდა ურეკის დედაღვთაება, ის რომ რაღაცაზე იჯდა ეს სრულიად უდავოა. ამიტომ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ მის ფეხებთან დიდი დედის სხვა ატრიბუტებიც ყოფილიყო გამოსახული.

ამრიგად, ნათელი უნდა იყოს, რომ დედაღვთაების ორი იკონოგრაფიული ვარიანტი არსებობდა: დედაღვთაება ხელში ძუძუს მწოველი ბავშვით და დედაღვთაება ხელში წინწილითა და სხვა სხენებული ატრიბუტებით. კოლხეთში და კოლხური კულტურის სფეროში ადრე რკინის ხანაში ბავშვიანი დიდი დედაღვთაების იკონოგრაფიული ვარიანტი ჩანს გაბატონებული, თუმცა როგორც ირკვევა, კოლხეთისათვის არც კიბელა-რეას უფრო გავრცელებული ატრიბუტების (ხელში წინწილა, ფეხთით ლომები) შემცველი ხატი იყო უცხო. არიანე აგვიწერს სწორედ ასეთ დედაღვთაების ქანდაკებას (ტახტზე მჭდომარეს, ხელში წინწილითა და ფეხთით ლომებით), რომელიც მდ. ფასისის შესართავთან ყოფილა აღმართული და რომელსაც იგი ფიდაისის რეას ამსგავსებს და ქალღმერთს ფასიანეს [Φασιανη θεῖς Ἰδρα. 148, გვ. 39] ან ფასისის ღმერთქალს უწოდებს [შდრ. 177, გვ. 195, 767№ 34].

თუ გამოვალთ ზემოთ აღნიშნული გარემოებიდან, რომ ნაყოფიერების დიდ დედაღვთაებას ერთ შემთხვევაში ხელში წინწილით გამოსახავდნენ, ხოლო მეორეში ბავშვით, მაშინ ცხადია, რომ ერთი მხრივ, ურეკის, ბომბორისა და სამოსის ქანდაკებები, ხოლო, მეორე მხრივ, არიანეს მიერ აღწერილი ფასისის ქალღმერთის ქანდაკება ერთი და იგივე დედაღვთაებას ანსახიერებს.

კოლხური სამყაროსათვის სიმპტომატიურია, რომ კოლხების მთავარი ღვთაება სახელით თუ შინაარსით სწორედ მათ დედამდინარეს უკავშირდება. აკი ბერძნული წყაროები (ფილოსტრატე უმცროსი, ახ. წ. III ს.) კიდევ იცნობენ მდ. ფასისის ღმერთს [149, გვ. 664]. მართალია ის მამაკაცადაა წარ-

მოდგენილი, მაგრამ აქ შესაძლოა ისეთივე შემდგომ მეტამორფოზთან გვექონდეს საქმე, როგორც კიბელა-კოპალეს შესაძლებელ შესაბამისობაში გვაქვს [23, გვ. 144]. არ არის გამოსარიცხი ვარაუდი, რომ ეს ღვთაება შეიძლება სწორედ ის ფასისია, რომელიც ანტიკური ხანიდან მომდინარე ცნობებში კოლხეთის ეთნარქოსის კოლხის მშობლად გვევლინება [149, გვ. 398. 150, გვ. 252]. ესეც ნაყოფიერების ღვთაების ფუნქციის გამოხატულებაა.

გაეიხსენოთ ისიც, რომ ფრიგიული დიდი დედაღვთაება კიბელა, სტეფანე ბიზანტიონელთან შემონახული, ალექსანდრე პოლიპისტორის (ძვ. წ. I ს) ცნობის თანახმად [151, გვ. 282] ქალაქების დამაარსებელია. ამ თვალსაზრისით შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ არიანეს ცნობის მიხედვით ფასისის ქალღმერთის ქანდაკება მდინარის შესართავთან, ქალაქში შესასვლელთან იდგა. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ის წინა აზიის დიდ დედაღვთაებათა მსგავსად მდინარეთა ღვთაებაც არის [შდრ. 114, გვ. 65] და ფრიგიული დიდი დედის მსგავსად ქალაქთა მფარველი ღვთაებაც, რისი სიმბოლოც მისი კოშკისებრი ტიარაა.

ამიტომ მართალი უნდა იყოს ბ. კუფტინი, როდესაც ამ დიდი დედაღვთაების გამოსახულებად მიიჩნევს კოლხურ თეთრების (ტრიობილის) შუბლზე არსებულ ქალის გამოსახულებას. მანვე მიაქცია ყურადღება იმას, რომ ქალის გამოსახულება შეხამებულია მონეტის ზურგზე ხარის თუ ძროხის გამოსახულებასთან და გაიხსენა დიდ დედაღვთაებათა კავშირი ძროხასთან, resp. ხართან [7, გვ. 253—254].

მართლაც, ეგვიპტეში, როდესაც მოხდა გაღმერთებული პირუტყვის ანთროპომორფიზაცია ძროხა იქცა დედაღვთაება ისიდად და ხატორად [155, გვ. 178]. აღსანიშნავია ისიც, რომ დიდი დედაღვთაება იშთარის სიმბოლოს წარმოდგენენ ხარი და ლომი. ამან ჩვენი მასალის მიმართ, როგორც დავინახეთ, გარკვეული შინაარსი შეიძლება შეიძინოს.

მოცემულ ხანაში და შემდგომაც, როგორც ზემოთ გვექონდა აღნიშნული, ძროხის გამოსახულებანი კოლხეთში არა გვხვდება, ხარისა კი მრავლად და ეს გასაგებია, რადგან ამ დროს გუთნური მიწათმოქმედების ხანაში გაღმერთებული იყო სწორედ ხარი. ამიტომ, საფიქრებელია, რომ კოლხურ ტრიობოლებზე ხარის თავია გამოსახული. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ კოლხური თეთრების უფრო ადრეულ ნომინალებზეც ხარის მოტივია გაბატონებული. გვაქვს, მაგალითად, ხარ-კაცის გამოსახულება [იხ. 118, გვ. 28]; და ეს ის ხარღვთაებაა, რომელიც გუთნური მიწათმოქმედების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. ძროხის ხარით შეცვლა ეპოქის გამოძახილია მხოლოდ და ამაში არა არის რა მოულოდნელი [შდრ. 7, გვ. 254—255].

ამრიგად, წარმოდგენილი მასალის საფუძველზე არ უნდა იყოს უგულებელსაყოფი ვარაუდი, რომ კოლხურ ტრიობელებზე გამოსახული ქალი ფასისის დიდი დედაღვთაებაა, ნაყოფიერების, მიწათმოქმედების, მდინარეთა და ქალაქთა მფარველი ღმერთი, კოლხური ნაირსახეობა დიდი დედაღვთაება კიბელა-რეასი. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია ზოგი სხვა დეტალიც: ადრეული ხანიდან დიდ დედაღვთაებათა, მათ შორის კიბელა-რეას და ქალღმერთ ფასიანეს ატრიბუტთაგან ერთ-ერთი მთავარი ლომია, რომელიც როგორც დედაღვთაება იშთარის შემთხვევაში ამ ღვთაებათა სიმბოლოდ გვევლინება. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ დაიხადოს კითხვა, ხომ არ არის დასაშვები, რომ კოლხური თეთრის ადრეული ნომინალების შუბლზე არსებული ლომის გამოსახულება დიდი დედაღვთაების სიმბოლო იყოს.

საგულისხმოა, რომ ლომის გამოსახულება ავერსზე შეხამებულია მონეტის ზურგზე ხარკაის [ცხრიდან სამ შემთხვევაში საეარაულოდ ხარქალის, იხ. 157 გვ. 59—60] გამოსახულებასთან და ერთ შემთხვევაში ხარის თავის გამოსახულებასთან [118, გვ. 28—29, ტაბ. 1, № 1, 3], ე. ი. იგივე მოტივთან რაც დამოწმებული გვაქვს ტრიობილების რევერსზე, ტრიობილებისა, რომლის ავერსზე ლომის გამოსახულებას ქალღმერთის გამოსახულება ენაცვლება. ასეთი შენაცვლება უნდა უთითებდეს ლომისა და ქალღვთაების შინაარსობრივ კავშირზე. ასეთ შენაცვლებებს ეხედებით ხშირად. მაგალითად, ჩათალ ჰუიუკში ქალღვთაების გამოსახულებას ენაცვლება მისი ატრიბუტების ლეოპარდების გამოსახულებანი [შდრ. 169, გვ. 93].

ასეთი მაგალითების მოტანა შეიძლებოდა დაუსრულებლივ, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ა. ზოგრაფს დასაშვებად მიაჩნდა საკითხის დასმა ადრეული კოლხური თეთრებისა და ტრიობილების გამოსახულებათა ერთი და იგივე ღვთაებათა გამოსახულებებად გააზრების შესახებ [170, გვ. 38]. ამ თვალსაზრისით იქნება არ იყოს შემთხვევითი, რომ ადრეულ დიდრაქმების უმრავლესობის (ცხრიდან შვიდის) შუბლზე გამოსახულია ორბუნებოვანი ლომი ხუადის ფაფრით და ძუს ძუძუებით [შდრ. 157, გვ. 59—61]. ფაფარი ამ შემთხვევაში მისი ღვთაებრიობის მაჩვენებელი უნდა იყოს, ხოლო ძუძუები დედაღვთაების იდეას უნდა გამოხატავდეს.

არსებობს კიდევ სამი მონეტა შუბლზე დაღრენილი ლომის თავის გამოსახულებით, რომელიც ზუსტად იმეორებს მწოლიარე ლომების თავებს¹⁸, მაგრამ მოუთითებენ იმაზე, რომ ამ მონეტის ზურგზე ფრთოსანი ცხენის გამოსახულებას ანალოგია არა აქვს [157, გვ. 56—57]. თუ ლომს ამჭერადაც დედაღვთაების სიმბოლოდ მივიჩნევთ, არც ამ შემთხვევაში იქნება დარღვეული შინაარსობრივი ჰარმონია. ცნობილია, რომ ცხენიც ხართან ერთად დაკავშირებულია ნაყოფიერების დედაღვთაებასთან. ცნობილია, აგრეთვე, გამოსახულებები ორმაგი ცხენებისა, რომელზედაც წაოთოდგვილია ამ ნაყოფიერების ქვეღვთაება ამ მისი სიმბოლო [90, გვ. 77—80].

ამგვარი წარმოდგენები არც კოლხეთისათვის იყო უცხო. ამ თვალსაზრისით სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ღებში აღმოჩენილ ჰვირულ ბალთას, რომელზეც ფანტასტიკური ცხოველის ორმაგი გამოსახულებაა; ფანტასტიკურ ცხოველებს შორის მათ ზურგზე ზის შიშველი ქალღვთაება ზუსტად ისე, ოღონდ სავარძლის გარეშე, როგორც ცხენზე შემოსხენებული კოლხური დედაღვთაება სამოსის ჰერაიონიდან. ფანტასტიკურ ცხოველებს სხეული, მკერდი, კისერი და სტილიზებული ფაფარი ცხენისა აქვთ, რქები და თავი ირმისა [იხ. 156, გვ. 101, ტაბ. VII⁸⁶; 90, გვ. 82], თათები ლომისა. ქალღვთაების ფეხებთან ძაღლის გამოსახულებაა, ხოლო ფანტასტიკური ცხოველების წინ გველებისა. ქალღვთაებას ისეთივე რკალი ეტყობა შუბლზე, როგორც ურეკის დედაღვთაების ქანდაკებაზეა. ღების ბალთის კომპოზიციონში წარმოდგენილია დიდ დედაღვთაებათა ყველა ძირითადი ატრიბუტი, თუ ატრიბუტის მოტივი: ირმის, ლომის, ძაღლის, გველის და, რაც ამჟამად გვაინტერესებს, ცხენისა.

მაშასადამე, ცხენის მოტივი სწორედ დედაღვთაებასთან კავშირში არ

¹⁸ იქნებ ზედმეტი არ იყოს იმის გახსენება, რომ ურეკის იმავე № 3 სამარხ-ორმოში, სადაც ბავშვთან დედაღვთაებისა და ხარის ქანდაკებები აღმოჩნდა, დამოწმებულია აგრეთვე ოქროს სააფუძველ რგოლები (ტაბ. XIV 713—714), რომელთა ბოლოები დაღრენილი ლომების გამოსახულებებს წარმოადგენენ და კოლხური თეთრების ლომის თავებს მოგვაგონებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ლომის მოტივი კოლხეთის სახით ხელოვნებაში, ყოველ შემთხვევაში, ძვ. წ. VII ს. უკვე ჩამოყალიბებული იყო.

იყო უცხო ძველი კოლხების შემეცნებისათვის და ეს წარმოდგენები კოლხურ პლასტიკაშიც აისახა. ამის პირდაპირ მაგალითს წარმოადგენს კოლხური დედთაება სამოსის ჰერაიონიდან, რომელიც, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ცხენზე დამაგრებულ სავარძელში ზის, და რომელიც ნათელს ხდის, რომ ცხენი ერთ-ერთი ატრიბუტთაგანი იყო კოლხური დედადეთებისა. ამის მაგალითია, აგრეთვე მუხურჩის სამაროვანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ქანდაკება ქალღვთებისა, სამოსის ქანდაკების მსგავსად ცხენზე მჯდომარე. ამიტომ, თუ დასაშვებია კოლხურ ტეტრადრაქმებზე ლომის თავის დედადეთების სიმბოლოდ გააზრება, მონეტის ზურგზე ცხენის გამოსახულება დედადეთების ატრიბუტად უნდა ეთვარაოდ.

წარმოდგენილ მჭკელობას ამ ეტაპზე საკითხის დასმის პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ, სანამ დამატებითი მასალა არ გაჩნდება წამოყენებულ იგივეობათა სამტყიცებლად. თუმცა ერთი უდავოა, რომ კოლხეთში არსებობდა კულტი დიდი დედადეთებისა, რომლის სხვა ატრიბუტები, როგორც ნაჩვენები იქნება, თავს იჩენენ ნიგეზიანის მონაპოვარშიც და იმ თანხვედრებს, რომელიც ზემოთ იყო მოტანილი, მაინც ანგარიში უნდა გაეწიოს.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ზემოთ განხილული კოლხური თეთრების გამოსახულებათა სემანტიკის ინტერპრეტაციის სხვა ცდებიც, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ნუმისმატ გ. ლუნდუას ცდა [იხ. 157, გვ. 56—71]. მისი აზრით, კოლხური თეთრების ემისიას ანხორციელებდა ქ. ფასისი და მისი ბერძნული თემი, რომელშიც გაბატონებული იყო, ისევე როგორც მის მეტროპოლიაში, მილეტში, აპოლონის კულტი და ამიტომ ლომის გამოსახულებიან კოლხურ თეთრებზე ლომი აპოლონის სიმბოლოა. ამ იდეას ავტორი ასე ასაბუთებს:

1. ანტიკური წერილობითი ტრადიციის მიხედვით, ფასისი მილეტელეზის დაარსებულია. ეს კი სავარაუდოს ხდის, რომ იქ მილეტიდან გადმოსახლებული ადამიანების გარკვეული ჯგუფი მაინც ვიგულეთით. 2. მეტროპოლიასა და კოლონიაში ჩვეულებრივ ერთი და იგივე კულტი იყო დამკვიდრებული. მილეტის მთავარი ღვთაება კი აპოლონი იყო 3. ფასისში აპოლონის სამლოცველოს, ე. ი. კულტის არსებობას გვიდასტურებს ზუბოვკის თასი. 4. ჰერაკლიდე-არისტოტელეს ცნობით, ფასისის თავისი პოლიტია ჰქონდა და იქ მილეტელებიც ცხოვრობდნენ. 5. ლომი მილეტის სახელმწიფოებრივი ემბლემაა, გამოსახულია მის მონეტებზე და დაკავშირებულია აპოლონის კულტთან. 6. 1 ტიპის კოლხურ ღირდაქმზე გამოსახული მწოლიარე ლომი იმეორებს კრეზუს ხანის მილეტურ მონეტაზე გამოსახულ ლომს. 7. ფასისისა და მილეტის რელიგიური კავშირი ფაქტია, ამიტომ კოლხურ თეთრებზე ლომის გამოსახულებანი აპოლონის კულტთანაა დაკავშირებული, 8. მაშინაც კი, როცა მონეტებზე ლომის გამოსახულება არ ემთხვევა ლომის მილეტურ გამოსახულებებს (პანტიკაეიონის შემთხვევა) მას მაინც აპოლონის კულტს უკავშირებენ. 9 მილეტისა და ფასისის სამონეტო და საკულტო ტიპოლოგიის მსგავსება უდავოა [157, გვ. 69—71].

მიუხედავად იმისა, რომ გ. ლუნდუას მიერ წამოყენებული ცდა კოლხური თეთრების აღრეული ნომინალების გამოსახულებათა ინტერპრეტაციისა ძალიან საინტერესოა, მის გასაზიარებლად ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა იქნება საჭირო და აი რატომ: უძველესი ცნობა ქ. ფასისზე დატულია მხოლოდ ძვ. წ. IV ს. წყაროში, ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსში“. ძვ. წ. IV საუკუნეზე აღრე ფასისში, რომ ბერძნული ემპირიონი ყოფილიყო, ისიც მილეტელთა დაარსებული, არ შეიძლება მილეტელ ისტორიკოსს ჰეკატეს ეს არ

სკონდონდა, არა მარტო მისი მიღებულობის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მისი შრომის „პერიეგესის“ ხასიათის გამო.

ქ. ფასისის არსებობა უცნობი დარჩა პერიოდტესათვისაც, რომელიც, როგორც ცნობილია, სპეციალურ ინტერესს იჩენდა კოლხეთის მიმართ. ამიტომ ძნელია ვიფიქროთ ბერძნული თემის არსებობა ფასისში ჰეკატესა და პეროდოტეს დროს. ნიშანდობლივია, რომ ძვ. წ. IV ს. სულ დასაწყისშიც ქსენოფონტსა და მის თანამოლაშქრეებს, როგორც ჩანს, არ ეგულებათ ფასის-რიონთან ბერძნული ახალშენი, რადგან თვით აპირებდნენ ამ მხარის დაპყრობას [20, V, 6, 36].

როდის შეიძლება ბერძნული მოსახლეობა გამოჩენილიყო ფასისში დღეს არსებული მონაცემების მიხედვით ძვ. წ. IV ს. დასაწყისში ან უკიდურეს შემთხვევაში ძვ. წ. V ს. დასასრულს. ამის უტყუარი საბუთი ზუბოეკის თასია, რომელსაც ძვ. წ. V ს. დასასრულს ან IV ს. დასაწყისს აკუთვნებენ სავარაუდოდ [171, გვ. 98—100] და რომელიც აპოლონის სამლოცველოს არსებობას გვიდასტურებს ფასისში და მას ბერძნული მოსახლეობის არსებობასაც. მაგრამ ვიმეორებ, ამას ადგილი აქვს საუკეთესო შემთხვევაში ძვ. წ. V ს. დასასრულს ან IV ს. დასაწყისში.

თუ ლომის გამოხატულებიანი კოლხური თეთრების ემისია ფასისში ხდებოდა და ისიც ბერძნების მიერ, რომელნიც მის ავერსზე თავისი კულტის ემბლემას ტვიფრავენ, ეს შეიძლება მომხდარიყო ან ძვ. წ. V ს. დასასრულისა, ანდა IV ს. დასაწყისის შემდგომ. აღნიშნულ მონეტებს კი თვით ავტორის სიტყვით „აშკარად არქაულობის ბეჭედი აზის“ [157, გვ. 58]. რაც შეეხება პერაკლიდე-არისტოტელეს ცნობას, ის არცთუ ისე მაღალი რანგის ცნობაა; გარდა ამისა, ის შეიძლება არისტოტელესაც ეკუთვნოდეს, არისტოტელეს „პოლიტიკების“ კომენტატორსაც და II ს. მწერალს ჰერაკლიდესაც [შდრ. 11, გვ. 1, იქვე სათანადო ლიტერატურა].

ამასთან, ამ ცნობიდან არ ჩანს რომელ დროს გულისხმობს ეს ცნობა ან საერთოდ გულისხმობს კი ფასისს. აკი ასეთი შესაძლებლობაც უჩვენა თელნიათლიე ნ. ლომოურმა [158, გვ. 383—384]. მაგრამ, დაუუშვათ აღნიშნული ცნობა სრულიად ცხადია. დაუუშვათ ისიც, რომ ფასისში ბერძნული მოსახლეობას თავისი სახელმწიფო წყობილებაც ჰქონდა, მაგრამ ამას შეიძლება მაშინ ჰქონდა ადგილი, როცა იქ ბერძნული მოსახლეობა გაჩნდა, ეს კი, როგორც დავინახეთ, არსებული მონაცემების მიხედვით უტყუარად შეიძლება მხოლოდ ძვ. წ. V ს. დასასრულის ან IV ს. დასაწყისის შემდგომ ვივარაუდოთ. და განა ნიშანდობლივი არ არის, რომ სწორედ ამ დროიდან, როცა ფასისში სავარაუდოა აპოლონის ტაძრის არსებობა ყველაზე გავრცელებულ კოლხურ ტრიობოლებზე ლომის გამოსახულებას, თუკი ის აპოლონის ემბლემა იყო, ვეღარ ვხვდებით.

დასასრულ, ისიც უნდა ითქვას, რომ მკვლევართა უდიდესი უმრავლესობა, როგორც თვით ავტორი მიუთითებს I ტიპის დიდრაქმებს კოლხურ მონეტებად თელის და ძვ. წ. VI ს. დასასრულით ათარილებს, თვით ავტორი მათ ძვ. წ. VI ს. უკანასკნელ მეოთხედს აკუთვნებს [157 გვ. 64]. თუ ეს ასეა და თუ იმასაც დაუუშვებთ, რომ ამ დროს ბერძნები ისე დიდი ხნის დამკვიდრებული იყვნენ ფაზისში, რომ აპოლონის ტაძარიც ჰქონდათ აგებული და ზარაფხანაც დაარსებული, მაინც გაუგებარია რატომ მოუჭრიდნენ ისინი კოლხებს ფულს საშინაო ბაზრის მოსაწყობის მიზნით, ან რატომ იქნებოდა მისადები კოლხებისათვის მათ ფულზე უცხო ემბლემების გამოსახვა.

ასეთია ის წინააღმდეგობები, რომლის გადალახვაა საჭირო, რომ ადრეული კოლხური თეთრების ემისია ბერძნებს მიეაწეროთ, ხოლო ამ მონეტებზე გამოსახული ლომები აპოლონის ემბლემად მივიჩნიოთ. ამიტომ მე უფრო მართებულად მეჩვენება ამ მონეტების გამოსახულებათა სემანტიკის ახსნის დროს გამოვიდეთ ძველი კოლხეთის იმ სინამდვილიდან, რომელსაც უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები და დღემდე შემონახული რეალიები გვაწვდიან.

ნიგეზიანის სამაროვანი

ნიგეზიანის სამაროვანი¹ მდებარეობს ლანჩხუთის რაიონში, სოფ. ნიგეზიანში, ზღვის სანაპიროდან დაახლოებით ოციოდე კმ. მანძილზე აღმოსავლეთით. სამაროვანი აღმოჩნდა სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში, მალაღბორცხეზე, რომლის ზედაპირი მოეკებულა იყო და სახსნავად გამოიყენებოდა. აღმოსავლეთითა და დასავლეთით ბორცვს მშრალი ხეხვები ჩამოუდის, ჩრდილოეთით კი ციკაბო ფერღშია გადაზრდილი.

მოეკებული ნაწილი ბორცვისა დიდი ხნის მანძილზე მუშავდებოდა, რის გამოც სამაროვანი ძლიერ დაზიანდა. მიწის დამუშავების დროს ჩნდებოდა ცალკეული სამარხეული ნივთები, უცდიდათ კიდევ მათი თავმოყრა, მაგრამ კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამ ნივთებს სამწუხაროდ, ვერ მიაკვლია. იმის გამო, რომ მიწა არაერთგზის იყო გადაბრუნებული მოეკებულ მოედანზე ზედაპირულად მიმოვანტული იყო წვრილად დაქუცმაცებული ძვლები და თიხის კურობის ნატეხები.

გასათხრელი ფართობი დაიყო ორ, ჩრდილოეთ და სამხრეთ A და B სექტორებად, თითოეული სექტორი კი კვადრატების (2X2 მ) ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი ბადით, რომლის OW ლერძი ლათინური ასოებით აღინიშნა, ხოლო SN ლერძი არაბული ციფრებით (იხ. ტაბ. XXXI). გაითხარა 200-მდე მ². აღმოჩენათა დიდი ნაწილი A სექტორზე მოდის. B სექტორში სამაროვნის დაფრეებული და ამიტომ ყველაზე დაზიანებული ნაწილი შევიდა. აღმოჩნდა სულ 10 სამარხი².

იმთავითვე მიეკცა ყურადღება იმას, რომ სამარხები ე. წ. „საკულტო მოედნის“ ჩათვლით სამაროვნის პერიმეტრზეა განლაგებული, ხოლო შუა ადგი-

¹ ეს სამაროვანი მიეკითხა ისტორიის მეცნიერებთა კანდიდატმა, არქეოლოგმა ვარლამ ართლავამ, რისთვისაც მას მადლობას მოვასხენებთ. სამაროვანზე საველე მუშაობის მეთვალყურეობას ეწეოდა ისტორიის მეც. კანდიდატი შ. ბარამიძე, ხოლო საველე ფიქსაციას — მხატვარი-არქიტექტორები ლ. შარველაშვილი და ლ. ვაბუაია. ნიგეზიანის სამაროვნის არქეოლოგიური შესწავლის მოკლე ანგარიშები ქვეყნდებოდა PAИ-ში და ცალკე წერილის სახით გამოქვეყნდა КСИА-ში |იხ. 119. გვ. 34—41; 120 გვ. 103—108; 121 გვ. 33—39|.

² ნიგეზიანის სამაროვნის პირველ პუბლიკაციაში, ვიდრე სამაროვანი მთლიანად გაითხრებოდა, აღნიშნულია, რომ იქ დამოწმებულია 12 სამარხი (იხ. 121, გვ. 34), საველე დოკუმენტაციამ სამარხების ნუმერაცია 1-დან 12-მდე გვაქვს, მაშინ, როდესაც არ არსებობს № 10 და № 11 სამარხები. საჭმე ისაა, რომ ნიგეზიანის სამაროვნის ტერიტორიის გამოწველების შემდეგ აღმოჩნდა 12 ქვაურილი, რომელთაგან თითოეული გაზრებული იყო სამარხად. შემდგომ გამოძრევა, რომ მიწის დამუშავების გამო ქვაურილების გადაადგილების შედეგად ყველა ქვაურილის ქვეშ სამარხის ორმო არ აღმოჩნდა. ვარდა ამისა ერთი ქვაურილის ქვეშ აღმოჩენილი განაზარტებულ სამარხად არ იყო მიჩნეული და საველე დოკუმენტებში მას „თოხების მოედანი“ ეწოდა, თუმცა ორ არის გამოსარჩები, რომ ის სამარხი იყო. წინამდებარე პუბლიკაციაში უცვლელად ვტოვებთ საველე ნუმერაციას და „თოხების მოედანს“, რომელსაც ჩვენ პირობით „საკულტო მოედანი“ ვუწოდებთ, ნომრის გარეშე არჩება.

ლი სრულიად სტერილურია [122, გვ. 15 — 16, შდრ. ტაბ. XXXI]. რით შეიძლება აიხსნას ეს გარემოება ძნელი სათქმელია. ეს ადგილი რომ რაღაცა რიტუალის ჩასატარებელ მოედნად მივიჩნიოთ, რაღაც კვალი ამ რიტუალისა უნდა დარჩენილიყო. როგორც ჩანს, მიცვალებულთა დაკრძალვა მაინცაღამაინც სამაროვნის პერიმეტრზე ნიგვზიანის სამაროვანზე დაკრძალვის წესის თავისებურებას შეადგენს.

ნიგვზიანის სამაროვნის ყველა სამარხი კოლექტიურია, როგორც ჩანს, ისეთი მცირე სამარხებიც კი როგორც № 3, № 4 და № 5, რადგან ისინი სხვა არაფრით განსხვავდებიან დიდი კოლექტიური სამარხებისაგან. ამიტომ მათ სამარხ-ორმოებს ვუწოდებთ. ეს სამარხი-ორმოები საცხეა მიცვალებულის ძვლებით, ინვენტარით და რიყის ქვებით, რომლებიც ქვაყრილების ნარჩენები უნდა იყოს, რადგან ორმოები თირშია ამოღებული და რიყის ქვა გარედან საგანგებოდაა მოტანილი. ქვაყრილები ჩვეულებრივ კორდიანი შრის ქვეშ იჩენდა თავს. როგორც ჩანს, იღებდნენ ორმოებს, შიგ მარხავდნენ გვაშის გახარწის შემდეგ მიცვალებულის ძვლების ნარჩენებს და ინვენტარს. შემდეგ აავსებდნენ ორმოს მიწით და აყრიდნენ ქვაყრილს. რაკი ორმოები თირშია ამოღებული ეს შეიძლება განმეორებულყოფიერად რამდენჯერმე, რის გამოც ორმოებში, პირამდე ერთმანეთშია ხოლმე არეული მიცვალებულთა ძლიერ დანაწევრებული ძვლები, ნივთები და ქვები. სამარხ-ორმოებში ძნელი გამოსაყოფია ცალკეული ინდივიდის კუთვნილი ინვენტარი, ხერხდება მხოლოდ ღონეების გამოყოფა, მაგრამ იმის გამო, რომ სხვადასხვა ღონეზე ზოგადად ერთგვაროვან შასალას ეხვდებით, ღონეების გამოყოფას შეიძლება მხოლოდ პირობითი მნიშვნელობა ჰქონდეს.

ს ა კ უ ლ ტ ო მ ო ე დ ა ნ ი ' (ტაბ. XXXI—XXXV) ასე ვუწოდებთ პირობითად სამაროვნის სამხრეთ-დასავლეთით ქვაყრილით მოფენილ ფართობს, რომელსაც ეკავა Bg₁ კვადრანტი მთლიანად, Bg₂ და Bh₁ კვადრატების ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ნაწილები, Ah₁-ა კვადრატები მთლიანად და Ag₁ კვადრატის დასავლეთი ნაწილი. ეს ადგილი საკულტო მივიჩნიეთ არა მარტო სამარხისათვის შეუფერებელი სიდიდის გამო, ის შეიძლება კიდევ უფრო დიდი იყო, მაგრამ ფლატესთან სიახლოვემ მისი ჩარეცხვა გამოიწვია, არამედ იმიტომაც, რომ იქ არ ჩანდა სრულიად ძვლების კვალი, სიღრმით სამარხებზე ზერელე იყო და ინვენტარიც განსაკუთრებული მრავალრიცხოვნობით გამოირჩეოდა, ამასთან ინვენტარში აშკარად სჭარბობდა სამიწათმოქმედო იარაღი, რომელიც ასე უპარბად მხოლოდ № 12 სამარხ-ორმოში იყო წარმოდგენილი. შემდგომმა კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, რომ კოლხეთის ადრეკინის ხანის სამაროვნებზე გაცილებით უფრო დიდი სამარხი-ორმოები არსებობდნენ გაცილებით უფრო მეტი რკინის სამიწათმოქმედო იარაღით და სხვა სპეციფიური ინვენტარით. ასე რომ, სრულებით არ არის გამოსარიცხი, ნიგვზიანის სამაროვნის „საკულტო მოედნის“ სამარხად მიჩნევა.

ს ა მ ა რ ხ ი-ო რ მ ო № 1 მდებარეობდა სამაროვნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში A ფართობის B₃₋₄, C₃₋₄ კვადრატებში (ტაბ. XXXI, XXXVI—XLIII). მისი ქვაყრილი უზულოდ კორდიანი შრის ქვეშ აღმოჩნდა, (ტაბ. XXXVI₁, 0,30—0,35 მ სიღრმეზე. ქვაყრილში დაფიქსირდა სხვადასხვა ქურქლის ნატეხები, აგრეთვე ლითონის ნაეფები. ქვაყრილს აყრის შემდეგ ორმომ ოვალური ფორმა მიიღო (ტაბ. XXXVI₁) და 2, 75 მ სიღრმეს მიაღწია. ორმოს ძირი თირას ტიხრით ორ ნაწილად იყო გაყოფილი (120, გვ. 105). ორმოში სხვადასხვა ღონეზე აღმოჩნდა მრავალფეროვანი ინვენტარი.

ს ა მ ა რ ხ ი-ო რ მ ო № 2 (ტაბ. XXXI, XLIV) მღებარეობდა სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და ეკავა A ფართობის, ხ კვადრატის სამხრეთი ნახევარი (ტაბ. XXVI). მისი ქვაყრილი უშუალოდ კორდიანი შრის ქვეშ აღმოჩნდა. ორმო სწორკუთხა ფორმისა იყო [120, გვ. 105].

ს ა მ ა რ ხ ი-ო რ მ ო № 3 (ტაბ. XXXI, XLIV) მღებარეობდა სამაროვნის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. A ფართობის a_1 , კვადრატის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ის კიდევ უფრო პატარა სამარხია ვიდრე №2, ისევე ქვაყრილიანია.

ს ა მ ა რ ხ ი-ო რ მ ო № 4. (ტაბ. XXXI, XLIV) მღებარეობდა სამაროვნის სამხრეთ აღმოსავლეთ ნახევარში. A ფართობის b_2 კვადრატის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში; მისი მცირე ნაწილი b_1 კვადრატში გადადიოდა. ქვაყრილიანი. ამ სამარხში გარდა წვრილად დანაწევრებული ძვლებისა, აღმოჩნდა მხოლოდ ფრაგმენტირებული კერამიკა.

ს ა მ ა რ ხ ი-ო რ მ ო № 5 (ტაბ. XXXI, XLV) მღებარეობდა A ფართობის b_2 კვადრატის დასავლეთ ნაწილში და მცირე ნაწილი C_2 კვადრატში-ქვაყრილიანია.

ს ა მ ა რ ხ ი-ო რ მ ო № 6 (ტაბ. XXI, XLVI) მღებარეობდა სამაროვნის დასავლეთ ნაწილში, A ფართობის g 1—2 კვადრატებში. ქვაყრილიანი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს; ქვაყრილი მიწის სამუშაოების დროს დაიძრა და ამიტომ ალაგ-ალაგ იყო შემორჩენილი. ამ გარემოების გამო თავდაპირველად გამოიყო სამარხი-ორმო № 6ა, მაგრამ შემდგომ ნათელი გახდა, რომ სამარხი-ორმო № 6 და № 6ა ერთი სამარხის ნაწილებია. აღსანიშნავია, რომ № 6 სამარხი-ორმოს ძირში დაახლოებით 1,75 მ სიღრმეზე, Ag1—2 კვადრატების მიჯნაზე აღმოჩნდა მცირე (1 X 1) მოხრევილი მოედანი (შლრ. ტაბ. XXXI), რომელიც შესაძლოა სხვა სამარხის ნაშთი იყო.

ს ა მ ა რ ხ ი-ო რ მ ო № 7 (ტაბ. XXXI, XV) მღებარეობდა სამაროვნის ჩრდილო ნახევარში, A ფართობის e_4 (მცირე ნაწილი) და e_5 კვადრატებში, 0,25 მ სიღრმეზე. ქვაყრილიანი იყო.

ს ა მ ა რ ხ ი-ო რ მ ო № 8 (ტაბ. XXI, XV) მღებარეობდა სამაროვნის ჩრდილო ნახევარში A ფართობის d_4 — e_4 კვადრატებში 0, 30 მ სიღრმეზე, ქვაყრილიანი იყო. ქვაყრილის ერთი ნაწილი, როგორც ჩანს, მიწის სამუშაოთა შედეგად გადაადგილდა d_3 კვადრატში. ეს სამარხიც მცირეინვენტარიანი იყო და მცირე სიღრმისა (0,30—0,75) მ.

ს ა მ ა რ ხ ი-ო რ მ ო № 9 (ტაბ. XXXI, XLV) მღებარეობდა A ფართობის e_3 კვადრატში, ქვაყრილიანი იყო.

ს ა მ ა რ ხ ი-ო რ მ ო № 12 (ტაბ. XXXI, XLVII—XLIX) აღმოჩნდა სამაროვნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, A ფართობის g_4 — g_5 , h_4 და i_5 კვადრატებში. ქვაყრილიანი იყო. ქვაყრილის აყრის შემდეგ ორმომ ოვალური მოყვანილობა მიიღო. იგი წაგრძელებული იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ორმოში დადასტურდა ორი ღონე, რომლებიც ერთი მეორისაგან 10 სმ სისქის თითქმის სრულიად სტერილური თხინარი შრით გამოიყოფოდა. ზედა ღონეზე მთელი თხრილის ფართობი მოფენილი იყო ძლიერ დანაწევრებული ძვლებით. ქვედა ღონეზე ძვლები ნაკლები იყო [122; 120; გვ. 105].

კერამიკა

ნიგვზიანის სამაროვანზე აღმოჩენილი თიხის კურკელი, ისევე, როგორც ურეკის სამაროვნისა ან შავლევაა, ან მუქი მოყავისფრო. აქაც, ურეკის მსგავსად, დამოწმებულია ტოლჩები, ვაზისებრი კურკელი, ყურმილიანი ღოჭები, ქოთნები და სასმისები. ორი უკანასკნელი სახეობის კურკელი ურეკის სამაროვნისათვის უცხოა: ქოთნები საერთოდ არ არის, ხოლო სასმისებისაკენ მიილტვის ტოლჩების ერთი ეგზემპლიარი (IV ტიპი). ეს აღრეული კოლხური სასმისები, რომლებიც გაბატონებულია ძვ. წ. VI ს-დან, ისევე როგორც შუა კოლხური კერამიკის მეორე სპეციფიკური კურკელი — ყურმილიანი ღოჭები განსაკუთრებით მრავლად და მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი ნიგვზიანის სამაროვანზე, რაც ამ სამაროვნის შედარებით გვიანდლობაზე შეიძლება მიუთითებდეს.

ტოლჩები

ნიგვზიანის სამაროვანზე ტოლჩების, უკვე განხილული ნაირსახეობებიდან, წარმოდგენილია უბირატესად I, III და IV ტიპი: ქილისებრი, კასრისებრი და სასმისებისაკენ გარდამავალი რამდენადმე ფეხგამოყვანილი ტოლჩები (ტაბ. XXXII₁₀₈₈; XXXVII).

აღსანიშნავია, რომ ნიგვზიანის კასრისებრი ტოლჩები (III ტიპი) უფრო მუცლიანები არიან და მათ უმრავლეს შემთხვევაში აქვთ სადა, მრგვალგანივკეთიანი, განზე გაზიდული ყურები. ტოლჩების უმრავლესობა დამოწმებულია №1 სამარხ-ორმოში. ერთადერთი ეგზემპლიარი, რომელიც II ტიპს განეკუთვნება, აღმოჩნდა აგრეთვე №1 სამარხში (ტაბ. XXXVII₁₂₂₂). ნიგვზიანის სამაროვანზე ჩნდება შედარებით მომცრო ტოლჩებიც არაპროპორციულად დიდი, განზე ან ზემოთ გაზიდული მრავალგანივკეთიანი სადა ყურით (ტაბ. XXXII₁₀₈₈₋₁₀₈₇; XLVII₁₀₂₀₋₁₀₂₁). რაკი კორპუსის ფორმით ისინი III ტიპის ტოლჩებს უახლოვდებიან ჩვენ მათ გამოეყოფთ III ტიპის პირველ ქვეტიპად. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია, რომ ნიგვზიანის №1 სამარხში დამოწმებულ III ტიპის ტოლჩებს ისეთივე ყური აქვთ, როგორც III₁ ტოლჩებს, ოღონდ უკანასკნელ შემთხვევაში ყურისა და კორპუსის პროპორციულობა დაუტულია.

III₁ ტოლჩა ყურმილიან ღოჭებთან ერთად, ისევე როგორც ნიგვზიანის სამაროვანზე, დამოწმებულია მუხურჩის სამაროვნის ზედა დასაქრძალ მოედანზეც, რომელსაც გამოთხრელები ძვ. წ. VII ს. დასასრულით ან ძვ. წ. VI ს. დასაწყისით ათარილებენ [3, გვ. 64, ტაბ. X₂₂]. III₁ ტოლჩები გვხვდებიან ძვ. წ. VI ს. მეორე ნახევრის ძეგლებზეც. მაგალითად, სიმაგრის ნაშოსახლარის მეორე ფენაში [იხ. 29. ტაბ. XXVII].

ნიგვზიანის მასალის მიხედვით I ტიპის ტოლჩებსაც უნდა გამოეყოს ქვეტიპი, რომელიც ერთი ტოლჩითაა წარმოდგენილი (ტაბ. XXXVII₁₂₂₁) და რომელსაც უჩნდება ძვ. წ. VI—IV სს. კოლხური სასმისების დამახასიათებელი ელემენტი კორპუსის ზედა ნაწილში ზედაპირმომრგვალებული რელიეფური სალტეების რამდენიმე რიგი, თუმცა ინარჩუნებს ზოგადად I ტიპის ტოლჩების საერთო ჰაბიტუსს და ყურის ზედა ნაწილის ლილვისებრი დანაქერწით დამუშაებას.

ნიგეზიანის სამაროვანზე სასმისების ორი ტიპია წარმოდგენილი: ძაბრი-
სებრი და ფეხგამოყვანილი სასმისები, რომლებიც IV ტიპის ტოლჩების შემ-
დგომ განვითარებას წარმოადგენენ.

ძ ა ბ რ ი ს ე ბ რ ი ფ ო რ მ ი ს ს ა ს მ ი ს ე ბ ი ნიგეზიანის სამარო-
ვანზე ორი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი: პირველი ნაირსახეობა წვეტიან-
ძირიანი სასმისი კანელიურებიანი კორპუსით, [ჩქისებრი შეერილიანი ყურით
(ტაბ. XLIV, 434). ასეთი სასმისები გვხვდება როგორც ნამოსახლარებზე, ისე
სამაროვნებზე. ასეთი სასმისები აღმოჩნდა სოფ. ნოსირი III-ში ტეხურის ფლა-
ტესთან გათხრილ კულტურულ ფენაში [123, ტაბ. VIII] და ვრგეტის სამაროვ-
ნებზე.

მეორე ნაირსახეობა ძაბრისებრი ფორმის სასმისებისა წარმოდგენილია ასე-
ვე ერთი ეგზემპლარით (ტაბ. XXXII₁₀₈₁). ეს სასმისი რიგი ელემენტებით
(ყურის მოყვანილობა, ყურის დასმა და დასმის ადგილი კორპუსზე, მრგვალ-
ზედაპირიანი რელიეფური სარტყლები) ძალიან უახლოვდება ძვ. წ. VI ს. ფართოდ
გავრცელებულ კოლხურ სასმისებს [29, ტაბ. XXXI, XXXII] და უნდა მიუთით-
ებდეს იმაზე, რომ ამგვარი ქურქელი იმ ხანას განეკუთვნება, როცა საფუძ-
ველი ეყრება შუა კოლხური პერიოდის კოლხურ სასმისებს.]

ამასვე უნდა მოწმობდეს ნიგეზიანის სამაროვნის II ტიპის 'სასმისებიც
(ტაბ. XXXVII_{1201, 1198, 1197}). ისინი სამი ნაირსახეობით არიან წარმოდგენილი.
ყველაზე არქაულ ელემენტებს ინარჩუნებს I ნაირსახეობა (ტაბ. XXVII₁₁₉₇), რო-
მელიც საერთო იერით, ყურის მოყვანილობითა და ყურზე რქისებრი შეერილებით
უახლოვდება IV ტიპის ტოლჩებს, მაგრამ ფეხის დაგრძელებისა და გამოყვანის
გამო ის წარმოადგენს სასმისს და ტიპოლოგიურად უკავშირდება ძვ. წ. VI ს.
სასმისებს [29, ტაბ. XXXI—ფ. 62—612]. 'ამავე ტიპის სასმისების [მეორე
ნაირსახეობას ფეხი უფრო დაბალი უჩანს, მაგრამ უფრო მკვეთრად გამოყვა-
ნილიც' (ტაბ. XXXVII₁₁₉₈). III ნაირსახეობა [უკვე დასრულებული კოლხური
სასმისია მაღალი გამოყვანილი ფეხითა და ქუსლით, მრგვალებულ ზედაპირ-
იანი რელიეფური სარტყლებით (ტაბ. XXXVII₁₂₀₁), რომელიც ძვ. წ. VI ს.
შუა ხანების კოლხურ სასმისების ერთ-ერთ ნაირსახეობას იმეორებს სრულად [29,
ტაბ. XXXI—ფ. 63—17].

აღსანიშნავია, რომ ეს სასმისი აღმოჩნდა № 1 სამარხ-ორმოში და მიუხე-
დავად იმისა, რომ აქ არის უფრო ადრეულად მისაჩნევი მასალაც (ბრინჯაოს
სატევრები, I და III ტიპის ტოლჩები კანელიურებით და კანელიურებიანი კერ-
მიკა საერთოდ) აღნიშნული სასმისი და მძივსამკაულის გარკვეული ნაწილი ამ
სამარხს აშკარად „აახლოვებდავენს“.

ქ ო თ ნ ე ბ ი

ნიგეზიანის სამაროვანზე სულ ოთხი ქოთანი აღმოჩნდა, 'ორ-ორი № 1 და
№ 2 სამარხ-ორმოებში. ოთხივე ქოთანი ერთნაირია, კასრისებრი მოყვანილობის.
№ 1 სამარხი-ორმოს ქოთნები შემკულია ერთ შემთხვევაში ერთმანეთზე მიჯ-
რილი წრიული სარტყლებით ყელზე და კორპუსზე ირიბი ღარებით (ტაბ.
XXXIX₁₂₅₂), ხოლო მეორეში შვეული ღარებით (ტაბ. XXXIX₁₂₅₃). № 2 სა-
მარხი-ორმოს ქოთნები, შეიძლება ითქვას, სადაა თუ მხედველობაში არ მივი-
ლებთ ყელზე წრიულ სარტყლებს (ტაბ. XLIV₁₄₂₇₋₁₄₂₈).

ვაზისებრი ქურქელი

ნიგეზიანის სამაროვანზე ვაზისებრი ქურქელი წარმოდგენილია I და II ტიპით. ამასთან I ტიპის ვაზისებრი ქურქლის მხოლოდ I (ტაბ. XXXVII₁₂₄₂) და III (ტაბ. XXXII₁₀₃₄) ქვეტიები გვაქვს, ხოლო II ტიპისა მხოლოდ II ქვეტიები (ტაბ. XXXVII₁₂₃₉).

ყურმილიანი დოქები

ნიგეზიანის სამაროვნის ყურმილიანი დოქები არსებითად არ იძლევიან შვეთარ ტიპოლოგიურ ნაირსახეობებს. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მხოლოდ ზომით და შემეკულობით. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ერთი დოქი (ტაბ. XXXII₁₀₅₉), რომელიც საკულტო მოედანზე აღმოჩნდა. ამ დოქის ყელი მთლიანად დამუშავებულია ზედაპირმომრგვალებული რელიეფური სარტყლებით, ე. ი. ძვ. წ. VI ს. შუა ხანების კოლხური სასმისებისათვის დამახასიათებელი სამკაულით [29, ტაბ. XXXI], რომელიც უფრო ადრეული მასალისათვის უცხოა. ეს მომენტი აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ყურმილიანი დოქის ეს ცალი ძვ. წ. VI ს. ფარგლებს ვერ გასცდება. იგივე უნდა ითქვას სხვა ყურმილიანი დოქების ტალისებრ, ბადისებრ და სხვა ორნამენტებზე (იხ. ტაბ. XXXVIII), რაც ესეოდენ დამახასიათებელია ძვ. წ. VI — V სს. კოლხური სასმისების ქვევრებისა და ლანგრებისათვის [შდრ. 29, ტაბ. XXIII, XIX].

კვირისტავეები

ნიგეზიანის სამაროვანზე დამოწმებულ კერამიკულ ნაწარმთან ერთად უნდა შევხვით კვირისტავეებსაც, რადგან მათი დიდი ნაწილი თიხისგანაა დამზადებული.

კვირისტავეები აღმოჩნდა №1 სამარხ-ორმოში 4 ცალი (ტაბ. XXXIX_{1371 1378}), 2|ცალი თიხისა და ორიც ქვისა, №2 სამარხში — 1 ცალი თიხისა (ტაბ. XIV₁₄₄₆) და საკულტო მოედანზეც 2 ცალი თიხისა (ტაბ. XXXII₁₀₈₄₋₁₀₈₆). ტიპოლოგიური თვალსაზრისით ისინი ორ ჯგუფს შეადგენენ კონუსური ფორმის კვირისტავეები, ისინი ყველა თიხისა და ფართოდაა გავრცელებული ძვ. წ. VII—VI საუკუნის კოლხეთის სამაროვნებზე (ურეკი, ერგეტა) და ნამოსახლარებზეც და ბრტყელი, ბორბლისებრი კვირისტავეები (ტაბ. XXXIX_{1373 1378}), რომლებიც ქვისგანაა დამზადებული. ამგვარ კვირისტავეებს ვხვდებით კოლხეთის გაცილებით უფრო ადრეულ ძეგლებზე [29, ტაბ. VIII—ფ—62—109].

სამეურნეო იარაღი

ნიგეზიანის სამაროვანზე აღმოჩნდა როგორც ბრინჯაოს სამეურნეო იარაღი, ისე რკინისა. ბრინჯაოს სამეურნეო იარაღი მხოლოდ სეგმენტებითაა წარმოდგენილი, მაშინ როდესაც რკინისა გაცილებით მეტია და მრავალფეროვანი. ეს გარემოება იმის მაჩვენებელია, რომ ნიგეზიანის სამაროვანი რამდენადმე უფრო გვიანია ურეკისაზე.

ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ს ე გ მ ე ნ ტ ე ბ ი

ეს იარაღი ნიგეზიანის სამაროვანზე სულ 20 ცალი აღმოჩნდა, ზოგადად ისინი იმეორებენ ურეკის სეგმენტისებრ იარაღს. ნიგეზიანში 9 სეგმენტი საკულტო მოედანზე აღმოჩნდა (ტაბ. XXXIII_{1087-1088; 1089}) და მხოლოდ ერთი № 2 სამარხ-ორმოში (ტაბ. XLVIII₁₈₇₅). ნიგეზიანის ყველა სეგმენტისებრი იარაღი სადაა, მხოლოდ ერთს (ტაბ. XXXIII, 1088). ზედაპირზე, ურეკის ერთ-ერთი სეგმენტისებრი იარაღის (ტაბ. XXX₁₈₂₀) მსგავსად, გრძივი ჰლეები აქვს დანტილი.

რ კ ი ნ ი ს თ ო ხ ე ბ ი

რკინის თოხები ურეკის სამაროვანზე თუ მხოლოდ 5 ცალია ნაპოვნი, ნიგეზიანის სამაროვანზე 125 ცალი მაინც აღმოჩნდა. ოდენობას საეარაუდოდ იმის გამო მივუთითებთ, რომ თოხების გარკვეულ ნაწილს, როგორც ჩანს, ცეცხლში მოხვედრის გამო ფორმა აქვს დაკარგული. ფორმა სრულად შენარჩუნებული აქვს 75 თოხს. აქედან 31 ცალი № 12 სამარხ-ორმოში აღმოჩნდა, 44 და უამრავი ფორმადაკარგული საკულტო მოედანზე. ნიგეზიანის თოხებში გვაქვს როგორც პირველი, ისე მეორე სახეობის ცალები.

რ კ ი ნ ი ს ს ა ხ ნ ი ს ე ბ ი

რკინის სახნისები ნიგეზიანის სამაროვანზე, ისეთი რომლის გარჩევა უდავოა, 10 ცალი აღმოჩნდა. აქედან № 12 სამარხ-ორმოში სამი (ტაბ. XLIX₁₈₉₈₋₁₇₀₀) და საკულტო მოედანზე 7 ცალი (ტაბ. XXXIV, 1137 — 1143). ყველა სახნისი მეტ-ნაკლებად ფორმის ერთგვაროვნებით გამოირჩევა. მათ სწორი, სიმეტრიული, ოდნავ წელში გამოყვანილი ტანი აქვთ, მომრგვალებული სამუშაო პირი და სახენელზე დასამაგრებელი ნაწილი, რომელიც სახნისის ზედა ნახევარში გვერდების ერთიმეორისაკენ გადაკეცივითაა შექმნილი.

სახენელი იარაღის უძველესი სახეობის გაჩენის კერად, როგორც ცნობილია, მიჩნეულია შუა აღმოსავლეთის ქვეყნები (შუა აზიის სამხრეთ დასავლეთი ნაწილი, მდ. ინდის ველი), ხოლო ხანად ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისი მაინც. ევროპაში ის ჩნდება პირველად აღმოსავლეთ ევროპის სამხრეთ ნაწილში ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულს [124, გვ. 15 — 16, 20; 125, გვ. 76 შმდ.].

რაც შეეხება სახენელი იარაღის რკინის პირებს, სახნისებს, რომლებმაც დიდი ძვრები გამოიწვიეს და ახალი ეტაპი შექმნეს მიწათმოქმედებაში, დაკავშირებული არიან უფრო განვითარებულ სახენელ იარაღთან, გუთანთან, და გაცილებით უფრო დაწინაურებულ გუთნურ მიწათმოქმედებასთან. ანტიკურ სამყაროში ისინი თავს იჩენენ ძვ. წ. VI საუკუნეში. ევროპის უფრო ჩრდილოეთ მხარეებში პალშტატის D პერიოდში. მასრიანი სახნისები ლატენის ეპოქაში ჩნდება და მათ გავრცელებას კელტებს უკავშირებენ [126, გვ. 68]. მცირე აზიაში გუთნის რკინის სახნისებს ფრიგიულ ხანას უკავშირებენ და ბოლასქოში, სადაც ხუთი რკინის ლემები აღმოჩნდა, ისინი თარიღდებიან ბიუიკელე II (კ. ბიტელის მიხედვით ძვ. წ. 750—650 წწ.) და ბიუიკელე I (კ. ბიტელის მიხედვით ძვ. წ. 650—500 წწ.) პერიოდებით.

ანალოგიური სახნისები სხვა ადგილებიდან ასევე განეუთვნებიან ძვ. წ. VIII, VII ან VI საუკუნეებს და მხოლოდ ერთადერთ სახნისს აღმოჩენის ადგილის მიხედვით, ძვ. წ. X ს. ათარილებენ [127, გვ. 17. შნშ. 2, გვ. 154].

თუ ჩვენს სახნისებს შეველარებთ მცირეაზიურ (ბოლას-ქოის) ან აღმოსავლურ-ევროპულ სახნისებს, მათ შორის მკვეთრ განსხვავებას დაინახავთ, მაშინ, როდესაც ბოლას-ქოისა და აღმოსავლურ ევროპულ სახნისებს შორის გარკვეული მსგავსებაა [127, ტაბ. IV—1614—1618; 128, გვ. 103—113, სურ. 2—4].

ნიგვზიანის სახნისების ანალოგიური სახნისები 1980 და 1982 წწ. აღმოჩნდა ერგეტის № 1 და № 3 ჯერ გამოუქვეყნებელ სამაროვნებზე. რკინის სახნისი უპოვია მ. ტრაპშს გულახუნს მთაზე კულტურულ ფენაში, რომელსაც იგი ადრეანტიკური ხანით ათარილებს [4, გვ. 223]. როგორც ჩანს, სახნისის ის ტიპი, რომელიც ნიგვზიანისა და ერგეტის სამაროვნებზე აღმოჩნდა და რომელთა რიცხვი უკვე სამ ათეულს აღწევს (მარტო ერგეტის № 3 სამაროვნის № 1 სამარხში 18 სახნისია დამოწმებული) კოლხეთშია შემუშავებული. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ ოსური ლეგენდის მიხედვით, სახენელი იარაღის გამომგონებლად ქართველები გვევლინებიან: თურმე ციდან ჩამოვარდა გუთნის სურათი, რომელიც ნახა ქართველმა და იმგვარი გუთანი გააკეთა როგორც სურათზე იყო. შემდეგ მისგან გუთნის კეთება სხვებმაღ ისწავლეს [176, გვ. 222, 130, გვ. 103].

ამ მხრივ არანაკლებ საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის ინტერპრეტაცია ჰეროდოტესთან დაცული სკვითური ლეგენდისა ციდან ოქროს გუთნის და სხვა ნივთების ჩამოცეცნის შესახებ. ამ ლეგენდის თანახმად ოქროს გუთანი და სხვა ნივთები ერგო უმცროს შვილს კოლაქსაის (Herod., IV, 5), რომლის სახელში ივ. ჯავახიშვილის აზრით დალექილია კოლხური ტომის კორაქსების სახელი. ამ ტომის ქვეყანას იცნობდა ჰეკატე მილეტელი; ჰეკატეს ცნობის კომენტარში სტეფანე ბიზანტიელი პირდაპირ მიუთითებდა კორაქსები კოლხური ტომიაო [174, გვ. 321]. კოლხების მეზობლად მოხსენებულია კორაქსები ფსევდოსკილაქს კარიანდელის „პერიპლესშიც“ [175, გვ. 156]. ამ ტომის ეთნარქოსად თვლის სწორედ ივ. ჯავახიშვილი კოლაქსაის, რომელსაც ციდან მოეცლინა გუთანი [129, გვ. 264].

არ არის გამორიცხული, რომ ამ ორ, ოსურ და სკვითურ ლეგენდას ერთი საერთო შორეული სათავე ჰქონდეს. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს საერთო იდეა სახენელი იარაღის ციური resp. ლეთიური წარმომავლობის შესახებ და ამ ლეგენდებში მოცემული გუთნის პირველი გამომყენებლების აღმოსავლურ ქართულ სამყაროსთან დაკავშირება. არანაკლებ საგულისხმოა სკვითური ლეგენდის კოლხურ სამყაროსთან დაკავშირების შესაძლებლობაც. ყოველ შემთხვევაში წინამდებარე გამოცემაში ასახული არქეოლოგიური მასალა და, რაც მთავარია, კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის უახლესი აღმოჩენები ასეთი შესაძლებლობისათვის მყარ საფუძველს ქმნიან.

ასეა თუ ისე, რკინის სახნისის საყოველთაო დამკვიდრება კოლხეთში, რასაც სახნისების სიმრავლე მოწმობს, ფაქტია და ცნობა მაგარი რკინის სახნისის [συνθεσις ἀρχαίων ἀποριων, იხ, 8, გვ. 230—232] შესახებ, რომელსაც არა მარტო აპოლონიოსის „არგონავტიკაში“, არამედ ამ მითის ადრეულ ვერსიებშიც [პინდარეს IV პითიური ოდა იხ. 9, გვ. 214] ვხვდებით, უნიდაგოდ არ უნდა იყოს აღმოცენებული.

რკინის სახნისების, როგორც წამმართველი სამიწათმოქმედო იარაღის, საყოველთაო გავრცელება კოლხეთში, ძვ. წ. VII—VI სს-ში ხდება, ე. ი. ზოგადად იმ ხანაში, როდესაც, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, იგივე მოვლენას ადგილი აქვს პოსტხეთურ მკირე აზიაში, ანტიკურ სამყაროსა და ევროპაში. მაშასადამე, რკინის სახნისი რკინის აღმავალი წარმოების პროდუქტია, რომელმაც მანამდე არნახულ სიმაღლეზე აიყვანა მიწათმოქმედება, დემოგრაფიული აფეთქება გამოიწვია და საზოგადოების განვითარების ახალ ეტაპს დაუდო სათავე. ნიშანდობლივია, რომ ძველ ირანულ ენაში სახნისის აღმნიშვნელი სიტყვა რკინის აღმნიშვნელ სიტყვად იქცა [131, გვ. 22], ამ ენობრივ ფაქტში არეკლილი ჩანს ის მოვლენა, რომ ლითონის სახნისის შემოღებით რკინის წარმოების საბოლოო და სრული გამარჯვება აღინიშნა.

რკინის ნამგალი

ერთადერთი ცალი აღმოჩნდა № 12 სამარხ-ორმოში. იგი პატარა ზომისაა. ზურგთან განიერდება და აქვს მოკლე სწორკუთხა ყუნწი (ტაბ. XLVIII₁₈₉₇). რკინის ნამგალი კოლხეთის არქეოლოგიურ მასალაში იშვიათად გვხვდებოდა. ყველაზე უხვად რკინის ნამგლები წარმოდგენილია ერგეტის № 3 სამაროვნის № 1 სამარხში, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ეს იარაღი ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. VI ს. დასაწყისიდან კოლხეთის სამიწათმოქმედო იარაღის განუყოფელი და აუცილებელი ნაწილია. ადვილი შესაძლებელია, რომ რკინის ნამგალი ამ დროს შემუშავებული იარაღი იყოს, რადგან იგი განსხვავდება ამიერკავკასიის (მათ შორის კოლხეთის) ბრინჯაოს ნამგლებისაგან, რომელთაც ტიპოლოგიურად წინააზიურ უყუნწო ნამგლებს უკავშირებენ [39, გვ. 324—325 შ. დ. სურ. 20; 30 გვ. 205; 43, გვ. 72, ტაბ. IX₂₀₋₂₁].

კოლხური ნამგლები უფრო ახლოს დგას ურარტულ რკინის ნამგლებთან ტაპრახ-კალედან ვინის მახლობლად და კარმირ-ბლურიდან (58, გვ. 37).

რკინის დანები

ჩიგვზიანის სამაროვანზე აღმოჩნებულია ორივე ტიპოლოგიური სახესხვაობა რკინის დანებისა; მოხრილი დანები (ტაბ. XXXIII₁₈₈; XLI₄₁₁; XLVIII₁₈₉₈) და სწორტანიანი დანები (ტაბ. XLI₁₄₁₀; XLVIII₁₈₉₄).

საბრძოლო იარაღი

ნიგვზიანის სამაროვანზე აღმოჩენილი საბრძოლო იარაღი, განსხვავებით სამეურნეო იარაღისაგან, რომელიც მხოლოდ რკინისაა, დამზადებულია როგორც ბრინჯაოსაგან, ასევე რკინისაგან. საბრძოლო იარაღი წარმოდგენილია რკინის ცულებით, რომელთა მიკუთვნება მარტოოდენ საბრძოლო იარაღის კატეგორიისადმი პირობითია, სატევრებით, შუბისპირებითა და ისრისპირებით.

რკინის ცულები

ნიგვზიანის სამაროვანზე რკინის 4 ცულია მოპოვებული: 1 საკულტო მოედანზე და 3 ცალი № 12 სამარხ-ორმოში. ნიგვზიანის რკინის ცულებში

ორი ტიპოლოგიური სახესხვაობა გამოიყოფა: კოლხური ცული, რომელიც ბრინჯაოს პროტოტიპებს იმეორებს და რომელთა შესახებ ურეკში აღმოჩენილ ცულებთან დაკავშირებით უკვე გვექონდა საუბარი და სატარე ხერელით შუაზე თითქმის ტოლ ნაწილებად გაყოფილი ცულები, რომელთაც შედარებით ვიწრო ტანი აქვთ და ყუა პირივით დათხელებული.

პირველ ტიპს მიეკუთვნება საკულტო მოედანზე აღმოჩენილი ცული (ტაბ. XXXIV_{114a}) და, როგორც ჩანს, № 12 სამარხი-ორმოს ერთ-ერთი ცული (ტაბ. XLIX₁₇₀₁), რომელიც ნაკლულია, ხოლო მეორე ტიპს № 12 სამარხ-ორმოში აღმოჩენილი ცულები (ტაბ. XLIX₁₇₀₂₋₁₇₀₃).

I ტიპის მსგავსი რკინის ცულები გვხვდება წითელი შუქურას სამაროვანზე [შდრ. 4, გვ. 171, ტაბ. XIX₁₀₋₁₁]. II ტიპის ცულებს ანალოგიურ იარაღს ვხვდებით კულანურხვასა და წითელი შუქურას სამაროვანებზე [5, გვ. 125—126 ტაბ. V_{11, 28}; 4; ტაბ. XIX₆] თლის სკვითურ ინვენტარიან სამარხებში. ისინი განსაკუთრებით უახლოვდებიან გამთხრელის მიერ გამოყოფილ II ტიპის ცულებს, რომელიც განსაკუთრებით დამახასიათებელია ძვ. წ. VI ს. ძეგლებისათვის [27, გვ. 54 სურ. 8₁, 12₁, 13₂, 14₂].

აღნიშნულ სამარხებში ისევე როგორც ნიგვზიანის № 12 სამარხში რკინის II ტიპის ცულები გვხვდებიან სკვითურ ისრისპირებთან და აკინაქებთან ერთად, რაც ყველა ამ კომპლექსის ქრონოლოგიურ შესატყვისობაზე მეტყველებს.

ს ა ტ ე ვ რ ე ბ ი

ისევე როგორც ურეკის სამაროვანზე, აქაც გვაქვს როგორც ბრინჯაოს, ისე რკინის სატევრები. რკინის სატევრები წარმომავლობის მიხედვით ორ ჯგუფს შეადგენენ: სატევარი-აკინაქები, რომლებიც ირანულ-სკვითურ იარაღადა მიჩნეული და რკინის სატევრები, რომელთაც ადგილობრივი სათავეები უჩანთ. ყოველ შემთხვევაში მათი კავშირი კოლხეთის ბრინჯაოს სატევრებთან, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, სრულიად აშკარაა.

ბრინჯაოს სატევრები, ნიგვზიანის სამაროვნისა, ისევე როგორც ურეკის სამაროვნის ზემოთ განხილული სატევრები, წაგრძელებული ფოთლისებრი ყუნწიანი სატევრების კატეგორიას ეკუთვნიან და ორ ქვეტიპს შეადგენენ: ღონისებრ-განიკვეთიან ყუნწიან სატევრებს (ტაბ. XXXIII₁₁₄₆; XLI_{1380^a 1388^a 1391^a 1390^a 1384^a 1489^a 1388^a 1377^a 1387^a 1375^a XLVI_{1152a};) და გრძივი ღარქედებით შემკულ სატევრებს, რომელთაც მკვეთრად რომბისებრი ან ასევე მკვეთრად შემალლებული, მაგრამ მომრგვალებული განიკვეთი აქვთ (ტაბ. XXIII₁₁₄₅; XLI_{1383 1388^a 1382^a).}}

ნიგვზიანის სამაროვანზე სულ 17 ბრინჯაოს სატევარი აღმოჩნდა, 13 ცალი I ქვეტიპისა და მხოლოდ ოთხი II ქვეტიპისა. 17 სატევრიდან 14 ცალი № 1 სამარხ-ორმოშია დამოწმებული, ამასთან ერთობლივ ორივე ქვეტიპი, 2 ცალი ორივე ქვეტიპი—საკულტო მოედანზე და 1 ცალი I ქვეტიპის სატევარი—№ 6 სამარხ-ორმოში.

რ კ ი ნ ის ს ა ტ ე ვ რ ე ბ ი ნიგვზიანის სამაროვანზე სულ 7 ცალი აღმოჩნდა; სამი № 1 სამარხ-ორმოში (ტაბ. XLI_{1383^a 1383^a 1382^a); 2 ცალი № 12 სამარხ-ორმოში (ტაბ. XLVIII_{1876^a 1887^a); ორიც საკულტო მოედანზე (ტაბ. XXXIII₁₁₄₇₋₁₁₄₈).}}

ურეკის მასალაში გამოყოფილი სამი ტიპიდან ნიგვზიანში მხოლოდ 1 ტიპის ორივე ქვეტიპია დამოწმებული. აღსანიშნავია, რომ ერთი სატევარი ხისა და ბრინჯაოს ფურცლისაგან დამზადებულ ქარქაშში იღო (ტაბ. XLVIII₁₈₈₇).

ქარქაშის ხის ნაწილიცა და ბრინჯაოს ფირფიტაც შედარებით დაცულია. ხის ქარქაშის სატევარი, როგორც ცნობილია, აღმოჩნდა სოფ. კოლხიდაში [5 გვ. 193—197, სურ. 20].

ყურადღებას იქცევს ნიგეზიანის ბრინჯაოსა და რკინის სატევრების ოდენობრივი შეფარდება. თუ შევედარებთ ერთი მეორეს ურეკის № 3 და ნიგეზიანის № 1 სამარხ-ორმოებს თვალში გვეცემა მოულოდნელი შეფარდება: ურეკის სამარხში 18 რკინის სატევარი აღმოჩნდა და მხოლოდ ერთი ბრინჯაოსი, ნიგეზიანის სამარხში კი 14 ბრინჯაოს სატევარია დამოწმებული და არც ერთი რკინისა. მაშინ როდესაც რიგი ელემენტების მიხედვით ცერამიკის გარკვეული, უხვად წარმოდგენილი ჯგუფი ძვ. წ. VI — IV სს. რომ ახასიათებს, მძივსამკაული) ნიგეზიანის სამარხი ურეკისაზე თუ უფრო გვიანი არა, ყოველ შემთხვევაში მისი თანადროულია. ასეთივე ვითარებაა ერგეტის № 1 სამარხის № 3 სამარხშიც. აქ აღმოჩნდა 34 ცალი ბრინჯაოს სატევარი და მხოლოდ სამი რკინისა და ეს სამარხი თუკი ვადასცდა კიდეც ძვ. წ. VI საუკუნეს სიღრმისაკენ, დიდად ვერ გასცდება. ამ მოვლენას, რა თქმა უნდა, ახსნა ესაჭიროება. ამ ეტაპზე ერთადერთი დასკვნა, რომელიც შეიძლება გაკეთდეს ის არის, რომ რკინის სატევრების ყველა ტიპოლოგიური ნაირსახეობა ძვ. წ. VII ს. შუა ხანებისათვის ჩამოყალიბებული ჩანს, ხოლო ბრინჯაოს სატევრების ყველა ნაირსახეობა თანაარსებობს რკინის სატევრებთან ძვ. წ. VI ს. დასაწყისამდე.

ა კ ი ნ ა კ ე ბ ი და ს კ ვ ი თ უ რ ი ი ს რ ი ს პ ი რ ი

ნიგეზიანის სამაროვანზე 7 აკინაკი აღმოჩნდა (ტაბ. X VIII₁₈₇₈₋₁₈₈₆). ურეკის მონაპოვრის ანალიზის დროს აღენიშნავდით, რომ მათი ცული დაცულობის გამო ძნელია მათი კლასიფიკაცია, მაგრამ აშკარაა, რომ როგორც ურეკის, ისე ნიგეზიანის აკინაკები ეკუთვნიან ა. მელიუკოვას კლასიფიკაციის I განყოფილების აკინაკების ან I ან II ტიპს.

აკინაკები ნიგეზიანის სამაროვანზე მხოლოდ № 12 სამარხ-ორმოშია დამოწმებული. ამ გარემოებას შეიძლება მისცემოდა გარკვეული შინაარსი, თუნდაც იმის გამო, რომ ნიგეზიანის სამაროვანზე აღმოჩენილი ერთადერთი სკვითური ისრისპირი ამ სამარხშია დადასტურებული. მაგრამ შეიძლება აკინაკი სკვითური ისრისპირითურთ ისეთი მასალის (სრულიად სპეციფიკური კოლხური კერამიკა, რომელიც ძვ. წ. VII—VI სს. მიქნისთვისაა დამახასიათებელი, ბრინჯაოს სეგმენტისებრი იარაღი, რკინის თოხები, სახნისები და ა. შ.) გარემოცვაში აღმოჩნდა (იხ. ტაბ. XLVII—XLIX), რომელიც მარტოდენ კოლხური კომპლექსებისთვისაა დამახასიათებელი და რომელიც აღნიშნული გარემოების სხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას სპობს.

ს კ ვ ი თ უ რ ი ი ს რ ი ს პ ი რ ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი, დეზიანი, ნიგეზიანის სამაროვანზე ერთადერთი ცალი აღმოჩნდა № 12 სამარხ-ორმოში. იგი ეკუთვნის ა. მელიუკოვას კლასიფიკაციის სამფრთიანი (II განყოფილება) ისრისპირების II ტიპის I ვარიანტს [70, გვ. 19. 28. სურ. I], ოღონდ ჩვენს ცალს რამდენადმე უფრო მოკლე მასრა აქვს (ტაბ. XLVIII₁₈₇₇). ამგვარი ისრისპირები პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფს ეკუთვნიან და გვხვდებიან ძვ. წ. VII-ს. დასასრულისა და VI-ს. დასაწყისით დათარიღებულ კომპლექსებში [70, გვ. 18—19].

გამოთქმულია ვარაუდი, რომ ამ ტიპის სამფრთიანი ისრისპირები თავდაპირველად თავს იჩენენ ირანის სამხრეთ-აღმოსავლეთით და სკეითები მათ ითვისებენ მიდიელთა და სპარსელთაგან. ამასთან დაკავშირებით მიაქციეს ყურადღება იმას, რომ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისა და მისი მიმდგომი ვერაზის სტეპების წინასკვითურ ძეგლებზე ამ ტიპის ისრისპირები არ მოიპოვება [133. გვ. 44—45; 70, გვ. 19]. ამგვარი ისრისპირი, სხვა ტიპის სკეითურ ისრისპირებთან და ნიგვზიანის № 12 სამარხ-ორმოს ცულების ანალოგიურ ცულებთან ერთად ცნობილია ყულანურხვას № 5 სამარხიდანაც [5, გვ. 134, ტაბ. V 22].

პ ა რ ა უ ნ ი ბ რ ი ნ ქ ა ო ს ი

ერთადერთი აღმოჩნდა ნიგვზიანის სამაროვნის საკულტო მოედანზე. ის მართალია დაზიანებულია (ტაბ. XLI_{137a}), მაგრამ აშკარაა, რომ იმავე ტიპის იარაღია როგორც ურეკის პარაუნები.

შ უ ბ ი ს პ ი რ ე ბ ი

ნიგვზიანის სამაროვანზე აღმოჩნდა როგორც ბრინჯაოს, ისე რკინის შუბისპირები. ბრინჯაოს შუბისპირი ერთადერთია, ხოლო რკინისა 26 ცალი.

ბ რ ი ნ ქ ა ო ს შ უ ბ ი ს პ ი რ ი აღმოჩნდა № 1 სამარხ-ორმოში, როგორც ჩანს, ყველაზე ადრეულ სამარხში ნიგვზიანის სამაროვანზე. მას ფოთლისებური ვიწრო პირი აქვს და გრძელი, გახსნილი მასრა: (ტაბ. [XLI_{138a}]). სრული ანალოგია ამ შუბისპირს არ უჩანს, მაგრამ იგი უახლოვდება ლ. სახაროვას მიერ გამოყოფულ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრინჯაოს შუბისპირების I ტიპს — ვიწროპირიან შუბისპირებს, რომლებიც შუაბრინჯაოს ხანის ვიწროპირიან შუბისპირებიდან მომდინარეობენ [134, გვ. 87, 91 სურ. 31].

როგორც ჩანს, ვიწროპირიანი, მასრაგახსნილი შუბისპირები შედარებით გვიან ხანამდე ძლებენ, რაზეც მიუთითებს აგრეთვე პალურის № 10 სამარხში ასეთივე ანტურაუში (რკინის ცულთან, სატევერებთან, შუბისპირთან და ბრინჯაოს სატევერებთან ერთად) დამოწმებული ვიწროპირიანი ბრინჯაოს შუბისპირიც [2, ტაბ. VII₂]. მაგრამ ისიც უხადია, რომ ნიგვზიანის შუბისპირი ერთერთი უძველესი ნივთიანია № 1 სამარხ-ორმოში.

რ კ ი ნ ი ს შ უ ბ ი ს პ ი რ ე ბ ი დამოწმებულია საკულტო მოედანზე, № 1, 2, 6, და 7 სამარხ-ორმოებში (ტაბ. XLI, XLIV, XLV, XLVI). ისევე როგორც ურეკის, ნიგვზიანის რკინის შუბისპირებიც ცეცხლში ყოფნის გამო, ძლიერ დეფორმირებულია, ამიტომ მათი ტიპოლოგიური კლასიფიკაცია ჭირს. ზოგადად ისინი ურეკისა და სხვა ზემოთ მითითებულ ძეგლების შუბისპირების ანალოგიურია. როგორც ზემოთ მითითებულთ, სკეითურ იარაღთან ერთად მათი არაერთგზის დამოწმების ფაქტები რკინის შუბისპირებს ძე. წ. VII-VI სს. ათარიღებენ. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ისინი რკინის სატევერებთან ერთად ძე. წ. VII ს. შუა ხანებისათვის ჩამოყალიბებულ იყვნენ.

სალესი ქვეები ნიგვზიანის სამაროვნის კომპლექსებისათვის ისევე დამახასიათებელია, როგორც ურეკის სამაროვნის სამარხეული მასალისათვის. ისინი ზემოთ დაწვრილებით მიმოვიხილოთ.

ტუალეტთან და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები

ტუალეტის ატრიბუტებიდან ნიგვზიანის სამაროვანზე, ისევე როგორც ურეკისაზე, მხოლოდ ჩქიფებია დამოწმებული. ნიგვზიანში გვაქვს როგორც ბრინჯაო. თ. მიქელაძე

ქაოს ჩქიფები, ისე რაცნა. ერეკლანის სამაროვანზე სულ ოთხი ჩქიფი აღმოჩნდა — ორი ბრინჯაოსი საკულტო მოედანზე (ტაბ. XXXIII₁₁₇₉) და ორი რკინისა, ერთი საკულტო მოედანზე (ტაბ. XXXIII₁₁₈₇) და მეორე №12 სამარხ-ორმოში. ისინი არსებითად ერთნაირი ჩქიფებია, ოღონდ რკინის ცალეებს თავი უფრო გამოყვანილი აქვთ, ვიდრე ბრინჯაოს ჩქიფებს. რკინის ცალეები სადაა, ბრინჯაოსი კი გრავირებული — თევზთხური და გეომეტრიული სანაზით, რომელიც ხშირ შემთხვევაში გამოირჩევა კოლხური ბრინჯაოს აბზინდებისა და სხვა ნაკეთობათა ორნამენტისა. ჩქიფები ერთი ყველაზე გავრცელებული ელემენტია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხთა ინვენტარისა, მათ შორის მამაკა ცთა სამარხებისაც [7, გვ. 152]. კოლხეთში ისინი დამოწმებულია ურეკის, ნიგვზიანის, ერგეტის სამაროვნებზე, ეშერის სამარხებში, [7, გვ. 152, შმდ. ტაბ. XIII₁₀]. მათ შორის ბრინჯაოს გრავირებული შერხეულში [2, გვ. 73. ტაბ. V₂₈], გორაძირის № 1 ორმო-სამარხში, [25, გვ. 49 ტაბ. XXIV₁₅₀], ყულანურხვას №11 სამარხში [5, გვ. 161. ტაბ. VI₂] და ა. შ.

ყველა დასახელებული კომპლექსი ძვ. წ. VII—VI სს. განეკუთვნება. ბრინჯაოს ჩქიფი დამოწმებულია აგრეთვე სიმაგრის ნამოსახლარის II ფენაში, რომელიც ძვ. წ. VI ს. ბოლო მეოთხედით თარიღდება [29, ტაბ. XXXVIII].

ტანსაცმელთან დაკავშირებულ ნივთებიდან ნიგვზიანის სამაროვანზე წარმოდგენილია მშვილდსაყინძები ქინძისთავეები, აბზინდები, ლილები და მარყუჟის სამაგრები.

მ შ ვ ი ლ დ ს ა კ ი ნ ძ ე ბ ი აღმოჩნდა № 1 სამარხ-ორმოში 4 და № 6 სამარხ-ორმოში 1 ცალი. ხუთივე მშვილდსაყინძი ბრინჯაოსია, სამი მათგანის ღერო გრავირებულია წიწვისებრი ორნამენტით (ტაბ. XL 1416—1417; XLVI 185ა), ორი კი სადაა (ტაბ. XL I₁₄₁₄₋₁₄₁₅). ოთხივე მშვილდსაყინძი ერთი ტიპისა და შეესაბამება ზემოთ გამოყოფილ პირველი ტიპის მარტივ მშვილდსაყინძებს.

ქ ი ნ ძ ი ს თ ა ვ ე ბ ი და ა ბ ზ ი ნ დ ე ბ ი

ნიგვზიანის სამაროვანზე მხოლოდ ორი ბრინჯაოს ქინძისთავი აღმოჩნდა ერთი მარტივი, მრგვალგანიგვეთიანი, თავისაკენ თანდათან ვაფართოებული ქინძისთავი, რომელიც ცუდადაა დაცული და ორად თავგანტოტილი ქინძისთავი ბოლოებში ვერძის თავების სკულპტურული გამოსახულებებით (ტაბ. XXXIII₁₁₇₂).

ორად თავგანტოტილი ქინძისთავის მხოლოდ ზედა ნაწილია შემორჩენილი და ამიტომ მისი დანიშნულება მთლად ნათელი არ არის. თუ ამ ნივთის უახლოესი, მაგრამ გვიანი, ქვემოთ მითითებული ანალოგიის მიხედვით ვიმსჯელებთ, ის შეიძლება ყურის საწმენდი იყოს და არა ქინძისთავი. ეს არკივნება მხოლოდნაწილად, რადგან ბრინჯაოს ყურის საწმენდები საქართველოს სინქრონულ სამაროვნებზე გვხვდება: მაგალითად, ბეშთაშენის ადრეაქემენიდური ხანის სამარხებში [იხ. 28, გვ. 42, სურ. 39, 43]. მაგრამ ყობანურ ძეგლებზე ტიპობრივად ანალოგიური ქინძისთავების არსებობა ნათელს ჰფენს ჩვენი ნივთის დანიშნულებას. ნიგვზიანის ქინძისთავი ტიპობრივად ემსგავსება ძვ. წ. XII ს. დასასრულით დათარიღებულ რუთხის № 2 ქვაყუთის № 2 სამარხეული კომპლექსის ასევე ორად განტოტილ ქინძისთავს, რომლის თავები შეიძლება ასევე ვერძის თავებს გამოხატავდნენ. ყოველ შემთხვევაში თავები ნიგვზიანის ქინძისთავს ვერძების რქებივითა აქვთ დახვეული. ანალოგიური ორად გან-

ტოტილი ქინძისთავია დადასტურებული რუთხის ამავე № 2 ქვაყუთის № 3 სამარხულ კომპლექსში, რომელსაც ძვ. წ. VII ს. დასაწყისით ათარიღებენ [91, გვ. 17—18, სურ. 2₁, 3₂]. მაგრამ, ყოზანის მასალაში უფრო სრული ტიპოლოგიური ანალოგები არსებობს. ა. ბობრინსკის კოლექციაში არის ორად თავგანტოტილი ქინძისთავი, რომლის განტოტილი თავების ბოლოები ფრინველის თავის სკულპტურებს წარმოადგენენ [59, გვ. 52, სურ. 52]. 'კიდევ უფრო მეტი ტიპოლოგიური სიახლოვეა სენ-ეერმენის მუზეუმში დაცულ ასევე ორად თავგანტოტილ ქინძისთავთან, რომლის განტოტილი თავები ცხენის თავების ქანდაკებებია [59, გვ. 52, ტაბ. XXXIX, 1].

ნიგეზიანის ორად განტოტილი ქინძისთავის სრული ანალოგია სამადლოს გაძარცული სამარხის ბრინჯაოს ყურის საწმენდი (იხ. 135. გვ. 72. სურ. 6). ნიგეზიანისა და სამადლოს აღნიშნულ ნივთებს შორის სრული დამთხვევა გვაქვს: ორივე ნივთის ზედა ნაწილი ერთნაირადაა განტოტილი, ორივე ტოტი ვერძის თავების სკულპტურული გამოსახულებებით მთავრდება, ორივე ნივთის ვერძის თავების რქები ერთნაირადაა დახვეული. ორივე ნივთის ზედა ნაწილი ვერძის თავების ქვეშ შესქელებულია და გახვრეტილი, ოღონდ ნიგეზიანის ნივთის ნ.ხვრეტი თავების მიმართულებითაა გახვრეტილი, სამადლოს ნივთი კი წინიდან.

სამადლოს ნივთს დამატებით ვერძის კისრები და შესქელებული ნაწილი თევზიფხური ანდაზითაა შემკული, რაც არა აქვს ან არ ეტყობა ნიგეზიანის ნივთს. სამადლოს კომპლექსს, რომელშიც შედის აღნიშნული ნივთი ძვ. წ. IV—III სს. უფრო კი III ს. ათარიღებენ [135, გვ. 73, 76]. თუმც ისეთივე ზარაკები და გრებილი ხატისუღლები, როგორც განხილულ ბრინჯაოს ყურის საწმენდს ახლავს, კოლხეთში უფრო ადრეულ, ნიგეზიანის სამაროვნის შესატყვის ძეგლებზეცაა (ურეკის, პალურის, გუადიხის, მერხეულის სამაროვნებზე) დამოწმებული.

ზუსტად ასეთი ყურის საწმენდი, ი. გაგოშიძის ცნობით, შესულია საქართველოს მუზეუმში ს. თოხლიაურიდან და მას ახლავს ადრე ელინისტური ხანის ტიპური ძვ. წ. IV—III სს. სამაჯურები [135, გვ. 73].

ბ რ ი ნ ქ ა ო ს ა ბ ზ ი ნ და ნიგეზიანის სამაროვანზე სულ სამი ცალი აღმოჩნდა: ორი ფრაგმენტირებული № 12 სამარხ-ორმოში (XLVII₁₇₄₀₋₁₇₅₈) და ერთი ოღნაე დაზიანებული №1 სამარხ-ორმოში (ტაბ. XLI 1413). №1 სამარხ-ორმოს აბზინდა სადაა და აბზინდების II ტიპს ეკუთვნის; №12 სამარხ-ორმოს აბზინდები I ტიპის აბზინდებია. ერთი მათგანი სადაა, ხოლო მეორე შემკულია მებანდრისებრი ორნამენტით, რომელიც ხშირად გვხვდება კოლხური ბრინჯაოს ნაწარმზე.

სამკაული

ნიგეზიანის სამაროვანზე, ისე როგორც ურეკისაზე, სამკაულის ორი ქვეფი გვაქვს: ლითონის სამკაული და მძივსამკაული. ლითონის სამკაული წარმოდგენილია ხატისუღლებით, სამაჯურებით და სხვადასხვა დანიშნულების რგოლებით.

ხ ა ტ ი ს უ ლ ლ ე ბ ი

ბრინჯაოს ხატისუღლები აღმოჩნდა ორად ორი ცალი, ორივე №12 სამარხ-ორმოში (ტაბ. XVIII₁₇₄₆₋₁₇₄₈). ეს ხატისუღლები ბოლოებდაბრტყელებუ-

ლი, ბოლოებგრაიერებელი ხატისუღლების ჩგუფს მიეკუთვნება. მსგავსი ხატისუღლები, როგორც აღნიშნული გექონდა, დამოწმებულია ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის სამაროვნებზე (გუადიხუ, წითელი შუქურა, იხ. 4, გვ. 66, ტაბ. III₃; 187—189, ტაბ. VII₂;).

ს ა მ ა ჯ უ რ ე ბ ი

ნიგეზიანის სამაროვანზე ბრინჯაოს სამაჯურები აღმოჩნდა საკულტო მოედანზე (ტაბ. XXXIII_{1, 08-1188}) და № 6 სამარხ-ორმოში (ტაბ. X VI₁₈₈₈). საშივე სამაჯური ერთნაირია და I ტიპის I ქვეტიპს განეკუთვნება.

რ გ ო ლ ე ბ ი

ნიგეზიანის სამაროვანზე აღმოჩნდა სხვადასხვა დანიშნულების რგოლები, რომლებიც ამავე დროს სხვადასხვა მასალისაგანაა დამზადებული. რაკი ყველა რგოლი აშკარად სამკაულის კატეგორიას ეკუთვნის, ისინი ზემოთ მიღებული ტიპოლოგიური პრინციპით დავაჯგუფეთ,

ბ ო ლ ო ე ბ გ ა ხ ს ნ ი ლ ი რ გ ო ლ ე ბ ი უმეტეს შემთხვევაში მრავალგანიეკეთიანია. ისინი დამოწმებულია №12 სამარხ-ორმოში და საკულტო მოედანზე. №12 სამარხ-ორმოში ექვსი ბოლოებგახსნილი რგოლი იყო, ექვსივე ვერცხლისა (ტაბ. XLVIII). საკულტო მოედანზე ორი აშკარად ბოლოებგახსნილი რგოლი იყო, ორს კი ბოლოები აკლია და ძნელი სათქმელია, რომელ კატეგორიას ეკუთვნოდნენ. საკულტო მოედნის რგოლები ბრინჯაოსია (ტაბ. XXXIII).

ცალკეა აღსანიშნავი საკულტო მოედანზე აღმოჩენილი ერთი ბოლოებგახსნილი ვერცხლის რგოლი, რომლის ბოლოები მტაცებლის თავების იმიტაციის წარმოდგენენ (ტაბ. XXXIII₁₁₈₈).

ბ ო ლ ო ე ბ გ ა დ ა ს უ ლ ი ან ბ ო ლ ო ე ბ შ ე ე რ თ ე ბ უ ლ ი რ გ ო ლ ე ბ ი ერთის გარდა, ყველა მრავალგანიეკეთიანია. ის ერთი რგოლი (ტაბ. XXXIII₅₁₋₅₈), ბრინჯაოსია, დაწახნაგებული, ამიტომ რომბისებრი განიკვეთი აქვს. ეს რგოლი საკულტო მოედანზე აღმოჩნდა. №12 სამარხში დამოწმებული ამ ჩგუფის რგოლები (5 ცალი) ვერცხლისაა, საკულტო მოედანზე — (4 ცალი) ბრინჯაოსია. ასევე ბრინჯაოსია № 1 სამარხში აღმოჩენილი რგოლიც.

მ ძ ი ე ს ა მ კ ა უ ლ ი

ნიგეზიანის სამაროვანზე აღმოჩენილი სამკაულის მნიშვნელოვან და საინტერესო ნაწილს შეადგენს მძიესამკაული. მართალია, აქ აღარ ვხვდებით ურეკის სამაროვნისეულ მუქ ყავისფერ, გაუშვვირვალე, ღიდი ზომის სარდიონის მძიეებს, ვერც გიშრის მძიეებს და საერთოდ მძიესამკაული ოდენობის მხრივ ურეკისას ვერ შეედრება, მაგრამ მრავალფეროვანების თვალსაზრისით რამდენადმე წააცილებს კიდეც ურეკის კოლექციას.

ყველაზე მრავალრიცხოვან ჩგუფს შეადგენენ მოვარდისფრო ღია ფერის სერდოლიკის საშუალო ზომისა და წვრილი მძიეები (№ 1, 6, სამარხი-ორმოები და საკულტო მოედანი იხ. ტაბ. XLII; XLVI, XXXV). ეს კოლხეთის ადრეკინის ხანის სამაროვანთა მძიესამკაულის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. შედარებით მეტია ნიგეზიანის სამაროვანზე ოპალის სფეროსებრი მძიეები (№ 1 და №12 სამარხი-ორმო იხ. ტაბ. XLIII, XXXV), იასპის საშუალო ზომის, მო-

ვარდისფრო, სფეროსებრი (№12 სამარხი-ორმო იხ. ტაბ. XXXV) და შავი წვრილი მძივები (№1 სამარხი-ორმო, საკულტო მოედანი, იხ. ტაბ. XLIII, XXXV), მუქი ფირუზისფერი მინის ცილინდრული და მრგვალი მძივები (№1 სამარხი-ორმო, იხ. ტაბ. XLIII), ცისფერი პასტის თვალადი მძივი (№1 სამარხი-ორმო იხ. ტაბ. XLIII), გიშრის თვალადი მძივები, რომელთა თვალეები ცისფერი და თეთრი კერამიკული ჭიქურითაა გამოყოფილი (ტაბ. XLIII) და იასპის აგრეთვე თვალადი მძივი თეთრი რელიეფური თვალეებით.

აღსანიშნავია ცისფერი და თეთრი პასტის მრავალრიცხოვანი სხვადასხვა ფორმის მძივები (ბიკონუსური, რომბული, სამწახნაგა, მექეჭიანი, ცილინდრული, წვეტიანი ქუდისებრი), რომლებიც ჭდეებითა და რელიეფური სალტეებითაა შემკული და იმეორებენ ურეკისა და უკვე ხსენებულ წინწყაროსა და თაქ-ქილესას მძივებს.

ცალკე უნდა აღინიშნოს, ცისფერი პასტის ორი სკულპტურული მძივი: ერთი ცილინდრული მძივია და მის ერთ სიბრტყეზე რაღაც ცხოველის თავის გამოსახულებაა დატყვეტილი ყურებით, ხოლო მეორე მთლიანად ცხოველის (ძაღლის) გამოსახულებას წარმოადგენს (ტაბ. XXXIII₁₁₈₄). ცხოველის კერამიკული სკულპტურა — მძივი ბრინჯაოგადაკრული, ოღონდ რამდენადმე უფრო მოზრდილი დამოწმებულია წითელი შუქურას 102-ე სამარხში (4 გვ. 148). თეთრი პასტისაგან დამზადებული მძივები ცხოველთა გამოსახულებით დამახასიათებელია თეფე სიალკის B ნეკროპოლისათვის (65. ტაბ. XCV₇).

ბრინჯაოს მცირე პლასტიკა

თუ ზემოგანხილულ ორადგანტოტილ ნივთს ვერძისთავების სკულპტურული გამოსახულებებით არ მივიღებთ მხედველობაში, ბრინჯაოს პლასტიკა ორი ნივითაა წარმოდგენილი. ეს არის თევზის სკულპტურული გამოსახულება და მამაკაცის იტიფალური ქანდაკება (ტაბ. XXXIII₁₁₇₃; XLVI₁₅₅₆).

თევზის როგორც სკულპტურულ, ისე გრავირებულ გამოსახულებებს ხშირად ვხვდებით საქართველოს ადრეკინის ხანის ძეგლებზე. თევზის სკულპტურები აღმოჩნდა სამთავროს სამაროვანზე, თრელის №136 სამარხში [95, გვ. 89, ტაბ. XXIV₉, 140 გვ. 52, ტაბ. XV]; თევზის გრავირებულ გამოსახულებანი გვაქვს კოლხურ ბრინჯაოს ნივთებზე, ეშერის ოსუარიუმისა და სოფ. ქუტელში (აფხაზეთი) აღმოჩენილ ბრინჯაოს ცულებზე [7, გვ. 193, სურ. 37; 5 ტაბ. X₁, თლის სამაროვნის კოლხურ ცულებზე [36, გვ. 93, სურ. 80; 26, ტაბ. 34₁, 36₁, 46₁, 55₁, 88₁; 141 ტაბ. 67₁, 82₁; 87₁], ყობანის კოლხურ ცულებზე [59, სურ. 10, 11], სარტულზე სამთავროდან, თრელის და თლის სამაროვნებიდან, ყაზახიდან და კალანკეტიდან [143, ტაბ. I, IV, VII, VIII, XIV, XXXVI], და ბოლოს თევზის გამოსახულების იმიტაციასთან გვაქვს საქმე №12 სამარხი-ორმოს ერთ-ერთ ხატის უღელზე (იხ. ტაბ. XLVIII₁₇₄₂).

თევზის გამოსახულებათა ასეთი სიმრავლე შემთხვევითი არ არის და არც მხოლოდ დეკორატიული მნიშვნელობის მატარებელია. სრულიად ცხადია, რომ ამ გამოსახულებებში ჩადებულია რაღაც უფრო ღრმა შინაარსი, რომელიც დაკავშირებული უნდა იყოს ძველი კოლხების იდეოლოგიურ შეხედულებებთან. ამ თელსაზრისით საგულისხმოა, რომ კომპოზიციებში თევზის გამოსახულებები გვხვდება ირმების, ხოლო გაცილებით უფრო ხშირად, მაგალითად, კოლხურ ცულებზე მგელ-ძაღლის გამოსახულებებთან უშუალო

კავშირში, მგელ-ძალისა, რომელსაც ფეხები თათებით კი არ უბოლოვდება, არამედ თევზის კულის ფარფლისებურად და რომელიც ამის გამო, როგორც ჩანს, წყლის ცხოველის სიმბოლოც არის და მიწიერისაც.

თევზისა და მგელ-ძალების გამოსახულებების ასეთი შეხამება გვაქვს ეშერის ოსუარიუმის ცნობილ ცულზე, თლის სამაროვნის № 52, 76, 223, 232, 309 სამარხების კოლხურ ცულეზე, სამთავროს № 276 და 281 სამარხების სარტყელებზე და ყაზახში შემთხვევით აღმოჩენილ სარტყელზე [5, გვ. 193, სურ. 37; 27, გვ. 93 სურ. 80; 141, ტაბ. 46, 55; 141, ტაბ. 67; 82; 87, 142 გვ. 55, 101 გვ. 44; 143 ტაბ. I, IV, XXXVI]. ნიშანდობლივია ისიც, რომ თლის №52 და 201-ე სამარხების კოლხურ ცულეზე თავს იჩენს რომის ფიგურა გარედან კუთხეებში სამკუთხედებით შემკული, ისეთი (26, ტაბ. 46, 88) როგორც სამთავროს № 281 სამარხის სარტყლის ცენტრალური კომპოზიციის შემკვერელი რომისებრი ფიგურა, გარემოცული მგელ-ძალების, თევზის, ფრინველებისა და ასტრალური ნიშნების გამოსახულებებით. მხოლოდ სამთავროს სარტყლის რომისებრი ფიგურას სამკუთხედები გარედან მარტო კუთხეებში კი არა აქვს, როგორც ეს კოლხურ ცულეზეა, არამედ გარს შემოუყვება არშიად.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბრინჯაოს ქამრების, ყოველ შემთხვევაში რიგი (სამთავროს № 276, 281, 211, თრელის და თლის სამაროვნების) სარტყლების ყველა გამოსახულება (ირემი, ფრინველი, მგელ-ძალი, თევზი, გველი), ამ გამოსახულებათა შეხამება (ირემი და ასტრალური ნიშნები, ფრინველი და ასტრალური ნიშნები, თევზი, მგელ-ძალები და ასტრალური ნიშნები და ა. შ.), გეომეტრიული სიმბოლო, სახელდობრ, რომისებრი ფიგურა, ორნამენტი, მათი შესრულების სტილი და მანერა იმეორებს კოლხური ცულეების შემკობას [144, სურ. 2] და აშკარად ექვევა კოლხური რელიგიური შეხედულებების და ამ შეხედულებათა მხატვრულ-სტილისტური გააზრების წრეში:

„მრიგად, სრულიად ცხადია, რომ თევზების გამოსახულებებს ან საკულტო დანიშნულება ჰქონდათ, ანდა რაღაც ზოგადი იდეის ატრიბუციისა, რაზეც მიუთითებს კომპოზიციებში სხვადასხვა ცხოველების (ირმის, მგელ-ძალის) გამოსახულებებთან კავშირში თევზის გამოსახულების გრავირებაც [101, გვ. 44].“

თევზის კულტი ქართველ ტომებს შორის, როგორც ჩანს, მართლაც არსებობდა, რადგან ამ კულტის გადმონაშთები მკვეთრად იჩენენ თავს ეთნოგრაფიულ ფაქტებში [147, გვ. 318, 145]. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ დასავლეთ საქართველოში შემორჩენილი წეს-ჩვეულებების (გურული სახალწლო კალმახი, იმერეთში თევზის ღვთაება ლარსა) მიხედვით თევზი ნაყოფიერების ძალასაც ანსახიერებდა [147, გვ. 318]. ამ თვალსაზრისითაა სწორედ ნიშანდობლივი, რომ სოფ. ყუბაჩში (დაღესტანი) აღმოჩენილ სიცოცხლის ხის გამოსახულებაში, რომელიც ლაზურ სიცოცხლის ხის კომპოზიციას იმეორებს, ნაყოფიერების სიმბოლოს სიცოცხლის ხეს მინცდამინც თევზის გამოსახულება ფელის [147 გვ. 313, 320]. მაშასადამე, ქართველ ტომების წარმოდგენით ნაყოფიერების იდეის შემადგენელ ნაწილს წყლის სტიქიონიც წარმოადგენდა. ეს, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, უფრო მკვეთრად სხვა გამოსახულებებშიც ვლინდება.

ამავე თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში არის საინტერესო ცდა იმ მგელ-ძალების გამოსახულებათა ინტერპრეტაციისა, რომლებსაც თევზის გამოსახულებანი უკავშირდებიან. ეს მგელ-ძალები

აღნიშნული ინტერპრეტაციის მიხედვით ისევე განასახიერებენ შიწათმოქმედების ციკლს, როგორც სამთავროს 121-ე სამარხის სარტყელზე ხარები: ხენას — მგელ-ძაღვები კუდის ბოლოზე სახენელის მაგვარი სამკუთხედით, რომელსაც სამთავროს 121-ე სამარხის სარტყელის ხარი-მხენელის კუდის ადგილზე არსებულ სამკუთხედს უკავშირებენ; თესვას — მგელ-ძაღვი მხენელი და მგელ-ძაღვი მოსავლის ამლები ნამგლისებრი კუდით თევზთან ერთად, რომელიც პირიდან თესვას აფრქვევს და ბოლოს მკას — მგელ-ძაღვები ნამგლისებრი კუდით [142, 55, 56].

აღსანიშნავია, რომ ეს მგელ-ძაღვები განასახიერებენ წყლის სტიქიონსაც, რაზეც აშკარად მიუთითებს როგორც კოლხური ცულების, ისე ბრინჯაოს სარტყლების მგელ-ძაღვების გამოსახვა არა მგლის ან ძაღლის თათებით, არამედ თევზის კუდის ფარფლებივით. ამავე გარემოებას ხაზს უსვამს აგრეთვე მათთან კავშირში თევზების გამოსახვა. ამ მხრივ საინტერესოა, რომ ზოგი სპეციალისტი სამთავროს სარტყლების მგელ-ძაღვთა ერთი ჯგუფის კუდებში ხედავს წყლის არტერიების სიმბოლურ გადმოცემას [142, გვ. 55].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, თევზები მგელ-ძაღვებთან ერთად ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების იდეას ანსახიერებენ და რაკი ისინი წყლის სტიქიონის სიმბოლოებადაც გვევლინებიან, ამით ხაზს უსვამენ ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების კულტის არა მარტო მიწიერ, არამედ წყლისმიერ ბუნებასაც. ამიტომ წინა აზრის ნაყოფიერების უძველესი დიდი დედალვთაებანი მესოპოტამური ინანა-იშთარი, მცირეაზიურ-ფრიგიული კიბელა, რომლის კოლხურ იკინოგრაფიულ სახესხვაობას უნდა წარმოადგენდეს ზემოთ განხილული ურეის დედალვთაება, აგრეთვე სირიული და ელადური დედალვთაებანი, რომელთა ატრიბუტებს მრავალრიცხოვან გამოსახულებებზე სხვასთან ერთად თევზიც შეადგენს, სამბუნებოვან და მათ შორის მდინარეთა და წყლის ღვთაებებად მიიჩნევენ სრულიად სამართლიანად [114, გვ. 65; 143 გვ. 113—131].

სწორედ ასეთ შემეცნებით ფენომენთან გვაქვს საქმე ძველ კოლხებთანაც, რომელთა წარმოდგენით, მათ ნივთიერ ძეგლებში რომაა ასახული, ნაყოფიერების resp. მიწათმოქმედების იდეის მატარებელი ღვთაება, წყლის ღვთაებაც არის ამავე დროს. სწორედ ამ თვალსაზრისითაა განსაკუთრებით საყურადღებო დასავლეთ საქართველოში დამოწმებული „წყლის ხენის“ ჩვეულება, როცა პირველ კვალს გუთნეული წყალში ატარებდა და ამასთან გუთანში ქალები იყვნენ შებმული [115, გვ. 29, შდრ. 176, გვ. 224]. არა გვეგონია ეს ჩვეულება წვიმის გამოწვევასთან იყოს მხოლოდ დაკავშირებული.

დასასრულ, თევზის განხილული სკულპტურული გამოსახულების შინაარსთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ის აღმოჩნდა ნიგვზიანის აშკარად გამოხატულ მიწათმოქმედთა სამაროვნის, საკულტო მოედანზე სხვა ნივთებთან ერთად, რომელთა შორის სამოცზე მეტი სამიწათმოქმედო იარაღი იყო: რკინის 41 მეტი თოხი, რკინის 7 სახნისი, 6 სასხლავი დანა, ბრინჯაოს 9 სეგმენტი. როგორც ჩანს, არც ეს უნდა იყოს შემთხვევითი.

მეორე სკულპტურა, რომელიც ნიგვზიანის სამაროვანზე აღმოჩნდა ანთროპომორფული ქანდაკებაა. ის წარმოადგენს შიშველი მამაკაცის იტიფალურ ფიგურას. თავდაპირველად მას უფრო მკვეთრად ეტყობოდა იტიფალობა და წელზე ქამრისმაგვარი სალტე [121, სურ. 422].

ბრინჯაოს იტიფალურ ქანდაკებებს საქართველოს ადრერკინის ხანის არქეოლოგიურ მონაპოვარში არცთუ იშვიათად ვხვდებით.

ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს კოლხეთის თანადროული მასალა: ღვინის მშმელის ცნობილი ფიგურა ბომბორის განძიდან ყანწით ხელში, რომელიც თემატურად იმეორებს ყაზბეგის განძის ყანწიან იტიფალურ ფიგურებს და ცნობილი რიტუალური ნივთი სოფ. აბგარხუკიდან, იმავე ყაზბეგის განძის ზოგიერთი ნივთის მსგავსად ცხენზე ამხედრებული იტიფალური გამოსახულებით, ყველა ეს ნივთები, როგორც ცნობილია, ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის დასასრულს განეკუთვნება [7, გვ. 238—247, სურ. 52, 55].

განსაკუთრებით ბევრი და მრავალფეროვანი იტიფალური ქანდაკებებია ყაზბეგის განძში და ისინი განძთან ერთად ძვ. წ. VI—V სს. თარიღდება [87, გვ. 60—66, 96—107 ტაბ. VII—IX, XVII₃].

დაახლოებით ამ ხანისა უნდა იყოს, ან შესაძლოა რამდენადმე ადრეული მელაანის შემთხვევით აღმოჩენილი იტიფალური ქანდაკება, რომელსაც თანმხლები ნივთების გამო დროის დიდ მონაკვეთში, ძვ. წ. XIII—VIII სს-ში აქცევენ [152, გვ. 134, ტაბ. II].

მართალია, აღნიშნული ქანდაკებები სტილით, შესრულების მანერით, ცალკეული დეტალებით განსხვავდებიან ნიგეზიანის იტიფალური ქანდაკებისაგან და ერთიმეორისაგანაც, მაგრამ აქ არსებითი მნიშვნელობის გარემოებაა, ერთი მხრივ, მათი თემატიურ-შინაარსობრივი იდენტობა, ხოლო, მეორე მხრივ, მათი ზოგადად თანადროული გავრცელება. სრულიად ცხადია, რომ იტიფალურ ქანდაკებათა სახით საქმე გვაქვს ღვთაებათა გამოსახულებებთან. რომლებიც იდეოლოგიური აზროვნების გარკვეულ ეტაპს უნდა ასახავდნენ.

ბუნებრივია, დაიბადოს კითხვა: ზემოაღნიშნული იტიფალური ქანდაკებები ხომ არ წარმოადგენენ ეთნოგრაფიული მასალით დადგენილ გამანაცოფიერებელ ღვთაება ბოსლო-კოტროს გამოსახულებებს. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ ბოსლო-კოტრო, როგორც დიდძალი ეთნოგრაფიული და კავკასიური ენობრივი მასალის ანალიზმა უჩვენა, თავდაპირველად ხარღვთაებას აღნიშნავდა, ხოლო იდეოლოგიური აზროვნების გარკვეულ ეტაპზე მიიღო ანტროპომორფული იტიფალური მამაკაცი-ღვთების სახე [153, გვ. 181, 191; 109 გვ. 107, 143; გვ. 83] ეს ყოველ შემთხვევაში კოლხეთში, როგორც ჩანს, ხდება ძვ. წ. VI ს-ში, როცა ჩნდება მამაკაცის იტიფალური ქანდაკებები.

დასკვნა

მასალის ზემოთ წარმოდგენილმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ურეკის სამაროვნის თარიღი სიღრმეში ძვ. წ. VII ს. იქით არ იწევს. სამაროვნის ერთი უძველესი სამარხთაგანია № 3 სამარხი-ორმო. ამ სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ლავის საყბურები (ტაბ. XI 532), რომელიც ტიპობრივად უფრო ადრეული საყბურებისაგან მიიწევს და ყველაზე არქაული იერის ნივთია სამარხში. მაგრამ, ამავე დროს, №3 სამარხ-ორმოში გვაქვს სკვითური ქისრისპირი, რომელიც პირველი ქრონოლოგიური ჯგუფის ისრისპირებს განეკუთვნება და ძვ. წ. VII ს. დასასრულითა და VI ს. დასაწყისით თარიღდება [170, გვ. 16—18] და რკინის იარაღის (იხ. ტაბ. XII) სოციალური სიმრავლე.

აღნიშნულ სამარხში რკინის ნივთების (სატყევერების, დანების, ისრისპირების) სიმრავლე და მრავალფეროვნება (ტაბ. XII) მიუთითებს რკინის ფართო ათვისებასა და ამ დროისათვის რკინის იარაღის წარმოების გარკვეული ტრადიციების არსებობაზე. მეორე მხრივ, ამავე სამარხში ბრინჯაოს იარაღის (კუ-

ლები, სეგმენტები) სიმრავლე, აგრეთვე ისიც, რომ რკინის ნივთები (ამქმემთხვევაში სატევრები, ისრისპირები, ფიბულები, სხვა შემთხვევაში (ტაბ. XXIX₁₀₄₀₋₁₀₄₁, XXX₁₀₄₀₋₁₀₄₁) შუბისპირები, ცულები იმეორებენ ბრინჯაოს იმავე ნივთების საუკუნეებით დამკვიდრებულ ფორმებს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეს არის ხანა რკინის ნაწარმის ფართო გავრცელების დასაწყისისა, მაგრამ ამ ნაწარმის ფორმები ჯერ კიდევ დამოკიდებულია ბრინჯაოს ნაწარმის ფორმებზე, რომელთა მოქმედების ყაველი ჯერ არ გასულა.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია № 3 სამარხი-ორმოს ზედა ქრონოლოგიური მიჯნის დადგენა. არქეოლოგიური მასალიდან შედარებით სტაბილურ საყრდენს სკეითური ისრისპირი იძლევა. თუ მას დავეყარებით № 3 სამარხი-ორმოს ზედა ქრონოლოგიური მიჯნა შეიძლება ძვ. წ. VII ს. დასასრულით განესაზღვროთ.

საგულისხმოა, რომ ანალოგიური ისრისპირები დამოწმებულია ბოლასქოიში ბიუკლე I ფენაში [127, გვ. 109—110, ტაბ. XXX], რომელსაც ბიტელი საზღვრავს ძვ. წ. 650—500 წწ. [127, გვ. 17. შნშ. 2]. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთ კოლხურ ცულზე (ტაბ. X₃₄₄) შემორჩენილი ხის ტარის დანახშირებული ნაწილის რადიონახშირბადის ანალიზმა, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის რადიონახშირბადის ლაბორატორიამ შეასრულა, მოგვცა თარიღი ძვ. წ. 645±200 წელი (TB—299). № 3 სამარხი-ორმოს არქეოლოგიურ მასალას ძირითადი თარიღი, ძვ. წ. 645 წელი უნდა შეესაბამებოდეს.

აღნიშნული მონაცემების მიხედვით რკინის ფართო ათვისების დასაწყისი კოლხეთში ძვ. წ. VII ს. მოდის. ეს ის დროა, როცა ბრინჯაოს ინდუსტრია თანდათან თმობს თავის პოზიციებს, თუმცა განაგრძობს არსებობას. ეს საუკუნე არის, როგორც ჩანს, ბრინჯაოსა და რკინის ინდუსტრიათა თანაარსებობის და უკანასკნელის სულ უფრო ფართო გავრცელების ხანა. ამაზე მეტყველებს, ურეკის სამაროვანზე აღმოჩენილი ბრინჯაო-რკინის ნივთებიც (ბრინჯაოს ტარიანი-რკინის სატევრები, ტაბ. XXX₁₀₃₂).

ამრიგად, მიუხედავად რკინის ნაწარმის ფართო გავრცელებისა, რაც კარგად ჩანს № 3 და № 1 სამარხ-ორმოებში ბრინჯაოსა და რკინის იარაღების შეფარდებიდან, ამ ხანის ძირითადი თავისებურება ის არის, რომ ბრინჯაოს ინდუსტრია ჯერ კიდევ მოქმედია. ანალოგიური ვითარებაა ჩრდილოეთ კავკასიაში.

როგორც ჩანს, მართალი იყო ე. კრუპნოვი, როდესაც ბერეზოვსკის სამაროვნის ინვენტარის ანალიზთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში, ისე ამიერკავკასიაში ბრინჯაოდან რკინაზე გადასვლის პროცესი გაქიანურდა. ამას იგი ხსნიდა არა იმდენად რკინის მასობრივი წარმოების ათვისების ტექნიკური სიძნელეებით, რადგან კავკასიის მოსახლეობა მას უკვე კარგა ხანია იცნობდა, არამედ უფრო სპილენძის მადნის დამუშავების ხანგრძლივი დიდი ტრადიციისა და შედარებითი სიაღვრის გამო [50, გვ. 209].

მაგრამ, მეორე მხრივ, ურეკისა და ნიგეზიანის სამაროვნების კოლექტიურ სამარხ-ორმოებში დამოწმებული დამარხვის წესის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება გვეფიქრა, რომ აღნიშნულ სამარხებში ბრინჯაოსა და რკინის ნივთები მიუხედავად იმისა, რომ აშკარად ერთსა და იმავე დროსაა განამარხებული, თანადროული არ არის. საქმე ისაა, რომ მეორეული დამარხვა მიცვალებულთა ნაშთებისა და ინვენტარისა ხლებოდა ერთსა და იმავე დროს,

მაგრამ ეს ნაშთები და ინვენტარი სხვადასხვა დროს გარდაცვლილებს ეკუთვნოდნოდათ. იმ სამარხ-ორმოებში, რომელთაც საძვლე ორმოები ახლავთ ზოგჯერ ასზე მეტი ინდივიდის ძვლებს არჩევენ (მაგალითად, ერგეტის № 1 სამაროვნის № 5 სამარხი-ორმოს საძვლე ორმოში).

ცხადია, ასეთ ვითარებაში ამდენი მიცვალებულის დაგროვებას, მათ ჩონჩხებად ქცევას, გარკვეული დრო სჭირდებოდა, შესაძლოა იმოდენა დროც, რომლის განმავლობაში ხალხის ცხოვრებაში გარკვეული ცვლილებების ვარაუდი შეიძლება იყოს საჭირო. ეს გარემოება ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული იმ სამაროვნების დათარიღების დროს, სადაც კოლექტიური სამარხები გვაქვს და მეორეული დაკრძალვის წესია დამოწმებული. მაგრამ, ასეთ ცვლილებებს ჩვენს შემთხვევაში, როგორც ირკვევა, ადგილი არა ჰქონია და ურეკის სამაროვნის № 1 და № 3 სამარხი-ორმოების ბრინჯაოსა და რკინის ინვენტარი მაინც თანადროული ჩანს, რაც ნათლად დასტურდება ურეკის ინდივიდუალური სამარხების მიხედვით, სადაც ანალოგიური ბრინჯაოს სატევრები წარმოდგენილია რკინის სატევრებთან, ან დანებთან და ძვ. II ეკრამიკასთან ერთად (№ 2, 18, 68, სამარხები, იხ. ტაბ. XIX, XXI, XXV).

მეორე თავისებურება აღნიშნული ხანისა ის არის, რომ რკინის ნაწარმის მასობრივი წარმოება რკინის საბრძოლო იარაღის დამზადებით იწყება. რკინის საბრძოლო იარაღი, შესაძლოა რამდენადმე, მაგრამ აშკარად წინ უსწრებს რკინის საწარმოო იარაღის წარმოებას. ეს კარგად ჩანს ურეკის სამაროვნის № 3 სამარხი-ორმოს კომპლექსიდან, რომელშიც სამიწათმოქმედო იარაღი (თოხი, სეგმენტი) მხოლოდ ბრინჯაოსია, ხოლო სატევრები ერთის გარდა და დანები — მხოლოდ რკინისა.

საფიქრებელია, რომ ამ ეტაპზე ბრინჯაოს იარაღი სამეურნეო მოთხოვნებს ჯერ კიდევ აკმაყოფილებდა, ხოლო რაც შეეხება შეიარაღებას, მისი განვითარება, როგორც ჩანს, დამოკიდებული იყო არა მარტო საშინაო ფაქტორებზე. კოლხეთის გარემოცვა აუცილებელს ხდიდა მისი შეიარაღება ისეთივე ყოფილყო, როგორც მეზობელი ქვეყნებისა.

მართალია, ძვ. წ. VII ს. მიწურულამდე ბრინჯაოს საბრძოლო იარაღი კვლავ თანაარსებობს რკინის იარაღთან ერთად, ეს კარგად ჩანს ნიგვზიანის № 1 სამარხი-ორმოს მასალიდან, სადაც დაახლოებით თანაბრადაა წარმოდგენილი ბრინჯაოს და რკინის საბრძოლო იარაღი (შუბისპირები და სატევრები), მაგრამ რკინის იარაღის სიმრავლე უკვე ამ ეტაპზე ნათელს ხდის რკინის შეიარაღებისათვის უპირატესობის მინიჭებას. იმავე VII ს. მიწურულიდან რკინის აღმავალი წარმოება იწყებს რკინის საწარმოო იარაღის დამზადებასაც, ამასთან ისეთი იარაღის წარმოებას და ისეთი მასშტაბით, რომელმაც დიდი სოციალურ-ეკონომიკური ძვრები გამოიწვია და რომლებშიც თავის მხრივ ნათლად ისახა ეს ძვრები.

რკინის საწარმოო იარაღის მასობრივი წარმოების დაწყებასთან ერთად, რასაც ადგილი უნდა ჰქონოდა ძვ. წ. VII-VI სს. მიჯნაზე, როგორც ჩანს, წყდება ბრინჯაოს საწარმოო და საბრძოლო იარაღის წარმოება, მიუხედავად იმისა, რომ ბრინჯაოს იარაღის ცალკეული ნიმუშები ძვ. წ. VI ს. კომპლექსებშიც იჩენს თავს.

ამრიგად, ძვ. წ. VII ს. შუა ხანებში მაინც, კოლხეთის ბარში იწყება რკინის იარაღისათვის ხანა ზემო აღნიშნული თავისებურებებით. ზოგადად ამ ხანას განეკუთვნება ურეკის სამაროვნის № 3 სამარხი-ორმო, რომელიც ძვ. წ. VII ს.

შეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს. რამდენადმე უფრო გვიანი ჩანს № 1 სამარხი-ორმო არა მარტო რკინის ნივთების სიჭარბის მიხედვით, არამედ შუა კოლხური პერიოდისათვის დამახასიათებელი კერამიკული ფორმებითა და მათი ორნამენტით (ტაბ. VI₄₃₇₋₄₄₀), რომლებიც მთელ კოლხეთში საყოველთაოდ ბატონდებიან ძვ. წ. VI ს. დასაწყისიდან. ამიტომ № 1 სამარხი-ორმო, როგორც ჩანს, ძვ. წ. VII ს. სულ მიწურულს უნდა ეკუთვნოდეს. ამ კოლექტიურ სამარხებზე უფრო ადრეულად შეიძლებოდა მიგვეჩინია ის ინდივიდუალური სამარხები, რომლებშიაც მხოლოდ ბრინჯაოს ნივთებია წარმოდგენილი (№ 10 და 47 სამარხები), ან მხოლოდ ძვ. კ. II კერამიკა (№ 4, 9, 13, 14, 21, 26, 30; 35-38, 41, 58, 60-69 სამარხები), ანდა ძვ. კ. II კერამიკა და მხოლოდ ბრინჯაოს ნივთები (№ 7, 11, 32).

მაგრამ ანალოგიური ბრინჯაოს ნივთები ურეკის სხვა კომპლექსებში თანაარსებობენ რკინის ნივთებთან ერთად (შდრ. № 2 და № 10 სამარხები, ტაბ. XIX და XX), ანდა იგივე ნივთები და ძვ. კ. II კერამიკა, როგორც ანალიზმა გვიჩვენა, კოლხეთის სხვა ძეგლებზე უფრო ხშირად ძვ. წ. VII ს. დასასრულის კომპლექსებში გვხვდება. ამიტომ, და იმის გამოც, რომ ურეკის სამაროვნის მთელ მონაპოვარში უფრო არქაული არა ჩანს რა, ურეკის სამაროვნის უადრეს თარიღად ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევარი უნდა მივიჩნიოთ.

რაც შეეხება ურეკის სამაროვნის ყველაზე გვიან კომპლექსებს, ისინი იმ დანგრეულ სამარხებში იყო წარმოდგენილი, რომელთაგან შემორჩენილია რკინის ცულები (ტაბ. XXX₁₀₄₀₋₁₀₄₁), კოლხური სასმისი, ყურმილიანი მცირე ხელადა (ტაბ. XXX₁₀₁₂₋₁₀₁₃) და ზოგიერთი სხვა ნივთი. ერთადერთი სრულად დაცული გვიანი კომპლექსი კი № 1 სამარხის კომპლექსია (ტაბ. XIX), რომელიც აკინაით ძვ. წ. VI ს. თარიღდება.

ზოგადად ასეთივე სურათია ნიგვზიანის სამაროვანზე. აქ ყველაზე ადრეული სამარხი № 1 სამარხი-ორმო უნდა იყოს. რიგი თავისებურებანი (თანაარსებობა ძვ. კ. II და შკ I კერამიკისა რხ. ტაბ. XXXVII-XLIII; ბრინჯაოსა და რკინის საბრძოლო იარაღისა (ტაბ. XLI) ამ სამარხს ძვ. წ. VII ს. მიწურულით ათარიღებს.

ძვ. წ. VII-VI საუკუნეთა მიჯნას უნდა ასახავდეს ე. წ. საკულტო მოედანი და № 12 სამარხი-ორმო აქ ერთადაა წარმოდგენილი კერამიკა (ტაბ. XXXII_{1052, 1082, 1083}; ტაბ. XLVII₁₀₈₂₋₁₀₈₇), რომელიც ძვ. წ. VII ს. აქეთ არ გვხვდება და თიხის ქურქული (ტაბ. XXXII, XLVII), რომელიც გავრცელებას იწყებს ძვ. წ. VI საუკუნედან.

თანაარსებობენ აგრეთვე ბრინჯაოსა და რკინის სატევრები და დანები (ტაბ. XXXIII), მაგრამ ამ კომპლექსების დიდი მნიშვნელობის სიახლე ის არის, რომ მათ შემადგენლობაში თავს იჩენს რკინის სამეურნეო იარაღი (ცულები, სახნისები, ნამგლები და თოხები), ამასთან ისეთი ოდენობით, რომ საველე დოკუმენტაციაში საკულტო მოედანი „თოხების მოედნის“ სახელწოდებით აისახა.

ეს უკვე ახალი ხანის დასაწყისის მაუწყებელია, ხანისა, რომლის თავისებურება ის კი არ არის მხოლოდ, რომ რკინა საბოლოოდ და საყოველთაოდ იმარჯვებს, არც ის, რომ რკინის წარმოება კოლხეთში უკვე ძვ. წ. VII ს. მიწურულისათვის გასაოცარ მასშტაბებს აღწევს (მართლაც რამდენი უნდა ეწარმოებინათ რკინა, როცა ნიგვზიანის სამაროვნის მარტო ერთ № 12 სამარხში მრავალი ათეული რკინის იარაღი დამოწმებული, ამ მხრივ კიდევ უფრო გასაოცარია ერგეტის № 3 სამაროვნის № 1 სამარხი-ორმო), არამედ სამიწათმოქმედო იარაღის (სახნისები, თოხები, ნამგლები, სეგმენტები, მოხრილი და-

ნებ) მრავალფეროვნება, რაც, ერთი მხრივ, მიწათმოქმედების პროცესის გართულებაზე, მის მრავალეტაპიანობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, მის სპეციალიზაციაზე, მრავალდარგობრიობაზე მიუთითებს. სამარხებში სამიწათმოქმედო იარაღის განსაკუთრებული სიმრავლე უნიკალური შემთხვევაა არქეოლოგიაში და დაკავშირებული უნდა იყოს მიწათმოქმედების კულტად ქცევისთან.

რკინის სახნისიანი გუთნის შემოღებამ სათავე დაუდო არა მარტო თვისობრივად ახალ ეტაპს კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, არამედ მოსახლეობის წარმოდგენებში შემეცნებითი ცვლილებებიც გამოიწვია, რაც გამოიხატა დაკრძალვის წესის თავისებურებაში (სამიწათმოქმედო იარაღის — რკინის, სახნისების, თოხების, სეგმენტების, ნამგლების დიდი ოდენობით ჩატანება სამარხებში) და კიდევ უფრო ნათლად ბრინჯაოს მცირე სკულპტურის ხასიათში, სკულპტურისა, რომელიც აგრეთვე სამარხული ინვენტარის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ნიგეზიანის სამარხის ინვენტარის თავისებურება ისიცაა, რომ აქ აღარ ვხვდებით ბრინჯაოს კოლხურ ცულს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ ცულის ყალიბს (ტაბ. XLV₁₆₀₈), რომელიც აღმოჩნდა ყველაზე „ახალგაზრდა“ მასალის შემცველ № 7 სამარხ-ორმოში.

საგულისხმოა, რომ ამ სამარხის კერამიკული მასალა (ტაბ. XLV) ძვ. წ. VI-ს. შუა ხანებით და V ს. დათარიღებულ რიონისპირა ნამოსახლარების მასალას [29, ტაბ. XVI, XXVIII, XXV, XVIII-X IX] შეესატყვისება. ანალოგიური კერამიკა ძვ. წ. VI ს. შუა ხანებიდან მოყოლებული გაბატონებული ჩანს მთელ კოლხეთში. ასეთ კომპლექსში კოლხური ცულის ყალიბის მოხვედრა უნდა ჩაითვალოს, როგორც უკვე გამოუსადეგარი, დროგასული ნივთის ჩატანება სამარხში.

მიუხედავად იმისა, რომ ურეკისა და ნიგეზიანის სამაროვნები ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოებშია მოქცეული, ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს ამ სამაროვნებზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის მეცნიერული მნიშვნელობა. ურეკისა და ნიგეზიანის მონაპოვრის მიხედვით ნათელ წარმოდგენას ვიქმნით კოლხეთში დიდ საწარმოო ძვრებზე (რკინის ფართო ათვისება, რკინის სახნისიანი გუთნური მიწათმოქმედების დაწყება), მათ ქრონოლოგიურ მიჯნებსა და მასშტაბებზე. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ყველა ეს დიდი ისტორიული მოვლენა ერთ ეთნოსოციალურ გარემოშია მოქცეული და ხანგრძლივი, უწყვეტი განვითარების ერთ, მოსაბრუნ ეტაპს ასახავს.

